ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა

ნინო მაისურაძე

ერის ცნების გააზრება საქართველოში 1893-1917 წლებში

სამეცნიერო კვლევითი პროექტი 3

ხელმძღვანელი: პოლიტიკის მეცნიერებათა

დოქტორი მალხაზ მაცაბერიძე

თბილისი. 2023

აბსტრაქტი

საკვლევი საკითხი ერის ცნების გააზრებაზეა ორიენტირებული საქართველოში 1893-1917 წლებში. საკვლევი პერიოდი გამიზნულად არის შერჩეული, რადგან ამ პერიოდში ქართველი ერის თანამედროვე სახით ფორმირების პოლიტიკური ეტაპი იწყება. ჩემი კვლევის ინტერესი ერის ფორმირების პროცესში შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკური ფაზით, თუმცა მიმოვიხილავ ამ ფაზის წინაპირობებს და გაგრძელებასაც, რომ ნათელი იყოს თანამედროვე სახით ერის ფორმირების სრული ტრანსფორმაცია.

ერთი დეტალი, რომელიც მთლიანად გასდევს კვლევას არის საგარეო პოლიტიკის და გარემო ფაქტორების მნიშვნელობა ერის ცნების და ეროვნული საკითხის განსაზღვრაში 1893-1917 წლების საქართველოში. მეფის რუსეთში შემავალი საზოგადოებისთვის რთული იყო ავტონომიის მოთხოვნამდე მისვლის ეტაპიც. ვთვლი, რომ საქართველოს ისტორიისთვის ეს პერიოდი მრავალმხრივ საინტერესოა, რადგან ბეჭდური კაპიტალის გააქტიურების პარალელურად პოლიტიკური ჯგუფები უფრო მარტივად ახერხებდნენ საკუთარ მხარდამჭერებზე ზეგავლების მოხდენას, საკუთარი იდეოლოგიის დაცვას და მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ჯგუფებთან არგუმენტირებულ დისკუსიაში ჩართვას. გასაკვირი არ არის, რომ კვლევის საყრდენი 1893-1917 წლების პრესის ანალიზია, რომელიც ამ პროცესისთვის თვალის მიდევნების საუკეთესო საშუალებაა.

ბრძოლა ეროვნული თვითშგნების განვითარებისთვის არ იყო მარტივი ისეთი გავლენიანი თეორიის დამკვიდრების პარალელურად, როგორიც კარლ მარქსის თეორიაა. რადგან თავად ეს თეორია ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ეროვნულ საკითხს, ქართველი მარქსისტების ნაწილიც გვერდს უვლიდა ამ პრობლემას, როგორც არაპრიორიტეტულს. ამის ფონზე ეროვნული პოზიციის დამცველი კულტურული და პოლიტიკური ელიტა ორმაგად ცდილობდა ეროვნული საკითხის წინ წამოწევას. მე განსაკუთრებულ აქცენტს ვაკეთებ საქართველოში 1893-1917 წლებში ევროპული ერის კონცეფციების გავლენაზე, რაც გამომდინარეობს ჩემი ინტერესიდან, თუ როგორ ახერხებდნენ ქართველი მოაზროვნეები საკუთარი იდეოლოგიის გატარებას

დასავლეთ ევროპაზე ორიენტირებული მოღვაწეობით. მათთვის ამ კონცეფციების გამოყენებას ჰქონდა სიმბოლური ხასიათი, ევროპელი მოაზროვნეები მათთვის იყვნენ ის ავტორიტეტები, რომელთა დამოწმებაც იყო გარკვეული თეორიული ბაზისი, რის საფუძველზეც აგებდნენ საკუთარ ეროვნულ თეორიას. ევროპული კონცეფციების გავლენების კვლევაში დამეხმარა პრესის ანალიზიც, რადგან ჟურნალ-გაზეთებში შესრულებული თარგმანები პირდაპირ მიუთითებდა, თუ რომელი ჯგუფი რომელი ავტორის თეორიას იზიარებდა. ამის მიუხედავად, ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის ნეგატიური გავლენა, როდესაც ქართველი კულტურული და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები იმდენად კარგად იცნობდნენ ევროპულ ერის კონცეფციებს, რომ თამამად აკრიტიკებდნენ და ამ თეორიების ქართულ რეალობასთან შესაბამის ინტერპრეტაციებს აყალიბებდნენ. სწორედ ამიტომ, შევისწავლე არა მხოლოდ ევროპული თეორიების გავლენები საქართველოში ერის ცნების ფორმირებაზე 1893-1917 წლებში, არამედ თავად ქართველი მოაზროვნეების მიერ შექმნილი ინდივიდუალური და საკმაოდ ორიგინალური ერის დეფინიციებიც. მინდა ხაზი გავუსვა, რომ საქართველოში 1893-1917 წლებში ყურადღება მეტად გამახვილებულია ეროვნულ საკითხზე, როგორც მოსაგვარებელ პრობლემაზე. ერის ცნება არ არის ნაციონალიზმზე წინ წამოწეული, რადგან ერის დეფინიციის შემუშავების შემთხვევაშიც ეს არ ყოფილა ქართველი კულტურული და პოლიტიკური ელიტისთვის მიზანი, ეს იყო საშუალება, რომ ხაზი გაესვათ თუ რა უნდა იყოს წესით ერი და რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს მას გამოკვეთილი. ერის ცნების გაანალიზებით ისინი პირდაპირ გადადიოდნენ ეროვნული საკითხის პრობლემაზე. ხშირად საუბრობდნენ ეროვნულ კითხვაზე, ეროვნულ გონზე, ეროვნულ ენერგიაზე, ნაციონალურ ხასიათზე და ამ საკითხების გადაჭრის ერთ ნაწილში იყენებდნენ თავად ერის ანალიზს.

საკვლევი საკითხი აქტუალურია, რადგან XX საუკუნის დასაწყისში გამწვავებული იყო იდეოლოგიური დაპირისპირება პოლიტიკურ ჯგუფებს, პოლიტიკურ პარტიებს და მიმდინარეობებს შორის და ამ დაპირისპირების მთავარი მიზეზი სწორედ განსხვავებული პოზიციები იყო ეროვნულ საკითხზე. კვლევა თვისებრივია და რამდენიმე კვლევის მეთოდს შორის, რომელსაც ვიყენებ არის მეორადი წყაროების ანალიზი და დისკურსის ანალიზი. კვლევის შედეგმა კი მაჩვენა,

რომ საქართველოში 1893-1917 წლებში პოპულარული იყო ერის ემოციური განსაზღვრებები, რომლებიც ერის ძირითად ნიშნად იყენებდნენ სუბიექტურ მახასიათებლებს მაგალითად ისეთს, როგორიც სოლიდარობაა ერის წევრებს შორის. პრესის ანალიზმა კი ნათელი გახადა, რომ ეროვნული საკითხის პარალელურად იგივე სიხშირით მსჯელობდნენ საქართველოს ავტონომიის საკითხზე.

Abstract

The question of the study concerns the understanding of the concept of nation in Georgia between 1893 and 1917. The research period was chosen deliberately, as it marks the beginning of the political phase in the formation of the Georgian nation in its modern form. My focus in the process of nation creation is limited to the political phase, though I analyze the preconditions and continuation of this phase to grasp the entire transition of Georgian nation formation to its modern form.

The role of foreign policy and enviromental factors in the creation of the concept of nation and the national question in Georgia between 1893 and 1917 is a detail of great importance. It was already difficult for the state incorporated into Tsarist Russia to reach the stage of demanding autonomy. I think this period is significant in Georgian history in many ways because, with the activation of printed capital, political groups were more easily able to influence their supporters, defend their ideology, and engage in argumentative debates with opposing political groups. Not surprisingly, press analysis from 1893 to 1917 is the mainstay of the study, as it is the best approach for tracing the process.

Parallel to the emergence of an ideology as influential as Karl Marx's, the struggle to develop national consciousness was not an easy one. As this theory paid less attention to the national question, some Georgian Marxists considered it secondary. In this context, the cultural and political elite redoubled their efforts to advance the national problem while defending the national position. I'm particularly interested in the impact of European theories of the nation in Georgia between 1893 and 1917, as I'm curious to know how Georgian thinkers were able to construct their ideology while looking to Western Europe. For them, the use of these theories had symbolic significance; European thinkers were authorities whose refer served as the theoretical foundation on which they formed their national ideology. Press analysis also enabled me to understand the impact of European conceptions, as translations in journals and newspapers revealed which group agreed with which author's point of view. Despite this, the negative impact was particularly noticeable when representatives of the Georgian cultural and political elite were

so familiar with European concepts of the nation that they boldly criticized these theories and made interpretations that corresponded to the Georgian reality. For this reason, I have studied not only the influences of European theories on the construction of the notion of nation in Georgia between 1893 and 1917 but also the individual and rather unique conceptions of the nation produced by Georgian thinkers themselves. I'd like to point out that in Georgia, from 1893 to 1917, the national question was seen as a problem to be dealt with. The notion of a nation was not put forward as nationalism, because defining the nation was not a goal for the Georgian cultural and political elite; rather, it was a means of emphasizing what the nation should be and what characteristics it should have. After analyzing the concept of nation, they always went straight to the problem of the national question. They often discussed the national question, national thought, national energy, and national character, and used the analysis of the nation itself to help solve these problems.

The research question is relevant because, at the beginning of the 20th century, the ideological struggle between political parties and groups intensified, the main source of this conflict being divergent opinions on the national question. The study is qualitative, and among the methodologies employed are secondary source analysis and discourse analysis. The research revealed that in Georgia, from 1893 to 1917, emotional definitions of the concept of the nation were predominant, with subjective characteristics such as solidarity between members of the nation serving as the main feature of the nation. According to a press analysis, the theme of Georgia's autonomy was mentioned as often as the national question.

სარჩევი

შესავალი 1

თავი I. 1893-1917 წლების საქართველოში გავრცელებული ერის ევროპული კონცეფციები ... 25

§1.1. ერნესტ რენანი *"რა არის ერი?"* 25

§1.2. ევროპული ერის კონცეფციები, რომლებსაც გარკვეული გავლენა ჰქონდათ მიხაკო წერეთელზე 42

§1.3. ლუდვიგ გუმპლოვიჩის და გუსტავ ერვეს თეორიების გავლენა არჩილ ჯორჯაძეზე .. 54

§1.4. ავსტრომარქსისტული ერის თეორიები და მათი გავლენა საქართველოში 1893-1917 წლებში 58

§1.4.1. ოტო ბაუერი: „ეროვნებათა საკითხი და სოციალ-დემოკრატია" 58

§1.4.2. კარლ რენერი და მისი თეორია ერის შესახებ 66

თავი II. ერის ცნებასა და ეროვნულ საკითხზე შექმნილი თეორიები საქართველოში 1893-1917 წლებში 73

§2.1. არჩილ ჯორჯაძის თეორია ერის შესახებ 73

§2.2. დიმიტრი უზნაძის თეორია ეროვნული სულის შესახებ 82

§2.3. ალექსანდრე ჯანელიძის კონცეფცია ეროვნული შემოქმედების შესახებ 85

§2.4. გერონტი ქიქოძის თეორია ეროვნული ენერგიის შესახებ 91

§2.5. ქართველი სოციალ-დემოკრატების პოზიცია ეროვნული საკითხის შესახებ 95

თავი III. ერის ცნების ანალიზი ქართულ პერიოდულ გამოცემებში 1893-1917 წლებში 115

§ 3.1. „კვალი" და სხვა მემარცხენე პერიოდული გამოცემები ეროვნული საკითხის შესახებ 115

§ 3.2. კარლ მარქსის თეორია ქართულ პერიოდულ გამოცემებში 130

§ 3.3. არჩილ ჯორჯაძის სტატიები ეროვნულ საკითხზე გაზეთში „ცნობის ფურცელი" 134

§ 3.4. „ივერიის" მნიშვნელობა ერის ცნებას გაანალიზებაზე საქართველოში 1893-1917 წლებში 141

§ 3.5. ეროვნული საკითხი თავისუფალი ორგანო „საქართველოს" ფურცლებზე 151

§ 3.6. ერის ცნების და ეროვნული საკითხის ანალიზი გაზეთში „ცნობის ფურცელი" 156

§ 3.7. ევროპული ერის თეორიები, რომლებზეც ხშირად წერდნენ 1893-1917 წლების საქართველოს პერიოდულ გამოცემებში 160

დასკვნა 169

ბიბლიოგრაფია 173

ილუსტრაციების ჩამონათვალი

დიაგრამა №1 "ცნობის ფურცლის" 100 ნომრის სათაურების რაოდენობრივი ანალიზი. 168

შესავალი

საკვლევი საკითხის აქტუალობა: 1893-1917 წლებში ერის ცნების გააზრების პროცესი რთული და მრავალმხრივი თანმდევი ფაქტორების ფონზე წარიმართა. ცვალებადი სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენები იყო შედეგი არა მხოლოდ შიდა პოლიტიკის, არამედ იმისაც, რომ საქართველო მეფის რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა და საქართველოში განვითარებული პოლიტიკური პროცესები პირდაპირ კავშირში იყო რუსეთში მიმდინარე მოვლენებთან. საქართველოს მაგალითი არის ჩაგრულ და დაპყრობილ საზოგადოებაში ერის ფორმირების პროცესის შემთხვევა. საკვლევი პერიოდი ემთხვევა საქართველოში პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკური ჯგუფების ჩამოყალიბების პროცესს. 1892-1893 წლებიდან მოყოლებული საქართველოში ჩამოყალიბდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები. ამ პერიოდიდან მოყოლებული პოლიტიკური ელიტა იბრძოდა საზოგადოებაში პოლიტიკური დონის ასამაღლებლად, რაც პოლიტიკოსთა ნაწილს სჭირდებოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეის გასავრცელებლად და ხალხის დასარაზმად იმ ბრძოლისთვის, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის გახდებოდა საჭირო. პოლიტიკური ელიტის მეორე ნაწილის მიზანი იყო სოციალიზმის განსახორციელებლად საჭირო პირობების შექმნა. ისინი იბრძოდნენ საზოგადოებაში პოლიტიკური ცნობიერების ამაღლებისთვის მუშებისა და გლეხების შეკავშირების მიზნით. აქ მნიშვნელოვანია თავად საზოგადოების დამოკიდებულება საკითხისადმი, რომელიც ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე რუსეთის ხელისუფლებას აღიქვამდა, როგორც მფარველსა და უსაფრთხოების გარანტს. შესაბამისად, მათთვის მისაღები ვერ იქნებოდა საქართელოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მართალია რონალდ გრიგორ სუნი, როდესაც ასკვნის, რომ საკვლევ პერიოდში საქართველოში პრობლემების პასუხი, მეტად თუ ნაკლებად, სოციალიზმში მოიძებნა და არა ნაციონალიზმსა თუ ლიბერალიზმში, რაც იმ სოციალური კონტექსტის და ინტელექტუალური გარემოს პროდუქტი იყო, რომელიც არსებობდა საქართველოში (სუნი, 2022).

XX საუკუნის დასაწყისიდან პოპულარული იყო მოსაზრება ერის საკაცობრიო დანიშნულების შესახებ, ანუ მთელი აქცენტი გაკეთდა იმაზე, თუ რა წვლილი შეაქვს

ერს კაცობრიობის განვითარებაში. კარლ მარქსის თეორია ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი იყო საქართველოშიც, რომლის მიხედვით, საზოგადოების ეროვნული დაყოფა უმნიშვნელოა ან მხოლოდ ვარიაციაა კლასობრივი დაყოფისა. მარქსისა და ენგელსისთვის და მათთვისაც, ვინც მარქსიზმ-ლენინიზმი განავითარა არ არსებობდა აბსტრაქტულად ცნება „ნაციონალიზმი“, რომელიც თანაბრად ეხება რელიგიურ ჯგუფებს, ენობრივ ჯგუფებს ან თუნდაც რელიგიურ კონგლომერანტებს. ნაციონალიზმი წარმოიქმნება მხოლოდ გარკვეულ პირობებში, ვითარდება გარკვეული ტიპის ურთიერთობებისას და კვდება, როდესაც ეს ურთიერთობები მოძველდება. მარქსი და ენგელსი მკაფიოდ განასხვავებენ ნაციონალიზმს, როგორც სოციალური ცნობიერების ფორმას და ნაციონალიზმს, როგორც სოციალური ორგანიზაციის ფორმის საფუძველს. ისინი ამტკიცებენ, რომ ნაციონალიზმი, როგორც ცნობიერების ფორმა, შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ შრომის დანაწილებით და კლასობრივი ფორმირებით (Saklani, 2009). მარქსიზმისთვის ერი „დროებითი“ მოვლენაა. მარქსიზმ-ლენინიზმი ერების შერწყმის პროცესს განიხილავს, როგორც ობიექტურ-ისტორიულ პროცესს, რომელსაც ხელოვნურად ვერ დააჩქარებ ან შეაფერხებ. ამ თეორიაში ეროვნული განსხვავებულობის გაქრობაზე საუბარი იმდენად შორეულ მომავალში გადადის, რომ აწმყოში ეს საკითხი მხოლოდ თეორიულად ისახება და არა პრაქტიკულ ამოცანად (კაჭარავა, 1966).

გაბატონებული საზოგადოების კლასებად დაყოფის თეორიის პარალელურად ქართველ კულტურულ და პოლიტიკურ მოღვაწეთა ნაწილი ცდილობდა საზოგადოებისათვის ერის ცნების მნიშვნელობის ჩვენებას, რათა სახელმწიფოს წინაშე მოსაგვარებელ პრობლემებს შორის ეროვნული საკითხი პრიორიტეტული გამხდარიყო. ეს იწვევდა სხვადასხვა პოლიტიკური ძალების იდეოლოგიურ დაპირისპირებას. კვლევაში უნდა განვიხილოთ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის პირველ ორ ათწლეულში განვითარებული იდეოლოგიური შეხედულებების დაპირისპირება, რომელიც ქმნიდა განსხვავებულ პოლიტიკურ რეალობას. ვეთანხმები ნატო სონღულაშვილს, რომელიც ხაზს უსვამს, რომ საქართველოს ისტორიაში ეს ახალი გამოწვევების პერიოდიც იყო, რაშიც იგულისხმება ფეოდალური პერიოდიდან გადასვლა ახალ სოციალურ და ეკონომიკურ

გარემოში. რაც მთავარია, ეს ცვლილებები საზოგადოებას უნდა გადაელახა იმ პირობებში, როდესაც ის არ იყო დამოუკიდებელი (სონღულაშვილი, 2013).

საკვლევი საკითხი აქტუალურია, რადგან ის ორიენტირებულია ქართველი ერის ფორმირებაში ევროპული ერის თეორიების კონცეფციების გავლენებზე. ქართველი კულტურული და პოლიტიკური ელიტის ნაწილი 1893-1917 წლებში საზოგადოების პოლიტიკური ცნობიერების ასამაღლებლად სწორედ ევროპულ ერის თეორიებს იყენებდა. ქართველი მოღვაწეებისთვის ევროპული ერის კონცეფციები ერთგვარი თეორიული ბაზისი იყო საკუთარი პოზიციის არგუმენტებით გასამყარებლად. დღეს ეს თეორიები აღარ არის სამეცნიერო წრეებში პოპულარული, მაგრამ საქართველოს ევროპული ორიენტაციის და ევროპული სივრცისადმი კუთვნილების ირგვლივ გამართული დებატები არასდროს კარგავს აქტუალობას. 1893-1917 წლებში ერის ცნების გაანალიზების შესწავლა ევროპული ერის კონცეფციების გავლენების თვალსაზრისით კარგად ანახებს, რომ ქართველი მოღვაწეებისთვის ევროპისკენ ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება იყო ერთგვარი გზა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

საკვლევი საკითხი აქტუალურია იმიტომ, რომ ნაშრომი გვანახებს ქართველი ერის თანამედროვე სახით ფორმირების დასაწყისს, ყველა იმ სირთულეს, რაც გავიარეთ ერის ფორმირების პოლიტიკურ ფაზაში, რადგან 1893-1917 წლები საქართველოს ისტორიაში სწორედ ჩაგრული ერის ფორმირების პოლიტიკურ ფაზას უნდა მივაკუთვნოთ. საკვლევი პერიოდის ქრონოლოგიურ ჩარჩოში ერის ცნების შესახებ დებატები აქტუალური იყო, თუმცა არ უნდა გავიგოთ ისე, რომ თვითმიზანი ერის ცნების სრულყოფილი დეფინიციის დადგენა იყო. მიზანი ერის ცნების გააზრების იყო ეროვნული საკითხის პოპულარიზება და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება. ევროპული გავლენების მიუხედავად, ქართველი მოაზროვნეები ახერხებდნენ ერის ცნების განსხვავებული აქცენტებით გააზრებას, რაც სახელმწიფოში შექმნილი რეალობიდან გამომდინარეობდა და პირდაპირ ერგებოდა იმ გარემოებებს, რომლებსაც ვხვდებოდით 1893-1917 წლების საქართველოში.

რესპოდენტი №1 ექსპერტული ინტერვიუს დროს სწორედ 1893-1917 წლების, როგორც საკვლევი პერიოდის აქტუალობაზე საუბრობდა. ის თვლის, რომ ამ

პერიოდმა განსაზღვრა საქართველოს მომდევნო ისტორიული მოვლენები, სწორედ ამ პერიოდში იქმნება პოლიტიკური საზოგადოება საქართველოში. მისი შეხედულებით, ორივე მიჯნა კვლევის თარიღის (1893-1917) ახალი პროცესის დასაწყისია. ერთის მხრივ, 1893 წელი, როდესაც იქმნება მესამე დასის პირველი პროგრამა და ამით იქმნება დომინანტური პოლიტიკური ძალაც, რომელიც მომავალში გამოაცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობას სწორედ 1917 წლის მოვლენების შემდეგ. რესპოდენტის ხაზგასმით, ახალი პროცესის დასაწყისი არის 1892-1893 წლები საქართველოს ისტორიაში. რესპოდენტი ხატოვნად ამბობს, რომ სწორედ ეს წლებია XX საუკუნის, როგორც იდეოლოგიური სიახლის დასაწყისი. ინტერვიუს მსვლელობისას რესპოდენტმა რამდენჯერმე გაიმეორა, რომ ამ საკვლევ პერიოდში იწყება პოლიტიკური დებატები საქართველოში, პოლიტიკურ იდეოლოგიებსა და მიმართულებებს შორის ჭიდილი, რომელიც გრძელდება მეოცე საუკუნის პირველ და მეორე ათწლეულში, რაც დაგვირგვინდა 1918 წელს მიღებული დამოუკიდებლობის აქტით.

რესპოდენტი №6 კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩოს განხილვისას საუბრობს იმაზე, რომ ამ პერიოდის აღება საკვლევად ლოგიკურია თუ ვსაუბრობთ თანამედროვე სახით ერის ფორმირებაზე. ერი შეიძლება თქვა, რომ ისტორიული ფენომენია და შრეებად ემატება განვითარების ეტაპები, მაგრამ ეს არის მასალა თანამედროვე ნაციისთვის, რომელსაც ის იყენებს, რომ შექმნას ნაციონალური იდენტობა. პერსონაჟების როლი დიდია ამ პროცესში და ქართველი ნაციის შემთხვევაში ილია ჭავჭავაძის და მისი თანამოაზრეების. რესპოდენტი თვლის, რომ სოციალ-დემოკრატების როლიც მნიშვნელოვანია ამ პროცესში, იმის მიუხედავად, რომ ისინი სხვა იდეოლოგიური პოზიციიდან გამომდინარე მოქმედებდნენ. რესპოდენტის მოსაზრებით, კვლევისთვის ამ ქრონოლოგიის აღების გამართლება მარტივად შეიძლება, როგორც თეორიული კუთხით, ანუ ნაციონალიზმის თეორიიდან გამომდინარე, ასევე ისტორიული კუთხით, მითუმეტეს თუ ვსაუბრობთ თანამედროვე გაგებით ნაციაზე.

რესპოდენტი №3 ამბობს, რომ უნდა დაკონკრეტდეს, რას ვგულისხმობთ „ეროვნულ საკითხში“. ეს იმიტომ, რომ ეროვნული საკითხი ფართო ცნებაა და მოიცავს პოლიტიკური, ეკონომიკური, ტერიტორიული, სამართლებრივი, იდეოლოგიური თუ

კულტურული ურთიერთობების ერთობლიობას ერებს, ეროვნებებსა და ეთნოსებს შორის.

მისი შეხედულებით, ყველა ეს პრობლემა თუ არ ჩავთვლით ტერიტორიულს (საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების პრობლემა თავის იმპერიის ფარგლებში რუსეთმა, ქართველების აქტიური მონაწილეობით, ირან-ოსმალეთთან მოგებული ომების შედეგად გადაწყვიტა), მწვავედ იდგა საქართველოს წინაშე. აქტუალობის თვალსაზრისით, წინა პლანზე ხან რომელი და ხან რომელი ასპექტი წამოიჭრებოდა. მაგალითად, რუსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა, ერის ისტორიულ უფლებებზე საუბრების წამოწყება, საქართველოს საკითხის ევროპის საზოგადოებრივი აზრის წინაშე გატანა, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა და სხვ.

რესპოდენტის №3-ის დასკვნით, ეროვნული საკითხის აქტუალიზებას მისი მოუგვარებლობა, ქართველი ერის კოლონიური მდგომარეობა, ეროვნული ჩაგვრა და უუფლებობა იწვევდა.

რესპოდენტი №4 ამბობს, რომ სწორედ 1893-1917 წლებმა ჩამოაყალიბა ქართველი პოლიტიკური აზრის რამდენიმე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, რომლებიც ერის შესახებ მნიშვნელოვან განმარტებებს აკეთებდნენ. ამ პერიოდში საქართველოში პოლიტიკური პარტიები წარმოიშვნენ და ამ პოლიტიკურ მიმდინარეობებს ერის და ეროვნული საკითხის შესახებ საკუთარი განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ, რის გამოც იყო მათ შორის დაპირისპირება. ამ პერიოდში ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნება წინა პლანზეა წამოწეული და ამ პერიოდში იქმნება არა ერთი პოლიტიკური პარტია და გაერთიანება. მნიშვნელოვანი დეტალი, რომელსაც რესპოდენტი ამატებს შეეხება ეროვნულ-დემოკრატებს, რომლებიც ერთადერთი პოლიტიკური გაერთიანება იყო, რომელიც არასოციალისტური იყო. ასევე, ქართული ეროვნული მრწამსის გააზრება ხდება განსაკუთრებით ამ პერიოდში ისე, როგორც არასდროს, რადგან ეს პერიოდი არის ფიქრი ერის აწმყოსა და ხვალინდელ დღეზე.

განსხვავებული შეხედულება აქვს ამ საკითხზე რესპოდენტ №2-ს, რომელიც თვლის, რომ 1893 წელს მესამე დასის მეორე კონფერენციაზე მიიღეს ნოე ჟორდანიას კონცეფცია, როგორც პროგრამა. მისი შეხედულებით, ეს მომენტი მნიშვნელოვანია,

რადგან ერს და ეკონომიკას აკავშირებს ერთმანეთთან, ერს და პიროვნებას აკავშირებს ერთმანეთთან და ნოე ჟორდანია წარმოჩნდება, როგორც ახალი კონცეფციის ავტორი. რესპოდენტი აღნიშნავს, რომ შეიძლება ვიღაცისთვის გასაკვირი იყოს, რომ შემდეგ ნოე ჟორდანიას დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტური გახდა, თუმცა არაფერია ამაში გასაკვირი, რადგან ეს პოზიცია მისთვის შეიძლება ითქვას გარეგანი ნიღაბია. ის თუ რატომ ირგებს ამ ნიღაბს ნოე ჟორდანია რესპოდენტი მარტივად ხსნის, რომ ქართველი მოღვაწეები და არა მხოლოდ, ზოგადად ნებისმიერი მცირერიცხოვანი ერის წარმომადგენლები, ხშირად იყენებდნენ ნიღაბს და ხშირად ექვემდებარებოდნენ მათზე ძლიერ თეორიებს და მათზე ძლიერ პარტიებს. ამ მნიშვნელოვანი კონცეფციის (1893 წელს) შემუშავების მიუხედავად რესპოდენტი თვლის, რომ ქრონოლოგიური ჩარჩოს დასაწყისი შეიძლება ყოფილიყო განსხვავებული. მაგალითად, ეს დასაწყისი ლოგიკური იქნებოდა, რომ ყოფილიყო 1863 წელი, როდესაც ილია ჭავჭავაძემ თარგმნა და გამოქვეყნა „საქართველოს მოამბეში“ ნიკალაი დობროლუბოვის სტატია, რომელშიც ილია ჭავჭავაძე განუმარტავდა საზოგადოებას სხვადასხვა ტერმინების მნიშვნელობას, რომელთა შორისაც იყო ნაცია. ილია ჭავჭავაძე ნაციის დეფინიციად იყენებს ხალხის კრებულის მნიშვნელობას, ეს იყო პირველი მცდელობა ნაციის ტერმინის განმარტებისა. რესპოდენტი ხაზს უსვამს, რომ მანამდე არც ერთი მოღვაწის ნაწერებში არ შეხვედრია ნაციის განმარტების მცდელობას.

რესპოდენტი №5 მიიჩნევს, რომ შესაძლებელია საკვლევ პერიოდად ამ ქრონოლოგიის აღება, რადგან რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოქვეყნდა ამ თემაზე სწორედ 1893-1917 წლებში, მაგრამ მისი მოსაზრებით ამ საკითხის შესწავლა უკეთესი იქნებოდა პერიოდის გარეშე, ანუ ზოგადად ერის ცნების გააზრება ქართულ რეალობაში. თუმცა რესპოდენტი ამატებს, რომ გასაგებია მისთვის, რომ საკვლევად ფართო იქნებოდა ეს პერიოდი და ამიტომ ეთანხმება საკვლევ პერიოდად 1893-1917 წლების აღებას.

კვლევის სიახლე: კვლევა განსხვავებულია თავისი მასშტაბურობიდან გამომდინარე ეროვნული საკითხის ირგვლივ შექმნილ სხვა პროექტებთან შედარებით. კვლევის ჰოლისტური ხასიათი შეგვიძლია კვლევის მეცნიერულ სიახლედაც მივიჩნიოთ. კვლევა შეისწავლის, როგორც ევროპული ერის კონცეფციების გავლენას

საქართველოში 1893-1917 წლებში, ასევე ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების მიერ შექმნილ თეორიებს ერის შესახებ. ამის გარდა, კვლევაში გაანალიზებულია 1893-1917 წლების პერიოდული პრესა ეროვნული საკითხის შესახებ. თანამედროვეობაში საკვლევი საკითხი ნაკლებად იპყრობს მკვლევარების ყურადღებას, ხოლო მასალები, რომლებიც უკვე არსებობს ამ თემაზე უმეტესწილად მხოლოდ მარქსისტული იდეოლოგიის პრიზმიდანაა შექმნილი. კვლევაში დოგმატური მსჯელობის გამორიცხვით და ყველა მოსაზრებისა და მტკიცებისადმი ღია მიდგომით ვცდილობ დავიცვა მეცნიერული ობიექტურობა. პროექტი შინაარსობრივად ჰიბრიდულია და შესაძლებელია რამდენიმე მომიჯნავე სამეცნიერო მიმართულებების ინტერესის საგნად იქცეს თავისი კომპლექსური ანალიზის საჭიროებიდან გამომდინარე და თითოეული მათგანისთვის მნიშვნელოვან შედეგებზე და დასკვნებზეც გავიდეს. კვლევა მნიშვნელოვანია პოლიტიკის მეცნიერებისთვის და ჰუმანიტარული სასწავლო პროგრამებისთვისაც - საქართველოს ისტორიისთვის და კულტურის კვლევებისთვის.

კვლევის მიზნები: 1) საქართველოში ერის სხვადასხვა თეორიების გარშემო 1893-1917 წლებში მიმდინარე დისკუსიის განხილვა და საკვანძო საკითხების გამოვლენა;

კვლევის მთავარი მიზანი არის ერის ცნების ირგვლივ გაშლილი დისკუსიის და დაპირისპირების გამომწვევი მიზეზების კვლევა. გადავწყვიტე, რომ მთავარ მიზნად უნდა მექცია საწყისების კვლევა. საფუძველი, რომელიც იწვევდა ერის ცნების ირგვლივ დისკუსიის გააქტიურებას და მისთვის უფრო მეტად პოლიტიკური განზომილების მიცემას. ხაზი უნდა გავუსვა იმას, რომ ერის ირგვლივ პოლემიკა მთელი 1893-1917 წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. ამიტომ, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საკითხის წინ წამოწევის მიზეზების კვლევა, არამედ იმ საფუძვლებისაც, რატომაც საკითხმა აქტუალობა მთლიანად დროის ამ ქრონოლოგიურ პერიოდში შეინარჩუნა.

2) **ქვემიზანი:** ერის იმ თეორიების დადგენა, რომლებსაც ემყარებოდნენ საქართველოში 1893-1917 წლებში მიმდინარე დისკუსიის დროს.

ამ ქვემიზნის მიღწევა იქნება კვლევის გარკვეული სიახლეც, რადგან ჩვენი ორიენტირი არის ის უცხოური გავლენები, რომლებიც ქართველმა მოღვაწეებმა განიცადეს 1893-1917 წლებში. 1860-იანი წლების მოღვაწეების გავლენებს 1893 წლის შემდეგ პერიოდზე გვერდს ვერ ავუვლით, მაგრამ რადგან ეს გავლენები გარკვეულწილად შესწავლილი და გამოკვეთილია, უფრო დიდ ყურადღებას გავამახვილებ ევროპულ ერის თეორიებზე, რომლებიც განხილვის ობიექტები იყვნენ 1893-1917 წლების ქართულ ინტელექტუალურ-პოლიტიკურ წრეებში. 1917 წლის შემდეგ საქართველოში განვითარებულმა ისტორიულმა მოვლენებმა ამ ცნობილი ევროპული ერის თეორიების მიმართ ინტერესი გაანელეს, სწორედ ამიტომ ეს საკითხი დღეს ნაკლებად არის შესწავლილი.

დასახული მიზნების მისაღწევად კვლევის რამდენიმე ამოცანა განისაზღვრა:

- ევროპული ერის თეორიების გავლენის კვლევა ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების მიერ ერის ცნების დეფინიციაზე 1893-1917 წლებში;
- 1893-1917 წლებში გამომავალი ქართული პერიოდული გამოცემების შესწავლა. პრესაში ერის ირგვლივ გამართული დისკუსიის გამოკვეთა და შესწავლა;
- განსახილველ პერიოდში წარმოშობილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფების და პარტიების მიერ ერის ცნების გააზრების დინამიკაში შესწავლა და მათი იდეოლოგიური შეხედულებების როლის გამოკვეთა ერის ცნების ფორმირებისას.
- 1893-1917 წლებში არსებულ ორ ყველაზე პოპულარულ პარტიას, სოციალ-დემოკრატებს და სოციალ-ფედერალისტებს, შორის ეროვნულ საკითხზე გამართული დისკუსიის როლის კვლევა ერის ცნების ფორმირებაზე;

საკვლევი კითხვები: 1) არსებობდა თუ არა გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენდა ერის ცნების განსაზღვრაზე საქართელოში 1893-1917 წლებში?

2) რა განაპირობებდა ეროვნული პრობლემის განსაკუთრებულ აქტუალობას 1893-1917 წლების საქართველოში?

ძირითადი ჰიპოთეზა: საქართველოში ეროვნულ საკითხზე მიმდინარე დისკუსიის დროს ემყარებოდნენ დასავლეთში არსებულ ერის თეორიებს, ამ თეორიების არჩევა კი გამომდინარეობდა პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პოზიციებიდან;

- **ქვეჰიპოთეზა:** ეროვნული საკითხის უგულებელყოფა, განსაკუთრებით ქართველი სოციალ-დემოკრატების მხრიდან, განაპირობებდა მწვავე დაპირისპირებას მარქსისტულ და ეროვნულ პოზიციაზე მდგომ პოლიტიკურ ძალებს შორის.

ამხსნელი თეორია: ამხსნელ თეორიად ნაციონალიზმის თეორია ავიღე, კონკრეტულად - მოდერნისტული თეორია. ეს თეორია ნაციონალიზმის თეორიებს შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებულია. კლასიკური სახით მოდერნიზმი XX საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა. მოდერნიზმის მთავარი თეზისია: ერები და ნაციონალიზმი ახალი ფენომენებია და მათი ისტორია მხოლოდ უკანასკნელი ორი საუკუნით შემოიფარგლება. ერები და ნაციონალიზმი საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ჩნდება. მოდერნიზმი ერთიანი თეორია არ არის. უ. ოზკირიმლი მოდერნიზმს სამი ნიშნის მიხედვით ჰყოფს: ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული. ასეთი დაყოფის საფუძველია ფაქტორები, რომლებიც განმსაზღვრელად მიიჩნევა ერების/ნაციონალიზმის წარმოშობაში (დავითაშვილი, 2003).

1893-1917 წლების ქართული რეალობის უკეთესად ახსნის საშუალებას გვაძლევს სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაცია, რომელიც ერების წარმოშობაში გადამწყვეტ ფაქტორად სოციალურ-კულტურულ ასპექტებს მიიჩნევს. ამ ტრანსფორმაციის ყველაზე პოპულარული ავტორები არიან: ერნესტ გელნერი, ბენედიქტ ანდერსონი და მიროსლავ ჰროხი.

რეალურად სამივე ავტორი გარკვეულწილად გვაძლევს ერის და ნაციონალიზმის წარმოშობის მახასიათებლებს, რომლებიც ნაწილობრივ ხსნის ქართველი ერის 1893-1917 წლებში თანამედროვე ერის სახით ფორმირების ასპექტებს, მაგრამ თუ გვსურს სქემის სახით დავინახოთ და ფუნდამენტურად ავხსნათ მცირე ერების წარმოშობის, ჩაგრული და დაპყრობილი ერების ფორმირების პროცესი უნდა გამოვყოთ მიროსლავ ჰროხის[1] თეორია. მისი გავლენა ნაციონალიზმის თეორიაში დიდია. ამას ადასტურებს ისიც, რომ ერიკ ჰობსბაუმი საკუთარ ნაშრომში „ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან“ ასახელებს ჰროხს, როგორც ნოვატორული შედარებითი

[1] მიროსლავ ჰროხი ჩეხი ისტორიკოსი და პოლიტიკური თეორეტიკოსია.

კვლევის ავტორად ეროვნული მოძრაობების შესახებ. მისი მთავარი ნაშრომი *„ნაციონალური გამოცოცხლების სოციალური წანამძღვრები“* (1985) კვლევის თეორიის მთავარი დასაყრდენი მასალაა. მიროსლავ ჰროხის თეორიას შეგვიძლია ვუწოდოთ - ნაციონალიზმის ფაზების თეორია, რადგან მასთან ფუნდამენტურია ნაციონალიზმის სამი ფაზის გამოყოფა და ერის ფორმირების პროცესში A ფაზიდან B ფაზაზე, ხოლო შემდეგ B ფაზიდან C ფაზაზე გადასვლა. (იხ. დანართი №1)[1]

მიროსლავ ჰროხის თეორია განსხვავდება იმ თეორიებისგან, რომლებიც ფიქრობენ, რომ ნაციონალიზმია უპირველესი ფორმირების ფაქტორი, ხოლო ერი მისგან წარმოებული ფენომენია. ის სახავს ერს, როგორც ისტორიული წარმოშობის სოციალური რეალობის შემადგენელ ნაწილს. თანამედროვე ერის წარმოშობას ავტორი მიიჩნევს ფუნდამენტურ რეალობად და ნაციონალიზმს, როგორც ამ ერის არსებობიდან გამომდინარე ფენომენს. ერის ობიექტური ხასიათი არ უნდა განისაზღვროს ატრიბუტების და მახასიათებლების უძრავი კოლექციით, რომელიც მოცემული და დადგენილია ერთხელ და სამუდამოდ, როგორც ერს ვერ განსაზღვრავ მარადიულ კატეგორიად, რომელიც კონკრეტული სოციალური ურთიერთობებისგან გარეთ მდგომია (Hroch, 1985).

ადამიანების ობიექტური სოციალური ურთიერთობების დადგენა დიდ სოციალურ ჯგუფებში არის ყველაზე ნაყოფიერი ამოსავალი წერტილი მიროსლავ ჰროხისთვის ერის და მისი ჩამომყალიბებელი პროცესის კვლევაში. ერის წევრებს შორის ურთიერთობა შედარებით მუდმივია და ის ერთი ხელის მოსმით არ ნადგურდება. ავტორი ერს მიიჩნევს მსხვილ სოციალურ ჯგუფად, რომლისთვისაც დამახასიათებელია რამდენიმე სახის ურთიერთობის კომბინაცია (ეკონომიკური, ტერიტორიული, პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული, ენობრივი და სხვა) (Hroch, 1985)

ამ ნაშრომის გამოქვეყნების პერიოდში ერის ფორმირება ტრადიციულად იხსნებოდა სოციალური პროცესის შედეგად, რომელიც წარმოიშვა დიდი ცვლილებებისას ფეოდალიზმიდან კაპიტალისტურ საზოგადოებაზე გადასვლის დროს. ამ მოდელს ყველა ისტორიულ პროცესზე ვერ გავავრცელებთ, ის მხოლოდ ზოგი ევროპული ერის შემთხვევაშია ვალიდური. დაპრობილი მცირე ერის ტერიტორიებზე წარმოიშვა ეროვნული მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო არა

მხოლოდ ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, არამედ ახალი მმართველი კლასის წინააღმდეგაც, რომელიც ეთნიკურად განსხვავდებოდა რეგიონში მცხოვრები ეროვნების წევრებისგან. ეს მომენტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ერნესტ გელნერის მოსაზრებით, ნაციონალიზმის პრინციპი ირღვევა, თუ მმართველი უმცირესობა ეთნიკური წარმოშობით განსხვავდება მართულ უმრავლესობაზე და ამ პრინციპის დარღვევის შედეგად წარმოიშვება მართულ უმრავლესობაში ბრაზი და აგრესია (Gellner, 1983).

დაჩაგრული ერების ორ ჯგუფს გამოყოფს მიროსლავ ჰროხი პოლიტიკური კავშირების უწყვეტობის თვალსაზრისით: 1) ერები „ისტორიის გარეშე“, რომელთაც წინაკაპიტალისტურ პერიოდში არ ჰქონდათ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული; 2) იმ ერთა ჯგუფები, რომლებიც შუა საუკუნეებში პოლიტიკურ ერთეულებს შეადგენდნენ, ჰქონდათ საკუთარი სუვერენული ფეოდალური კლასი, მაგრამ დაკარგეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა ან მისი არსებითი ატრიბუტები თანამედროვე ერებად ფორმირებამდე.

მმართველ ერებში, ეროვნული იდენტურობის გაცნობიერების პროცესი მიმდინარეობდა ძველი საზოგადოების მმართველი კლასის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლებით, რომლებიც, რა თქმა უნდა, მათი ერის წარმომადგენლებისგანვე შედგებოდნენ. მცირე ერები იმყოფებოდნენ უფრო რთულ სიტუაციაში იმ ფაქტის გამო, რომ ისინიც წინ აღუდგნენ ფეოდალურ იდეოლოგიას და ძველ საზოგადოებას საკუთარი ეროვნული მოძრაობით, მაგრამ ისინი კონფლიქტურ სიტუაციაში შევიდნენ ახალ მმართველ ერთანაც.

ჰროხის მოსაზრებით, დაპრობილი ერების წარმომადგენლები ორ ეროვნულ იდეოლოგიას შორის იყვნენ მოქცეულნი (დამპყრობლის და დაპყრობილის). ერის წარმომადგენლების ნაწილმა, როდესაც გაიუმჯობესა სოციალური პოზიცია, მიიღო განათლება და მივიდა იმ წერტილამდე, როდესაც იძულებულნი იყვნენ მიეღოთ გადაწყვეტილება და გაეკეთებინათ არჩევანი ორ განსხვავებულ ეროვნულ ალტერნატივას შორის. იმ ეთნიკური ჯგუფების ბედი, რომლებმაც არ გამოიღვიძეს და ვერ ჩამოაყალიბეს ეროვნული ცნობიერება გვანახებს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ

არჩევანის გაკეთებას. ფაქტია, რომ პატრიოტული დამოკიდებულებების გავრცელება არ ხდება თანაბრად და ავტომატურად პატარა ერის ყველა წევრს შორის (Hroch, 1985).

ამ ნაწილის განხილვისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ თერგდალეულების მაგალითს. ქართული ინტელიგენციის პირველი თაობა, რომლებმაც განათლება პეტერბურგში და რუსეთის სხვა ქალაქებში მიიღეს და სამშობლოში საქართველოს ეროვნული აღორძინების სურვილით დაბრუნდნენ. მათი როლი და გავლენა თანამედროვე სახით ქართველი ერის ფორმირების პროცესზე მნიშვნელოვანია. 60-იანელები შეიძლება მივიჩნიოთ ჰროხის თეორიაში განხილულ იმ „პატრიოტებად", რომლებიც მზად იყვნენ სხვებზე ადრე გამხდარიყვნენ ეროვნული აქტივისტები, პიონერები ეროვნული იდეის გავრცელებისა იმ პატარა ერში, რომელსაც ისინი ეკუთვნოდნენ. ჰროხის ხაზგასმით, ამ პატრიოტების საქმიანობის ეფექტურობა არ იზომება მხოლოდ რეალური და მატერიალური შედეგებით, არამედ მიზანმიმართული, ნებელობით სუბიექტური მსხვერპლის ხარისხით, რომელშიც პოლიტიკური რისკიც იგულისხმება. XIX საუკუნის ბოლო ათწლეულისთვის საქართველოში ჩამოყალიბდა „nationality for itself", რაც ნიშნავს ეროვნულობას თავისთვის და რაშიც იგულისხმებოდა გამოკვეთილი ეროვნული ლიდერების არსებობა და მასობრივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩანასახი. ეროვნული იდენტობა ამ პერიოდში იქცა წამყვან ცნებად, რომლისადმი ლოიალობამაც გადაფარა სხვა ინსტიტუტების ლოიალობა. ზოგისთვის ეროვნული საკითხი უკავშირდებოდა სოციალისტურ მსოფლმხედველობას (სუნი, 2022).

მცირე ერის ფორმირებისთვის დამახასიათებელი ფაზების აგებამდე ჰროხი ისტორიულ პერიოდს ამ პროცესისთვის მნიშვნელოვან ორ ეტაპად ჰყოფს: 1) აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდი (ბურჟუაზია, სოციალური რევოლუცია და კაპიტალიზმის გაბატონება); 2) კაპიტალიზმის გამარჯვების შემდეგი პერიოდი, რომელიც ემთხვევა მუშათა კლასის მოძრაობის აღზევებას; შეიძლება ამას დავუმატოთ მესამე ეტაპიც, რაც ინტეგრაციით და მასობრივი კომუნიკაციის გავლენით ხასიათდებოდა (რომელიც თარიღდება დაახლოებით I მსოფლიო ომის დასასრულით) (Hroch, 1985).

ჰროხის თეორიის მიხედვით, მცირე ერების წარმოშობის და გაძლიერების რამდენიმე ეტაპი უნდა გამოვყო. საწყისი ეტაპი ხასიათდება ინტელექტუალების მიერ დიდი ყურადღების მიქცევით დაპყრობილი ერის ენაზე, კულტურაზე, ისტორიაზე. ინტელექტუალთა ეს ნაწილი არც ცდილობდა პატრიოტულ აგიტაციას იმიტომ, რომ ისინი დანარჩენი საზოგადოებისგან იზოლირებულნი იყვნენ. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ არ სჯეროდათ, რომ მათი საქმიანობა ეროვნული იდენტობის გამოღვიძების მხრივ რაიმე შედეგს გამოიღებდა. მათი მოტივი განათლების სურვილით უფრო აიხსნება. წყურვილით ახალი და არასაკმარისად გამოკვლეული ფენომენების შესწავლისა იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ცხოვრობდნენ. თუ რაიმე სახის პატრიოტულ აგიტაციას ჰქონდა ადგილი ამ დონეზე, მხოლოდ ინდივიდუალური სახით და ნაკლებ ორგანიზაციული საფუძვლით. ამ ეტაპს შეგვიძლია ვუწოდოთ ჰროხის სქემით A ფაზა. ამ მეცნიერული ინტერესის გამოვლენიდან მასობრივ პატრიოტულ განწყობებამდე გადასასვლელად მთლიანი ეპოქაა გასავლელი, რომელიც გადამწყვეტია მცირე ერის ფორმირებისთვის და რომელიც აქტიური პატრიოტული აგიტაციებით ხასიათდებოდა (Hroch, 1985).

B ფაზაში ასპარეზზე აქტივისტთა ჯგუფები გამოდიან და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი წარმომადგენლების მიმხრობას საკუთარი ეთნიკური ჯგუფიდან, რათა ერთიანი ერის ფორმირების პროცესი დაიწყოს (დავითაშვილი, 2003, გვ. 126).

მეტი სიცხადისთვის უნდა გამოვყოთ სამი ფაზა: A ფაზა, ანუ მეცნიერების განათლებისადმი განსაკუთრებული ინტერესის პერიოდი, როდესაც მეცნიერების მცირე ნაწილი კულტურულ მოღვაწეობას ეწევა და განსაკუთრებულ ყურადღებას ენებსა და ისტორიულ კვლევებზე ამახვილებენ; B ფაზა არის პატრიოტული აგიტაციის პერიოდი, როდესაც ეს პატრიოტული განწყობები ფართოდ ვრცელდება უკვე ბეჭდური კაპიტალის მეშვეობით და C ფაზა ხასიათდება მასობრივი ეროვნული მოძრაობის წარმოშობით, ერის მასშტაბური დარაზმვა სწორედ ამ ეტაპის მახასიათებელია. ხშირად პატარა ერების შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანია B ფაზა.

ჰროხის მოდელით ქართველი ერის ჩამოყალიბებას თვალი, რომ გავადევნოთ იგი დაიწყება ქართული ენის და ისტორიის საწყისი აღორძინებიდან XIX საუკუნის

ბოლოს, 1860-70 წლებში პრესის განვითარებით და XX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური ნაციონალიზმის აღზევებით. უნდა ვივარაუდო, რომ ნაციონალიზმის განვითარების პირველი ორი ეტაპი საქართველომ გაიარა, მაგრამ სრულად ვერ მიაღწია მესამე ფაზას 1893-1917 წლებში. უნდა ვივარაუდო ისიც, რომ XIX საუკუნის დასასრულს ჰროხის ტიპოლოგიით B ფაზას მიაღწია ქართველმა ერმა, რომელიც ხასიათდებოდა ქართული ინტელიგენციის ახალგაზრდა და რადიკალური თაობის გამოჩენით. მეორე დასის შექმნის პროცესით იწყება სწორედ B ფაზაში გადასვლა და განსაკუთრებით აქტიურდება ეს ფაზა 1892-1893 წლებში, მესამე დასის დაარსების დროს. შეიძლება ითქვას, რომ როდესაც იყო წინაპირობა შექმნილი იმისთვის, რომ C ფაზაში სრულად გადასულიყო ქართველი ერი ქართველი სოციალ-დემოკრატების წარმატებული მოძრაობით „ხელი შეეშალა“ ამ რთულ ტრანსფორმაციას, მაგრამ ჩვენი საკვლევი პერიოდის ბოლო ეტაპიდან და 1917 წლების შემდეგ განვითარებული ისტორიული მოვლენებიდან ქართველი ერი ახერხებს და სწრაფად გადადის B ფაზიდან C ფაზაზე (Sabanadze, 2010).

რესპოდენტი №1 მნიშვნელოვან მოსაზრებას აჟღერებს ქართველი ერის მაგალითის მიროსლავ ჰროხის ფაზების თეორიის მიხედვით განხილვისას. მისი მოსაზრებით, საქართველოს მაგალითზე დასახელებულ ფაზებს შორის რადიკალური გადასვლები არ ხდება, ანუ კონკრეტულად 1893 წელს არ მთავრდება ერთი ფაზა და არ იწყება მეორე. პირველ ფაზაზე, მისი აზრით, კულტურული საზოგადოების ჩამოყალიბების ეტაპი სრულდება, რომელიც ილია ჭავჭავაძის და მისი ჯგუფით იწყება და საქართველოში იდენტობის გაცნობიერება ხდება. რესპოდენტის აზრით, ქართველი ერის კულტურული საფუძვლები ამ პერიოდში ყალიბდება და ეს ქმნის საფუძველს და ჩარჩოს პოლიტიკური პროცესების განვითარების და პოლიტიკური საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. რესპოდენტის მოსაზრებით, 1893-1917 წლებში ქართული საზოგადოება ყველა ნიშნით პოლიტიკური საზოგადოებაა და საქართველოს დამოუკიდებლობაც, რომელიც შემდეგ ცხადდება ცარიელ ნიადაგზე ვერ ჩამოყალიბდებოდა, რომ არა პოლიტიკური საზოგადოება, რომელმაც ნიადაგი შეუქმნა დამოუკიდებლობის გამოცხადებას. რესპოდენტი №1-ის დასკვნით, ცალსახად 1893-1917 წლებში ქართველი საზოგადოება პოლიტიკურია. უნდა დავეთანხმო რესპოდენტს და ავღნიშნო, რომ ფაზებს შორის რადიკალური ნახტომი არ

არსებობს მაგალითად, პოლიტიკური ფაზის დასაწყისი ე.წ. მეორე დასის შექმნის და მოღვაწეობის პროცესიდან მიმაჩნია, რომ იწყება, მაგრამ 1892-1893 წელს პოლიტიკურ ფაზაში მკვეთრი გადასვლა მოხდა, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ პირველი ფაზის დროს დაწყებული კულტურული ეტაპი არ ვითარდება პოლიტიკურ B ფაზაში და ის წყვეტს არსებობას, ისინი თანაარსებობენ, მაგრამ გამოკვეთილია პოლიტიკური ფაზის მახასიათებლები.

რესპოდენტი №5 ინტერვიუს დროს აღნიშნავს, რომ 1893-1917 წლებში არ ჰქონდათ ქართველებს სახელმწოფოებრიობა. მას მიაჩნია რომ ქართველი ხალხის პოლიტიკურ ერად ფორმირება დღესაც მიმდინარეობს, მაგრამ ზოგადად ქართველი ერი ჩამოყალიბდა ერად მაშინ, როდესაც სრულად გამოავლინა პოტენციალი სხვადასხვა სფეროში: ლიტერატურაში, ხელოვნებაში, ეკონომიკაში, სამხედრო სფეროში, ხუროთმოძღვრებაში და ეს მოხდა X-XIII საუკუნეები. რესპოდენტის აზრით, არ არის მართებული ქართველი ხალხის პოლიტიკურ ერად ჩამოყალიბება რუსეთის იმპერიაში, როდესაც მან დაკარგა სახელმწიფოებრიობა. მისაღებია ჩემთვის ეს მოსაზრება და არგუმენტად ხაზს გავუსვავ მხოლოდ იმას, რომ კვლევაში საუბარია თანამედროვე სახით ქართველი ერის ფორმირებაზე.

კვლევის მეთოდები: ემპირიული მასალის გაანალიზება ამ კვლევის ფუნდამენტური ნაწილია. აქედან გამომდინარე, **დოკუმენტის ანალიზი** კვლევის ძირითადი მეთოდია. ინფორმაციის წყაროდ მეორადი მონაცემების (წყაროების) ანალიზს ვიყენებ და ვაკეთებ ინტერპრეტაციებსაც, რომელიც ორ კატეგორიად მაქვს დაჯგუფებული: 1) უშუალოდ საკვლევ პერიოდში (1893-1917 წლებში) გამოქვეყნებული ნაშრომები, ბროშურები, მიმართვები; 2) მეორადი წყაროების ის ნაწილი, რომელიც მოიცავს 1893-1917 წლების პროცესების, ნაშრომების, სტატიების, გამოსვლების ანალიზს მომდევნო წლებში.

მეორადი მონაცემების ანალიზის რეალური მიზანი იმის ჩვენებაა, თუ როგორ იცვლება ფენომენი დროთა განმავლობაში. ამ კვლევის შემთხვევაში ერის ცნების განსაზღვრა, როგორ შეიცვალა 1893 წლიდან ახალ პოლიტიკურ ეტაპზე გადასვლით და შემდეგ როგორ მოხდა 1893-1917 წლების მოვლენების გაანალიზება თანამედროვე მკვლევარების მიერ, როგორ შეფასდა იმ პერიოდის ერის ცნების დეფინიციის

მცდელობები თანამედროვე გადმოსახედიდან. მეორადი წყაროების ანალიზი გამოყენებულია ნაშრომის პირველ და მეორე თავში, როდესაც ვიკვლევ საქართველოში 1893-1917 წლებში შექმნილ ერის ცნების ვარიანტებს და როდესაც ამ მეთოდით გავდივარ იმ გავლენებზე, რომელსაც ეს ქართული ერის კონცეფციები განიცდიდა ევროპული ერის თეორიებისგან. იმიტომ, რომ ვიკვლიე 1893-1917 წლებში გავრცელებული ორივე ტიპის: ქართული და ევროპული ერის თეორიები, ამიტომ პირველ თავში გამოვიყენე შედარებითი მეთოდიც, რომელიც ნათლად გამოკვეთს, თუ რა განსხვავება/მსგავსებაა ამ თეორიებს შორის.

მეორე მეთოდი, რომელსაც ვიყენებ კვლევაში არის **დისკურსის ანალიზი** ერის ცნების შესახებ. დისკურსის ანალიზის გამოყენებისას მკვლევართა უმეტესობის მიზანია იმის ჩვენება, თუ როგორ უბიძგებს დისკურსი კონკრეტულ აქტივობებს და როგორ ქმნის ის სოციალურ იდენტობებს. მე ვიკვლიე პოლიტიკური ჯგუფების და პარტიების მიერ შექმნილი დისკურსი, რომელიც ფართოდ ვრცელდებოდა 1893-1917 წლების პერიოდული პრესის მეშვეობით. პრესის ანალიზი კარგი საშუალება იყო კვლევის ძირითადი მიგნებების ჩამოსაყალიბებლად.

რა პრინციპით ხდებოდა ევროპული სტატიების, ნაშრომების ამორჩევა და თარგმნა და რა ზეგავლენის მოხდენას ცდილობდნენ ამ გზით ჟურნალ-გაზეთების რედაქციები საზოგადოებაზე. მეორე საკითხია, თავად ქართველი პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტების დისკუსია ერთმანეთთან პრესის მეშვეობით. დისკურსის ანალიზის ერთ-ერთი მიდგომა არის „ტექსტი და ტექსტურობა“, რომლის თანახმად აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, თუ რა სოციალურ გარემოში იქმნება ტექსტი, რით აიხსნება მისი შექმნა და თუ რა საპასუხო ტექსტის შექმნას იწვევს ეს ტექსტი და რის საფუძველზე ვახდენთ ტექსტის ინტერპრეტაციას. ყველა ეს მახასიათებელი ერთად ასახავს ტექსტის „ტექსტურობას“ და ამ მეთოდის გამოყენებით ვიკვლიე მესამე თავი, ანუ 1893-1917 წლების პრესის ანალიზი (წულაძე, 2020, გვ. 263), რის შედეგადაც გამოვყავი ის პუბლიკაციები, რომლებიც განსაკუთრებით რეზონანსული იყო და იწვევდა საპასუხო ტექსტების შექმნას.

მესამე თავში გამოვიყენე თვისებრივი **კონტენტანალიზი**, რაც გულისხმობს ტექსტის, ამ კვლევის შემთხვევაში სტატიების და პუბლიკაციების, შინაარსის კვლევას. ანალიზის ერთეულად ტერმინი ერის ცნება გამოვიყენე. ამ კვლევის ფარგლებში

თემატური კონტენტანალიზია გამოყენებული, მაგრამ ერთ დეტალს გავუსვავ ხაზს, როგორც წესი, თემატური ანალიზის დროს მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, თუ რა ითქვა ტექსტში, მაგრამ ჩემს შემთხვევაში ყურადღება მივაქციე სოციალურ კონტექსტსაც, თუ რა გარემოში იქმნებოდა კონკრეტული სტატიები და რა პროცესების გავლენით.

შემდეგ მეთოდს, რომელსაც კვლევაში ვიყენებ არის **ექსპერტული ინტერვიუ,** რომელიც ეფუძნება ექსპერტული შერჩევით მიღებულ რესპოდენტებთან საკვლევ თემის ირგვლივ ჩატარებულ ნახევრად სტქრუქტურირებული კითხვარის საფუძველზე ინტერვიუებს. ერთ დეტალს დავამატებ და ვიტყვი, რომ ექსპერტების ნაწილთან ჩავატარე არასტრუქტურირებული ინტერვიუ და არ მივყევი კითხვების იმ მონახაზს, რომელიც ნახევრადსტრუქტურირებულისთვის მქონდა შედგენილი.

საკვლევი თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე რესპოდენტების მოძიება რთული იყო. ამიტომ გამოვიყენეთ, თავად რესპოდენტების მიერ გაწეული რეკომენდაციებიც მომდევნო რესპოდენტებზე. ინტერვიუს პროცესშივე ვინიშნავდი განსაკუთრებით საყურადღებო დეტალებს, შემდეგ კი გავაკეთე ინტერვიუების ტრანსკრიპტები, მოგვიანებით კოდირება, თუმცა ტრანსკრიპტის მომზადების პროცესშივე შევაჯამე ინტერვიუს პროცესში გამოვლენილ არსებით მიგნებები. ჩავატარე ხუთი ექსპერტული ინტერვიუ, რესპოდენტებს შორის არიან: პოლიტიკის მეცნიერების, საერთაშორისო ურთიერთობების, ისტორიის და კულტურის კვლევების პროფესორები. მიზანი ექსპერტული ინტერვიუების იყო იმის დანახვა, თუ სხვადასხვა მიმართულების ექსპერტები, როგორ აანალიზებდნენ 1893-1917 წლების პროცესებს. კვლევის ამ მეთოდმა აჩვენა, თუ რამდენად მრავალფეროვანია ერთი და იგივე ისტორიული პროცესების და პერიოდის ანალიზი. ინტერვიუების შედეგი გაბნეულია სადოქტორო ნაშრომის სამივე თავში და ქმნის ამ საკითხის სიღრმისეული გაანალიზების საშუალებას.

კვლევის შედეგები: კვლევის შედეგი არის 1893-1917 წლების მოვლენების ეროვნულ ჭრილში განხილვა და ერის დეფინიციის ქართული ინტერპრეტაციების გამოკვეთა.

ამის გარდა, კვლევის ძირათი მიგნებაა ერის ცნების გააზრებაში პოლიტიკური ელიტის იდეოლოგიური პოზიციების გავლენების გამოკვეთა და იმ ერის ევროპული თეორიების შესწავლა, რომლებიც გავლენიანი იყო საქართველოში 1893-1917 წლებში.

ასევე, იმის ნათლად ჩვენება თუ როგორ ხდებოდა ევროპული თეორიების გავლენის მიუხედავად ქართული ინტერპრეტაციით ერის დეფინიციების შექმნა, რომელიც ძირითადად მორგებული იყო 1893-1917 წლებში საქართველოში განვითარებულ სოციალურ-კულტურულ რეალობაზე. ერთ-ერთ ძირითად მიგნებად ითვლება ერის ცნების შესახებ საქართველოში 1893-1917 წლებში პოპულარული ევროპული თეორიების ავტორთა ნაშრომების მოძიება და თარგმნა. ქართულ რეალობაში ერის დეფინიციის განხილვა უმეტესად 1860-იანი წლების მოღვაწეებისგან იწყება. ხშირ შემთხვევაში ყურადღების მიღმა რჩება 1893-1917 წლების მოვლენები, როდესაც ერის ცნების ირგვლივ გამართული დისკუსია პოლიტიკურ სფეროში ინაცვლებდა და მწვავე პოლემიკის მხარეებად პოლიტიკური აქტორები გვევლინებოდნენ.

კვლევის შედეგია 1893-1917 წლების პერიოდული პრესის ანალიზი, მათი დისკურსის შესწავლა ერის ცნების ირგვლივ, რომელიც მოიცავდა ეროვნული საკითხის გადაჭრის გზების ძიებას და ავტონომიის მოთხოვნის აქტუალობასაც.

ძირითადი შედეგია ნაშრომის კონცეპტუალური ჩარჩოც, რომელიც ჰროხის ეროვნული მოძრაობების განვითარების სქემაში სვავს ქართველი ერის თანამედროვე სახით ფორმირების მაგალითს, რაც ახლებური მიდგომაა თანამედროვე ქართველი ერის ფორმირების საკითხისადმი.

საკვლევ საკითხზე არსებული რელევანტური ლიტერატურისგან განსხვავებით, ჩემი კვლევის შედეგი იქნება XIX საუკუნის ბოლო XX საუკუნის დასაწყისი პერიოდის გაანალიზება მთლიანად ეროვნული საკითხის ჭრილში, რაც მოიცავს თავად ერის ცნების ირგვლივ შექმნილ განსაზღვრებებს, ეროვნული პრობლემის მოგვარების გზების ძიებას, ნაციონალიზმის საკითხს და ევროპული ერის თეორიების გავლენას ქართველ კულტურულ და პოლიტიკურ ელიტაზე. ნაშრომი არის განსხვავებული ამ საკითხზე შექმნილი ლიტერატურისგან და კვლევის სიღრმე და ფართომასშტაბიანობა გამოიხატება სხვადასხვა კუთხით თემის გაანალიზებაში, სწორედ ამიტომ მესამე თავი კვლევის მთლიანად პრესის ანალიზს ეთმობა.

კვლევის შეზღუდვები: რამდენიმე შეზღუდვას გამოვყოფ: 1) მთავარი შეზღუდვა არის რესპოდენტების მცირე რაოდენობა, ვისთანაც შესაძლებელია ექსპერტული ინტერვიუს ჩატარება საკვლევ საკითხზე. ამას ემატება ექპერტების

მოძიების შეზღუდვები ინტერვიუსთვის. იმ შემთხვევაშიც კი თუ ექსპერტი მუშაობს ამ საკითხზე და მას რეკომენდაცია გაეწია წინა რესპოდენტისგან, მაინც არის შემთხვევები, როცა ექსპერტი უარს ამბობს ინტერვიუს ჩაწერის პროცესზე;

2) 1860-იანი წლების მოღვაწეების გავლენებს ნაშრომი მინიმალურად ეხება, რადგან მივიჩნევ, რომ მათი მოღვაწეობის პერიოდი ეროვნული ფორმირების პროცესში შესწავლილი და გაანალიზებულია;

3) ყველაზე მნიშვნელოვანი შეზღუდვა პრესის ანალიზის დროს მასალების დიდი რაოდენობაა, რადგან ინდივიდუალური კვლევის პირობებში შეუძლებელი იყო ყველა მნიშვნელოვანი პერიოდული გამოცემის დაფარვა. აქედან გამომდინარე, ძირითადი აქცენტი გავაკეთე ეროვნული პოზიციის დამცველ სარედაქციო ჯგუფებზე და ვეცადე შემესწავლა ეროვნულ საკითხზე გამართულ დისკუსიაში მათი მოწინააღმდეგე მხარეც.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, 3 თავის და 18 ქვეთავისგან. პირველი თავი ნაშრომის აგებულია საკვლევი საკითხის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილზე - ევროპული ერის კონცეფციების გავლენებზე 1893-1917 წლებში. იმ თეორიების უმრავლესობა, რომელიც გავლენას ახდენდა ქართველ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებზე ვთარგმნე სადოქტორო ნაშრომისთვის. რა თქმა უნდა, ევროპელი ავტორების მთლიანი ნაშრომების თარგმნაზე არ მაქვს საუბარი, ნაშრომებიდან ვთარგმნე ის თავები, რომლებშიც ერის ცნება და ეროვნული საკითხია გაანალიზებული. იმ შემთხვევაში თუ ევროპული თეორია სტატიის ან მოხსენების სახით იყო გადმოცემული, ვთარგმნე მთლიანი მოხსენება. თუმცა მხოლოდ თარგმანი არ იყო საკმარისი ამ თავის ასაგებად. გამოვიყენეთ შედარებითი ანალიზის მეთოდი და პარალელურად შევადარეთ ქართველი მოღვაწეების მოსაზრებები ევროპელ თეორეტიკოსებს, რადგან გავლენა არ ნიშნავს პირდაპირ და მთლიანად მოსაზრებების მიღებას. ევროპულ კონცეფციებში იყო ნაწილი, რაც ქართველმა მოაზროვნეებმა, ქართული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, გააკრიტიკეს და შემოგვთავაზეს საკუთარი ალტერნატიული ხედვები.

მეორე თავში განხილულია ერის საქართველოში შექმნილი თეორიები 1893-1917 წლებში. ევროპული ერის კონცეფციების გავლენების შემდეგ გადავწყვიტე

გამომეყო ქართველი მოღვაწეების მიერ წარმოდგენილი ერის თეორიები. აქ, ყურადღება გავამახვილე არა მხოლოდ მათ მიერ შემოთავაზებულ ერის ცნებაზე, არამედ ეროვნული პრობლემის გადაჭრის მათ ხედვებზე. ამ თეორიებში შედის, როგორც არამარქსისტული, ასევე მარქსისტული ერის თეორიები. პირველ ნაწილის წარმომადგენლები არიან: არჩილ ჯორჯაძე, მიხაკო წერეთლი, ალექსანდრე ჯანელიძე, დიმიტრი უზნაძე და გერონტი ქიქოძე საკუთარი კონცეფციებით ერის ცნების შესახებ.

რაც შეეხება მარქსისტულ ერის თეორიებს, გადავწყვიტე ერთად და ზოგადად გამეანალიზებინა მესამე დასის და შემდეგ სოციალ-დემოკრატების ეროვნული თვალსაზრისები. ერთ ქვეთავში მოვუყარე თავის სოციალ-დემოკრატების მოსაზრებებს ეროვნულ საკითხზე, მაგრამ ამ ქვეთავში მაინც იკვეთება ნოე ჟორდანიას ერის ცნებისა და ეროვნული საკითხის შესახებ შექმნილი შეხედულებების შესწავლა დინამიკაში, რადგან მინდოდა გამომეკვეთა ეროვნულ საკითხზე პოზიციების ცვლილების თანმიმდევრობა. შედეგად გამოვყავი სწორედ ნოე ჟორდანიას დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი, როგორც დინამიკაში ამ ცვლილების საუკეთესო მაგალითი.

მესამე თავი მთლიანად 1893-1917 წლების პრესის ანალიზს ეთმობა, რომელშიც ლიმიტირებული კვლევის რესურსებიდან გამომდინარე ძირითადი აქცენტი გავაკეთე ეროვნული პოზიციის დამცველ გამოცემებზე (მაგ. „ცნობის ფურცელი“ და „ივერია“). მესამე თავში ჟურნალ-გაზეთების მნიშვნელობის და გამოქვეყნებული სტატიების ღირებულების მიხედვით არის ქვეთავები გამოყოფილი. ცალკე ნაწილად გამოვყავი კარლ მარქსის თეორიის გავრცელება ქართულ პრესაში, რადგან სწორედ მარქსიზმა მოახდინა გადამწყვეტი გავლენა 1893-1917 წლებში ზოგადა ეროვნული საკითხის მნიშვნელობის განსაზღვრაზე და სწორედ მარქსიზმი ქმნიდა დისკურსის იმ კალაპოტს, რომელშიც შემდეგ იმართებოდა კონკრეტული დისკუსიები ერის ცნების და ეროვნული პრობლემის გარშემო.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევა ეყრდნობა ქართულ და უცხოურ ლიტერატურას, რადგან საკვლევი საკითხი ერის ცნების ანალიზია 1893-1917 წლების საქართველოში, ამიტომ რელევანტურ ლიტერატურაში შევიყვანე უშუალოდ 1893-1917 წლებში შექმნილი

მასალები ერის ცნების შესახებ. ნაშრომის პირველ თავში ძირითადად უცხოურ ნაშრომებზე, საჯარო გამოსვლებზე და სტატიებზე ვკონცენტრირდი, რომელთა შორისაც რამდენიმე ერის ევროპულ თეორიას გამოვყოფ: 1) ერნესტ რენანის *„რა არის ერი?“*-ის (1882) საჯარო გამოსვლის ტექსტი პირველი თავის მნიშვნელოვანი თეორიული წყაროა. რეალურად, ნაშრომში განხილულია ერის დეფინიცია სულიერი და ემოციური თვალსაზრისით, რაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა 1893-1917 წლების ქართველ მოღვაწეებზე. ეს გავლენა ნათელი იყო ქართველი ეროვნული პოზიციის დამცველების უმეტესობაზე, პრესაც აქტიურად აქვეყნებდა ერნესტ რენანის გამოსვლის თარგმანებს. ამიტომ რენანის ანალიზის გარეშე ევროპული კონცეფციების გავლენას 1893-1917 წლების საქართველოში ვერ შევისწავლიდი.

მეორე ევროპელი ავტორი, რომელიც ჩვენი თეორიული ანალიზის ობიექტად იქცა ერნესტ ნისია და მისი ნაშრომი *(„The Papacy Considered in Relation to International Law”* 1879) სამღვდელოების შესახებ. ერნესტ ნისის ინტერესის განსაკუთრებული საგანია ეკლესია და სამღვდელოება. ის სასულიერო ფენაზე საუბრის დროს გამყოფ ხაზად ასახელებს ეკლესიის დაქვეითების პერიოდს, რასაც ლოგიკურია, რომ მოსდევს ერების და ნაციონალიზმის წარმოშობის და განვითარების ეპოქა. ერნესტ ნისის შეხედულებები გარკვეულ გავლენას ახდენს მიხაკო წერეთელზე, მიხაკო წერეთელის ერის ცნების კონცეფცია კი ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალურია 1893-1917 წლების საქართველოში ჩამოყალიბებულ ერის დეფინიციებს შორის.

შემდეგი ნაშრომი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მასალაა პირველი თავისთვის. იოჰან კასპარ ბლუნჩლის *„ზოგადი თეორია სახელმწიფოს შესახებ“* (1875) ის ნაშრომია, რომლიდანაც გაცილებით დიდი რაოდენობის თავების თარგმნა მომიწია, რადგან შედარებითი ანალიზის მეშვეობით მენახა მსგავსებები და განსხვავებები მის თეორიასა და მიხაკო წერეთლის სახელმწიფოსადმი შეხედულებებს შორის. ბლუნჩლი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ერის ფენომენის აღორძინება გულისხმობს პოლიტიკურ პროცესს - სახელმწიფოს შექმნას. ეროვნების შეგრძნება აწმყოში უფრო ძლიერი და ეფექტურია, რადგან მნიშვნელოვანია ენის გავლენა, უფრო ზუსტად გაიზარდა ლიტერატურის და პერიოდული პრესის როლი. ის თვლის, რომ ნაციონალურმა მოძრაობებმა მთავარი იმპულსი მიიღეს ეროვნული ლიტერატურიდან.

რადგან მიხაკო წერეთელი ყურადღებას ამახვილებს რენე ვორმსის ერის, სახელმწიფოს, ხალხის და საზოგადოების ცნებების დეფინიციაზე, ამიტომ ამ ავტორის სტატია *„სოციოლოგია და პოლიტიკური ეკონომიკა“* (1895) შევისწავლე. რენე ვორმსის მთავარი დასკვნა ასეთია: შეიძლება არსებობდეს სოციალური ერთობა იქ, სადაც არ არის რასობრივი ერთობა. ამ ავტორზე ყურადღება იმიტომ გავამახვილე, რომ ის რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნების დეფინიციას გვათავაზობდა. მიხაკო წერეთლისთვის კი მისი დეფინიციები მნიშვნელოვანი იყო, რადგან რენე ვორმსი გამოკვეთდა ერის, ხალხის და სახელმწიფოს მნიშვნელობებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ევროპული ნაშრომი, რომელსაც კვლევაში განვიხილავ გაბრიელ დე ტარდის *„მონადოლოგია და სოციოლოგიაა“* (1893). მიხაკო წერეთელი დიდ ყურადღებას ამახვილებს გაბრიელ ტარდიზე, რომლისთვისაც ერი და სხვა სოციალური ჯგუფებიც არიან კონკრეტული სოციალური ორგანიზმები, მაგრამ საზოგადოება უფრო ცოცხალი ორგანოა მაგ. როგორც ჩვეულებრივი ორგანიზმისთვისაა ტვინი.

საბოლოოდ პირველი თავის ლიტერატურის მიმოხილვიდან უნდა გამოვყო ოტო ბაუერი და მისი ნაშრომი *“ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“* (1908), რომლის მთლიანი თავი ვთარგმნე ერის შესახებ, რადგან ავსტრომარქსიზმს გავლენა ჰქონდა არა მხოლოდ მიხაკო წერეთელზე, არამედ სხვა ქართველ პოლიტიკურ და სოციალურ მოღვაწეებზე, სოციალ-დემოკრატებსა და ეროვნული პოზიციის დამცველ კულტურულ და პოლიტიკურ ელიტაზე.

ამ თავიდან ქართველი ავტორების ნაშრომებიდან გამოვყოფ მიხაკო წერეთლის „ერს და კაცობრიობას“ (1910 წ.), რადგან ნაშრომი მთავარი თეორიული რესურსი იყო კვლევისთვის ევროპული თეორიების გავლენების ანალიზისას. მიხაკო წერეთლის ამ გამოკვლევის ერთი თავი მთლიანად ევროპული გავლენების შესახებაა და თან მიხაკო წერეთელი ამ ნაშრომში ზუსტად აღწერს მისეული ერის დეფინიციის მახასიათებლებსაც;

მეორე თავში გამოყენებული ლიტერატურიდან, რამდენიმე ძირითად ნაშრომზე გავამახვილებ ყურადღებას: 1) არჩილ *ჯორჯაძის „ეროვნული პრობლემის გარშემო“* 1911 წელს გამოცემული ნაშრომია, რომელიც აჯამებს და მთლიანად ასახავს

არჩილ ჯორჯაძის დამოკიდებულებას ერის ცნებისა და ეროვნული პრობლემისადმი. საინტერესოა, რომ არჩილ ჯორჯაძე ამ წიგნის წინასტყვაობაში ვარაუდობს, რომ ეს თხზულებათა კრებული შეიძლება საინტერესო არ აღმოჩნდეს მკითხველის დიდი ნაწილისთვის, რომელიც ყოველდღიურ ინტერესთა ქსელშია გაბმული და არ მიიჩნევს ეროვნული პრობლემის რადიკალური გზით გადაწყვეტას სწორად. შეიძლება მას უტოპიადაც ეჩვენოს პოლიტიკურ ავტონომიაზე საუბარი, მაგრამ არჩილ ჯორჯაძე ფიქრობს, რომ მომავალში ეს თეორია მნიშვნელოვანი გახდება და ის მნიშვნელოვანი შედგების მომტანიც იქნება საზოგადოებისათვის. თავად არჩილ ჯორჯაძის ფიგურის მნიშვნელობიდან გამომდინარე ეროვნული საკითხზე 1893-1917 წლებში გამართულ დებატებში, მესამე თავში ცალკე გავაანალიზე მისი სტატიები ერის, ეროვნული საკითხის და ავტონომიის შესახებ.

2) მეორე ნაშრომი 1914 წელს გამოცემული ალექსანდრე *ჯანელიძის „ეროვნული შემოქმედებაა“,* რომელშიც ავტორი ეროვნული სულის მთავარ გამოხატულებად შემოქმედებას თვლის. შემოქმედების გადმოცემის გზა კი ენაა. აქედან გამომდინარე, ერის მთავარი მარკერი ავტორისთვის ენაა. ნაშრომი საყურადღებოა ჩემი კვლევისთვის, რადგან საკვლევ პერიოდში შექმნილ დეფინიციებიდან გამოირჩევა ერის შემოქმედების პროცესზე ფოკუსირებით;

3) ცალკე ნაწილად უნდა გამოვყო სოციალ-დემოკრატების თეორიები, რომლებიც სხვადასხვა სტატიებში და ნაშრომებში გამოიკვეთა. ერთ-ერთია ნოე ჟორდანიას „ნაციონალური კითხვა ჩვენში“, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემი კვლევისთვის, რადგან ეს სტატია აჩვენებს ნოე ჟორდანიას ერის შესახებ დამოკიდებულების ცვლილებას და დაბრუნებას საწყისი პოზიციისკენ, რომელიც მას ჰქონდა მესამე დასის ჩამოყალიბების პერიოდში. სტატია მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ გვანახებს ერის ცნების ანალიზის ტენდენციებს მემარცხენე ფლანგში 1893-1917 წლებში. ასევე, ავსტრომარქსისტული ერის თეორიის გავლენას, რომელიც დამახასიათებელი იყო 1893-1917 წლების საქართველოსთვის.

გამოყენებული მეორადი წყაროების ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ 1893-1917 წლების ანალიზს აკეთებს 1917 წლების შემდეგ პერიოდში და თანამედროვეობაში და

რომელიც მნიშვნელოვანი იყო ჩემი კვლევისთვის დიდი რაოდენობის იყო. დავასახელებ მხოლოდ რამდენიმეს: ერთ-ერთი მათგანია მერი ჭელიძის „ქართული ეროვნული გონი ფილოსოფიურ-ისტორიული ასპექტით“ (2002 წ.), რომელმაც საშუალება მომცა ნათლად დამენახა, თუ როგორია ფილოსოფიური ანალიზით გამოკვლეული 1893-1917 წლების მოვლენები და კონკრეტული პოლიტიკური და კულტურული ელიტის წარმომადგენელთა თეორიები. ზოგადად, ექსპერტული ინტერვიუს რესპოდენტების შერჩევის დროსაც ჩემი მიზანი იყო განსხვავებული აკადემიური მიმართულებების ექსპერტების აზრის მოსმენა 1893-1917 წლების მოვლენებზე. სწორედ ამიტომ ჩემთვის ლიტერატურის ანალიზშიც მნიშვნელოვანი იყო ახალი ხედვის შემოტანა, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მერი ჭელიძე ქართული ეროვნული გონის განვითარების ისტორიულ პროცესს იკვლევს და ამ ჭრილში აინტერესებს 1893-1917 წლების მოვლენებიც.

მეორე ნაშრომი, რომელიც შევიტანე ლიტერატურის მიმოხილვაში არის ედუარდ კოდუას „სოციოლოგიური და სოციალურ-ფილოსოფიური ნააზრევი მეოცე საუკუნის პირველ ნახევრის საქართველოში“ (2001 წ.), რომელიც მერი ჭელიძის მსგავსად ავსებს ფილოსოფიური ანალიზის ნიშას და ამას ამატებს სოციოლოგიური თვალსაზრისით 1893-1917 წლების რეალობის განხილვის. ედუარდ კოდუაც განიხილავს კონკრეტული კულტურული და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების მოღვაწეობას (მაგ. არჩილ ჯორჯაძე, ალექსანდრე ჯანელიძე და სხვ.) და აჩვენებს მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის სოციალურ-ფილოსოფიურ ნააზრევს. კვლევაში ვეყრდნობი ედუარდ კოდუას მეორე ნაშრომსაც „გერონტი ქიქოძის ფილოსოფიური და სოციოლოგიური შეხედულებანი“ (2000 წ.), რომელიც თავად გერონტი ქიქოძის ეროვნული ენერგიის შესახებ შექმნილი თეორიის პარალელურად დამეხმარა ყურადღება გამემახვილებინა ამ თეორიის კრიტიკულ დეტალებზე, რომელმაც განსხვავებული ხედვით მომცა შემნდეგ გერონტი ქიქოძის თეორიის გაანალიზების საშუალება.

მე ვფიქრობ უშუალოდ ეროვნულ საკითხზე შექმნილ ნაშრომებს შორის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო არის ალექსანდრე ბენდიანიშვილის „ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ.“, რადგან მთავარი კვლევის ობიექტი ეროვნული საკითხია და მისი კვლევა ავტორისთვის არ არის მეორეხარისხოვანი, ან

სხვა პრობლემის თანხმლები ფაქტორი, რომლის ანალიზის საჭიროება პირველი პრობლემის ანალიზმა მოითხოვა. ნაშრომში დეტალურად არის გაანალიზებული ქართველი ხალხის ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის XIX საუკუნის დასაწყისიდან 1921 წლამდე (ბენდიანიშვილი, 1980).

კიდევ ერთი ნაშრომი, რომელსაც გამოვყოფ არის რონალდ გრიგორ სუნის „ქართველი ერის ჩამოყალიბება“ (2022 წ.). ავტორი ისტორიული ქრონოლოგიით განიხილავს ქართველი ერის განვითარებას და ჩემთვის საყურადღებო იყო ნაშრომის მეორე ნაწილი - საქართველო რუსეთის იმპერიაში, სადაც განხილულია პოლიტიკური საზოგადოების აღმოცენების პროცესი, რომელიც მეორე დასის დაარსებიდან აქვს აღებული რონალდ გრიგორ სუნს და ასევე, მარქსიზმი და ეროვნული საკითხი. ნაშრომი მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, რადგან აქ გამოყენებულია მიროსლავ ჰროხის თეორიაც ერთ-ერთ ვარიაციად თანამედროვე ქართველი ერის ფორმირების ასახსნელად, თუმცა პერიოდულად ფაზების დამთხვევა ქართულ მაგალითზე ამ კვლევისგან განსხვავებულად აქვს ავტორს დანახული.

თავი I. 1893-1917 წლების საქართველოში გავრცელებული ერის ევროპული კონცეფციები[2]

§1.1. ერნესტ რენანი *“რა არის ერი?“*

როდესაც ვაანალიზებთ ერის შესახებ შექმნილ თეორიებს საქართველოში უნდა გავითვალისწინოთ XIX საუკუნის დასასრულსა XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში არსებული ერის წამყვანი თეორიების გავლენა ქართულ კულტურულ და პოლიტიკურ წრეებზე. უნდა განვმარტო ის, რომ იმ ქართველი მოაზროვნეებიდან, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად მსჯელობდნენ ერზე და ეროვნულ საკითხზე, უმეტესობა კარგად იცნობდა და იყენებდა ევროპულ ერის თეორიებს. გამოვყოთ რამდენიმე თეორია, რომელსაც ყველაზე ხშირად ასახელებდნენ ქართველი მეცნიერები. პირველი რიგში განვიხილავ ერნესტ რენანს, რომლის ერის დეფინიციაც ერთ-ერთი ყველაზე

[2] აღნიშნული თავიდან სადოქტოროზე მუშაობის ფარგლებში გამოქვეყნდა ორი სტატია: 1) “The Impact of European Conceptions on the Idea of a Nation in Georgia between 1893 and 1917”, https://www.tandfonline.com/eprint/KP8GEHDTTG35RDMG2WS5/full?target=10.1080/13537113.2023.2178116; 2) „მიხაკო წერეთლის მიერ განხილული ერის ევროპული თეორიები („ერი და კაცობრიობა“)“, https://psage.tsu.ge/index.php/Politics/article/view/310/pdf.

გავლენიანი იყო საქართველოში 1893-1917 წლებში. ერნესტ რენანმა ლექციით „რა არის ერი?“ მოიპოვა დიდი პოპულარობა, არც საქართველო ყოფილა გამონაკლისი. რენანის მოხსენება „ივერიამ“ თარგმა და დაბეჭდა ორჯერ: 1882 წელს და 1901 წელს.

რენანი ამ მოხსენებით 1882 წელს გამოვიდა, საფრანგეთ-პრუსიის ომის დამთავრებიდან 11 წლის შემდეგ. სწორედ ამ ომის შედეგად დაკარგა საფრანგეთმა ელზას-ლოტარინგია, რომელზეც გერმანია აცხადებდა პრეტენზიას იმის გამო, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი გერმანულად ლაპარაკობდა. ესაა რენანის მოხსენების პოლიტიკური კონტექსტი. მას სურდა დაესაბუთებინა გერმანიის ექსპანსიის უსაფუძვლობა და დაკარგული მიწების დაბრუნების აუცილებლობა (მაცაბერიძე, 2019, გვ. 7).

ერნესტ რენანის ერის თეორიას და მის კლასიკურ ესეს საქართველოში არაერთგვარონი გამოხმაურება მოჰყვა. დადებით შეფასებებთან ერთად დიდი იყო კრიტიკაც. ერნესტ რენანის მიერ 1882 წელს წაკითხული ეს ლექცია, 1882 წელსვე თარგმნა და დაბეჭდა ჟურნალმა „ივერიამ“ (1882 წ. №3, გვ. 103-129). ერთი წლის შემდეგ ამ ჟურნალშივე ლექციას გამოეხმაურა ე. იოსელიანი სტატიით *„მეცნიერის ბორძიკი“* (1883 წ. №2, გვ. 88-112). იოსელიანის მტკიცებით, ჟურნალ „ივერიის“ რედაქცია მკითხველს არწმუნებდა მის თანხმობაში რენანის წარმოთქმულ აზრებთან. თავად იოსელიანი არ ეთანხმებოდა რენანის *„ბნელად გამოთქმულ აზრებს“, რადგან რენანის შეხედულებით* ძველ დროში ერები არ არსებობდნენ, ამ მოსაზრებიდან გამომდინარეობს, რომ ძველი ეგვიპტე, ჩინეთი არ შეადგენდნენ ნაციას. ამის საპირისპიროდ ე. იოსელიანი აყალიბებს ერის განსაზღვრების საკუთარ ვერსიას: *„ნაცია არის პოლიტიკური და საზოგადოებრივი პირი, ნაწილი კაცობრიობისა“* (მაცაბერიძე, 2019, გვ. 18-19).

გაზეთმა „ივერიამ“ 1901 წელს გამოაქვეყნა რენანის ლექციის „რა არის ერი“ ახალი თარგმანი ნომრებში: 39, 40, 41, 42. რედაქცია ამ ლექციის ხელახლა გამოქვეყნებით იმედოვნებდა, რომ ერის ცნება და ეროვნული თემატიკა ფართო განხილვის საგანი გახდებოდა.

რენანის ამ საჯარო ლექციის ქართულ გამოხმაურებაზე საუბრისას აღსანიშნავია, იპოლიტე ვართაგავა, რომელმაც 1901 წელს გაზეთ „ივერიაში“

გამოაქვეყნა სტატია *„ჩვენი ეროვნული თვითცნობიერება“*. ავტორი სტატიის დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ ერის რენანისეულ განსაზღვრებას სრულიად ეთანხმება, რადგან რენანის მიხედვით ერი სულია, ანუ ისტორიული პრინციპია. იპოლიტე ვართაგავას დეფინიციითაც, ერის განსაზღვრაში გადამწყვეტია წინაპრების მოგონებები, ისტორიული ნაშრომების შესწავლა კი არის აუცილებელი ეროვნებისთვის შინაარსის მისაცემად. ქართველი მოაზროვნე თვლის, რომ ერის საფუძველი მისი წარსულია, რომელზეც ერის მომავალი შენდება (ვართაგავა, 1901).

ალექსანდრე ჯანელიძეც განიხილავს ერნესტ რენანის ერის თეორიას. ის ნაწილობრივ დადებითად აფასებს მას, ნაწილობრივ კი აკრიტიკებს. ეროვნების რაობის გარკვევისას ალექსანდრე ჯანელიძე აღნიშნავს ერნესტ რენანის დამსახურებას, მაგრამ მისი ღვაწლის აღიარებასთან ერთად აკრიტიკებს კიდეც, რადგან რენანს ეროვნების შემოქმედად შეგნება, სულიერი მხარე მიაჩნია, მაგრამ ალექსანდრე ჯანელიძის აზრით, შეგნება თავად უნდა იყოს ეროვნული და მხოლოდ ამ გზით მიიღება ლოგიკური წრე (ჯანელიძე, 1997).

ქართულ პოლიტიკურ აზრზე რენანის ერის თეორიის გავლენას მოწმობს მიხაკო წერეთლის „ერი და კაცობრიობა“ (1910 წ.), რომელშიც ავტორი ვრცლად განიხილავს ერნესტ რენანის ერის დეფინიციას. რენანის მოსაზრებით ადამიანი არ ეკუთვნის არც თავის ენას, არც თავის რასას, მხოლოდ საკუთარ თავს, რადგან ის თავისუფალია, ხალხის უფლებაა თავადვე გადაწყვიტოს საკუთარი ბედი. შვეიცარია ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე კანონიერი ერია, სადაც ოთხი ოფიციალური ენა და ძალიან ბევრი რასაა ერთად მცხოვრები. აქედან გამომდინარე, რენანის დასკვნით, ერი არის სული, სულიერი ოჯახი, რომელიც შეკავშირებულია წარსულში სახელოვანი საქმეების შესახებ მოგონებებით და სურვილით მომავალში ასეთი დიდი საქმეების ჩადენისა.

მიხაკო წერეთელი არ ეთანხმება რენანის ერის ამ თეორიას. ქართველი მოაზროვნისთვის წარმოუდგენელია ადამიანის არსებობა ენის გარეშე, ყოველი ადამიანი აუცილებლად რომელიმე ენით მეტყველებს. ადამიანის კუთვნილება რომელიმე ენისადმი კი ნიშნავს მის კუთვნილებას რომელიმე სოციალური წრისადმი. ადამიანი რომელიმე რასას ან რასათა ნარევს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან ამის გარეშე

წარმოუდგენელია მისი ინდივიდუალობა. რენანის აზრით ერის ცნება ახალია, რაც მიხაკო წერეთლისთვის არაა მისაღები, რადგან ძველი საბერძნეთი თავისი კულტურით, ენით სოციალური ორგანიზმი იყო. ერთი პოლიტიკური ორგანიზმი არ ჰქონდა მას, მაგრამ ხომ არსებობდნენ პოლუსები?! ამიტომ მიხაკო წერეთელი ამ ასპექტში გაიზიარებს ე. იოსელიანის აზრს, რომ ძველ დროშიც არსებობდნენ ერები.

რენანის ერის განსაზღვრებაც გაუგებარია მიხაკო წერეთლისთვის, რადგან წარსულის დიდებულ საქმეთა მოგონება მხოლოდ საკუთარ ენაზე თუ ხდება, რაც შეიძლება იყოს ერის ჩამოყალიბების ფაქტორი. მართალია ერი სულიერი პრინციპი და სულიერი ოჯახია, მაგრამ იგი ამასთანავე განსაზღვრული სოციალური ორგანიზმია. ერი ისტორიული ინდივიდუალობაა, მაგრამ იგი ამასთანავე სოციალური ინდივიდუალობაა. ამ ნაწილს უყურადღებოდ ტოვებს რენანი, რაც მიხაკო წერეთლთან განხილულია, როგორც რენანის ერის თეორიის ხარვეზი. ერთი ელემენტი, რასაც მთლიანად იზიარებს მიხაკო წერეთელი რენანის თეორიაში არის ის პროტესტი ერთა მიერ სხვა ერების ძალით შეერთების შესახებ, რომელსაც რენანი გამოთქვამს. ესაა ერთა ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი (წერეთელი, 1990, გვ. 210).

თავად ილია ჭავჭავაძის შეხედულებაც ერის შესახებ გარკვეულ თანხვედრაშია რენანის პოზიციასთან. გარდა იმისა, რომ *„ივერიამ“* ორჯერ თარგმნა *„რა არის ერი?“,* ილია ჭავჭავაძეც ერის მახასიათებლებზე საუბრისას განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საერთო ისტორიულ წარსულზე, რაც ერნესტ რენანის შემთხვევაში ერის განსაზღვრის გადამწყვეტი ნიშანია. ისტორიისადმი ინტერესი ორივე მათგანისთვის მიზნობრივია, რადგან ის იკვეთება მომავლის კონსტრუირებასთან. ილია ჭავჭავაძეც, ხაზს უსვამს, რომ სისხლით ნათესაობა არ შეიძლება იყოს ერის წარმომშობ ნიშნებს შორის, რასაც თავის ნაშრომში ამტკიცებს ერნესტ რენანიც. ილია ჭავჭავაძის პირველი ბიოგრაფი გრიგოლ ყიფშიძე მიუთითებდა, ილიას მოსაზრებებზე ერნესტ რენანის გავლენას. ეს მოსაზრება გასაგები და ლოგიკურია, რადგან დაპყრობილ სახელმწიფოში, სადაც მოსახლეობის ნაწილი რუსულად საუბრობდა ერის კონსოლიდირება სხვა მახასიათებლის გარშემო უნდა მომხდარიყო, ენა ვერ იქნებოდა საკმარისი მარკერი. რუსიფიკაციის პირობებში ერნესტ რენანის ერის დეფინიცია, რომ ერი უპირველესად სულიერი პრინციპია, რომელიც წარსულზეც ისევეა აგებული,

როგორც მომავალზე და აწმყოზე შესანიშნავი გამოსავალი იყო იმ ერის მარკერის გამოსაყოფად, რომლის გარშემოც უნდა მომხდარიყო ქართველი ერის მობილიზაცია.

ილია ჭავჭავაძე იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ერი არის ღმერთის მადლის მქონე ერთობა მიმართავდა ერნესტ რენანის ერის თეორიას, რომელსაც ერი მიაჩნია, როგორც პოლიტიკურ ერთობად, ასევე მორალურ ერთობად. თავად ილია ჭავჭავაძე თვლის, რომ ერს, რომელსაც მომავალი და ბედნიერება უნდა, ზნეობა უნდა აიმაღლოს და მთელი ენერგია ერის წევრებმა ამისკენ უნდა მიმართონ (ჭავჭავაძე, 1887). ილია ჭავჭავაძე ერის ცნების განმსაზრვრელ ნიშნად იღებს საერთო მორალურ ვალდებულებას და რენანის მიერ განხილულ ისტორიულ მაგალითებს, სხვადასხვა საზოგადოების გმირული მოღვაწეობის შემთხვევებისას იმოწმებს. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მარიამ ჩხარტიშვილი იზიარებს ილია ჭავჭავაძის ერის კონცეფციის ზუსტ დამთხვევას ერნესტ რენანის ერის თეორიასთან და აღნიშნავს, რომ ორივე შემთხვევაში ერის ამბივალენტური შემეცნება გვაქვს მოცემული, რომლის დროსაც გაერთიანებულია ერის სამოქალაქო და ეთნოერის თვისებები (ჩხარტიშვილი, 2014).

რესპოდენტი №4 ასახელებს ერნესტ რენანს ევროპული ერის კონცეფციების გავლენებზე 1893-1917 წლების საქართველოში საუბრისას და აღნიშნავს ილია ჭავჭავაძის ეროვნულ თეორიას და რენანს შორის კავშირს. ილიას „მამული, ენა, სარწმუნოება“ თითქოს არ ემთხვევა რენანის ერის დეფინიციას, რადგან რენანისთვის ერის ცნების განსაზღვრისას არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა რელიგიას. ეს ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი ასპექტებია მათი თეორიის, მაგრამ რესპოდენტი ინტერვიუს დროს იხსენებს, რომ სხვა პუბლიკაციაში ილია ჭავჭავაძე საუბრობს ოსმალეთში მცხოვრებ ქართველ მუსლიმებზე საქართველოს საზღვრებს გარეთ და მიმართავს მათ: *„ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ“.* ილიას სიტყვებით, არ აშინებს მას რელიგიური განსხვავების გარემოება. რესპოდენტი ასკვნის, რომ ამ ნაწილში კარგად ჩანს რელიგიური ასპექტის უკანა საფეხურზე გადანაცვლება ილია ჭავჭავაძის ეროვნულ თეორიაში, როდესაც ერის ერთიანობას ეხება საქმე და სწორედ ამ შეხედულებით ნათელია მისი უფრო მჭიდრო კავშირი რენანის ერის თეორიასთან.

რესპოდენტის ამ ინტერვიუმ გადამაწყვეტინა შემესწავლა ილია ჭავჭავაძის „ოსმალოს საქართველოზე“. გრიგოლ ყიფშიძე საუბრობს ამ წერილზე, რომელიც 1877 წელს გამოქვეყნდა ანონიმურად. რეალურად ამ წერილის დაწერის მიზეზი არის რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელმაც ილია ჭავჭავაძეს იმედი გაუჩინა, რომ ოსმალეთის შემადგენლობაში მყოფი ქართული მიწები საქართველოს საზღვრებში დაბრუნდებოდა. ილია წერილში ავითარებს მოსაზრებას, რომ ერის ერთობის დაკარგვის შემთხვევაშიც, ერის ნაწილებს შორის რჩება კავშირი, რომელიც ერთმანეთთან გაერთიანებისკენ მიისწრაფვის. მთავარი განმსაზღვრელი ნიშანი ერის ერთიანობის საერთო ისტორიული გამოცდილებაა და საერთო წინაპრებზე მოგონებებია, რომელიც მეხსირებაში არის ჩაბეჭდილი. ავტორის დასკვნით, ეს მოგონებები და ისტორიული კავშირი მომავალში შესაძლებელია გახდეს ერთიანობის საფუძველი. უნდა დავსვათ იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი რელევანტური კითხვა: შეუშლის ხელს ამ სამომავლო გაერთიანებას ერის ორ ნაწილს შორის სარწმუნოებრივი განსხვავება? ილია ჭავჭავაძე მიიჩნევს, რომ ამის საფრთხე არ არსებობს, რადგან ქართველებმა კარგად იციან სხვა სარწმუნოების პატივისცემა, ხოლო საქართველოსგან მოწყვეტილი ერის ეს ნაწილი წარსულში თავად იყვნენ ჩართული ქართული კულტურის განვითარებაში, აქტიურად იყვნენ ჩართული სახელმწიფოებრივ საქმიანობაში და ეს ისტორიული გამოცდილება არის ერის ამ ორ ნაწილს შორის მიმღებლობის მთავარი ფაქტორი, რადგან ერის განმსაზღვრელი მარკერი სწორედ ისტორიის ერთობაა (ღაღანიძე, 2013).

რესპოდენტი №2 აღნიშნავს ილია ჭავჭავაძის ერის დეფინიციაზე საუბრისას, რომ ილია ჭავჭავაძის მიერ განხილული ერის ცნება არ არის ის ერი, რომელზეც რენანი საუბრობს, რადგან ილია ჭავჭავაძე ქართველ ერს უწოდებს ისტორიულ ერს. რენანი საუბრობს თანამედროვე ერებზე, რადგან ის წელთაღრიცხვას საფრანგეთის რევოლუციიდან იწყებს, ხოლო ილია ჭავჭავაძე ხაზგასმით ისტორიულ ერებზე საუბრობს. რესპოდენტი ამბობს, რომ ილია ჭავჭავაძე გამოთქვამს აზრს, რომ ისტორიული ერების გადაგვარება შეუძლებელია ან ძალიან ძნელია. რესპოდენტის დასკვნით, ილია ჭავჭავაზე ერის წარმოშობას დაახლოებით უკავშირებს ქრისტიანობის წარმოშობიდან X-XII საუკუნეებამდე პერიოდს.

ეს ასპექტი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი კვლევისთვის, რადგან ისტორიულ წარსულზე საუბრისას რენანის და ილია ჭავჭავაძის მოსაზრებები ემთხვევა, თუმცა განსხვავება, როგორც ჩანს, არის ერების წარმოშობას საკითხისადმი მიდგომებს შორის. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ერის წარმოშობა მოდერნისტულ მიდგომას მიეკუთვნება, რასაც ქართველი ერის მაგალითზე არ ეთანხმება ილია ჭავჭავაძე. ამ განსხვავების გაანალიზების საშუალება მომცა ერთ-ერთი ექსპერტული ინტერვიუს შედეგმა.

ქართველ მოაზროვნეთა ნაწილი იზიარებდა ერნესტ რენანის ერის თეორიის ძირითად ასპექტებს, მეორე ნაწილი უპირისპირდებოდა მას, მაგრამ მთავარი არის ის, რომ 1893-1917 წლებში მოღვაწე ეროვნული პოზიციის დამცველთა დიდი ნაწილი იცნობდა ერნესტ რენანის ერის თეორიას და მსჯელობდა მისი მნიშვნელობის შესახებ. დასახელებულმა ასპექტებმა მიბიძგა იმისკენ, რომ დაწვრილებით განვიხილო ერნესტ რენანის ერის თეორია და დავადგინო, თუ რატომ იყო საქართველოში ეროვნული პოზიციის დამცველთა შორის ასეთი პოპულარული სწორედ რენანი.

ერნესტ რენანი (1823-1892) ცნობილი ფრანგი მწერალი და რელიგიის ისტორიკოსი იყო. მან 1882 წლის 11 მარტს სორბონას უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია სახელად - *„რა არის ერი?“.*

ერნესტ რენანი მთელი ცხოვრება სწავლობდა სემიტი ხალხების გენეალოგიასა და ისტორიას. თუმცა ერნესტ რენანს განსაკუთრებული პოპულარობა სორბონაში წაკითხულმა სწორედ ამ მოხსენებამ მოუტანა. ეს მცირე მოცულობის ნაშრომი მის სამეცნიერო საქმიანობას ნაკლებად უკავშირდებოდა. ეს მეტად პოლიტიკური შინაარსის ტექსტი იყო, სადაც რენანი ცდილობდა ჩამოეყალიბებინა ერის განსაზღვრება. ერნესტ რენანისთვის ერის ცნების ახსნა მეცნიერულზე მეტად გრძნობებით და ემოციებითაა შესაძლებელი. ერნესტ რენანი ერს უფრო მეტად განსაზღვრავს, როგორც ერთეულს, რომელიც ემყარება ინდივიდების თავისუფალი ნების მოქმედებას, რომელიც აყალიბებს კოლექტიურ იდენტობას (Dudková, 2010).

ერის ცნების ზუსტი დეფინიციის დადგენა XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედიდან პოპულარული დილემა ხდება. XIX-XX საუკუნეების განმავლობაში ნაციონალიზმის გაძლიერებასთან ერთად სულ უფრო აქტიურ ფაზაში გადავიდა ერის

ცნების განხილვა განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის სამეცნერო წრეებში. ფაქტია, რომ დღესაც არ კარგავს ეს საკითხი პოპულარობას, რადგან ერთი კონკრეტული, მყარი ერის დეფინიციის მიღება შეუძლებელია, თავად ფენომენის სირთულიდან გამომდინარე. მრავალი ინტერპრეტაციის მოძებნაა შესაძლებელი ცნობილი ავტორებისგან, რომელთა სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება მთლიანად მკითხველის რწმენაზე და შეხედულებაზეა დამოკიდებული.

ერნესტ რენანის ერის ცნების განსაზღვრა გულისხმობდა პირველ რიგში დიდ სოლიდარობას, რომელსაც ერის წევრები გრძნობენ ერთმანეთის მიმართ. ერის საფუძველი არის გრძნობები და ის მსხვერპლი, რომელიც ერის წევრებმა გაიღეს წარსულში და აქვთ სურვილი საჭიროების შემთხვევაში იგივე გააკეთონ მომავალშიც. განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი ასპექტი - ერნესტ რენანის ერის ცნებაში ერთ მთლიანობად იკვრება დროის სამივე ასპექტი: წარსული, რადგან ერის შესაქმნელად აუცილებელია ისტორია და წარსულში ჩამოყალიბებული ერთობა, აწმყო, რადგან ერის არსებობისთვის აუცილებელია მისი წევრების ნება და სურვილი აწმყოში და მომავალი, რადგან კოლექტივს უნდა ჰქონდეს მომავალშიც ერთ ერად თანაცხოვრების სურვილი და სამომავლო გეგმები (Renan, 1882).

ერის ასეთი განმარტებით ერნესტ რენანი ნაციონალიზმის თანამედროვე თეორეტიკოსების ინტერესის სფეროშიც მოექცა. ამის საუკეთესო მაგალითია ენტონი დ. სმითი და ერნესტ გელნერი. სმითი საუბრობს ერნესტ რენანის ერის კონცეფციაზე ნაციონალიზმის ვოლუნტარისტული და ორგანიცისტული მიმართულებების განხილვისას. ყველაფერი კი რენანის მიერ ჰაინრიხ ფონ ტრეტშკეს კრიტიკით იწყება, რომელიც „რა არის ერი?“-ის ტექსტში იკითხება. ჰაინრიხ ფონ ტრეტშკემ ელზასი და ლოტარინგიის ტერიტორიის გერმანიის მიერ ანექსირებას კანონიერი საფუძველი გამოუნახა - ეთნოლინგვისტური კრიტერიუმი. ის თვლიდა, რომ ელზასელები ეთნიკურად გერმანელები იყვნენ მიუხედავათ მათი მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური ნებისა. ამის საწინააღმდეგოდ რენანი უფრო ვოლუნტარისტულ მიდგომას აყალიბებს, რადგან რენანისათვის ერის ცნების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნება. ნაციის არსებობა რენანისათვის არც მეტი და არც ნაკლები - ყოველდღიური პლებისციტია, როგორც ინდივიდუალური არსებობაა სიცოცხლის მუდმივი დადასტურება. ხშირად სწორედ ამ ამონარიდს იყენებენ რენანის

დეფინიციიდან ნაციონალობის ლიბერალური და ვოლუნტარისტული იდეალების საჩვენებლად, მაგრამ ასევე ხშირად, ამ ამონარიდს კონტექსტიდან ამოღებულადაც იყენებენ. ერის ინდივიდთან შედარება არაა გამიზნული იმისთვის, რომ იდენტობის სიტუაციური არჩევის ლიბერალურ თეორიას დაუჭიროს მხარი. სმიტი ხაზს უსვამს, რომ ცხადია რენანი არ არის დეტერმინიზმის მომხრე, მაგრამ ეს ავტომატურად არ გულისხმობს იმას, რომ ის ნაციონალობის ვოლუნტარისტული მიდგომის მომხრეა. ერნესტ რენანი არ ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ ინდივიდს აქვს უფლება თავად აირჩიოს ნაცია. პირიქით, რენანი ცდილობს ერის ამ დეფინიციაში წინა პლანზე წამოსწიოს ერის ისტორიული გაგება, წინაპართა როლი, მახსოვრობის მნიშვნელობა (Smith, 2010)

რენანი მიიჩნევს, რომ ერი შედარებით ახალი ფენომენია. ერი შესაძლებელი გახდა მხოლოდ რომის იმპერიის ცალკეულ სახელმწიფოებად დაშლის წყალობით. ერის ფუძემდებლური პრინციპი შეძენილი იქნა მხოლოდ გერმანელთა შემოსევებთან ერთად. დამპყრობლებმა დაპყრობილ ქვეყნებში საფუძველი ჩაუყარეს მომავალ სახელმწიფოებს და შემოიტანეს თავიანთი სამხედრო ჩვევები და პატრიოტიზმი. გერმანულმა ტომებმა მიიღეს ქრისტიანობა და დაიწყეს თანდათან შერევა ადგილობრივ მოსახლეობასთან საკუთარი ენის დავიწყების საფუძველზე (მაცაბერიძე, 2019).

ერნესტ რენანი თავის ლექციაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რომის იმპერიის დასასრულის შემდეგ, დასავლეთ ევროპა დაიყო ერებად, რომლებიც გარკვეულ მომენტში ცდილობდნენ სხვა ერებზე ჰეგემონიის მოპოვებას. ეს წარუმატებელი მცდელობები იყო. რისი გაკეთებაც ჩარლზ V, ლუი XIV და ნაპოლეონ I ვერ მოახერხეს ბადებდა საფუძვლიან ეჭვს, რომ მომავალშიც ვერ განხორციელდებოდა. ახალი რომის დაარსება შეუძლებელი იყო. ევროპის დაყოფამ გარკვეულ საზღვრებად ისეთ დონეს მიაღწია, რომ ნებისმიერი უნივერსალური დომინირების მცდელობებისას ძალიან სწრაფად იქმნება კოალიცია, რომელიც ამბიციურ ერს აბრუნებს საკუთარ „ბუნებრივ“ საზღვრებში. შედეგად დამყარდა ერთგვარი წონასწორობა. ერნესტ რენანის მოსაზრებით, ერების არსებობა ისტორიისთვის ახალი ფენომენია. ანტიკურობაში არ არსებობდნენ ერები: ეგვიპტე, ჩინეთი და უძველესი ქალდეა არც ერთი ასპექტით არ წარმოადგენდნენ ერებს. ეს უფრო მეტად იყო ბრბო, რომელსაც მართავდა მზის შვილი

ან ცის შვილი. ისინი არ იყვნენ ეგვიპტის მოქალაქეები. კლასიკურად ანტიკურობას ჰქონდა საკუთარი რესპუბლიკები და მუნიციპალური სამეფოები, ადგილობრივი რესპუბლიკების კონფედერაციები და იმპერიები. ანტიკურობაში ძნელად ვუწოდებთ რაიმეს ერს, რა მნიშვნელობითაც ჩვენ დღეს მას გავიგებთ. რა თქმა უნდა, იყო ათენი და სპარტა თავისი მცირე ცენტრებით და აღმაფრთოვანებელი პატრიოტიზმით, მაგრამ ისინი იყვნენ შეზღუდული, გარკვეული ტერიტორიის საზღვრებში მოქცეული ქალაქები. (Renan, 1882)

ერნესტ რენანის მოსაზრებით, რომაული იმპერია ყველაზე ახლოს იდგა იმასთან, რომ ყოფილიყო სამშობლო. რომაელთა დომინაცია, რომელიც თავიდან ასეთი საძულველი იყო, სწრაფად შეიყვარეს. ის ჩამოყალიბდა დიდ ასოციაციად, რომელიც სინონიმი იყო წესრიგის, მშვიდობის და ცივილიზაციის. თუმცა ეს იმპერია მოცულობით 12-ჯერ აღემატებოდა დღევანდელ საფრანგეთს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გერმანული დაპყრობების ფაქტი. გერმანულმა შემოსევებმა გააცნეს ისტორიას ის პრინციპი, რომელიც მოგვიანებით ნაციონალიზმის არსებობის საფუძველი გახდებოდა. გერმანელებმა შემოიღეს დინასტიები და სამხედრო არისტოკრატია (Renan, 1882).

ერნესტ რენანი ასკვნის, რომ თანამედროვე ერი არის ისტორიული შედეგი, რომელიც რამდენიმე ფაქტის ერთდროულად და ერთი მიმართულებით განვითარებამ გამოიწვია. ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ნათელია, რომ ზოგჯერ ერთიანობას აღწევდა დინასტია, სახეზე გვაქვს საფრანგეთის მაგალითი, ზოგჯერ ეს იყო უშუალო ნება პროვინციისა მაგ. ჰოლანდია, შვეიცარია, ბელგია. ზოგჯერ კი ერთიანობა მიიღწეოდა საერთო სულისკვეთებით, რომ დამარცხებულიყო ფეოდალიზმი, ამის მაგალითია იტალია და გერმანია. ყველა ამ სახის გაერთიანება ერის ერთიანობის საფუძვლად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ამის მიუხედავად რენანისთვის ბევრ კითხვებს ტოვებს ერის ცნების განხილვის მცდელობა მაგ. რა მხრივ ვანვასხვავებთ ეროვნების პრინციპს რასისგან? როგორ არის შვეიცარია, სადაც სამი ოფიციალური ენა, ორი რელიგია და 3-4 რასაა ერი და ტოსკანა, რომელიც ასეთი ჰომოგენურია არ არის ცალკე ერი? რატომ არის ავსტრია სახელმწიფო და არა ერი? (Renan, 1882).

პოლიტიკური თეორეტიკოსთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ ერი უპირველეს ყოვლისა არის დინასტია. ამ თეორეტიკოსებისვე თანახმად პროვინციების დაჯგუფება დინასტიების მეშვეობით მოხდა ომის, ქორწინებების თუ ხელშეკრულებების მეშვეობით. ამის შესანიშნავი მაგალითია ინგლისის, ირლანდიისა და შოტლანდიის გაერთიანება, რომელიც უფრო მეტად იყო დინასტიური ფაქტი. ამ მაგალითის მიუხედავად საინტერესოა არის თუ არა ეს დინასტიის წესი აბსოლუტური და ვრცელდება თუ არა ის ყველა ერზე?! ყოველგვარი ყოყმანის გარეშე პასუხი უარყოფითია, რადგან შვეიცარია და ამერიკის შეერთებული შტატები ჩამოყალიბდნენ დინასტიური საფუძვლის გარეშე. უნდა ვაღიაროთ, რომ ერს შეუძლია დინასტიური პრინციპის გარეშე არსებობა. რის გამოც ერნესტ რენანი სვავს საკუთარი კვლევის მთავარ კითხვას: რომელ კრიტერიუმზე უნდა დავაფუძნოთ ერის უფლება? რომელი ნიშნით უნდა ვიცნოთ ის?

მოაზროვნეთა ნაწილი თვლის, რომ ეს უნდა მოხდეს რასის მიხედვით. ფეოდალიზმის დანგრევის შემდეგ, რაც დარჩა მყარად არის მოსახლეობის რასა. ეს ის ელემენტია, რასაც კონსტიტუციური უფლება და ლეგიტიმურობა აქვს. ამ თეორიის მიხედვით, გერმანულ ოჯახს აქვს უფლება მოითხოვოს თავის გაფანტული წევრების ოჯახში დაბრუნება, იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს წევრები არ ითხოვენ ოჯახთან ამ გაერთიანებას. ამ ხედვით, ერთ ჯგუფს აქვს ერთგვარი პირველყოფილი მეფეთა ღვთიური უფლების ანალოგიური. ერნესტ რენანის შეხედულებით, ეს დიდი შეცდომაა, რომელიც იმ შემთხვევაში თუ გახდება დომინანტი გამოიწვევს ევროპული ცივილიზაციის განადგურებას. რასის ასეთი უფლება ვიწრო ხედვისაა და სახიფათოა ჭეშმარიტი წინსვლისთვის. (Renan, 1882)

ძველ ტომებს და ქალაქებს შორის რასის ფაქტორს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ტომი და უძველესი ქალაქები ხომ ოჯახის გაფართოებული ფორმა იყო. მაგ. სპარტასა და ათენაში ყველა მოქალაქე ერთმანეთს ნათესაური კავშირით უკავშირდებოდა. მაგრამ ყურადღებას თუ რომის იმპერიაზე გავამახვილებთ ვნახავთ, რომ აქ სიტუაცია საკმაოდ განსხვავებულია. ერთიანობა თავდაპირველად ჩამოყალიბდა ძალადობით და შემდეგ ეს ერთობა შენარჩუნდა საერთო ინტერესების საფუძველზე, ამ დიდმა აბსოლუტურად განსხვავევებული ქალაქების და პროვინციების გაერთიანებამ სერიოზული დარტყმა მიაყენა რასის იდეას. ერნესტ რენანის მოსაზრებით,

ქრისტიანობა თავისი უნივერსალური და აბსოლუტური ხასიათით, ამ თვალსაზრისით იყო კიდევ უფრო ეფექტური. რომის იმპერიასთან ერთად, ქრისტიანობამ ჩამოაყალიბა მყარი გაერთიანება. (Renan, 1882, გვ. 5)

ერნესტ რენანის შეხედულებით, სიმართლე ისაა, რომ წმინდა რასა არ არსებობს. პოლიტიკის წარმოება ეთნოგრაფიულ ანალიზზე დაყრდნობით, მის საფუძვლად ქიმერის აღებას გავს. ევროპის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნები - ინგლისი, საფრანგეთი, იტალია - ისეთი ქვეყნებია, სადაც სხვადასხვა ხალხის სისხლი ყველაზე მეტად შერეული.

დღეს უკვე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად სწორი იყო რენანი, როდესაც ამ შეხედულებას აყალიბებდა. წმინდა რასის არსებობაზე საუბარი ძალიან რთულია, როდესაც მსოფლიოში იმ სახელმწიფოთა რიცხვი, სადაც ერის ხვედრითი წილი მოსახლეობის 99%-ს აღემატება მხოლოდ თერთმეტია (უნგრეთი, პორტუგალია, ისლანდია, მალდივის რესპუბლიკა, იაპონია, სამხრეთ კორეა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, სან-ტომეს, მადაგასკარის და პრინსიპის რესპუბლიკა, ტონგა, ჰაიტი) (დავითაშვილი, 2003, გვ. 37).

საბოლოოდ რენანი საინტერესო დასკვნამდე მიდის: ეს ეთნოგრაფიული პოლიტიკა ყველაფერია გარკვეულობის გარდა: შენ დღეს მას იყენებ სხვების წინააღმდეგ, და ხვალ ნახავ, რომ მას გამოიყენებენ შენს წინააღმდეგ. პატრიოტიზმი ამ თეორიის მიხედვით დაეფუძნება პარადოქსულ მტკიცებებს. პატრიოტთან ერთ დღეს მივლენ და ეტყვიან: *„თქვენ ცდებოდით, თქვენ სისხლი დაღვარეთ იმის გამო, რომ თავს კელტად მიიჩნევდით, მაგრამ არა, შენ გერმანელი ხარ“.* ათი წლის შემდეგ კი შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ სინამდვილეში სლავური წარმოშობის ხართ (Renan, 1882, გვ. 7).

რენანის შეხედულებით, ყოველივე ის, რაც ითქვა რასის შესახებ შეიძლება ითქვას ენის შესახებაც. ენები ითხოვენ ბუნებრივად გაერთიანებას და არა იძულების მეშვეობით. შეერთებული შტატები და ინგლისი მაგალითად საუბრობენ ერთი და იგივე ენაზე, მაგრამ არ წარმოადგენენ ერთ ერს. ამის საპირისპიროდ, შვეიცარია, ასე კარგადაა შექმნილი, რადგან მისი სხვადასხვა ერთმანეთისგან განსხვავებული ნაწილის ნება-სურვილით და თანხმობით შეიქმნა, რომელიც სამ ან ოთხ ენას მოიცავს.

შვეიცარიის ნაწილების გაერთიანების სურვილი, მათი ლინგვისტური მრავალფეროვნების მიუხედავად, გაცილებით მნიშვნელოვანი ფაქტია, ვიდრე ძალით და დამცირებით მიღწეული მსგავსება (Renan, 1882).

ერნეტ რენანი თვლის, რომ პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელსაც ანიჭებენ ენას გამომდინარეობს იქიდან, რომ მას განიხილავენ რასის ნიშნად, რაც მისი აზრით არ შეესაბამება სიმართლეს. პრუსიაში, სადაც დღეს მხოლოდ გერმანულად საუბრობენ, რამდენიმე საუკუნის წინ სლავურადაც საუბრობდნენ. ასეთი მაგალითები კი უთვალავია. წარმოშობის დროსაც კი ენობრივი მსგავსება არ არის იგივეობრივი რასის მსგავსებისა. ენები ისტორიული ფორმაციების შედეგად წარმოიქმნება. ენებმა არ უნდა დაარღვიონ ადამიანის თავისუფლებაც, როდესაც საქმე ოჯახის განსაზღვრას ეხება, რომელთანაც ადამიანი თავს აერთიანებს. ამ ექსკლუზიურ ინტერესს ენისადმი, რომელიც ეროვნულობის კრიტერიუმად ითვლება, როგორც რასას, ახლავს თავისი საფრთხეები და არადამაჯერებლობა. ავტორისთვის მნიშვნელოვანია ერთი ფუნდამენტური პრინციპი: ადამიანი გონიერი და მორალური არსებაა, მანამდე, სანამ ის რომელიმე ენის ოჯახის წევრი გახდება, ან რასის წევრი, ან კულტურის წევრი. იტალიურ, ფრანგულ და გერმანულ კულტურამდე არის კაცობრიობის კულტურა. რენესანსის დიდ ფიგურებს თუ გავიხსენებთ, ისინი არ ყოფილან არც ფრანგები და არც იტალიელები, არც გერმანელები. მათ ანტიკური პერიოდის შესწავლისას აღმოაჩინეს ადამიანის გონების ჭეშმარიტი აღზრდის საიდუმლო და დაეუფლნენ ამ საიდუმლოს სულით და სხეულით (Renan, 1882).

ერნესტ რენანი არც რელიგიას მიიჩნევს საკმარის საფუძველად თანამედროვე ეროვნების ჩამოსაყალიბებლად. რა თქმა უნდა, რელიგიისთვის მნიშვნელოვანი და დასაფასებელია სოციალური ჯგუფის არსებობა. სოციალური ჯგუფი ხომ ოჯახის გაფართოებული ვარიანტია და რელიგიური რიტუალები ოჯახის რიტუალები იყო. მაგ. ათენის რელიგია თავად ათენის კულტი იყო. ეს რელიგია ამ ტერმინის სრული გაგებით იყო - სახელმწიფოს რელიგია. არ ითვლებოდა ათენელად ის, ვინც ამ რიტუალებში მონაწილეობაზე უარს იტყოდა. ეს მეტად იყო აკროპოლისის პერსონალიზირებული კულტი. ამ კულტისათვის დაგეგმილ ცერემონიებში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა იგივე იყო, რაც თანამედროვე პერიოდში სამხედრო სამსახურზე უარის თქმა. მაგრამ ასეთ კულტს მნიშვნელობა არ ჰქონდა

იმისთვის, ვინც არ იყო ათენიდან და არც არავინ აიძულებდა უცხოელს მიეღო ათენელობა (მაგ. ათენელი მონები).

თანამედროვეობაში აღარ არის რომელიმე რელიგია სახელმწიფოსი: შეიძლება კათოლიკე იყოს ფრანგიც, გერმანელიც და ინგლისელი. რელიგია გახდა ინდივიდუალური, რომელიც კავშირშია თითოეული პიროვნების სინდისთან.

რელიგიის, როგორც ერის განმსაზღვრელი მარკერის უარყოფის შემდეგ, ერნესტ რენანი განიხილავს ინდივიდებს შორის საერთო ინტერესის ფაქტორს. საერთო ინტერესი, რა თქმა უნდა ძლიერ კავშირს აყალიბებს ადამიანებს შორის, მაგრამ საკმარისია საერთო ინტერესი ერის შესაქმნელად? რენანი თვლის, რომ არა. საერთო ინტერესის საფუძველზე შექმნილი გაერთიანებები კომერციული ხელშეკრულებების გასაფორმებლადაა ეფექტური. ერის შესაქმნელად სენტიმენტებიც საჭიროა. ერი ხომ სხეული და სული ერთდროულადაა. სავაჭრო კავშირით შექმნილი გაერთიანება ვერასდროს გახდება სამშობლო (Renan, 1882).

რენანი განიხილავს გეოგრაფიასაც, რადგან მისი თანამედროვე მოაზროვნეთა ნაწილი თვლიდა, რომ სწორედ საზღვრები აყალიბებდა ერს. გეოგრაფია, რასაც ბუნებრივ საზღვრებს უწოდებენ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ერების დაყოფაში. ისტორიულად, რომ განვიხილოთ სწორედ მდინარეებმა გაავრცელეს რასები, მთები კი ხელის შემშლელი გეოგრაფიული ფაქტორი იყო. მართალია საზოგადოების ნაწილს სჯერა, რომ რუკაზე ნაჩვენები საზღვრებით ერს აქვს უფლება განსაზღვროს, თუ შეიძლება მისი საზღვრების ფორმირება ან მთა/მდინარემდე მისასვლელი გზის გაყვანა. ავტორის მოსაზრებით, ეს თვითნებური და დამღუპველი მოძღვრებაა, რომელიც გაამართლებს ძალადობას. გეოგრაფიული თვალსაზრისით ყველაფერი აბსოლუტური და აშკარა როდია და ქვეყნებიც ხშირად მიდიან დათმობებზე, მაგრამ ეს დათმობებიც შორს არ უნდა წავიდეს, რადგან ამ შემთხვევაში მთელმა მსოფლიომ სამხედრო ჩარევა შეიძლება მოითხოვოს, რაც გამოიწვევს დაუსრულებელ ომს. გეოგრაფია იმაზე მეტად არ ქმნის ერს, ვიდრე რასა ქმნის. გეოგრაფია უზრუნველყოფს სამუშაო გარემოს, ადგილს, მაგრამ სულს ქმნის ადამიანი. ამიტომ, ადამიანია ყველაფერი ხალხის ფორმირებაში. არანაირი მატერიალური მასალა არ იქნება საკმარისი. ერნესტ რენანის შეხედულებით, ერი ესაა ისტორიული კომპლექსური პროცესების შედეგად მიღებული სულიერი პრინციპი, რომლის ჩამოყალიბებაშიც

უკვე ვნახეთ რა ფაქტორები არ არის საკმარისი: რასა, ენა, საერთო ინტერესები, რელიგია, გეოგრაფია, სამხედრო საჭიროებები (Renan, 1882).

ერნესტ რენანი ასკვნის, რომ ერი სულია, სულიერი პრინციპი. ორ რამეს აქვს მნიშვნელობა ამ პრინციპის ჩამოყალიბებაში: წარსულს და აწმყოს. წარსული, ანუ წარსულის მოგონებების მდიდარი მემკვიდრეობა, ხოლო აწმყო ეს არის თანხმობა, სურვილი ერთად ცხოვრების, მემკვიდრეობით მიღებული წარსულის შესწავლის და გაგრძელების სურვილი. ერი, როგორც ინდივიდი, არის წარსული ძალისხმევის, თავგანწირვის მსხვერპლის და თავდადების შედეგი. ყველა კულტიდან ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპრების კულტია: ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს ის, რაც დღეს ჩვენ ვართ. გმირული წარსული დიდებული პიროვნებებით და თავისი სიდიადით არის სოციალური კაპიტალი, რომელსაც ეროვნული იდეა ემყარება. ხალხად შექმნის ძირითადი პირობა სწორედ ეს ორია: კოლექტივი ფლობდეს საერთო დიდებულ წარსულს და სურვილი ამის გაგრძელებისა აწმყოში, დიდებული წარული და სურვილი იგივეს განმეორების მომავალში კიდევ ერთხელ. როგორც სპარტელები ამბობდნენ : *„ჩვენ ვართ ის, რაც თქვენ იყავით, და ჩვენ ვიქნებით ის, რაც თქვენ ხართ“* (Renan, 1882, გვ. 10).

რენანის ერის კონცეფციის მიხედვით, ხალხი იზიარებს საამაყო მემკვიდრეობას, წარსულს და განსაცდელს, ტანჯვას. ერთად ტანჯვა, სიხარული და იმედი არის ის ასპექტები, რომელიც ქმნის ერს და რომელიც დამოუკიდებელია რასობრივი და ლინგვისტური მოსაზრებებისგან. ერთად ტანჯვა მეტად აერთიანებს ინდივიდებს, ვიდრე სიხარული. გლოვის პერიოდი უფრო მნიშვნელოვანია ეროვნული მეხსიერებისათვის, ვიდრე ტრიუმფები, რადგან მათ მეტი საერთო ძალისხმევა სჭირდებათ. ერს რენანი უწოდებს დიდ სოლიდარობას, რომელმაც ერთიანობისთვის დიდი მსხვერპლი გაიღო და თანახმაა მსხვერპლი საჭიროების შემთხვევაში მომავალშიც გაიღოს. ასეთ კოლექტივს მკაფიოდ უნდა ჰქონდეს გამოხატული ერთად ცხოვრების გაგრძელების სურვილი. ერად არსებობა ყოველდღიური პლებისციტია, როგორც ინდივიდის არსებობა არის ცხოვრების მუდმივი დადასტურება. ერს არასდროს აქვს ნამდვილი ინტერესი ანექსიისადმი და იმ ტერიტორიის დაპყრობის სურვილი, რომელსაც არ სურს ამ ერის ნაწილად ყოფნა (Renan, 1882).

ერნესტ რენანის აზრით, ერები მარადიულნი არ არიან. მათ დასაწყისი აქვთ და შესაბამისად ექნებათ დასასრულიც. მისი ვარაუდით, ევროპული კონფედერაცია შეცვლის ერებს. თუმცა ასეც, რომ იყოს, ის თვლის, რომ ეს არაა იმ საუკუნის კანონი, რომელშიც თავად ცხოვრობდა. იმ მომენტში ერების არსებობა აუცილებელიც კი იყო. მათი არსებობა თავისუფლების გარანტიაა. მათი მრავალფეროვნების და განსხვავებულობის გამო ერები ცივილიზაციის საერთო საქმეს ემსახურებიან (Renan, 1882).

ჩემი მოსაზრებით, ერნესტ რენანის თეორიაში არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი, თუ ერის გარკვეული ნაწილი სეცესიის მომხრე იქნება რა მოხდება მაშინ? როგორ დაკმაყოფილდება მათი მოთხოვნები, როდესაც ერის არსებობა თავად არის „ყოველდღიური პლებისციტი“. მოხდება დამოუკიდებლობის მოთხოვნის დაკმაყოფილება, თუ ერის იძულებით დატოვება არსებულ ერთობის საზღვრებში? იქნებ, ალტერნატიული სტრატეგიების დაშვებით ვარაუდობს რენანი ახლად გაღვიძებული ერის ნაციონალიზმის შეჩერებას მაგალითად, კონსოციონალიზმით, ან ფედერაციით?! შეიძლება მას ჰქონდა საკუთარი მიდგომა ამ პრობლემისადმი, მაგრამ მას 1882 წლის საჯარო გახმაურებულ ლექციაში ვერ ვხვდებით.

მინდა ყურადღება გავამახვილე კიდევ ერთ ასპექტზე, ერნესტ რენანი მის ადრეულ შრომებში, რომლებიც ეხებოდა სემიტური ენების ისტორიას აღნიშნავდა, რომ ენა ასახავდა და ანარეკლი იყო ადამიანის სულის. ეს მოსაზრება ახლოს დგას ლაიბნიცის თეორიასთან, რომლის მიხედვითაც ენები ადამიანის გონების საუკეთესო სარკეებია. ამიტომ არ გამოვრიცხავ ერნესტ რენანზე ლაიბნიცის გარკვეულ გავლენას. მიუხედავად იმისა, რომ ენის მნიშვნელობას რენანი ხაზს უსვამდა, მაინც საწყისშივე გამოყოფდა წარსული გამოცდილების მნიშვნელობას ენის ევოლუციაში. კონკრეტული ენის უკეთესად გასაგებად რენანი თვლის, რომ სხვა კულტურული ასპექტების შესწავლაა საჭირო, როგორებიცაა ისტორია და ლიტერატურა. ადრე გამოქვეყნებულ ესეებში ის საუბრობს რასაზეც, რომ რასას საერთო არ აქვს სისხლთან, ბიოლოგიათან და გენეტიკასთან. ეს ტერმინი აღწერს ხალხს, რომელიც ისტორიული მიზეზების გამო იზიარებენ საერთო კულტურას, ენას და რელიგიურ ხედვას. ლექციაში „რა არის ერი?“ ის აღნიშნავს, რომ რასა ცვალებადია და არ არის მუდმივი (Dagon, 1999). როგორც ვხედავთ მისმა შეხედულებებმა 1882 წელს ერთგვარი

ტრანსფორმაცია განიცადა და ენის როლი, როგორც რასის უკანა პლანზე გადავიდა. ამის მიუხედავად არ ხსნის თავად ენის და რასის კავშირს, რომელიც ორივე მარკერის მიმოხილვისას შეეძლო გამოეკვეთა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის რენანის მიერ იმის აღნიშვნა, რომ ერს სჭირდება დავიწყების პროცესი იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ერთობა. თუ ეს დავიწყება სავალდებულოა შეიძლება თუ არა, რომ ამ პროცესმა ხალხისთვის გამოიწვიოს ერთან იდენტიფიკაციის პრობლემა. საინტერესოა, როდესაც რენანი ისტორიულ გამოცდილებას მიიჩნევს ერის განმსაზღვრელად და პარალელერად ისტორიის სრული სურათის შექმნის ნაცვლად, თვლის, რომ ეს უნდა იყოს ეპიზოდური, რათა ერმა აწმყოში შეინარჩუნოს ერთიანობა. ახსნას არ საჭიროებს, რომ განსხვავებულია ისტორიის, როგორც მთელის გაგება ფრაგმენტულად ნაწილების გაგებისგან და თუ რომელი ტიპის ისტორიულ მახსოვრობას აირჩევ ცხადია აისახება იდენტობაზეც. მეორე საკითხია ყველა წევრი ეცდება თუ არა ერთი და იგივე ისტორიული ხარვეზის დავიწყებას, რათა ერმა შეინარჩუნოს ერთიანობა, ან რა სირთულეებთან იქნება ეს დაკავშირებული, თუნდაც ჰომოგენური კულტურისა და საერთო განათლების სისტემის პირობებში. ჩემთვის ჩამოთვლილი პასუხგაუცემელი კითხვები არის რენანის ერის თეორიის გარკვეული ხარვეზები, მაგრამ უნდა ავღნიშნო ისიც, რომ ერის რენანისეული განმარტება აქტუალურია დღესაც.

ეს განსაზღვრება განსაკუთრებით ახლოს დგას ევროპულ ნაციონალიზმთან. ეროვნული იდენტობა და მათი ყოველდღიური დადასტურება ეროვნული საზღვრების სახით და ეროვნული სიმბოლოებით განსაზღვრავენ ევროპელი საზოგადოების გრძნობების საზღვრებს. ეროვნული სახელმწიფო კვლავ რჩება დემოკრატიული პრინციპის ძირითად არენად და პოლიტიკური დებატების პლატფორმად, სადაც ყველა ერთი და იგივე წესებით თამაშობს, იღებს მოწინააღმდეგეებს და ცდილობს მათთან კომპრომისების მიღწევას და ასე აგრძელებს ცხოვრებას (Karlsson, 2009).

რენანის თეორიის აფასებს ერნესტ გელნერიც, რომლის თანახმადაც, რენანის მთავარი მიზანია უარყოს ყველა სახის ბუნებრივი დეტერმინიზმი ერების საზღვრებთან დაკავშირებით, რადგან საზღვრები არ არის ნაკარნახევი ენით, რასით, გეოგრაფიით, რელიგიით ან სხვა მსგავსი ფენომენებით. ერების შექმნის მიზეზი

ადამიანების ნებაა. ერნესტ გელნერის მოსაზრებით, რენანის თეორიას ანალიზის და არგუმენტების წამოყენების ორი დონე აქვს: 1) ეროვნების და ნაცია-სახელმწიფოს ვოლუნტარისტული თეორია; 2) მეორე ანალიზის დონე სცემს კითხვაზე პასუხს, თუ როგორ შეიქმნენ ერები?[3]. ერნესტ რენანი გამოყოფს ანონიმურობის ფენომენის სიჭარბეს დიდ კოლექტივებში და მათ საერთო, გაზიარებულ „ამნეზიაში". გელნერისთვის ერის წარმოშობის ეს მიზეზები მიუღებელია, რადგან მოდერნისტი მოაზროვნე მიიჩნევს, რომ ის თუ, რომელ არეალში იქცა ნაციონალიზმი გადამწყვეტ პოლიტიკურ პრინციპად განპირობებულია სიღრმისეული ცვლილებით, რომელიც მუდმივია და არის ცვლილება საზოგადოების ორგანიზების გზაში (Gellner, Culture, Identity, and Politics, 1987).

რესპოდენტი №1 ევროპული ერის თეორიების 1893-1917 წლების საქართველოში გავლენაზე საუბრისას, ასახელებს ერნესტ რენანის ერის თეორიას, რომელიც მისი აზრით, იმ პერიოდის საქართველოში ყველაზე პოპულარული იყო გავრცელებულ სხვა ერის თეორიებთან შედარებით, მაგრამ რესპოდენტი ამატებს კიდევ ერთ საინტერესო დეტალს საკუთარ პასუხს, რომ ევროპული ინტელექტუალური დინებები ზოგადად მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ქართულ რეალობაზე. მათ შორის იმ სოციალიზმიც, რომელიც განვითარდა ეროვნული მიმართულებით საქართველოში იყო ევროპული სოციალიზმი. მისი შეხედულებით, დასავლური დისკუსი იმ პერიოდის საქართველოში იყო მნიშვნელოვანი წყარო ქართველი ინტელიგენციისთვის საკუთარი იდეების გენერირებისა და განვითარებისთვის. სრულად ვიზიარებ რესპოდენტის მოსაზრებას და ვეთანხმები მის ამ დასკვნას.

§1.2. ევროპული ერის კონცეფციები, რომლებსაც გარკვეული გავლენა ჰქონდათ მიხაკო წერეთელზე

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში პოპულარული იყო რამდენიმე ევროპული ერის თეორია. მათი ნაწილი კარგად აქვს გამოყოფილი მიხაკო წერეთელს საკუთარ ნაშრომში „ერი და კაცობრიობა" (1910 წ.). მიხაკო წერეთელი ამ ევროპული კონცეფციების, როგორც პოზიტიურ ისე ნეგატიურ გავლენას განიცდის, რადგან ნაწილს ის იღებს და ეყრდნობა საკუთარი ერის დეფინიციის ფორმირებისას, ხოლო

[3] ერნესტ რენანს მხედველობაში მხოლოდ ევროპული ერები ჰქონდა.

ნაწილს მხოლოდ აკრიტიკებს. ორმაგად საინტერესოა მის მიერ განხილული ევროპული ერის თეორიები, რადგან მათ ნაწილს გავლენა ჰქონდა არა მხოლოდ მიხაკო წერეთელზე, არამედ ქართული კულტურის თუ პოლიტიკური ელიტის სხვა წარმომადგენლებზეც.

იმ ევროპელ მოაზროვნეებში, რომელსაც მიხაკო წერეთელი განიხილავს გამოვყოფ სოლომონ რეინაკს (1858-1932) და მისი რასის დეფინიციას. ჩემი მოსაზრებით, ამ ავტორზე მიხაკო წერეთელი ყურადღებას ამახვილებს, რადგან თავადაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ცნებების ზუსტ განმარტებას და ამ შემთხვევაში ერსა და რასას შორის განსხვავების ხაზგასმა იყო მისი მიზანი. სოლომ რეინაკის მოსაზრებით კი რასა არ უნდა გავაიგივოთ ისტორიულ გამოცდილებასთან და ტრადიციებთან, მაგრამ რასას და ლინგვისტურ ასპექტს შორის კავშირი დიდია. მიხაკო წერეთელი ამ დეფინიციას იზიარებს, რადგან თავადაც თვლის, რომ ტრადიციები და საერთო ისტორია ერის მახასიათებელია, რადგან ერი შედგება განვითარებული ერის წევრებისგან, ინდივიდებისგან და მხოლოდ ასეთ ინდივიდებს შეუძლიათ ჰქონდეთ ისტორიული ტრადიცია (წერეთელი, 1990).

როგორც ავღნიშნე, ამ ევროპულ თეორიათა ნაწილს მხოლოდ აკრიტიკებდა მიხაკო წერეთელი და მათთან კონტრასტში აყალიბებდა საკუთარ კონცეფციას. იმ ავტორთა შორის, რომელიც მან გააკრიტიკა ერნესტ ნისია[4]. ერნესტ ნისი აყალიბებს ერის განმარტებას და ეს განმარტება პრაგმატულია, რადგან ერი საერთო მიზნის მიღწევის საშუალებადაა დასახული. მიხაკო წერეთელი ამ დეფინიციას კატეგორიულად უარყოფს, რადგან ერნესტ ნისი საკმარისად არ ასაბუთებს იმას, თუ როგორ აქვს ერს მიზნის დასახვის უნარი ცოცხალ ორგანიზმის მსგავსად?! (წერეთელი, 1990).

ერნესტ ნისი ცნობილი იყო სამართლის ისტორიის სფეროშიც. ის დაკავებული იყო ვრცელი ჟურნალების გამოცემებით საერთაშორისო სამართლის და შედარებითი სამართლის სფეროებში, რომლებშიც ავტორის ფოკუსი შუა საუკუნეების და მოდერნისტული დოქტრინების შინაარსი იყო. ნისი მომქმედი მოსამართლე და

[4] ერნესტ ნისი (1851-1920) საჯარო საერთაშორისო სამართლის სფეროში პოპულარული მეცნიერი.

იურიდიული მრჩეველი იყო. 1898 წლიდან ერნესტ ნისმა დაიწყო ერების სამართლის შესახებ ახალი კურსის წაკითხვა (Dhondt, 2015).

ვრცლად განვიხილავ ერნესტ ნისის მოსაზრებას ერის შესახებ. მას აინტერესებს ერების როლი სამართლის წინაშე, მაგრამ საერთაშორისო სამართლის ობიექტები არიან სახელმწიფოები და არა ერები. გამოდის, რომ ერები სამართლის სფეროსთვის ანომალიაა (NYS, 1879). უფრო მნიშვნელოვანია მისთვის ის ტრანზაციაა, რომლის შედეგადაც იქმნება ერი. კონკრეტულად კი სასულიერო ფენის დაქვეითებას, რომელსაც თან ახლდა საკრალური ენების მნიშვნელობის დაკარგვა, მოჰყვება ნაციონალიზმის წარმოშობა. ერნესტ ნისი ამ სოციალური ცვლილების მიზეზად თვლის რეფორმაციის ხანას, რამაც ერის უფლებების აღიარებამდე მიგვიყვანა. ერი დამოუკიდებელი ფენომენი გახდა ეკლესიისგანაც, სამღვდელოება გარკვეულ ეტაპზე ცდილობდა საკუთარი თავის წარმოდგენას ერის მმართველებად, როგორც ეს რომის ეკლესიის შემთხვევაში იყო (NYS, 1879), მაგრამ ერი ვერ აღიარებდა ეკლესიის ავტორიტეტს, როდესაც მისთვის უპირატესი სოციალურ-პოლიტიკური ავტორიტეტები იყო. რელიგიის და ერის ურთიერთმიმართების ნაწილი კარგად აქვს ახსნილი ნისს და რაღაც ასპექტით თანამედროვე ნაციონალიზმის თეორიებშიც ვხვდებით მსგავს ახსნას მაგალითად, აქცენტის დასმას რეფორმაციის პერიოდზე და ეროვნული გრძნობების ათვისებას რელიგიური საზოგადოებების და დინასტიების წარმომადგენლების მხრიდან, რათა უმტკივნეულოდ გადაელახათ ეს გადასვლა ერთი პერიოდიდან მეორე ეპოქაზე.

ერთი დეტალი, რომელზე გავამახვილებ ყურადღებას არის ერნესტ ნისის მიერ საეკლესიო ფენაზე საუბრისას იოჰან კასპარ ბლუნჩლის დამოწმება, რომელიც თვლიდა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიისთვის პრივილეგიის გადაცემის საფასური კონსტიტუციით შემუშავებული წესრიგის პატივისცემა უნდა ყოფილიყო. ერნესტ ნისიც იზიარებდა ამ შეხედულებას. მიხაკო წერეთელი აგრეთვე განიხილავს იოჰან კასპარ ბლუნჩლის თეორიას, რაც ტოვებს იმის შთაბეჭდილებას, რომ თავად მიხაკო წერეთელიც აანალიზებს ისეთ ევროპელ ავტორებს, რომლებსაც ერთმანეთზე ჰქონდათ გარკვეული გავლენა. მაგალითად, პასკვილე სტანისლაო მანჩინი და იოჰან კასპარ ბლუნჩლი. იოჰან კასპარ ბლუნჩლზე დიდი გავლენა ჰქონდა პასკვილე სტანისლაო მანჩინის. სავარაუდოდ ერთ-ერთი ავტორის გაცნობამ მიიყვანა მიხაკო

წერეთელი მეორე მოაზროვნის ერის თეორიამდე. იგივე პრინციპი ვრცელდება ერნესტ ნისსა და ბლუნჩლზეც, როგორც ჩანს ერთი ავტორის გაცნობის შემდეგ გაანალიზა მან მეორე ავტორის ერის თეორია.

მოაზროვნე, რომელსაც ვთვლი, რომ განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა მიხაკო წერეთელზე პასკვილე სტანისლაო მანჩინია. მანჩინის ერის დეფინიციის დროს შემოაქვს მთავარ მარკერად სული, ეროვნული გრძნობა. ერთან ერთად სოციალურ არსად მას დასახელებული აქვს ოჯახიც. მანჩინი ასახელებს ერის დამახასიათებელ ფიზიკურ თვისებებსაც, როგორებიცაა ენა, ტერიტორია და ტრადიციების ერთობა. მიხაკო წერეთელი ამ დეფინიციაში რამდენიმე ხარვეზს გამოყოფს, რომელთა შორისაცაა საზოგადოებრივ ფორმად ოჯახის მიჩნევა, რადგან თუ საზოგადოებრივ ფორმად მხოლოდ ოჯახი იქნება, საზოგადოებაც პირველყოფილი იქნება. კიდევ ერთი დეტალი, რაც მიუღებელია მიხაკო წერეთლისთვის ისაა, რომ მანჩინი არ ხსნის თავად საზოგადოების ფენომენს. მიხაკო წერეთლის მოსაზრებით, ერის ახსნამდე მას უნდა გაენალიზებინა საზოგადოების არსი. მიხაკო წერეთლზე მანჩინიმ მაინც დიდი გავლენა მოახდინა იმით, რომ იტალიელი მოაზროვნე, საერთაშორისო სამართლის მთავარ სუბიექტად ერს ასახელებს, რადგან ერი, სახელმწიფოსგან განსხვავებით, არ არის შემთხვევითი და ხელოვნური ფენომენი. სწორედ ამიტომ მიხაკო წერეთლისთვის მანჩინის მიერ ჩამოყალიბებული ერის კონცეფცია საუკეთესო დეფინიცია იყო იმ პერიოდში შექმნილ კონცეფციებს შორის. პოპულარული იყო მანჩინის სალექციო კურსი *„ეროვნება, როგორც საერთაშორისო სამართლის საფუძველი“* (1851 წ.). მის გამოსვლას არ მოჰყოლია ერთგვარი შეფასება, მრავალეთნიკურმა საზოგადოებამ ეს სალექციო კურსი გააკრიტიკა (Bartolini, 2020). მთავარი კრიტიკა მანჩინის თეორიას მოჰყვა სახელმწიფოს მნიშვნელობის და სახელმწიფოს ფორმირების პროცესის იგნორირების გამო.

პასკვილე სტანისლაო მანჩინი ერის რამდენიმე ნიშანს ასახელებს და მათ შორის არის ტერიტორია, ენა, სამართალი, ისტორია, რასა, რელიგია. უფრო მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ერის წარმოშობა, მისი აზრით, არის საერთო სუბიექტური ბუნება და ეროვნული ცნობიერება (Bartolini, 2020). საინტერესო დეტალი მანჩინის ნააზრევში ის არის, რომ მისი ხაზგასმით იმ საზოგადოებას, რომელსაც აქვს ეროვნული ცნობიერება დამოუკიდებლობის უფლებაც აქვს. მისი

მოსაზრებით, ნაციონალიზმის მთავარი პრინციპია თავისუფლება და ერის ამ უფლების ხელყოფა მისთვის ყველაზე დიდი დანაშაულია. მანჩინის ამ მიდგომიდან გამომდინარე არც არის გასაკვირი, რომ მიხაკო წერეთელი მის ერის დეფინიციას თვლის იმ პერიოდში ყველაზე მისაღებად.

ჩემი მოსაზრებით, მანჩინის არ აქვს ახსნილი, თუ პრაქტიკულად, როგორ ხედავს მისი თეორიის განხორციელების გზებს, ანუ როგორ უნდა გახდეს ერი საერთაშორისო სამართლის ობიექტი. ამის მიუხედავად, მანჩინიმ მოახერხა ის, რომ ერის ანალიზი სამართლებრივი სფეროს ჩარჩოშიც მოექცა. მანჩინი თვლიდა, რომ საერთაშორის სამართლის საგნად ერის გადაქცევით მას უფლებების დიდი რაოდენობა მიეცემოდა, რომელთა გაუქმების საშუალება სახელმწიფოს არ ექნებოდა. ეს გზა მანჩინის ევროპაში ომების შეჩერების გამოსავალ გზად ესახებოდა. ჩემი შეფასებით, პასკვილე სტანისლაო მანჩინის ერის თეორია ინოვაციური იყო იმ პერიოდისთვის იმ მხრივ, რომ მთავარი აქცენტი ერის უფლებებეზე და განსაკუთრებით თავისუფლების მნიშვნელობაზეა დასმული. ამის მიუხედავად, მისი თეორია იდეალისტური მიდგომით ხასიათდება.

მანჩინის გავლენა დიდი იყო საკუთარ სამშობლოში, 1865 წელს მისი გავლენა აისახა იტალიის სამოქალაქო კოდექსშიც, სადაც მიიღეს კოდექსი პიროვნების სტატუსის რეგულირების იმ ერის კანონის მიხედვით, რომელსაც ეს პიროვნება ეკუთვნის (Bartolini, 2020).

ვფიქრობ მეორე ერის კონცეფცია, რომელსაც გარკვეული გავლენა ჰქონდა მიხაკო წერეთელზე იოჰან კასპარ ბლუნჩლის (1808-1881) თეორიაა. ბლუჩლისთვის ერის განმსაზღვრელი მარკერებია: ენა, ტერიტორია, პოლიტიკა და ჩვეულებები. ბლუნჩლს შემოაქვს პოლიტიკის, ანუ სახელმწიფოს ნიშანი, რომელიც გადამწყვეტია ერის ფორმირებაში, რადგან მისი მოსაზრებით, მხოლოდ სახელმწიფოსთან დაკავშირებული ხალხია ერი. მიხაკო წერეთელი იმოწმებს ბლუნჩლის ცნობილ ნაშრომს *„ზოგადი თეორია სახელმწიფოს შესახებ“.* ქართველი მოაზროვნე არ დაეთანხმა ხალხის შემქმნელ ძალად პოლიტიკის დასახვას, რადგან ამ შემთხვევაში იმ ხალხს, რომელსაც წართმეული აქვს სახელმწიფოებრიობა ვერ უწოდებ ერს. ბლუნჩლი იყენებს ტერმინს „ხალხი“ და მიხაკო წერეთელი აკრიტიკებს მას სწორედ ცნებების

ერთმანეთში არევის გამო. ბლუნჩლი აშკარად გამოყოფს სახელმწიფოს ერზე უპირატესობის ასპექტს, რადგან სახელმწიფოს შექმნის გარეშე ერის ჩამოყალიბება მას არარეალურად მიაჩნია. ერს ბლუნჩლი მიიჩნევს იმ სოციალურ ორგანიზმად, რომელიც სახელმწიფოს შინაარსია. ერის ამგვარ დახასიათებაში იგრძნობა იოჰან კასპარ ბლუნჩლზე პასკვილე სტანისლაო მანჩინის გავლენა.

ბლუნჩლის ერის თეორიაში ხაზგასმულია მემკვიდრეობის და წინაპართა როლიც, რადგან ერი მას ისტორიის პროდუქტად ესახება, რომლის შესაქმნელად რამდენიმე თაობა და მათი გამოცდილების ერთმანეთისთვის გადაცემაა აუცილებელი. ჩამოყალიბებული კულტურული მახასიათებლები კი თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს (Bluntschli, 2000). მეორე ერის ნიშანი, რომელზეც ბლუნჩლი საუბრობს ენაა, რომლის გავლენაც განსაკუთრებით ძლიერია აწმყოში. ბეჭდური კაპიტალის როლის და ლიტერატურის მნიშვნელობის ხაზგასმით ბლუნჩლი ახლოს დგას ნაციონალიზმის თანამედროვე თეორეტიკოსებთან. ორიგინალური ასპექტი მისი თეორიის არის არაცნობიერის ელემენტის შემოტანა ხალხის ფორმირებაში. ბლუნჩლი აღნიშნავს, რომ ხალხის ფორმირება არაცნობიერად ხდება. მისი ზუსტი დეფინიციით ხალხი არის სხვადასხვა ფენის და პროფესიის სოციალური ერთობა გრძნობის და რასის საფუძველზე. ენა და ტრადიციები ამყარებს საზოგადოებაში ერთიანობის განცდას და გამოკვეთს მათ განსხვავებას „სხვა“ სოციალური გაერთიანებებისგან. მისი მოსაზრება, რომ ერი ისტორიული ფენომენია თავისთავად ქმნის მოქნილ საზღვრებს ერის გარშემო, ანუ შესაძლებელია მოხდეს მცირე ერების ასიმილაცია დიდ და განვითარებულ ერებთან. ბლუნჩლის თქმით, ისტორიის განმავლობაში ეს ასეც ხდებოდა და მაღალი ცივილიზაციის ხალხი ებრძოდა/ამარცხებდა მცირე ტომებს, რომელთა ნაწილი გაქრა ისტორიის ასპარეზიდან. ერი თავის მხრივ მაღლა დგას ხალხზე, რადგან ახასიათებს განვითარებული პოლიტიკური კავშირი, ანუ სახელმწიფო და წევრებს შორის სოლიდარობის მაღალი გრძნობა, რაც მას ხალხის საფეხურზე მაღლა აყენებს. ლოგიკური კითხვა გამიჩნდა, თუ რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ერთობა, რომელიც უკვე ერია კარგავს საკუთარ ტერიტორიას, ან მიგრაციის გავლენით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზეა წასული? ბლუნჩლის დასკვნით, მსგავს შემთხვევებში ერი აგრძელებს ერად ყოფნას, მაგრამ გარკვეული პერიოდით, სანამ არ დაბრუნდება საკუთარ

ტერიტორიაზე, ან შექმნის ახალ საკუთარ სახელმწიფოს. ამ მოსაზრებიდან იკვეთება მისი თეორიის მთავარი ჰიპოთეზა: მიზეზობრივი კავშირი სახელმწიფოსთან, *ანუ „არ არის სახელმწიფო, არ არსებობს ერის“* პრინციპი (Bluntschli, 2000, გვ. 81-82).

ბლუნჩლის მოსაზრებით, მრავალეთნიკურ სახელმწიფოში, თუ ამ სახელმწიფოს ფარგლებში რამდენიმე ერია მოქცეული მათ საერთო ინტერესების და სოლიდარობის გრძნობა ნაკლებად აქვთ ჩამოყალიბებული, ვიდრე თუნდაც ხალხს. ბლუნჩლი თვლის, რომ ერის არსებობაში იგივე ეტაპების გამოყოფაა შესაძლებელი, რაც ინდივიდის ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ინდივიდის განვითარება თუ ათწლეულებში იზომება, ერის შემთხვევაში საზომი ერთეული საუკუნეა და ცხადია ამ განვითარების საფინალო ნაწილი სიკვდილია, ერები მოკვდავები არიან.

როგორც ავღნიშნე, ბლუნჩლი ენის ფაქტორს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და თვლის, რომ ენა ხალხის ექსკლუზიური მონაპოვარია. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს საკუთარ საზღვრებში ენის აკრძალვის უფლება არ აქვს. იოჰან კასპარ ბლუნჩლის თეორიის მიხედვით, სახელმწიფო ენის თავისუფლად გავრცელების და მოხმარების ხელმშემწყობი უნდა იყოს. ენისთვის ამ თავისუფლების მინიჭება არ უტოლდება ენების თანასწორ მდგომარეობას სახელმწიფოში, რადგან ავტორის აზრით, ერთი ენა შეიძლება უკეთეს მდგომარეობაში იყოს სახელმწიფოში, როგორც სახელმწიფოს ოფიციალური ენა. მისი დასკვნით, სამართლის სფეროში ერს გაცილებით მეტი უფლებები აქვს ხალთან შედარებით და ის ასპექტი, რომ ერის უფლებების მოთხოვნაზე ხშირად ხდება საუბარი მის თანამედროვეობაში უკვე ცივილიზაციის წინსვლაა.

საინტერესო თესიზი, რომელსაც ბლუნჩლი აყენებს შემდეგია: სახელმწიფოსადმი წინააღმდეგობას ყველაზე მკაფიოდ აღრმავებს საკუთარი ეროვნების დაცვა. სავარაუდოდ ავტორი განსაკუთრებით მრავალეთნიკურ სახელმწიფოების მაგალითზე საუბრობს. მისი დეფინიციით, სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა ორგანიზებული ერი, ერების ეროვნულ ხასიათს კი აყალიბებენ ის ხალხები, რომლებთან ერთადაც უწევს ერს ცხოვრება ერთ სახელმწიფოში. ბლუნჩლი თვლის, რომ ერი არ არის პოლიტიკური საზოგადოება, მაგრამ საკუთარი

გაერთიანების მიზანს თუ გაანალიზებს სურვილი პოლიტიკურ საზოგადოებად გარქდაქმნის გარდაუვალი იქნება, ესაა საკუთარი სახელმწიფოს არსებობის მიზანი. ბლუნჩლი აღნიშნავს, რომ ყველა ხალხს აქვს სახელმწიფოს შექმნის უფლება, აქედან გამომდინარე, რამდენი ხალხიც არსებობს იმდენ სახელმწიფოდ უნდა დაიყოს მსოფლიო.

იოჰან კასპარ ბლუნჩლის ერის თეორიის დამუშავებისას მივედი იმ დასკვნამდე, რომ ხედვა პრიმორდიალისტურია, რადგან აცხადებს, რომ ანტიკური სამყაროს გამორჩეული ერები იყვნენ სპარტანელები და ათენელები, რაც იზოლაციის და პოლიტიკური განვითარების წყალობით მოხდა. ისტორიულ სხვა მაგალითზეც ამახვილებს ავტორი ყურადღებას, ჩრდილოეთ ამერიკის და ინგლისის შემთხვევის განხილვით. ბლუნჩლის მიხედვით, ეს არის ისტორიულად საუკეთესო მაგალითი პოლიტიკური სულისკვეთების ძლიერი გავლენით ხალხის ჩამოყალიბების. მრავალეთნიკური სახელმწიფოების განხილვისას მან გამოკვეთა ტენდენცია დომინანტი ერის მიერ სხვა ხალხების ასიმილირების. ეს პროცესი წარმატებულად სრულდება მხოლოდ მაშინ, თუ დომინანტი ერი უკეთესია განათლებით, კულტურით და ძალაუფლების დიდი რაოდენობაა მის ხელში თავმოყრილი. თუ სახელმწიფო მიუკერძოებელი იქნება და არ ექნება პრეტენზია, რომ იყოს ეროვნული, შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ხალხის თანაცხოვრება ასიმილაციის გარეშე ამ სახელმწიფოში (მაგ. შვეიცარია).

იოჰან კასპარ ბლუნჩლის თეორიაში ერს და ხალხს განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, ხალხის და ერის აუცილებლობით დამთხვევა გამორიცხულია, მაგრამ ეროვნული პრინციპი კავშირშია სახელმწიფოს პრინციპთან. ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ბლუნჩლის მოსაზრებით, ყველა ხალხს აქვს სახელმწიფოს შექმნის უნარი, მხოლოდ პოლიტიკური შესაძლებლობის მქონე ხალხს შეუძლია სახელმწიფოს შექმნა, უფრო მეტიც მხოლოდ პოლიტიკური შესაძლებლობის მქონე ხალხს აქვს დამოუკიდებელი ერის შექმნის უნარი. ამ პოლიტიკურ შესაძლებლობებში იგულისხმება თვითცნობიერებაც. თუ ხალხს პოლიტიკური იმპულსის დაკმაყოფილების უნარი აქვს, მას სახელმწიფოს შექმნის უფლებაც აქვს. ბლუნჩლის მთავარი შეკითხვა აქედან გამომდინარეობს: სულ რამდენი ერი არის იმის ღირსი, რომ შექმნას სახელმწიფო?!. საკითხი სერიოზულია, მაგრამ მისივე პასუხი

ტრანსცენდენტურია, რომ ამის გადაწყვეტა მხოლოდ ღმერთს შეუძლია (Bluntschli, 2000).

იოჰან კასპარ ბლუნჩლის თეორიის მიხედვით, ეროვნული ხასიათი მუდმივად დადგენილი არ არის, იცვლება ერის ცვლილებასთან ერთად. თუ კონსტიტუცია უგულებელყოფს ეროვნულ ხასიათს და ის არ იქნება თანხვედრაში ეროვნულ გონთან, შესაძლებელია ერის განადგურება ან ეროვნული ენერგიის გამოფიტვა. სახელმწიფოს კონსტიტუცია აქედან გამომდინარე უნდა იყოს ეროვნული.

მე ვთვლი, რომ იოჰან კასპარ ბლუნჩლის თეორია ცენტრში აქცევს სახელმწიფოს და მხოლოდ სახელმწიფოსთან კავშირში განიხილავს ერს, რაც გავრცელებული და გასაგები თეორია იყო მის თანამედროვეობაში. გაცილებით საინტერესოა მისი შეხედულება, რომ რასების მრავალფეროვნება ბუნებრივია, რაც შექმნილია ბუნების მიერ და არა კაცობრიობის ისტორიული გამოცდილებით. რასებისგან შედგენილ ერებს ის მიიჩნევს კაცობრიობის ისტორიის შედეგად. რასებს შორის განსხვავება კი მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის. ის თვლის, რომ ისტორიამ ასიმილაციით და ცვლილებების სხვადასხვა პროცესებით გაანადგურა ერების ნაწილი. სახელმწიფოსთვის თუ რასების მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია და ერის ჩამოყალიბებით ნადგურდება რასების ნაწილი, წინააღმდეგობაში ხომ არ მოდის სახელმწიფოსა და ერის ინტერესები? ამ კითხვას იოჰან კასპარ ბლუნჩლი არ სვავს, თუმცა ეს საკითხი მისი თეორიიდან პირდაპირ გამომდინარეობს.

იმის მიუხედავად, რომ გარკვეული კითხვები პასუხგაუცემელი დარჩა ორივე იტალიელი მოაზროვნის ერის თეორიაში, მიხაკო წერეთელზე მათ განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს. განსაკუთრებით ეს პასკვილე სტანისლაო მანჩინის შემთხვევაში გამოიკვეთა.

მიხაკო წერეთეთლის მიზანი, როგორც ჩანს, „ერი და კაცობრიობის“ შექმნის დროს (1910 წ.) ერის ცნების ირგვლივ შექმნილი კონცეფციების ძირითადი ნაწილის წარმოდგენა იყო, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს დაინტერესების შემთხვევაში თავად გაეცნოს ერის რომელიმე ევროპულ თეორიას ვრცლად. ეს მეთოდი მას საშუალებას აძლევს ზოგადი ფონი შექმნას 1910 წელს ერის გაანალიზების პროცესის. სწორედ ამიტომ ის განიხილავს სოციოლოგების თეორიებსაც ერის შესახებ,

განსაკუთრებით კი გამოყოფს რენე ვორმს და ტარდის. პირველის შემთხვევაში მიხაკო წერეთლისთვის მნიშვნელოვანია ვორმსის მიერ შემუშავებული დეფინიციები ერის, ხალხის, საზოგადოების და სახელმწიფოსი. რენე ვორმსი ერს მიიჩნევს ერთიან სოციალურ ორგანიზმად, ხალხი მისი შემადგენელი ელემენტია. ერის ფუნქციონალური და პოლიტიკური მხარეა სახელმწიფო.

რენე ვორმსის დამსახურებებს შორისაა პირველი ფრანგული აკადემიური ჟურნალის შექმნა სოციოლოგიის მიმართულებით. რენე ვორმსი ეკუთვნის ორგანიციზმის თეორიის გამზიარებელთა რიცხვს (Mosbah-Natanson, 2014). რენე ვორმსი ხაზს უსვამს, რომ რასობრივ თვისებებს არ აქვს მნიშვნელობა სოციალური ცხოვრების ფორმირებაში. მიუხედავად საზოგადოების წევრების განსხვავებული ფუნქციებისა. მისი შეხედულებით, საზოგადოება მაინც არის ჰომოგენური, რადგან გონებრივი განწყობა ამ საზოგადოებაში არის მსგავსი. ეს მსგავსება არ არის მემკვიდრეობითი და ის არ გადაეცემა თაობიდან თაობას, ეს ჰომოგენურობა უფრო მეტად ორგანული ერთიანობის შედეგია. მისი დასკვნით, სოციალური ერთობა შესაძლებელია არსებობდეს რასობრივი ერთობის გარეშე (Terrier, 2011). რენე ვორმსისი ინტერესის ობიექტი სოციოლოგიაა, ანუ ინდივიდების სოციალურ ურთიერთობაში არსებობის ასპექტი. სახელმწიფო მისთვის ორგანიზმია, რომელიც შედგება როგორც ინდივიდებისგან, ასევე კოლექტივებისგან

მიხაკო წერეთლისთვის ეს დეფინიციები უინტერესოა, მართალია განიხილავს მათ, როგორც საქართველოში ხშირად გამოყენებულს, მაგრამ მთავარი ყურადღება გადააქვს ტარდის თეორიაზე, რომელიც გაცილებით მრავამხრივი და საკამათოა მისთვის. გაბრიელ ტარდისთვის ყველა ტიპის სოციალური ჯგუფი, მათ შორის ერიც, არის სოციალური ორგანიზმი. თანამედროვე საზოგადოება მისთვის ორგანიზმის ტვინის ფუნქციას ითავსებს. საზოგადოების მთავარ მახასიათებლად ტარდის მიმბაძველობა ესახება. რაც შეეხება ერს, ის ტარდის თეორიით არის საზოგადოების განხორციელების პრინციპი. ერი არის ტრადიციების, ჩვეულებების და იდეების შეთანხმება, რომელიც საზოგადოებაში „წამბაძველობით“ ვრცელდება. ეროვნული ერთობა ძნელად განსასაზღვრია, თუმცა ტარდის დეფინიციით მის მახასიათებლებს შორისაა: ენა, ჩვეულებები, სამართალი და ტერიტორია (წერეთელი, 1990). ერის გაგებაც ტარდისთან ორგანიცისტულია, ერი ტვინის ფუნქციის შემთავსებელია. ერი

მისთვის ის გზაა, რომლითად საზოგადოებრიობა ვრცელდება. ერის განადგურება შესაძლებელია ტარდისთვის, რადგან საზოგადოება წამბაძველია, რის შედეგადაც საზოგადოებები ერთმანეთს ემსგავსებიან და საერთაშორისო მახასიათებლები აქვთ, იკარგება ინდივიდუალიზმი. მიხაკო წერეთელი ამის საპირისპიროდ თვლის, რომ მაღალი განვითარების საფეხურზე მყოფი ერი მეტად ინდივიდუალურია, ტარდის მიხედვით ასეთი ერი მეტად საერთაშორისოა. მიხაკო წერეთლისთვის მისაღებია ბაძვით განსხვავებული თვისების შეძენა ერისთვის, რომლითაც ის ინდივიდუალურობას მეტად განავითარებს. მაგალითად, ნაშრომის თარგმნისას თარგმანს აკეთებ ეროვნულ ენაზე და ამდიდრებ ადგილობრივ ლიტერატურას და შესაბამისად კულტურას. თუმცა თავად თარგმნის აქტი წამბაძველობის სახეა (წერეთელი, 1990).

გაბრიელ ტარდი ყველაზე პოპულარული მოაზროვნეა იმ ავტორებს შორის, რომელსაც განიხილავს მიხაკო წერეთელი ნაშრომში „ერი და კაცობრიობა“. ტარდი ცნობილია ბაძვის თეორიით სოციოლოგიის სფეროში. მისი თეორია უნდა გავაანალიზოთ, როგორც ემილ დიურკემის თეორიის საწინააღმდეგო კონცეფცია. თუ დიურკემი სოციოლოგიაში ანტიფსიქოლოგიის შეხედულებას იზიარებდა, ტარდი ფსიქოლოგიზმის დამცველი იყო (Jones&Roffe, 2009). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია გაბრიელ ტარდის თეორიაში არის სწორედ ბაძვის ფენომენი, რადგან სოციალურ ურთიერთობებში ერთია ის ვინც ახდენს გავლენას, ხოლო მეორე ნაწილია ის ვისზეც ახდენენ გავლენას. გაბრიელ ტარდისთვის მთავარია სოციალური ფენომენის მთლიანად ფსიქიკურზე დაყვანა, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ინდივიდის მსოფლმხედველობა. გაბრიელ ტარდის დასკვნით, სოციალური ჯგუფი და მათ შორის ერიც მიბაძვის საფუძველზე ვითარდება. ის იდეები, რომლებიც უჩნდება ადამიანს შთაგონებითაა მიღებული, მაგრამ თავად ჰგონია, რომ ამას საკუთარი ნებით და გადაწყვეტილებით აკეთებს, ამ პროცესს ტარდი ჰიპნოზის, უფრო ზუსტად სომნამბულიზმის ტერმინებით ხსნის. მიბაძვის ქმედება ერთადერთია, რომელიც თავითავად წარმოიქმნება. მთავარი კითხვაა საიდან იწყება მიბაძვა? გაბრიელ ტარდის პასუხი არის ოჯახის ინსტიტუტიდან. მოდერნიზმის ეპოქისთვის დამახასიათებელ დასკვნამდე მიდის ტარდი, რომ ინდივიდუალიზმი იცვლება მასების მოძრაობით, რომლის მახასიათებელი ბაძვაა. ტარდის დახასიათებით, მიბაძვა დაპირისპირებებით

და დაბრკოლებებით სავსე პროცესია, როდესაც ინდივიდი მერყეობს რაიმე სიახლე მიიღოს, თუ არა. ეს არის მუდმივი შიდა დაპირისპირებები, რომელიც ნაყოფიერიც კი არის ისტორიისთვის (socium.ge, გვ. 6-7). ადამიანებს აქვთ სურვილები, რომლებსაც არჩევენ საკუთარი რწმენის საფუძველზე. შესაბამისად, ტარდი თვლის, რომ ამ ორი ფენომენის გარეშე ვერ გაიგებ ბაძვის მომენტს, ეს ფენომენები კი არის: რწმენა და სურვილი.

ჩემთვის ნიშანდობლივი იყო ის დამთხვევა, რომ გაბრიელ ტარდიც და მიხაკო წერეთელიც ახსენებენ ლაიბნიცს, ტარდი ლაიბნიცის მონადების თეორიას განიხილავს, რათა ხაზი გაუსვას გონების და მატერიის ერთ ელემენტში - მონადაში გაერთიანების შესაძლებლობას. გაბრიელ ტარდის დეფინიციით, ერი ზე-ორგანული ორგანიზმია, რომლის წევრებსაც საერთო მახასიათებლები აქვთ, რაც ქმნის კიდეც ჰეტეროგენულ საზოგადოებას. საზოგადოების ეს განსხვავებულობა აისახება, როგორც სოციალიზაციის, ისე დენაციონალიზაციის პირობებში. გაბრიელ ტარდის დასკვნით, ეროვნული ზოგადი ტიპი ყველა ერის წევრისთვისაა დამახასიათებელი (TARDE, 1903). ინდივიდებისთვის დამახასიათებელი ერთი დეტალი ტარდის მიხედვით, არის მათი სწრაფად ასიმილირება, თავის მხრივ, ეს ინდივიდები ერის წევრები არიან. მათი ასიმილირების პროცესი სწრაფთან ერთად სრულიც არის.

რესპოდენტი №4 მიხაკო წერეთელზე და იმ ევროპულ ერის კონცეფციებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელსაც მიხაკო წერეთელზე ჰქონდა გავლენა. რესპოდენტი განსაკუთრებით გამოყოფს დე გრეფს. ვიზიარებ მის ამ შეხედულებას, რადგან მიხაკო წერეთელი, როდესაც განიხილავდა ერს, როგორც გარკვეული რაოდენობის ორგანოებისგან შემდგარ ერთობას, განიცდიდა დე გრეფის გავლენას. თავად დე გრეფიც ამ მოსაზრებაზე იყო და გამოყოფდა შვიდ ორგანოს, რომელთა ნაკლოვანებაც ერის რეგრესს და შემდეგ გაქრობას იწვევდა. სოციალური მოვლენების დე გრეფის კლასიფიკაციას იზიარებს მიხაკო წერეთელი და თავადაც აღიარებს, რომ მასზე ყველაზე დიდი გავლენა შტამლერის თეორიასთან ერთად, დე-გრეფის კონცეფციამ მოახდინა.

მიხაკო წერეთლის მიერ განხილული თეორიებიდან ნაწილში ერი არ არის მთავარი საკვლევი ობიექტი. შეიძლება მისი გააზრება ხდებოდეს სახელმწიფოსთან,

საზოგადოებასთან, ხალხთან ურთიერთმიმართებაში. სწორედ ამიტომ მიხაკო წერეთელზე მეტი გავლენა აქვთ იმ ავტორებს, რომელთა ინტერესის წამყვანი საკითხი თავად ერია მაგალითად, პასკვილე სტანისლაო მანჩინის.

§1.3. ლუდვიგ გუმპლოვიჩის და გუსტავ ერვეს თეორიების გავლენა არჩილ ჯორჯაძეზე

არჩილ ჯორჯაძის შემთხვევაში ამ ორ ევროპელ ავტორს მასზე ნეგატიური ზეგავლენა აქვს, ანუ მათი შეხედულებების კრიტიკის ფონზე აყალიბებდა არჩილ ჯორჯაძე საკუთარ კონცეფციას ერისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების შესახებ.

ძალის და ძალმომრეობის კონცეფციის შემოქმედად თვლიან ლუდვიგ გუმპლოვიჩს, რომელიც უმეტესად ავსტრიაში მოღვაწეობდა. ის მთლიანად იზიარებდა სახელმწიფოს კლასობრივი ბუნების თეორიას და უფრო მეტიც ამტკიცებდა, რომ ისტორიის მამოძრავებელი ძალა რასებს შორის ბრძოლაა და ამ ბრძოლაში გამარჯვებულები, ანუ ძლიერი ტომები იპყრობენ სუსტებს და ქმნიან სახელმწიფოს. სახელმწიფო გამოდის ძალაუფლების ორგანო სუსტების დამორჩილების და მათზე ძალაუფლების განხორციელების თვალსაზრისით. არჩილ ჯორჯაძე განიხილავს ლუდვიგ გუმპლოვიჩის ნაშრომს „სოციოლოგიური ნარკვევები“ და არ ეთანხმება ავტორის მთავარ ჰიპოთეზას, რომ დაპირისპირებული სოციალური ჯგუფები ერთმანეთისგან ყოველთვის ეთნიკურად განსხვავდებიან და შესაბამისად ამ დაპირისპირებას ეთნიკური და რასობრივი ხასიათი აქვს. გამარჯვებული უმცირესობა კი უმეტესად უცხოეთიდან მოსული და ეთნიკურად განსხვავებული ხალხი იყო. სწორედ ამ ეთნიკურ ელემენტს უარყოფს არჩილ ჯორჯაძე გუმპლოვიჩის შეხედულებაში, თუმცა იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფო უმცირესობის უმრავლესობაზე მმართველობის შედეგია, მაგრამ ეს ავტომატურად არ გულისხმობს იმ თეზისის სისწორეს, რომ ეს უმცირესობა ეთნიკურად ყოველთვის განსხვავდებოდა უმრავლესობისგან. არჩილ ჯორჯაძისთვის სახელმწიფო კლასთა ბრძოლის შედეგია და კლასობრივ საზოგადოებაში სახელმწიფოს ბუნება ხასიათდება გაბატონებული კლასების ინტერესების პირველხარისხოვნებით. აქედან გამომდინარეა სწორედ სახელმწიფოს მისწრაფებაც საზღვრების გაფართოებისადმი, განსხვავებული ერების და ახალი სახელმწიფოების დაპყრობის. მნიშვნელოვანია არჩილ ჯორჯაძის ხაზგასმა,

რომ ძალა, დაპყრობა აჩქარებს სახელმწიფოს წარმოშობას მხოლოდ იქ, სადაც მომწიფებულია ამის წინაპირობები, მაგრამ მხოლოდ ძალით სახელმწიფო არსად არ შექმნილა და აქედან გამომდინარე, მისი შეხედულებით, მთლიანად მცდარია ლუდვიგ გუმპლოვიჩის შეხედულება სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ (ლობჟანიძე, 1989).

კვლევამ აჩვენა, რომ ორი ყველაზე გამოკვეთილი თეზისი გუმპლოვიჩის სოციოლოგიურ სისტემაში არის: 1) სრული უარყოფა ინდივიდის მნიშვნელობის; 2) გამოკვეთილი ადამიანური პროგრესის არ აღიარება კაცობრიობისთვის, როგორც მთელისთვის. ლუდვიგ გუმპლოვიჩისთვის ინდივიდი უბრალოდ პრიზმის ის ნაწილია, რომელიც იღებს სხივებს, ყოფს მათ არსებული კანონების მიხედვით და ანაწილებს, გადასცემს მათ წინასწარ განსაზღვრული მიმართულებით და განსაზრვრული ფერით (Barnes, 1919). ეს მხატვრულად გამოთქმული ფუნქცია ინდივიდისა კარგად აჩვენებს, რომ ინდივიდს მის თეორიაში აქვს მხოლოდ მექანიკური და მიზერული ადგილი.

კონფლიქტური ინტერესთა ჯგუფების აღსანიშნავად გუმპლოვიჩი იყენებს ტერმინს ხალხი, რომელსაც კულტურულ გაერთიანებათ მიიჩნევს. ერი კი მისთვის არის სოციალური ევოლუციის ყველაზე განვითარებული პროდუქტი. მთავარი კითხვაა, როგორ იქცევა ხალხი ერად? გუმპლოვიჩი ეთანხმება სპენსერის მოსაზრებას, რომ არც ერთი ტომი არ ხდება ერი მარტივი გაზრდით და უბრალო განვითარებით. გუმპლოვიჩისთვის გულუბრყვილო მეცნიერებაა იმის დაშვება, რომ დროთა განმავლობაში ოჯახი ვითარდება ტომად, ტომი ვითარდება ხალხად და შემდეგ ხალხი ვითარდება ერად. ჰერბერტ სპენსერის მოსაზრებით, აუცილებელია რამდენიმე ტომის გაერთიანება, რასაც იზიარებს გუმპლოვიჩი და ამტებს, რომ ეს გაერთიანება ხდება ერთის მიერ სხვების დამორჩილებით. სპენსერი იმასაც ამბობს, რომ ერი არ იქმნება პატარა საზოგადოებების პირდაპირი გაერთიანებით, რაც გუმპლოვიჩის აზრით, იმას გულისხმობს, რომ დიდი ერი აუცილებლად მოიცავს რამდენიმე მცირე ერს და ეთნიკური ჯგუფების სიმრავლეს (Gumplowicz, 1899). თუმცა ეს გაერთიანებაც აუცილებლად ეფუძნება ერთის მიერ დანარჩენების დამორჩილებას, ამ შემთხვევაში დომინანტი ერის მიერ მცირე ერების და ეთნიკური ჯგუფების გაერთიანებას.

მეორე ევროპელი ავტორი, რომელსაც ასახელებს არჩილ ჯორჯაძე არის გუსტავ ერვე. თავდაპირველად გუსტავ ერვე იყო ანტიმილიტარისტი სოციალისტი და პაციფისტი, მაგრამ მოგვიანებით ის ხდება ულტრანაციონალისტი. პირველ მსოფლიო ომამდე გუსტავ ერვე იყო გამორჩეული ხმა ფრანგულ სოცილიზმში და მეორე ინტერნაციონალშიც, რომელიც ძალადობრივ გზას დასაშვებად მიიჩნევდა ომის თავიდან ასაცილებლად. 1919 წელს კი მან თანამოაზრეებთან ერთად დაარსა ნაციონალ-სოციალისტური პარტია, რაც მისი იდეოლოგიური გარდასახვის მკაფიო დემონსტრირებაა. ერვესთვის ეროვნებების მიხედვით განსხვავდებოდა სოციალისტების ხასიათი, როდესაც გერმანელი სოციალისტები ადიდებდნენ დისციპლინას, რუსი და ფრანგი სოციალისტები კი გაბედულად მოქმედებდნენ. ანტიგერმანიზმი ერვეს ნააზრევს თან გასდევს, რაც რაღაც ასპექტით ასუსტებს მისი პოლიტიკური განვითარების გარდასახვას. ლენინის შეფასებით, ერვე არ იყო გამოკვეთილი მარქსისტი თეორეტიკოსი, მაგრამ ამ დანაკლისს ის ავსებდა, როგორც პრაქტიკოსი რევოლუციონერი. უკიდურესი მემარცხენეობიდან უკიდურეს მემარჯვენეობისკენ რადიკალური შემობრუნება ერვესთვის პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მოხდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კლასობრივი ბრძოლა და მარქსისტული მატერიალიზმი ერვემ ძირითად წყაროდ გამოყო საფრანგეთის დაცემაში. ერვეს ომთაშორისი სოციალიზმი გამოკვეთილად ნაციონალისტურია. ამ პერიოდში ერვე ნაციონალიზმს და რელიგიას განიხილავდა, როგორც აუცილებელ ძალებს სოციალური სოლიდარობისათვის, რომლის გარეშე ფრანგები ვერ მოიპოვებდნენ სოციალურ სამართლიანობას. ერვე იმედოვნებდა მომავალში ევროპის სახელმწიფოების გაერთიანებას, შორეულ მომავალში კი მსოფლიოს სახელმწიფოების (Loughlin, 2003). ერვეს იდოლოგიური შემობრუნების მიუხედავად შემიძლია ავღნიშნო, რომ მისი ნაშრომები მაინც ხასიათდებოდა გარკვეული ამბივალენტურობით.

ზოგადად ერვეს კონცეფცია ევროპაცენტრულია და გასაგებია არჩილ ჯორჯაძის ერვესეული კრიტიკა, როდესაც ქართველი მოაზროვნე ხაზს უსვამს, რომ მხოლოდ ევროპელ ერებზე კონცეტრაცია არ არის საკმარისი ერებში ზოგადი პრობლემის გადასაწყვეტად. გუსტავ ერვეს თეორიით, იმ შემთხვევაში თუ ერთი სახელმწიფო კონფლიქტშია მეორესთან, ან ბრძოლაშია ჩაბმული გამარჯვების შემთხვევაში

დამარცხებული სახელმწიფოს ერი მნიშვნელოვანს არაფერს კარგავს. ეს ჰიპოთეზა მთლიანად ეფუძნება ევროპის მაგალითს, რადგან ერვე ხაზს უსვამს, რომ ევროპაში ყველგან ერთნაირი პირობებია დამყარებული, სწორედ ეს არ გამოიწვევს რომელიმე სახელმწიფოს დამარცხების შემთხვევაში დიდ განსხვავებას ერისთვის. ერვეს კონკრეტული მაგალითი გერმანიის მიერ ელზას ტერიტორიის დაპყრობაა, როდესაც გამარჯვებულმა სახელმწიფომ ქონების კონფისკაცია არ მოახდინა. აქედან გამომდინარე, ერვე აკეთებს დასკვანს, რომ დაპყრობილ ნაწილში მცხოვრები ერი არც ენას დაკარგავს, თუ ენის შენარჩუნების სურვილი აქვს. ერვესთვის ენის მარკერი უმნიშვნელოა. არჩილ ჯორჯაძე ამ ნაწილში ღიად აკრიტიკებს ერვეს და მის მოსაზრებას, რომ ენის დაკარგვას რამდენიმე საუკუნე სჭირდება და ეს მხოლოდ მაშინ ხდება, თუ ერი სასარგებლოდ მიიჩნევს სამშობლო ენის დაკარგვას. რაც მთავარია ერვე ხაზს უსვამს, რომ ენის დაკარგვის შემთხვევაშიც, ეს ერი ხომ აითვისებს სხვა ენას. აქედან გამომდინარე, გუსტავ ერვეს დასკვნით, ენის დაკარგვაც არ არის ერისთვის ტრაგიკული. ნაციონალური ხასიათის დაკარგვის შესახებ, ერვე აცხადებს, რომ ამგვარი რამ ნაკლებად სავარაუდოა დაპყრობის დროს ევროპაში, მაგრამ თუ ეს მოხდა არ იქნება პირველი შემთხვევა, რადგან არც ერთი ერი არ არის შეურეველი რასიული თვისებების მქონე. ეს არგუმენტი, რომ სუსტია, როგორც ენის დაკარგვის არგუმენტი, თავად ერვეც ხვდება ამიტომ ამატებს მსჯელობას დაშვებას, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ ასე მოხდება ეს არ იქნება პრობლემა და დიდი ტრაგედია, როდესაც ევროპის სახელმწიფოების მაგალითზე ვსაუბრობთ (ჯორჯაძე, 2013). ერვე განიხილავს სხვა ერის მარკერებსაც, როგორიცაა ისტორიული გამოცდილება, წინაპრების კულტი, სამშობლო... არც ერთ მათგანს ერვე არ მიიჩნევს ეროვნების შემქმნელად. ამ ნიშნებს ერთად აღებულს არ ჰქონდა ერის შექმნის ძალა, მაგრამ ერვეს თეზისით ეს მოახერხა სახელმწიფომ. გუსტავ ერვეს დეფინიციით ერი/სამშობლო არის ადამიანთა „მასა“, რომელიც ემორჩილება საერთო კანონს. ამ ნაწილში არჩილ ჯორჯაზე ეთანხმება ერვეს და თვლის, რომ ერის წარმოშობა აუცილებლად უკავშირდება სახელმწიფოს შექმნას, რომელსაც მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი ორგანოები, რომელთა შორისაც არის სამართალი, ანუ კანონი. არჩილ ჯორჯაძე ამატებს, რომ მართალია ჩამოთვლილი ნიშან-თვისებები არ იყო ერის შემქმნელი და არც მათი ერთიანობა,

მაგრამ ყოველი ეს მარკერი საჭირო ელემენტია ეროვნული ცნობიერების შექმნის პროცესში.

გუსტავ ერვესთვის ზედმეტია პატრიოტული გრძნობები და მიუღებელია სამშობლოს პრინციპები, რადგან მონობის გაუქმების შემდეგ, რაც დაპყრობილი ნაწილი ანუ ტყვეები არ ისჯებიან სიკვდილით, ღარიბ ფენას სამშობლოს დაცვის რეალური ინტერესი აღარ გააჩნია. მხოლოდ ერთ შემთხვევაში არის სავალდებულო სამშობლოს დაცვა და ომი ზნეობრივი პრინციპებიდან გამომდინარე, როდესაც მმართველი კლასები იწვევენ უცხოელებს საკუთარი პრივილეგიების დასაცავად.

გუსტავ ერვეს ამ თეორიას არჩილ ჯორჯაძე, სამართლიანად, ეროვნული პრობლემის გაანალიზებას არ უწოდებს, რადგან ერვე მხოლოდ ევროპაზეა ორიენტირებული. არჩილ ჯორჯაზე ამატებს, რომ დასავლეთ ევროპა ერთი კულტურული სხეულია და მიუხედავად იმისა რჩება შთაბეჭდილება, რომ ევროპა არის მზად ევროპის ფედერაციის დამყარებისთვის, მაინც ფაქტი სახეზეა, რომ იგივე ევროპა არ იქნება ეროვნულ ერთეულთა გაუქმების მომხრე, ამგვარი ფედერაციის შექმნა არც მოითხოვს ეროვნულ ერთეულთა გაუქმებას.

არჩილ ჯორჯაძე თავის მხრივ, ცდილობს ფედერაციის იდეის პოპულარიზებას, თუმცა ამის გარდა მთავარი მიდგომა მისი არის ევროპული თეორიების კრიტიკა, ნაწილობრივ ჯორჯაძე ეთანხმება ავტორებს, რომ სახელმწიფოს წარმოქმნის გარეშე ერის არსებობაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ ეს არ გულისხმობს იმას, რომ ერის მარკერების უგულებელყოფა და მათი მნიშვნელობის დაკნინება მყარი არგუმენტია სახელმწიფოს მნიშვნელობის გასაზრდელად ერის ფორმირებაში. არჩილ ჯორჯაძის ხაზგასმით, ეროვნული ცნობიერება ვერ ფორმირდება ისეთი საერთო ნიშნების გარეშე როგორიც მაგალითად ენა და ისტორიული გამოცდილებაა.

§1.4. ავსტრომარქსისტული ერის თეორიები და მათი გავლენა საქართველოში 1893-1917 წლებში

§1.4.1. ოტო ბაუერი: „ეროვნებათა საკითხი და სოციალ-დემოკრატია“

ავსტრომარქსისტ წარმომადგენლებს საქართველოში დიდი გავლენა ჰქონდათ 1893-1917 წლებში, როგორც ეროვნული პოზიციის დამცველ მოღვაწეებზე, ისე

სოციალ-დემოკრატებზე. მათ შორის, ვინც განიხილავს ოტო ბაუერის ერის თეორიას ერთ-ერთი მიხაკო წერეთელია.

მიხაკო წერეთელი აკრიტიკებს ოტო ბაუერის (1881-1938) ცნობილ ერის განსაზღვრებას, რადგან ეს განსაზღვრება მისთვის ამტკიცებს მხოლოდ ერის არსებობა და მეტს არაფერს. ოტო ბაუერის დეფინიციით ერი არის ხასიათის შედარებითი ერთობა, რადგან ეს ფართო ცნებაა ამატებს, რომ ამ ეროვნულ ხასიათში მოიაზრება სულიერი და ფიზიკური ნიშნების ერთობლიობა, რომელიც ყველა ერს აქვს, მაგარამ ყველა ერისთვის ინდივიდუალურია. ეროვნული ხასიათის განმსაზღვრელად ოტო ბაუერს ნების წყობილება მიაჩნია, რაც ხსნის იმას, რომ ერთი და იგივე მოვლენა და საგანი სხვადასხვა ერში განსხვავებულ რეაქციას იწვევს. მიხაკო წერეთელი ამ მახასიათებლის შემოტანასაც აკრიტიკებს, რადგან ის მხოლოდ ერების ერთმანეთისგან გარჩევის საშუალებაა. ოტო ბაუერის ერის თეორია მიხაკო წერეთლისთვის მიუღებელია.

მიხაკო წერეთლის გარდა, ალექსანდრე ჯანელიძეც განიხილავს ოტო ბაუერის ერის თეორიას საკუთარ ნაშრომში „ეროვნულ შემოქმედება“. ალექსანდრე ჯანელიძე, ოტო ბაუერის ნაშრომის გაცნობის შემდეგ, აღნიშნავს, რომ ბაუერი სრულად არ უარყოფს ტერიტორიის მნიშვნელობას. განსაკუთრებით ალექსანდრე ჯანელიძე ყურადღებას ამახვილებს ბაუერის მიერ განხილულ ებრაელების მაგალითზე. ოტო ბაუერი თვლის, რომ ებრაელების შემთხვევაში აუცილებელია ასიმილაცია, რადგან არ აქვთ ტერიტორია და კაპიტალიზმის განვითარების პარალელურად ისინი ვერ შეინარჩუნებენ ეროვნულ სახეს. ფეოდალურ საზოგადოებაშიც უცხო ელემენტი იყო ებრაელი ერი, ისინი ვერ ეგუებოდნენ მასპინძელი ერის ცხოვრებას საერთო ტერიტორიის მიუხედავად. საერთო ეკონომიკურ მოწყობაზე გადასვლის შემდეგ ებრაელები და ქრისტიანები კაპიტალისტური ორგანოების წარმომადგენლებად იქცნენ და ამჯერად საერთო ტერიტორია მათ შორის მჭიდრო ურთიერთობას აყალიბებდა და ებრაელი ეროვნების გადარჩენა თითქმის შეუძლებელი გახადა ამან (ჯანელიძე, 1997)

1893-1917 წლებში ავსტრომარქსისტების გავლენას განიცდიდნენ, როგორც ეროვნული პოზიციის დამცველები საქართველოში, ასევე ქართველი სოციალ-

დემოკრატებიც. ეს გავლენა არ ეხებოდა სოციალ-დემოკრატების ყველა წარმომადგენელს, მაგრამ მათი ნაწილი ხაზს უსვამდა ავსტრომარქსიზმის მნიშვნელობას და იზიარებდა ოტო ბაუერის თეორიას. მენშევიკების იმ ნაწილს შორის, რომელზეც გარკვეული გავლენა ჰქონდა ავსტრომარქსიზმს უნდა დავასახელო ნოე ჟორდანია, მაგრამ არა მთლიანად მისი მოღვაწეობის განმავლობაში, არამედ 1913 წლიდან, როდესაც მისმა შეხედულებებმა დაიწყო შემობრუნება „მესამე დასის“ დაარსებისას წამოყენებული პროგრამისკენ. უფრო კონკრეტულად, 1913 წელს ნოე ჟორდანიას სტატიაში „ნაციონალური კითხვა ჩვენში“ ახსნილი აქვს თუ რატომ ანიჭებს უპირატესობას პერსონალურ პრინციპს ტერიტორიულთან შედარებით. ტერიტორიულის უარსაყოფად იყენებს ოტო ბაუერის მოსაზრებას, რომ ტერიტორიული პრინციპი თანამედროვე სახელმწიფომ დააყენა, რომლის ფარგლებშიც დომინანტი ერია პრიორიტეტული, სხვა ერები ემორჩილებიან მას. აქედან გამომდინარე, ტერიტორიული პრინციპი არ ქმნის თანასწორობას ერებს შორის. ერის დეფინიციაზე საუბრისას ხშირად დგება საკითხი ასიმილაციის შესახებ. ნოე ჟორდანიას ამ მიმართულებით საკუთარი აზრის გასამყარებლად სწორედ ოტო ბაუერის მოსაზრება მოჰყავს, რომ სხვა ერში „გათქვეფას“ კულტურული ავტონომია, ვერ შეაჩერებს და უფრო მეტიც, დამოუკიდებელი სახელმწიფოც კი ვერ შეაჩერებს ამ პროცესს, თუ ამის შესაფერისი პირობები არსებობს. სტატიის დაწერის პერიოდში ნოე ჟორდანია კულტურულ ავტონომიას ითხოვდა საქართველოსთვის (ჟორდანია, 2022).

ნოე ჟორდანიას გარდა ვლადიმერ დარჩიაშვილის ეროვნულ თეორიაშიც იკვეთება ოტო ბაუერის გავლენა. ვლადიმერ დარჩიაშვილი აღნიშნავს, რომ ერის წევრებისთვის დამახასიათებელია საერთო ფსიქიკური და ფიზიკური თვისებები, ეს ერთობის საერთო ხასიათია, რასაც ვლადიმერ დარჩიაშვილი ნაციონალურ ხასიათს უწოდებს. ამ დეტალშია გამეორებული ოტო ბაუერის შეხედულება. სწორედ ეს საერთო ფიზიკური და ფსიქიკური თვისებების მთელი სერია ერთად აღებული არის ნაციონალური ხასიათი. ყველა სხვა მახასიათებელი ენა, თუ კულტურა გამოხატულებაა ამ ნაციონალური ხასიათის. ეს დეტალი ზუსტად იმეორებს ოტო ბაუერის თეორიას, რომელიც ასევე მიიჩნევს ყველა სხვა მახასიათებლებს უბრალო გარემო ფაქტორად. ვლადიმე დარჩიაშვილი იმეორებს ოტო ბაუერის არგუმენტსაც,

რომ სხვადასხვა ერს განსხვავებული რეაქცია აქვს ერთი და იგივე გარემოში, სხვადასხვა ერს განსხვავებული ხასიათი აქვს.

ავსტრიელი ავსტრომარქსისტის ოტო ბაუერის ცნობილი ნაშრომი „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრტია“ 1907 წელს პირველად გამოქვეყნდა გერმანიაში და გახდა ერთადერთი ნაშრომი კლასიკური მარქსიზმიდან, რომელიც არ იყო თარგმნილი ინგლისურად სრულად 2000 წლამდე. ამ ნაშრომის პირველი გამოქვეყნებისთანავე ბაუერი ნაციონალიზმის თეორიული და ისტორიული განხილვების წინა პლანზე ექცევა.

ოტო ბაუერის ანალიზი ერის შესახებ ისეთი დეტალებითაა დატვირთული, რომელიც დაწვრილებით განხილვას საჭიროებს. შეიძლება ვთქვათ ისიც, რომ ეროვნებათა საკითხი, რომელიც ბაუერმა განიხილა წარმოადგენს ყველაზე ყოვლისმომცველ პოლემიკას ერებსა და ნაციონალიზმის შესახებ, რაც კი ოდესმე უნახავს მარქსისტულ ტრადიციას. ორთოდოქსმა და დოგმატიკოსმა მარქსისტებმა ბაუერი მკაცრად გააკრიტიკეს ერის თეორიის გამო. კრიტიკოსთა შორის იყო სტალინი, რომელმაც ოტო ბაუერის ერის თეორია განიხილა ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“. ოტო ბაუერის ერის თეორიისადმი ყურადღება გაორმაგდა მას შემდეგ, რაც ავსტრომარქსისტი თეორეტიკოსი სტალინმა გააკრიტიკა. ოტო ბაუერი იმ ნიშან-თვისებებს, რასაც სტალინი ერის განმსაზღვრელად მიიჩნევს, უწოდებს მხოლოდ ერის ცხოვრების პირობებს, ოტო ბაუერისთვის ეროვნული ხასიათია ერის განსაზღვრის მთავარი ნიშანია. სტალინის შეფასებით, ოტო ბაუერის ერის დეფინიცია მისტიკურია.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებულ წიგნში ტროცკისტი მწერალი მაიკლ ლოვი ნანობს მის მიერ ბაუერის მწვავე ადრეულ კრიტიკას. ანანიადისი კი თავის გამოუქვეყნებელ ნაშრომში ამბობდა, რომ ბაუერის ამ ნაშრომის მიზანი იყო განევითარებინა თეორიული და ისტორიული არგუმენტები, რომლებიც ირიბად ადასტურებდნენ, რომ მრავალეროვნული სახელმწიფო პოლიტიკური ორგანიზაციის საუკეთესო ფორმაა (Bauer, 2000).

ოტო ბაუერი საკუთარ ერის კონცეფციას კამათში და დისკუსიაში აყალიბებდა. ერთ-ერთი ასეთი კამათი გაიმართა ავსტრომარქსისტებს და ნეო-კანტიანელებს

შორის. სწორედ ამ დებატებმა ითამაშა გადამწყვეტი როლი იმ ანალიტიკური კატეგორიების გენერირებაში, რომელმაც საშუალება მისცა ბაუერს ერის საკუთარი თავდაპირველი კონცეფცია შეემუშავებინა. ბაუერის მთავარი მიზანი იყო, ნათელი განსხვავება ერს და სახელმწიფოს შორის და უარის თქმა ერი-სახელმწიფოს მოდელის მიღებაზე, როგორც ეროვნული კონფლიქტების გადაწყვეტის გამოსავალზე. მისი თანამედროვეობისთვის ეს ხედვა უჩვეულოდ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რადგან ბაუერის მოღვაწეობის პერიოდი იყო დრო, როდესაც ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული სახელმწიფოს სტატუსს ეკავა უკონკურენტო ჰეგემონური მდგომარეობა, ეს იყო პერიოდი, როდესაც ეროვნული-სახელმწიფო და ლიბერალიზმი განუყოფლად იყო დაკავშირებული.

ოტო ბაუერი ცდილობდა აეხსნა ეროვნული მახასიათებლები და განსხვავებები, როგორც კულტურული დიფერენციაციისა და ინტეგრაციის რთული პროცესის შედეგი. მან ეროვნული საზოგადოების არსებობის გამოხატულებას ერის თითოეულ წევრში უწოდა „ეროვნული ხასიათი“. ოტო ბაუერის განსაზღვრებით, ეროვნული ხასიათი აკავშირებს ეროვნული საზოგადოების წევრებს მოცემულ ისტორიულ პერიოდში. ეროვნული ფასეულობები უცვლელად მემკვიდრეობით არ გადაეცემა თაობებს, მაგრამ აწმყოში თაობები ვაკუუმში არ მოქმედებენ. ეროვნული ხასიათიც არა არის უცვლელი და შეიძლება შეიცვალოს ისტორიული გარემოებების გავლენით და თანამედროვე გამოცდილებით. მხოლოდ წინა თაობებზე და მათ ღვაწლზე სწორედ ამ მიზეზით არ ფოკუსირდება ოტო ბაუერი. ოტო ბაუერს შემოაქვს ორი დროის განზომილების კვეთა ეროვნული ხასიათის ცნების განსაზღვრისას: წარსულის და აწმყოსი (Bauer, 2000).

ოტო ბაუერს მიაჩნდა, რომ საერთო ეროვნული ხასიათი არ არის ის, რაც ქმნის ეროვნულ საზოგადოებას, არამედ ის არის მხოლოდ მისი კონკრეტული გამოხატულება. გამოდის, რომ ეროვნული ხასიათი სოციალიზებული არსებობის ერთ-ერთი გამოხატულებაა, ეს არის სოციალური რეალობის წარმოდგენა თითოეულ ეროვნულ სუბიექტში. მის თეორიაში ეროვნული საზოგადოება ხასიათდება იმით, რომ მისი წევრების იდენტობა ჩამოყალიბებულია ისტორიული ძალების მოქმედებით მოცემული საზოგადოების თითოეულ წევრზე.

ბაუერის თეორიის მეორე ძირითადი კონცეფცია დაახლოებით ასე გამოიხატება: ერი არის „ბედის ერთობით შექმნილი საზოგადოება“. ბედის ცნებას მანამდე იყენებდნენ ედუარდ ფონ ჰარტმანი და ფრიდრიხ ნიცშე, ორივე ამ დეფინიციაში გულისხმობდა მოვლენებს, რომელიც შეიძლება არ იყოს სასურველი, მაგრამ მაინც ხდება წინასწარდაგეგმილი მოქმედების გარდა, ინდივიდები კი მაინც განიცდიან ამ ქმედებების გავლენას (Bauer, 2000).

ოტო ბაუერის შეხედულებით, ერი ხასიათის შედარებითი ერთობაა, ანუ ერის წევრების საერთო მახასიათებლების სპექტრი, ამ მახასიათებლების ნაწილი განსაზღვრავს ერის ინდივიდუალობას, ამ მახასიათებლებით განსხვავდებიან ერები ერთმანეთისგან. ჩემთვის მნიშვნელოვანი დეტალი იყო ბაუერის თეორიაში ის, რომ ერის წევრებს საერთო მახასიათებლების მიუხედავად აქვთ განსხვავებული ინდივიდუალური მახასიათებლები, ამიტომ ერი არ გამოდის ხასიათის აბსოლუტური ერთობა. ინდივიდები კი განსხვავდებიან ერთმანეთისგან მაგალითად, კლასობრივი და პროფესიული ნიშნით (Bauer, 2000).

ნება, ოტო ბაუერის თანახმად, ამ ეროვნული ხასიათის ნაწილია. აღქმის ნებისმიერ პროცესში გამოიხატება ნება, როდესაც ფენომენების მრავალფეროვნებიდან ვირჩევთ კონკრეტულ მათგანს და აღვიქვავთ, ვაცნობიერებთ მხოლოდ მათ. ოტო ბაუერს მოჰყავს გერმანელის და ინგლისელის მაგალითი, თუ ორივე მათგანი იმოგზაურებს ერთსა და იგივე ადგილას, სამშობლოში განსხვავებული შთაბეჭდილებებით დაბრუნდებიან. თუ გერმანელი და ინგლისელი მეცნიერი ირჩევს საკვლევად იგივე საკითხს, მაინც მათი საკვლევი მეთოდები, მიზნები და შედეგები განსხვავებული იქნება. ამ გადაწყვეტილებების მიღების დროს კარგად ჩანს ნების მნიშვნელობა, რომელიც თავის მხრივ, ნამდვილად განმსაზღვრელია ეროვნული ხასიათის არსის (Bauer, 2000).

ნების გამოყენებით ბაუერი ეროვნული ხასიათის ვიწრო გამოყენების კონცეფციას იღებს, რომელიც მხოლოდ ნების განსხვავებულ ორიენტაციებს ასახავს ერის ცხოვრებაში. ამ კონცეფციის თანახმად იგივე გარემო პირობებში ერი განსხვავებულად იქცევა და სხვადასხვა გადაწყვეტილებებს იღებს. ეს განსხვავებები განპირობებულია ერის მახასიათებლებით ან თაობიდან თაობის მიერ შეძენილი

თვისებებით. ამით ავტორი იღებს ერის, როგორც ბედის ერთობის განსაზღვრებას. ამ ცნებაში ბაუერი არ გულისხმობს ბედის მსგავსებას, არამედ მხოლოდ საერთო გამოცდილებას. ბედის ტანჯვით, ბედის ერთობით დაკავშირებული საზოგადოება ქმნის ერს. იმანუელ კანტის მიხედვით, ერთობა ნიშნავს *„ზოგად ორმხრივს ურთიერთქმედებას“.* ოტო ბაუერთან მხოლოდ ზოგადი ორმხრივი ურთიერთქმედების კონტექსტში იქმნება ბედის გამოცდილება, მუდმივი, თანაზიარი ერთობა კი ქმნის ერს (Bauer, 2000).

ბაუერის განსაზღვრებით, ერი ხასიათის ის ერთობაა, რომელიც წარმოიქმნება და ვითარდება ბედის ერთობით. ბაუერი საუბრობს ენის მნიშვნელობაზეც, რადგან საერთო ენა აყალიბებს მჭიდრო ერთობას, მაგრამ მხოლოდ ენის ერთობა არ არის ეროვნული ერთიანობის გარანტი. ოტო ბაუერი განიხილავს ორ საშუალებას, რაც წარმოქმნის პირობებს ადამიანთა არსებობისთვის ბრძოლის პროცესში და რაც აყალიბებს ინდივიდებს ეროვნულ საზოგადოებად ბედის ერთობაში. არსებობს საგვარეულო პირობები, რომელიც თვისობრივად განსაზღვრავს „ჩანასახის პლაზმას“, რომელიც აკავშირებს თაობებს ერთმანეთთან. ერის მახასიათებლების შერჩევა, რომელიც მემკვიდრეობით გადადის ერთობის არსებობისთვის ბრძოლის პირობებში შეირჩევა ბუნებრივად. ამის მიუხედავად, ერის ხანგრძლივი არსებობა, როგორც ბუნებრივი საზოგადოების მოითხოვს არა მხოლოდ სისხლის კავშირს, არამედ ასევე, საზოგადოების შენარჩუნებას უწყვეტი დაწყვილების გზით ახლო ნათესავებს შორის (Bauer, 2000).

ამ ყველაფრის მიუხედავად, ოტო ბაუერი აღნიშნავს, რომ ინდივიდის ხასიათი განისაზღვრება კულტურით, რომელსაც გავლენა აქვს ინდივიდზე: განათლებით, კანონებით, წეს-ჩვეულებებით, რელიგიით, ეთიკით, მეცნიერებით, პოლიტიკით... ოტო ბაუერი გამოყოფს კულტურული ელემენტების ზეპირად გადაცემის როლს ერის ფორმირებაში. ერი არასდროს არის მხოლოდ ბუნებრივი ერთობა, ის კულტურული კავშირია. ბაუერის დასკვნით, კულტურის შემთხვევაშიც მუდმივად მიმდინარე ურთიერთქმედება ერთობის წევრებს შორის ინარჩუნებს ხასიათის ერთობას. ბაუერი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ენის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ კულტურულ ერთიანობას ერი ვერ შეინარჩუნებს საერთო ენის გარეშე. ოტო ბაუერი არ გამორიცხავს ბუნებრივი და კულტურული ერთობის დამთხვევას ერთმანეთთან. წინაპრების ბედი

შეიძლება გახდეს შთამომავლობის მახასიათებელი. ეს არ უნდა გავიგოთ ისე თითქოს ბაუერი საუბრობს ამ კულტურული ერთობის ბუნებრივთან მუდმივ დამთხვევაზე ერის ცხოვრებაში. კულტურული ერთობის შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა საერთო ეთნიკურ კუთვნილებას და წარმოშობას. კულტურული ერთობისთვის გადამწყვეტია, ამ კულტურის მთავარი მახასიათებლების გაზიარება ინდივიდის მხრიდან და რაც უფრო სწრაფად ხდება ამ მახასიათებლების მიღება, მით უფრო სწრაფად ხდება ინდივიდი იმ ერის წევრი, რომლის კულტურასაც აქვს მასზე გავლენა. აქ, ჩანს ნების და არჩევანის მნიშვნელობა ოტო ბაუერის ერის კონცეფციაში, რადგან ის თუ, რომელი კულტურის გავლენის ქვეშ მოექცევი ადამიანის არჩევანია (Bauer, 2000).

შევაჯამებ ბაუერის თეორიას და ვიტყვი, რომ, მისი მოსაზრებით, ერი ორი განსხვავებული გზით ხდება, რომელთაგან ერთი ბუნებრივი გზაა, ანუ მემკვიდრეობით მიღებული მახასიათებლები. ხოლო მეორე გზა არის საერთო კულტურის მახასიათებლების გადაცემა, რომლებიც არიან ამ კულტურის წევრები ან პოტენციური წევრები და რომელთაც კავშირს ამყარებს საერთო ენა. ბუნებრივი ერთიანობა, კულტურული ერთიანობის გარეშე, როგორც რასა შეიძლება იყოს ანთროპოლოგების კვლევის საგანი, მაგრამ მხოლოდ მას ერის წარმოქმნა არ შეუძლია.

ოტო ბაუერის მტკიცებით, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ გავიგებთ ხასიათის ერთობას, ისეთ ფენომენად, რომელიც განვითარებულია ბედის ერთობისგან, შეგვეძლება ხასიათის ერთობის ზუსტი მნიშვნელობის გაგება. ეროვნული ხასიათი, რომელიც ბაუერის კონცეფციის მთავარი ცნებაა, ჩამოყალიბების და განმტკიცების შემდეგ თავად ხდება ისტორიული ძალა. ნაციონალურ ხასიათებს შორის განსხვავებები ნათლად ასახავს ნების განსხვავებას. თავად ეროვნული ხასიათი გვევლინება, როგორც უბრალო საშუალება, რომლითაც წინაპრების ისტორიას გავლენა აქვს შთამომავლების ცხოვრებაზე, აზროვნებაზე, გრძნობებზე, სურვილებზე და ქმედებებზე (Bauer, 2000).

ოტო ბაუერის დასკვნით ერი ჩნდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყალიბდება და ვითარდება შრომითი ურთიერთობები, შრომის დანაწილების მექანიზმი იქმნება და შრომის დანაწილების წესი ინდივიდუალური ხასიათისაა ყველა ერისთვის. რა თქმა უნდა, ნათელია აქ მონაკვეთში მარქსის გავლენა, რადგან ერების მიზანი გამოდის

გარშემო ბუნებრივი პირობების გარდაქმნა და ამით როგორც ინდივიდუალური ერის, ასევე მთლიანი კაცობრიობის განვითარება.

ოტო ბაუერის ერის თეორია რთული და მრავალი ასპექტის მომცველია, მაგრამ არსებობს მთავარი პრობლემა, რომელსაც მისი წაკითხვისას ვაწყდებით. მის ერის თეორიაში არ არის განსაზღვრული განსხვავება ეროვნულ ხასიათს და იმ კონცეფციებს შორის, რასაც დღეს ჩვენ ვუწოდებთ ეთნიკურ და ნაციონალურ იდენტობას.

§1.4.2. კარლ რენერი და მისი თეორია ერის შესახებ

ოტო ბაუერის განხილვა ხშირად ხდება კარლ რენერთან ერთად (1870-1950), რადგან მათი მოსაზრებები ეროვნული საკითხის შესახებ გარკვეულწილად ავსებს ერთმანეთს. საქართველოში ოტო ბაუერის პოპულარობამდეც თარგმნიდნენ კარლ რენერს, რომელიც პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისში ფსევდონიმებით აქვეყნებდა სტატიებს, მისი ყველაზე ცნობილი ფსევდონიმი კი რუდოლფ შპრინგერი იყო.

რუდოლფ შპრინგერს დაწვრილებით განიხილავს მიხაკო წერეთელი ნაშრომში *„ერი და კაცობრიობა“.* მიხაკო წერეთლისთვის ნათელია, რომ შპრინგერის ნააზრევი სამართლებრივი სფეროს გადმოსახედიდანაა დაწერილი, მაგრამ წერეთელზე მაინც დიდ გავლენას ახდენს რენერის „პერსონალური პრინციპი“, რომელიც მისი მხრიდან არის საშუალება მრავალეთნიკურ სახელმწიფოში ეროვნული კონფლიქტების გადაწყვეტისა. რუდოლფ შპრინგერი არ თვლის, რომ ერების გათავისუფლებისთვის სასარგებლო იქნება სახელმწიფოების დაშლა. მიხაკო წერეთელი განიხილავს რუდოლ შპრინგერის ნაშრომს „ერის უფლება“, რომლის სახელწოდებაც რეალურად არის „ნაციონალური პრობლემა“ და ასკვნის, რომ შეუძლებელიცაა ერის პრობლემის გადაწყვეტა სახელმწიფოების დაუშლელად (წერეთელი, 1990).

სოციალ-დემოკრატებიც აქტიურად განიხილავდნენ ავსტრომარქსისტების თეორიებს. ნოე ჟორდანიას 1913 წელს გამოსული სტატიების სერიით „ნაციონალური კითხვა ჩვენში“ ნათელი გახდა, რომ ის იზიარებდა რუდოლფ შპრინგერის პერსონალურ პრინციპს და უარყოფდა ტერიტორიულს, იმოწმებდა სწორედ რუდოლფ შპრინგერის მოსაზრებას, რომ ტერიტორიული პრინციპი მხოლოდ ბრძოლის მომტანია (ჟორდანია, 2022). რუდოლფ შპრინგერის ზეგავლენა ნოე

ჟორდანიაზე არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ჟორდანია მისი პრაქტიკული მოდელის ერთი-ერთში გადმოტანას ითხოვდა ამიერკავკასიაში. ნოე ჟორდანია თვლიდა, რომ შეიძლებოდა ამ მოდელის მორგება და შეცვლა ამიერკავკასიის მაგალითზე, მაგრამ პერსონალური პრინციპი, რომ ამ მოდელის საფუძველი იქნებოდა ეს იყო ის ასპექტი, რომელშიც დარწმუნებული იყო ნოე ჟორდანია.

საქართველოში ეს ავტორი, რომ პოპულარული იყო, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ 1905 წელს *„ცნობის ფურცელმა“* რამდენიმე ნომერში თარგმნა რუდოლფ შპრინგერის *„ერი და სახელმწიფო“.* სტატიაში ავტორი ხაზს უსვამდა, რომ როდესაც ერი დამოუკიდებელი და თავისუფალია და როდესაც ერი ცალკე სახელმწიფოს შეადგენს, მაშინ არ იბადება ეროვნული კითხვები. ეს კითხვა მწვავედ დგება, როდესც ერთ სახელმწიფოში რამდენიმე ერი ცხოვრობს, რომელთაგან ერთია დომინანტი. მთავარი ეროვნული კითხვა, შპრინგერის მოსაზრებით, ასე ჟღერს: როგორი ურთიერთმიმართება უნდა ჩამოყალიბდეს ერსა და სახელმწიფოს შორის, რომ ერს შეეძლოს თავისუფალი განვითარება და სახელმწიფო ცხოვრებაც შეუფერხებლად მიმდინარეობდეს?! (შპრინგერი, 1905).

რუდოლფ შპრინგერი აღნიშნავს, რომ ეროვნული ინტერესი შინაარსით და სიძლიერით ერთი და იგივე არაა ყველა წევრისათვის, მაგრამ ყოველი ერის ყველა წევრს აქვს განსაზღვრული საერთო ეროვნული ინტერესი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ინტერესი უფრო ძლიერია, ვიდრე სხვა მიმართულების ინტერესი მაგ. ეკონომიკური. საინტერესო მაგალითი მოჰყავს შპენგლერს: როდესაც ეროვნული კავშირი თავისუფლად ფუნქციონირებს მაგ. ერთიან ეროვნულ სახელმწიფოში საერთოდ არ იკვეთება პრიორიტეტულ საკითხად ეროვნული ინტერესი შიდა პოლიტიკაში, რადგან ეროვნულ მოთხოვნილებებს სახელმწიფო აკმაყოფილებს, მაგრამ თუ სახელმწიფოში რამდენიმე ერი ცხოვრობს, რომელთაგან ერთი დომინანტია და სახელმწიფო არ აკმაყოფილებს თითოეული ერის ეროვნულ ინტერესებს, მაშინ ეროვნული ინტერესი მწვავედ დგება შიდა პოლიტიკაში. რუდოლფ შპრინგერი მივიდა ჰიპოთეზამდე, რომ ეროვნული ინტერესი კოლექტიური ხასიათისაა და მისი დაკმაყოფილება შესაძლებელია იძულებითი კავშირის მეშვეობით. ეროვნულ სახელმწიფოში ამ ინტერესს თავად სახელმწიფო აკმაყოფილებს, რადგან ეროვნული ინტერესი იგივე სახელმწიფო ინტერესია, მაგრამ რამდენიმე ერის ერთ სახელმწიფოში

გაერთიანების შემთხვევაში ვხვდებით სახელმწიფო ინტერესებს, რომელიც თითოეული ამ ერისთვის საერთოა, როცა მათი ეროვნული ინტერესები განსხვავებულია ერთმანეთისგან (შპრინგერი, 1905).

ავსტრომარქსისტი თეორეტიკოსის აზრით, ერი არის ორგანული კავშირი და თუ ერს საკუთარი ნების გამომხატველი სახელმწიფო ორგანოები არ აქვს მასში მუდამ იქნება მისწრაფება საკუთარი სახელმწიფოს შექმნისაკენ. საინტერესოა ის, რომ შპრინგერი იმოწმებს იოჰან კასპარ ბლუნჩლის სიტყვებს: *„ყოველი ერის მოწოდება და უფლებაა საკუთარი სახელმწიფო შექმნას. რამდენი ერისგანაც შესდგება კაცობრიობა, მსოფლიოც იმდენ სახელმწიფოდ უნდა იყოს დაყოფილი: ყოველი ერი სახელმწიფო უნდა იყოს და ყოველი სახელმწიფო ერთი ერისგან შედგებოდეს“* (შპრინგერი, 1905, გვ. 3). თავის მხრივ შპრინგერი ამატებს, რომ სახელმწიფოს შექმნის უფლება ერისთვის ბუნებრივი უფლებაა, რომელსაც არ გასცვლის, თუნდაც პიროვნების თავისუფლების უზრუნველყოფაზე. ის თვლის, რომ ეროვნული პრობლემის სრული უმეცრებაა, როდესაც ფიქრობენ, რომ საკმარისია სახელმწიფოს მიერ ინივიდის ენის და თავისებურობის დაცვის უფლების მინიჭება, რადგან ყოველ ერს ერთი მთლიანობად ყოფნის მისწრაფება აქვს, რომელიც დამოუკიდებელია. როდესაც მას მმართველი ჰყავს, ერი დაიწყებს პოლიტიკურ ბრძოლას და ეცდება ამ ბრძოლით მთლიანობის და ავტონომიის მიღწევას.

რუდოლფ შპრინგერის მოსაზრებით, სახელმწიფოს და ერის კომპეტენციები უნდა გაიმიჯნოს, როგორც სახელმწიფოს და რელიგიის შემთხვევაშია. სახელმწიფომ განსაზღვრა ეკლესიის მოქმედების ჩარჩო, იგივე უნდა მოხდეს ერის შემთხვევაშიც. სეკულარიზაციაზე გაკეთებული აქცენტი შპენგლერის მხრიდან საინტერესოა, რადგან ამ ასპექტზე ყურადღების გამახვილება არ არის ხშირი მახასიათებელი შპენგლერის თანამედროვეობაში შექმნილ ერის თეორიებს შორის. ერის შემთხვევაში ამ კომპეტენციის მკაცრად დადგენა უფრო რთული იქნება და ეს არ უნდა გადაწყდეს ერის ტერიტორიული გამოყოფით, მაგრამ ერს შეუძლია იცხოვროს საკუთარ ტერიტორიაზე, როცა ვერ ახერხებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, და ჩაერთოს სახელმწიფოს მართვაში. ტერიტორიული პრინციპის აღება ფუნდამენტად რეალობაში გამოიწვევს მეტ კონფლიქტს, რადგან მშობლიური ტერიტორიის გარეთ მცხოვრები ერის წევრები მუდმივ კონფლიქტებში იქნებიან ჩართული.

ტერიტორიული პრინციპის დაუსრულებელ ბრძოლასთან და კონფლიქტთან გაიგივება შპრინგერის მიერ გამომდინარეობდა ავსტრიის მაგალითით, შპენგლერი ითვალისწინებს ავსტრიის რეალობას, რომელშიც სტატიის გამოქვეყნების პერიოდში ასეთი კონფლიქტი ორმოცდაათი წელი გრძელდებოდა. სწორედ გარემო ფაქტორების და საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების დაცვით შპრინგერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეროვნება არ არის დამოკიდებული ტერიტორიაზე. ეს დასკვნა არ იყო მარტივად მისაღები სამეცნიერო და პოლიტიკური ელიტისთვის იმ პერიოდში, რადგან პოპულარული იყო ერის კონკრეტულ ელემენტზე მიჯაჭვულობა, ან ელემენტთა ერთობლიობაზე. ხშირ შემთხვევაში ასეთი ელემენტებიდან ერთ-ერთი მაინც იყო ტერიტორია. ამიტომ შპრინგერის ეს თეორია რეზონანსული იყო და მას ბევრი კრიტიკაც მოჰყვა. ერის ცნების შინაარსი მისთვის კულტურული საზოგადოებაა, რომელიც აღარ არის ტერიტორიზე მიჯაჭვული. სოციალური ურთიერთობები, შპრინგერის შეხედულებით, უფრო მნიშვნელოვანი გახდა, რადგან ჯგუფის წევრების ერთმანეთთან ურთიერთობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი მიჯაჭვულობა ტერიტორიასთან. ამ პროცესში დიდი წვლილი მიუძღვის გლობალიზაციას და რენერიც არ უარყოფს ამას. საბოლოოდ ასკვნის, რომ ერი პიროვნული კავშირია და არა ტერიტორიული (შპრინგერი, 1905).

შპრინგერის ერის თეორია ისე არ უნდა გავიაზროთ, რომ მასთან მთლიანად უარყოფილია ტერიტორიის მნიშვნელობა ეროვნებისთვის, მეტად ისტორიული ტერიტორიის უარყოფაზეა გამახვილებული ყურადღება. ისტორიული ტერიტორიის მთლიანობის ნაცვლად პრიორიტეტული უნდა იყოს წმინდა ეროვნული მთლიანობა. ამ მიმართულებით მიდიან წმინდა ეროვნული ავტონომიის მომხრეებიც. ისინი ამტკიცებენ, რომ ერი არის ტერიტორიისაგან დამოუკიდებელი პიროვნებათა კავშირი, რომელთაც აერთიანებს გრძნობა, აზრი და სალაპარაკო ენა.

ოტო ბაუერის და კარლ რენერის მიერ შემოთავაზებული კულტურულ-ეროვნული ავტონომია დაფუძნებულია წინაპირობაზე, რომ ეთნიკური და ეროვნული საზოგადოებები შეიძლება ორგანიზდეს ავტონომიურ ერთეულებად მრავალეროვნულ სახელმწიფოებში საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინების გარეშე. უმეტეს ნაციონალურ თეორიებში, ეროვნული ავტონომია მოითხოვს ტერიტორიულ ბაზას დამოუკიდებელი ეროვნული საზოგადოებისათვის. ბაუერის და

რენერის თეორია ეყრდონა არატერიტორიული ეროვნული ავტონომიის იდეას. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებები ორგანიზებულია, როგორც სუვერენული კოლექტივები, როგორიც არ უნდა იყოს მათი საცხოვრებელი ადგილები მრავალეროვნულ სახელმწიფოში. დამოუკიდებელი საზოგადოებები მოწყობილნი არიან დემოკრატიულად და ეფუძნებიან ინდივიდუალურ თანხმობას, რომ ეკუთვნოდენ ამ სახელმწიფოს. კარლ რენერი ამტკიცებდა, რომ სხვადასხვა ეროვნული თემის წევრებს შეეძლოთ თანაეცხოვრათ საკუთარი განსხვავებული ინსტიტუტებით და ეროვნული ორგანიზაციებით, იმ პირობით, რომ ისინი არ გამოაცხადებდნენ ტერიტორიულ ექსკლუზიურობას. ეროვნული-კულტურული დამოუკიდებლობის მოდელი აღიარებს, რომ ეროვნული ჯგუფები მოთხოვენ მათი სპეციფიკის და განსხვავების აღიარებას და ეს მიიღწევა იურიდიულად გარანტირებული ავტონომიური და სუვერენული კორპორაციების არსებობით. ეს თეორია უარყოფს ტერიტორიაზე ეთნიკური და ეროვნული ექსკლუზიურ კონტროლის იდეას (Bauer, 2000).

კარლ რენერმა მის მიერ ჩამოყალიბებულ სისტემას უწოდა *„პიროვნული პრინციპი“,* რადგან ის მიუთითებდა მისი წევრების ფართო პიროვნულ არჩევანზე, რომ მონაწილეობა მიეღოთ კონკრეტულ ეროვნულ ასოციაციაში. ამ სისტემას რენერმა დაუპირისპირა *„ტერიტორიული პრინციპი“,* რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე ერი-სახელმწიფოსთვის. ბაუერის და რენერის შემოთავაზებული მოდელი კარგად შეესაბამება უმცირესობის მოთხოვნას მნიშვნელოვან ავტონომიაზე, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ შეუძლიათ იყონ დამოუკიდებელნი, რენერის შექმნილი სისტემა დააკმაყოფილებს მათი საჭიროების უმეტესობას. კულტურული უფლებების აღიარების ეს ფორმა აძლევს სხვადასხვა ეთნიკურ და ეროვნულ საზოგადოებებს იმის საშუალებას, რომ მათი იდენტობა აღიარებული და დადასტურებული იყოს სახელმწიფოს ძირითად ინსტიტუტებში. ჯეიმს ტულიც აღნიშნავდა, რომ პოლიტიკური აღიარება უმცირესობების არის საუკეთესო გზა, რომ უზრუნველყო კონსტიტუციისადმი ლოიალობა კულტურულად მრავალფეროვან სახელმწიფოში.

რენერის შემოთავაზებული ეროვნული ავტონომიის მოდელი მოითხოვს, რომ ყველა მოქალაქემ გამოაცხადოს საკუთარი ეროვნება, როდესაც ხმის მიცემის ასაკს მიაღწევენ. ეროვნული საზოგადოებების წევრები, იმის მიუხედავად სად ცხოვრობენ

ტერიტორიულად, ჩამოაყალიბებენ ერთ საჯარო ორგანოს ან ასოციაციას, რომელიც კომპეტენტური იქნება ყველა ეროვნულ-კულტურულ საქმეში. მაგალითად, ეს კორპორაციები უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო სისტემებს საკუთარი წევრებისთვის, ასევე სამართლებრივ სისტემებს. ამ სისტემის მთავარი იდეა არის ეროვნებებს შორის კონკურენციის აღმოფხვრა კომპეტენციებს შორის მკაცრი გამიჯვნის უზრუნველყოფით.

არის ბევრი ასპექტი, რასაც ავტორი ნათლად არ განმარტავს. სულ მცირე, არსებობს ბევრი ეთნიკური და ეროვნული საზოგადოებები, რომელთაც არ სურთ ავტონომიური კომპეტენციების ასეთი ფართო სპექტრი, მათ შეიძლება სურდეთ მხოლოდ რამდენიმე მათგანი.

ოტო ბაუერის თეორია ერის შესახებ არ არის ისეთი ზუსტი და დეტალური, როგორც კარლ რენერის, მაგრამ მათი ეროვნული თეორიების სინთეზში განხილვა გვაძლევს საერთო შევსებულ სურათს, თუ როგორი იყო ავტსრომარქსისტული გავლენიანი ეროვნული თეორია: 1) პირველ რიგში, მათი თეორია ეხება საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც თვლის, რომ მრავალეროვნული სახელმწიფოს პრობლემა არ არის უტოპია და რომ ის იმანენტური კონცეფციაა, რომელიც საკუთარ მძლავ იმპულსებს იღებს, ავსტრიის მაგალითზე, ავსტრიის შინაგანი ევოლუციური ტენდენციებიდან. მათთვის ვინც მრავალეროვნულ სახელმწიფოს ემპირიულ ფაქტად მიიჩნევს ისიც ნათელი იქნება, რომ სახელმწიფოში შემავალი ერების მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის აუცილებელია ინსტიტუციური რეფორმები, რომელიც გადალახავს ერების დაპირისპირების საკითხს. ეს არის ამოსავალი საკითხი, რის გამოც იქმნება ოტო ბაუერის და კარლ რენერის ერის თეორიები; 2) ამ თეორიების თანახმად, სახელმწიფოს ცენტრალისტური ხედვა უნდა შეიცვალოს სუვერენიტეტის გაზიარებით სხვადასხვა ერებს შორის; 3) მათ თეორიებზე დაყრდნობით, სახელმწიფოში არსებული ერთობები უნდა გავიგოთ, როგორც ეროვნებები, ანუ კულტურის და ბედის ერთობით შექმნილი ერთობები და არა როგორც უძველესი ტერიტორიები, სამეფოები თუ პროვინციები, რომლებიც მემკვიდრეობით იღებენ ისტორიული უფლებებს; 4) მრავალეროვნული სახელმწიფო ფედერალური გზით უნდა იყოს ორგანიზებული, როგორც „სახელმწიფოების“ სახელმწიფო, თვითმმართველობის და საერთო მმართველობის სინთეზით; 5) ავტორები ამოდიან

პროლეტარიატის ინტერესებიდან, როცა ამბობენ, რომ მრავალეროვნულ სახელმწიფოში ფედერაციული მოწყობის პრინციპის დაცვა უნდა ემყარებოდეს იმ ვარაუდსაც, რომ მუშათა კლასის ინტერესებიდან გამომდინარე მოწყობის ეს გზა უზრუნველყოფს ისეთ პოლიტიკურ სცენარს, რომელიც მეტად გაითვალისწინებს მათ მოთხოვნილებებს და უზრუნველყოს ფართო ეკონომიკურ სივრცეს, რომელშიც გაიზრდება მათი სოციალური პროგრესი; 6) ოტო ბაუერისთვის ეროვნული ავტონომია არის სწორი მიმართულება ერების თვითმმართველობის ჩამოსაყალიბებლად; (Máiz&Pereira, 2020)

პირველი თავის დასკვნა: კვლევის შედეგად მივიღე, რომ ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეროვნული საკითხის შესახებ სხვადასხვა უცხოური თეორიების შესწავლა და საკუთარი შეხედულებების ამ თეორიებზე დაფუძნება, რადგან ეს კონცეფციები ერთგვარი არგუმენტები იყო საკუთარი მოსაზრებების გასამყარებლად. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდნენ ევროპულ ერის თეორიებს და ამ თეორიებში ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ ელიტაზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინეს ისეთმა კონცეფციებმა, რომლებიც გვთავაზობდნენ ერის ემოციურ დეფინიციებს, აგებულს სუბიექტურ ნიშან-თვისებებზე. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ერნესტ რენანს და ავსტრომარქსისტულ ერის კონცეფციებს, რადგან მათი გავლენა 1893-1917 წლებში გამოკვეთილი იყო.

რესპოდენტი №6 იმ ევროპულ კონცეფციებს შორის, რომელიც პოპულარული იყო 1893-1917 წლების საქართველოში, ასახელებს კაუცკის, რენანის და ავსტრომარქსისტების თეორიებს.

რესპოდენტი №3 ევროპული ერის კონცეფიების 1893-1917 წლების საქართველოში გავლენებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ეროვნული საკითხის მთავარი უარმყოფლები საქართველოში სოციალ-დემოკრატები და მათი პოლიტიკური ორგანიზაციები იყვნენ. სოციალ-დემოკრატთა იდეური მსოფლმხედველობა სწორედ ევროპელი მოაზროვნეების, კ. მარქსის, ფ. ენგელსის, კ. კაუცკის, ო. ბაუერისა და სხვათა ნააზრევის საფუძველზე ჩამოყალიბდა.

რესპოდენტი ამატებს, რომ ეროვნულ პოზიციებზე მდგომი ქართველი მოღვაწეებისათვის უფრო დიდი ავტორიტეტი ეროვნულ საკითხში ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი ერნესტ რენანი იყო. რაც შეეხება მიხაკო წერეთელს, ქართულ სინამდვილეში პირველი სოციოლოგიური ნაშრომის „ერი და კაცობრიობა“ ავტორს, – იგი კარგად იცნობდა მარქსის, დე-გრეფის, სპენსერის, სენ სიმონის, შტამლერის, ტარდის და სხვათა შეხედულებებს, რომელთა ანალიზისა და შედარების გზით ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი მოსაზრებები ეროვნულ საკითხზე.

თავი II. ერის ცნებასა და ეროვნულ საკითხზე შექმნილი თეორიები საქართველოში 1893-1917 წლებში

§2.1. არჩილ ჯორჯაძის თეორია ერის შესახებ

ილია ჭავჭავაძის მოსაზრებების გამგრძელებლად ხშირად სახავენ არჩილ ჯორჯაძეს, რომელსაც ერთგვაროვანი შეხედულება არ ჰქონია სამოციანელთა მოღვაწეობისადმი. ის თვლიდა, რომ სამოციანელებს თანდათან განსაზღვრული ხასიათის ეროვნული ფორმულა უნდა შეემუშავებინათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავს: *„მათ წამოაყენეს მხოლოდ ელემენტები ეროვნულის საკითხისა... მათ განიცადეს თავიანთ თავზე გავლენა ქართველი თავადაზნაურობისა, რამაც კიდევ მეტად შეაფერხა ბუნებრივი ზრდა ეროვნულის საკითხისა“* (ჭელიძე, 2002, გვ. 41-42). ამის მიუხედავად, არჩილ ჯორჯაძემ 1901 წელს, ანუ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისას ხაზი გაუსვა, რომ იგი იზიარებდა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ პროგრამას. ილია ჭავჭავაძეზე ის წერს: *„ის მოქმედი ძალა, რომელიც ამოძრავებდა ჩვენს მწერალს, ქართული ეროვნების დაცვის, გამოფხიზლების და სხვა ერთა შორის გათანასწორების აზრი იყო, ეროვნება აღაფრთოვანებდა ავტორს, ეროვნება სამართლიანობის კითხვად მიაჩნდა. და ამ კითხვის ზნეობრივ მხარეში ჰპოვებდა ჩვენი მწერალი მოქმედების და წერის საფუძველს. სანამ ავტორი ადგია თავის დამოუკიდებელ ეროვნულ პროგრამას, ჩვენი მისადმი თანაგრძნობა სრული და შეურყეველი არის და იქნება. უმთავრესი საგანი ჩვენის უთანხმოებისა ეკონომიური ნიადაგია. ჩვენი ავტორი წოდებათა წყობილების გაღონიერების ზრუნვაშია, რადგან ჰგონია, რომ ამ წყობილების დაურღვევლად შესაძლებელია საერთო ეკონომიური*

კეთილდღეობა. ჩვენ კი გვგონია, რომ საერთო კეთილდღეობა მოითხოვს ახალ საზოგადოების დაფუძნებას. იმგვარ საზოგადოებისა, რომლის არსებობა შრომაზედ იქნება დამყარებული“(ლობჟანიძე, 1989, გვ. 81). ეროვნული საკითხის მნიშვნელობაზე ორივე მოაზროვნე თანხმდებოდა, თუმცა ეროვნული პრინციპის დაცვის განსხვავებულ შეხედულებებს და მეთოდებს აყენებდნენ. ამის მიუხედავად, არჩილ ჯორჯაძეს 60-იანელთა ეროვნული მოძრაობა მიაჩნდა იმ ძირითად მაგისტრალურ მიმართულებად, რომელიც უნდა გაგრძელებულიყო და განვითარებულიყო მისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების დაძლევის გზით. თავად არჩილ ჯორჯაძის პოზიცია მიმართული იყო ილიას მიერ გაკვალული ხაზის ახლებური გადააზრებისაკენ. ის თვლიდა, რომ სწორედ 60-იან წლებში დაიწყო ეროვნული გონის გამოღვიძება, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება და ეს დაკავშირებული იყო ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობასთან. ეს ასპექტი მეტად მნიშვნელოვანია კვლევისთვის, რადგან ამით ხაზი გაესვა იმას, რომ იმ პერიოდშივე ნათელი იყო, რომ სოციალური და კულტურული ცვლილებების დასაწყისი ნიშნავდა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას. სწორედ ეს პერიოდი არის ჩემს კვლევაში გათვალისწინებული თანამედროვე ქართველი ერის ფორმირების პირველ, კულტურულ ფაზად.

არჩილ ჯორჯაძემ საზოგადოებრივი აზრის განვითარება, ქართული ინტელიგენციის ისტორიული სპექტრის გათვალისწინებით, სამ ეტაპად წარმოადგინა: სამოციანელების ნაციონალური ლიბერალიზმი, 90-იანი წლების მარქსისტული მოძრაობა და მეოცე საუკუნის დასაწყისში - სოციალ-ფედერალიზმი. მეტიც, მან 90-იანი წლების აზროვნებაში მესამე დასი შეაფასა, როგორც ქართული ხასიათის უარყოფითი მხარეების გამოვლენა (ჭელიძე, 2002). არჩილ ჯორჯაძე განსაკუთრებით ნოე ჟორდანიას მიერ ილია ჭავჭავაძის კრიტიკას ეწინააღმდეგებოდა: *„მოუფიქრებელი და შემცდარი ნაბიჯებით დაიწყო თავის მოქმედება იმ ჯგუფმა, რომელსაც მოეთხოვებოდა მეტი აზრი, მეტი ჰუმანური გრძნობა, მეტი გამჭრიახობა და მეტი გულახდილობა, რადგან მას ჰქონდა პროლეტარიატის წარმომადგენლობის ამბიციები“*(ლობჟანიძე, 1989). ვფიქრობ, ეს საკითხი უფრო ფართო კონტექსტში უნდა აღვიქვათ. არჩილ ჯორჯაზე, რასაც ითხოვს არის წინა თაობის ღვაწლისადმი მეტად ფრთხილი მიდგომა და დაფასება იმის, რისი გაკეთებაც მათ მოახერხეს. მიუხედავად იმისა, რომ თავად არჩილ ჯორჯაძე აკრიტიკებდა 60-იანელებს, ის პარალელურად

აღიარებდა მათ ღვაწლს. ზოგადად წინაპრების კულტი და მემკვიდრეობით მათი გამოცდილების მიღება ხშირად აღიქმება ერის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად თანამედროვე ნაციონალურ თეორიებშიც.

სოციალ-ფედერალისტების დაარსებას გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ მოუმზადა ნიადაგი, რომელშიც 1901 წელს მოღვაწეობდა არჩილ ჯორჯაძე. გაზეთის გარშემო შემოკრებილნი იყვნენ სოციალ-ფედერალისტთა პირველი წარმომადგენლები: გიორგი ლასხიშვილი, ქაიხოსრო ქავთარაძე, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, რომელთაც შემდეგ უერთდება სამსონ ფირცხალავა და სხვები. გიორგი ლასხიშვილი მიუთითებს, რომ სოციალ-ფედერალისტებმა ეროვნული იდეა ილიას მოძრაობიდან აიღეს, სოციალიზმისა კი დასელებიდან (კოდუა, 2001).

1904 წელს ჟენევაში ქართველი სოციალისტ-ფედერალისტთა დამფუძნებელ კონფერენციაზე საინტერესო მოსაზრებები გაჟღერდა ერის ცნების თაობაზე. მაგალითად მოვიყვან ვერმიცანიძეს (სანდრო გაბუნია) გამოსვლას, რომელიც გამოსვლაში საუბრობს უშუალოდ ერის განმარტების საკითხზე და რაც ყველაზე საინტერესოა ავსტრომარქსისტებისადმი გარკვეული სიმპათიის მიუხედავად ერის განმსაზვრელ ნიშნად არ აღიარებს „ეთნიურ ხასიათს“. ის არც ერის ობიექტურ ნიშან-თვისებებს, ენას და ტერიტორიას, მიიჩნევს ერის განმსაზღვრელ მარკერად. ვერმიცანიძის აზრით, ერის თანდაყოლილი და აუცილებელი თვისებაა შეგნება, უფრო კონკრეტულად თვითშემეცნება. ხოლო ეროვნება მისი მოსაზრებით არის ჯგუფის მიერ საკუთარი არსის, რაობის შეგნება და სურვილი იმის, რომ დაიცვას ეს არსი (ახობაძე, 1965). შეგნების ელემენტის შემოტანა მთავარ მარკერად საქართველოში სიახლეს წარმოადგენდა იმ პერიოდში. თვითშემეცნება, უფრო კონკრეტულად კი თვითცნობიერება შეიძლება განხილული ყოფილიყო, როგორც ერთ-ერთი ატრიბუტი ერის თვითგამორკვევისთვის სანდრო გაბუნიას გამოსვლამდე, მაგრამ შეგნების ეს ელემენტი არ ითვლებოდა გადამწყვეტ მარკერად ერისათვის.

თავად არჩილ ჯორჯაძემ ეროვნული გონის ცნება „ეროვნული ფსიქიკის“ ტერმინით გამოხატა. მისი განმარტებით, ეროვნული ფსიქიკა არ შეიძლება იყოს არც ფეოდალური, არც ბურჟუაზიული, ეროვნულ ფსიქიკას კლასი არ გააჩნია, ის არ არის კლასობრივი კუთვნილება. ერის ცნების შესახებ არჩილ ჯორჯაძის მოსაზრების

განხილვისას ყველაზე საინტერესოა მისი გაზეთ „ისარში“ გამოქვეყნებული სტატია *„ადათი და კანონი, საკუთრება და სახელმწიფო“*, სადაც ის საუბრობს ეროვნების წარმოშობის შესახებ. მისი აზრით, ეროვნება ისახება იმ პერიოდში, როდესაც საგვარეულო წესი მთავრდება და როდესაც მყარდება სახელმწიფო. ეროვნების გაჩენის მიზეზი მრავალია, ამიტომ მას საზოგადოებასთან მიზეზობრივი კავშირით ავტორი არ აკავშირებს. უბრალოდ, სახელმწიფოს წარმოშობის პროცესში უფრო ნათელი და მკაფიო ხდება ეროვნების წარმოშობის და განვითარების ფენომენი (ჯორჯაძე, 1911).

არჩილ ჯორჯაძის კონცეფციით, სახელმწიფოს არსებობა შესაძლებელი გახდა, როდესაც გაჩნდა კერძო საკუთრება და როდესაც ტერიტორიას ადმინისტრაციული ერთეულის ხასიათი მიეცა. ტერიტორიული ერთეულები და კერძო საკუთრება - აი ორი ახალი ფაქტორი, რომელიც გადამწყვეტია მისთვის ეროვნების წარმოშობისთვის. ავტორის მიხედვით, ერის წარმოშობისთვის აუცილებელი იყო საერთო ენა, ფსიქიკური წყობა, კულტურა, ერთობლივი ისტორია, მაგრამ არცერთ ამ ელემენტს არ შეეძლო ერის წარმოქმნა სახელმწიფოს გარეშე (კოდუა, 2001).

რესპოდენტი №2 არჩილ ჯორჯაძის ეროვნული თეორიის განხილვისას საუბრობს იმაზე, რომ არჩილ ჯორჯაძე ქართველი ერის წარმოშობას საზღვრავს X-XII საუკუნით და მას პირდაპირ უკავშირებს სახელმწიფოს წარმოშობას, როდესაც ბაგრატ III ძალით უყრის თავს ერთად ქართველ ტომებს და ქმნის პირველ გაერთიანებულ საქართველოს კლასიკურ შუა საუკუნეებში და ამ ძალით გაერთიანებამ, არჩილ ჯორჯაძის მოსაზრებით, ჩაუყარა ერის ჩამოყალიბებას საფუძველი. ამ კონცეფციას არჩილ ჯორჯაზე 1906-1913 წლამდე პერიოდში ავითარებს.

არჩილ ჯორჯაძე იმოწმებს და განიხილავს გუსტავ ერვეს მოსაზრებას სახელმწიფოსა და ერის ურთიერთობის შესახებ. არჩილ ჯორჯაძის მოსაზრებით, ერვეს თეორიას ღირსებასთან ერთად ნაკლიც აქვს, მაგრამ, მისი მთავარი საფუძველი ისაა, რომ ენას და საერთო თავგადასავალს[5] არ აქვს ძალა ეროვნების შექმნისა. არ შეეძლოთ მათ ეს ცალ-ცალკე და არც ერთად აღებულს. ეს ნიშან-თვისებები მხოლოდ იმ პირობებში მნიშვნელობს, თუ სახელმწიფო არსებობს, რომელმაც მოახერხა

[5]გუსტავ ერვე საერთო თავგადასავალში გულისხმობს ისტორიულ გამოცდილებას.

ადამიანების გაერთიანება საერთო კანონის ქვეშ. ერვეს დასკვნა ნათელია, რომ სახელმწიფოს გარეშე არ არსებობს ერი (ჯორჯაძე, 1911).

არჩილ ჯორჯაძე არ ამბობს, რომ თითოეულ ეროვნების გაჩენისათვის საჭიროა საკუთარი სახელმწიფოს არსებობა. მისი მოსაზრებით, ისტორიულად ხშირად ერთ ტერიტორიაზე ხვდებოდა რამდენიმე ეთნოგრაფიული ელემენტი. ამ ელემენტებს შორის დომინანტი ძალა კი ცდილობდა ამ სხვადასხვა ელემენტის გათქვეფას, ეს ცდა ხშირად ნაყოფიერი იყო. ზოგჯერ რასიული შერევა არ ხდებოდა და გაბატონებული ეროვნების გვერდით მუშავდებოდა სხვა ეროვნება, ხშირად პირველისადმი დაპირისპირებული. მისი მთავარი დასკვნა ისაა, რომ ყველაფერი ეს, თუნდაც დაპირისპირებები ეთნო ელემენტებს შორის, ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ხდებოდა, მაგრამ არა უსახელმწიფოდ.

ჯორჯაძის თეორიის მიხედვით, ეროვნული თვითშემეცნების წარმოშობის გზაზე მნიშვნელოვანია ომები და დაპყრობები, მნიშვნელოვანია დინასტიური მმართველებისადმი თაყვანისცემაც. სახელმწიფოს ისწრაფვის საზღვრების გაფართოებისაკენ, რადგან ის უფრო ძლიერი სწორედ დაპყრობითი შესაძლებლობებით ხდება. ამ ძლიერების ხაზგასმით ეროვნული თვითშემეცნება ვითარდება, თუმცა რადგან აქცენტი დაპყრობით ძალებზეა ასეთი ერის ცნობიერებაც აგრესიულია (ჯორჯაძე, 1911). არჩილ ჯორჯაძის ეს შეხედულება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ დამპყრობელი სახელმწიფოს ნაციონალიზმი აგრესიულია. თუ ნაციონალიზმის ორმაგი ბუნების შესახებ მსჯელობისას გავითვალისწინებთ არჩილ ჯორჯაძის აზრს გამოვა, რომ აგრესიული ნაციონალიზმი შედეგია აგრესიული სახელმწიფოსი. აქ რჩება ერთი საკითხი, რომელსაც არ განმარტავს არჩილ ჯორჯაძე, დაპყრობილი სახელმწიფო თუ დაპყრობამდე ჩართულია თავდაცვით საომარ მოქმედებებში მისი ნაციონალიზმიც იქნება აგრესიული? ეროვნული შემეცნება მიიღებს აგრესიულ ხასიათს? თუ დაპყრობის შემდეგ დაივიწყებს საომარ გამოცდილებას და ექნება მხოლოდ უწყინარი პატრიოტული გრძნობები?! ჩემი მოსაზრებით, ეს ამ საკითხის ის ასპექტია, რომელზეც აუცილებლად უნდა გამახვილებულიყო ყურადღება, რადგან არჩილ ჯორჯაძემ წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ დამპყრობელი სახელმწიფოს ერის ეროვნული მახასიათებელი არის აგრესიული.

არჩილ ჯორჯაძის ეს მოსაზრება დაპყრობითი საშუალებების შესახებ არ უნდა ყოფილიყო ახალი იმ პერიოდისთვის, რადგან გერმანელი ეკონომისტები ფრიდრიხ ლისტის თაოსნობით XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქმნიან თეორიას, რომლის თანახმადაც, ერი უნდა ყოფილიყო გარკვეული სიდიდის (ტერიტორიული სიდიდე იგულისხმება), რომელიც ერის მატერიალური განვითარების წინაპირობა იქნებოდა. მეორე აუცილებლობა, ლისტის მიხევით, იყო ერის წევრების გარკვეული რაოდენობა (დიდი მოისახლეობა), ხოლო მესამე კრიტერიუმი იყო დაპყრობითი შესაძლებლობები, ანუ ერს ევოლუციის პროცესში, როგორც მაღალი სოციალურობის განმხორციელებ ჯგუფს უნდა გაემარჯვა ბუნებრივი შერჩევის გზაზე. ამ სამი პრინციპის აუცილებლობა „ზღურბლის პრინციპის“ სახელით დამკვიდრდა (Hobsbawm, 1992).

ხალხის ეროვნულ გონს არჩილ ჯორჯაძემ სხვანაირად „მამულიშვილობაც“ უწოდა. მისი შეხედულებით, მამულიშვილობის *„შინაარსი სოლიდარობაა ადამინთა განსაზღვრულ ერთეულობათა შორის“* და იგი არ იშლება სოციალურ ინტერესთა ანტაგონიზმის გამო, ეს *„ერთიანი ფსიქიკური ფაქტი“* ყოველთვის ერთნაირი რჩება ეროვნულ შეგნებაში. არჩილ ჯორჯაძე უთითებდა იმას, რომ ეროვნული ხასიათი, გონი, თუ სული, არ არის რაღაც მეტაფიზიკური რამ. იგი ყალიბდება და ვითარდება, მაგრამ ერის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ამ ცვალებადობაში მაინც რჩება რაღაც ზოგადი ეროვნული, სპეციფიკური ქართული ხასიათი, განსხვავებულ ფორმებში გამოვლენილი ერის ისტორიის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე (ჭელიძე, 2002).

არჩილ ჯორჯაძის აზრით, ის ვინც ერის რაობას ჩასწვდება ადვილად მიაგნებს საერთო, საკაცობრიო პრობლემას, რადგან ყველა ერმა განვლო ევოლუციური განვითარების ისეთი გზა, რომელიც გამორიცხავს დიალექტიკურ ნახტომებს (ნადიბაიძე, 1980). საზრისიანად უნდა დაისახოს სიცოცხლე, მივიღოთ ის ისეთად, როგორიცაა, და ვეცადოთ, გავაუმჯობესოთ ჩვენი ყოფიერება სამყაროში. ამისთვის მრავალი გზა არსებობს, მაგრამ მთავარი, ჯორჯაძის აზრით, არის ერის ბედნიერება; ერის კულტურული ცხოვრების აღმავლობისადმი ხელისშეწყობით შეგვიძლია ჩვენი ყოფიერების გასაზრისიანება. ამიტომ მიზანი - ყოფიერების საზრისი - ერის უკვდავებაშია და თავი ამით უნდა ვინუგეშოთ, რომ ჩვენი ყოფიერების უკვდავება

ერის ყოფიერებით, მისი უკვდავებით გამოიხატება. ერის ძირითადი შენობა, კულტურის სახით, მოითხოვს როგორც ინდივიდს, ისე სოციალური ერთობების საქმიანობას და ყველა ის ქმედითობა, რომელიც მიმართულია ეროვნული კულტურის შენობის აგებისაკენ, ასაზრისიანებს როგორც ერის, ისე ინდივიდის ყოფიერებას (კოდუა, 2001). არჩილ ჯორჯაძის ეს მოსაზრება ხაზს უსვამს განგრძობადობის ელემენტს, რაც ერის წევრს აძლევს საშუალებას გააკეთოს მაქსიმუმი საკუთარი ერისთვის, რადგან თუ ინდივიდი წარმავალია, ერი ხომ განაგრძობს არსებობს.

არჩილ ჯორჯაძე საუბრობს სოციოლოგიის საგანზეც, იმ აზრს იზიარებს, რომ კაცობრიობა არ შეიძლება იყოს სოციოლოგიის საგანი, რადგან ეს შეიძლება იყოს მხოლოდ განსაზღვრული მთლიანობა, ორგანიზმის მთლიანობის ანალოგიური, კაცობრიობას კი არა მარტო მთლიანობა, საერთოდ ყოფიერებაც არ ახასიათებს. მისი მოსაზრებით, კაცობრიობა არაა ორგანული მთელი მაგრამ შედგება ორგანული მთელისაგან, როგორიცაა ერი და სახელმწიფო. არჩილ ჯორჯაძის შეხედულებით, სოციოლოგიის საგანი უნდა იყოს ერი, რადგან მას ახასიათებს სუპერორგანიზმის თვისებები და არის რეალური ერთობის განსახიერება. *„სოციალური მეცნიერების ობიექტად კაცობრიობა კი არ უნდა დავსახოთ, არამედ მისი ორგანული შემადგენელი ელემენტი - ერი. ერი კონკრეტული საზოგადოებაა და ამ კონკრეტული ერთეულის შესწავლიდან უნდა გამომდინარეობდეს როგორც თეორიული კვლევის დებულებანი, ისე პრაქტიკული პოლიტიკის მოქმედებანი“-ამბობს* ჯორჯაძე და ამატებს, რომ სოციოლოგიის მეცნიერული თეორია და მეთოდი საზოგადოების ორგანულ თეორიაზეა აგებული. ორგანიციზმისადმი დამოკიდებულებაში ჯორჯაძე არაა თანმიმდევრული პოზიციის მქონე, რაც შეიძლება „ერი და კაცობრიობის“ გავლენა იყოს, რადგან როდესაც ურბნელი გამოვიდა ორგანიცისტული თეორიის დამცველად ჯორჯაძემ გაილაშქრა ამ თეორიის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ ესაა საზოგადოებისა და ორგანიზმის გაიგივების ცდა, რომელსაც სპენსერმა დაუდო სათავე და რომელიც ვერ იქნება მეცნიერული სურათის წყარო, რადგან ორგანიზმს აქვს ერთი ცენტრი, რომლის მსგავსი არ აქვს საზოგადოებას თუ ერს (კოდუა, 2001). ამის მიუხედავად, ნათლად ვლინდება ის როლიც, რომელსაც ჯორჯაძე ორგანულ თეორიას აკისრებს ქართველი ერის მაგალითის ახსნაში. ორგანული თეორია ორგანიზმის სიჯანსაღისა და მისი წინსვლის აუცილებელ პირობად თვლის

ორგანიზმის მთლიანობას და მის ორგანოთა შეთანხმებულ მოქმედებას. თუ ორგანიზმი მთლიანობას მოკლებულია, მაშინ ორგანიზმი დაავადებულია და კვდება.

არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავს, რომ თუ ერი ორგანიზმია, მისი ყველა ელემენტი უნდა შევინარჩუნოთ, ეს ორგანიზმი რომ არ დაიშალოს. გამოდის, რომ „მონობა და ბატონყმობა, პროლეტარიატის დამცირება“ და სხვა ანალოგიური ფაქტებიც უნდა შევინარჩუნოთ. კრიტიკა, რომელსაც ავტორი ორგანიციზმის წინააღმდეგ აწარმოებს, სავსებით მართებულია და დღესაც ძალის მქონეა, მაგრამ ის აზუსტებს საკუთარ პოზიციას და მიაჩნია, რომ ორგანიციზმი უარსაყოფია, მაგრამ მისი სახესხვაობა, სუპერორგანიზმის თეორია მისაღებია. რეალურად ამ დაკონკრეტებას მეტად შევყავართ ჩიხში იმის დასადგენად, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა არჩილ ჯორჯაძეს ორგანიციზმისადმი, რადგან სუპერორგანიზმის თეორია მაინც ორგანიზმის კანონზომიერებას ავრცელებს საზოგადოებაზე.

არჩილ ჯორჯაძე ამხელდა და გმობდა თვალსაზრისს, რომელიც ამართლებდა პატარა ერების დიდ ერებში ბუნებრივ შერწყმას. ისინი, ვისაც ეს პროგრესად და ნაციონალიზმის გადალახვად მიაჩნდათ, ქართველი მოღვაწის აზრით, პატარა ერებზე ბატონობას ემხრობოდნენ. არჩილ ჯორჯაძე აჩვენებდა რუსი და ქართველი ხალხის ეროვნული გონის სხვაობას: ქართველი ერი არასდროს არ შეიძლება ყოფილიყო რუსი ერის მსგავსად რელიგიური, მისტიკურად შეპყრობილი, რადგან რუსეთში ქრისტიანული ეკლესია ზეეროვნული და იმპერიულია, ქართველის ხასიათში კი ყოველმხრივ ჩანს ამქვეყნიურის პრიორიტეტი (ჭელიძე, 2002).

არჩილ ჯორჯაძე წინააღმდეგია ერთა ხელოვნური შერევის და ეროვნული ნიშნების ძალადობრივად გაუქმების. არჩილ ჯორჯაძე აკრიტიკებდა ნოე ჟორდანიას თვალსაზრისს, გამოთქმულს შრომაში *„ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“.* მას მიაჩნია, რომ ქართული ეროვნული თვითშეგნება, პირველ რიგში, ვლინდება მამულიშვილობაში და თუ ეს გრძნობა დაიკარგა ერი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. არჩილ ჯორჯაძე არ დაეთანხმა ნოე ჟორდანიას მოსაზრებას, რომ ქართული კულტურის განვითარება კავშირში იყო რუსული მმართველობის დამკვიდრებასთან. არჩილ ჯორჯაძის აზრით, ქართველ ერს მის თანამედროვე პერიოდში ერთდროულად ორი გზა ჰქონდა გასავლელი - ნაციონალიზმისაც და ინტერნაციონალიზმისაც, რაც

ავტონომიურ ერთა ფედერაციის დამკვიდრებით უნდა მოეხერხებინა ერს (კოდუა, 2001).

არჩილ ჯორჯაძე გონივრულად აღნიშნავს, რომ თუ საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, ეროვნებას შემაფერხებელ მოვლენად, მაშინ სხვა ეროვნების გაძლიერებაზე და განვითარებაზე მათ აღარ უნდა იზრუნონ, რადგან გამოდის, რომ ისინი მხოლოდ მცირე ერების არსებობას მიიჩნევენ შემაფერხებლად და არა დომინანტი ერების. პირიქით, ამ დომინანტი ერების განვითარების ხელშეწყობაზე ფიქრობენ და იბრძვიან ამისთვის (ჯორჯაძე, 1911). ამ ნაწილში, გამოკვეთილად იგრძნობა ნოე ჟორდანიას კრიტიკა და არჩილ ჯორჯაძის არგუმენტი, რომ ერთ ეროვნებას თუ უარყოფ, უფრო ლოგიკური იქნება მეორე ერის შემუშავებას, რომ არ შეუწყო ხელი. ეს არგუმენტი ნაწილობრივ მისაღებია, რადგან თუ სოციალიზმის საფუძვლებიდან ხდება ერის უკუგდება და შესაბამისად ეროვნული საზღვრების მოშლა, მაშინ რატომ უნდა შეუწყო ხელი სხვა ეროვნების განვითარებას?! მიუხედავად იმისა, რომ ნოე ჟორდანია ხსნის ამ მომენტს და მიზეზად ასახელებს რუსეთის, როგორც განვითარებული ერის პერსპექტივას, მაინც აუხსნელი რჩება, რატომ არ უარყოფს რუსეთის ეროვნულ საზღვრებს და არ ითხოვს თანასწორუფლებიანი კავშირის შემუშავებას, რატომ ტოვებს ერთ დომინანტ ერს ერთი ტერიტორიის ფარგლებში?!

რაც შეეხება ქართველი ერის მდგომარეობას, არჩილ ჯორჯაძის აზრით ქართველი ერი დაავადებულია, ქართველი საზოგადოების სახით საქმე გვაქვს „ავადმყოფ საზოგადოებასთან“. ჯორჯაძე აჩვენებს, რომ ქართული საზოგადოება ძირითადად მომხმარებლური გახდა და მათ არაფერი აინტერესებსთ პირადი ცხოვრების მოწყობის, სენსაციების გარდა. ეროვნული საქმე მივიწყებულია, მისადმი ინტერესი დაკარგულია და ამ შექმნილ მდგომარეობაში არჩილ ჯორჯაძე არ უარყოფს, რომ ესწრაფვის ეროვნული ბურჟუაზიის ზრდა-განვითარებას. მას მიაჩნია, რომ ამ გზით უცხოელთა ჩაგვრის ზეწოლა შესუსტდება, თუმცა ბურჟუაზიის ხელშეწყობა მისთვის საბოლოო მიზანი არაა, არამედ უფრო მომენტის ამოცანაა, რომელიც წარმოიშვა იმ კონკრეტულ სიტუაციაში (კოდუა, 2001).

არსებულ ვითარებაში, ავტორის აზრით, მხოლოდ ერთი გამოსავალია - ერის ყველა სოციალური ელემენტის გაერთიანება ეროვნული ინტერესების დასაცავად.

ამას ის საერთო ნიადაგის თეორიას უწოდებს. ჯორჯაძე ამოცანად ისახავს ქართველი ერის არსებობის გაუმჯობესებას, მისი ყოფის ყოფიერების საზრისთან შესაბამისობაში მოყვანას, ეს ნიშნავს ორ რამეს - ერის სიცოცხლის შენარჩუნებას და თავისუფლებას. მის თეორიაში სიცოცხლე და თავისუფლება არის ერის ყოფიერების საზრისის განხორციელება. ეს ის იდეალია, რომელიც სოციალურმა მოძრაობამ უნდა გამოიმუშაოს. არჩილ ჯორჯაძე ამას პირველ რიგში ქართულ ინტელიგენციას ავალებს.

1911 წელს გამოქვეყნდა არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა კრებული სათაურით „ეროვნული პრობლემის გარშემო“. საინტერესოა, რომ არჩილ ჯორჯაძე ამ წიგნის წინასტყვაობაში ვარაუდობს, რომ ეს თხზულებათა კრებული შეიძლება საინტერესო არ აღმოჩნდეს მკითხველის დიდი ნაწილისთვის, რომელიც ყოველდღიურ ინტერესთა ქსელშია გაბმული და არ მიიჩნევს ეროვნული პრობლემის რადიკალური გზით გადაწყვეტას სწორად, შეიძლება მას უტოპიადაც ეჩვენოს პოლიტიკურ ავტონომიაზე საუბარი, როდესაც საქართველო მოკლებულია ელემენტარულ საზოგადოებრივ თვით-მოქმედებასაც კი. არჩილ ჯორჯაძე თვლის, რომ ამ თეორიულ მსჯელობას თავისი შედეგი და დრო ექნება მომავალში, როდესაც მომწიფდება ამისთვის საჭირო პირობები (ჯორჯაძე, 1911). მე დავამატებ, რომ 1893-1917 წლების საქართველოში ერის ცნების შესახებ და ეროვნული საკითხის შესახებ საუბარი თანამედროვე გადმოსახედიდან შეუძლებელია არჩილ ჯორჯაძის შეხედულებების შესწავლის გარეშე. ნოე ჟორდანიასთან დაწყებული პოლემიკიდან მოყოლებული ქართულ პერიოდულ გამოცემებში მისმა სტატიებმა საშუალება მომცა პროცესს მივყოლოდი და ზუსტად დამენახა რა იყო მისი ამა თუ იმ პუბლიკაციის შექმნის მიზეზი და მიზანი, რა იყო მისი ზოგადი მიზანი და რა გზებით ცდილობდა ამ პოლიტიკური მიზნის მიღწევას. აქედან გამომდინარე, პრესის ანალიზის თავში მის პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებზე ვრცლად ვიმსჯელებ.

§2.2. დიმიტრი უზნაძის თეორია ეროვნული სულის შესახებ

დიმიტრი უზნაძეს ერთ ნაშრომად არ წარმოუდგენია მისი შეხედულებები ერის ცნებისა და ეროვნული საკითხის შესახებ, მისი შეხედულებები ერზე გაბნეულია სხვადასხვა ნაშრომში და სტატიაში. მაგალითად, „ინდივიდუალობა და მისი გენეზისი“,“ომის ფილოსოფია“... დიმიტრი უზნაძე ხაზს უსვამს, რომ რადგან ერთი და

იგივე ბუნებრივ პირობებში მრავალი ადამიანი ცხოვრობს, მათი სულიერი თვისებები ერთი და იგივე შთაბეჭდილებების განცდის გამო ერთმანეთს ენათესავება და ეს სიახლოვე საფუძველი ხდება ერთმანეთისადმი სოლიდარობის, თანაგრძნობის. ამასთან ერთად ჩნდება ერთად ცხოვრების სურვილიც. დიმიტრი უზნაძე „ომის ფილოსოფიაში“ ამტკიცებს იმას, რომ ომს იწყებს ის, ვისაც ეზარება შრომა და ადამიანური ძალების გააქტიურება, რადგან ნამდვილი ცხოვრების აზრი არის ერების სოლიდარობა, წარმართული ბრძოლები კი ერებს შორის არ ადასტურებს იმას, რომ ეს სოლიდარობა შეუძლებელია. დიმიტრი უზნაძე ხაზს უსვამს იმას, რომ თუ ერი ამაღლდება ცხოვრების საზრისის შეგნებამდე ის არ დაიწყებს ომს სხვა ერთან არც ტერიტორიის და არც ეკონომიკური ინტერესების გამო, რადგან ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მას ერის სულიერი ცხოვრების განვითარებით და ერის წევრების აქტიურობის ზრდითაც შეუძლია (კარტოზია, 1986). ერს, როგორც ცხოვრების საზრისს, მთავარი ადგილი უკავია დიმიტრი უზნაძის გამოკვლევაში ომის შესახებ. ომის ორგვარ სახეობაზე საუბრობს დიმიტრი უზნაძე, რომელთაგან ერთ-ერთი თავდაცვითი ომი სამართლიანია, რომლის დროსაც ეროვნული მკაფიოდ გამოიხატება, რადგან ერის დაცვა ეროვნული გონის მთავარი საზრისია, ეროვნული გონი კი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მთავარი შემოქმედია. დიმიტრი უზნაძე ჯერ კიდევ თავის სადოქტორო ნაშრომში საუბრობდა ეროვნული გონის პრობლემის შესახებ, სადაც ამტკიცებდა, რომ ადამიანის უმაღლესი დანიშნულება მოსაძებნია მხოლოდ ეროვნულ განწყობაში, რადგან მარტო კერძო ადამიანის სიცოცხლე არ წარმოადგენს უდიდეს ღირებულებას (ჭელიძე, 2002).

დიმიტრი უზნაძის „ინდივიდუალობა და მისი გენეზისი“ კარგად მანახებს ავტორის დამოკიდებულებას ეროვნული სულისადმი. დიმიტრი უზნაძე თვლის, რომ კულტურული პროგრესის მამოძრავებელი ძალა სწორედ ეროვნული სულია, რომლის შემოქმედებითი მოქმედება შეიძლება შეფერხდეს ან განადგურდეს გარეშე ძალის ზეწოლით. დიმიტრი უზანაძე მიიჩნევს, რომ ხალხი თავად ქმნის საკუთარ ისტორიას და ერის ყოველ წევს შეაქვს გარკვეული წვლილი ერის განვითარებაში, ეს წვლილი არათანაბარია, მაგრამ ყველა წევრი მონაწილეობს. ინდივიდის ცხოვრების აზრის საზომად დიმიტრი უზნაძეს სწორედ ის ესახება, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას თავისი ერის კულტურის შექმნაში. გამოდის, რომ ინდივიდს მხოლოდ სოციალურ ერთობაში

შეუძლია თავისი დანიშნულების განხორციელება. მნიშვნელოვანი დეტალი, რომელსაც დიმიტრი უზნაძე გამოყოფს არის არაცნობიერის ანუ შეუგნებელი ფსიქოლოგიური მომენტის არსებობა ერის ცხოვრებაში, რადგან ერის წევრებს ყოველთვის არ შეუძლიათ გათვალონ წინასწარ ის საზოგადოებრივი შედეგები, რომლებიც მათ მოქმედებას მოჰყვება (კარტოზია, 1986). დიმიტრი უზნაძე ხაზს უსვამს, რომ ერი ცოცხალი ორგანიზმივით წარმოიშობა კონკრეტულ დროში და სივრცეში, ვითარდება ინდივიდუალურად და ავითარებს საკუთარ კულტურულ ღირებულებებს. აქედან გამომდინარე, დიმიტრი უზნაძისთვის მიუღებელია ერების ასიმილაცია (ჭელიძე, 2002).

ყოველი ერი ქმნის საკუთარ კულტურას და ცდილობს მის დამკვიდრება-განვითარებას. აქედან გამომდინარეობს დიმიტრი უზნაძის დასკვნა, რომ კულტურის სუბიექტი არის ერი. ცხოვრების დანიშნულების შესრულება ინდივიდს ვერ დაევალება, რადგან მისი სიცოცხლე ხელყოფადია. ერს კი შეუძლია ცხოვრების დანიშნულების განხორციელება, ამიტომ არის ერის კულტურის შემოქმედი, რადგან ის ძლევს ინდივიდზე ძლიერ შემთხვევითობას. ინდივიდი მხოლოდ ერთან საკუთარი ინტერესების გაიგივებით დაძლევს სიკვდილის შიშს. დიმიტრი უზნაძეს შემოაქვს მსხვერპლის გაღების ცნებაც, როდესაც საკითხი ერის ინტერესების დაცვას ეხება, ინდივიდის თავგანწირვა და შეწირვა საკუთარი ნებით სამართლიანია, რადგან ინდივიდი სწორედ ამ გზით ახორციელებს საკუთარ საზრისს. კულტურული შემოქმედება კი განსაზღვრულ ეროვნულ სუბიექტს ახასიათებს, თუმცა არსებობს იმდენი კულტურა, რამდენი ეროვნებაც არსებობს. დიმიტრი უზნაძის დასკვნით, ცხოვრების საზრისის სფერო მოღვაწეობაა სოციალურ პირობებში, შემოქმედებითობაა და არა პირადი ბედნიერება (უზნაძე, 1984). წინაპართა მოღვაწეობა ის საფუძველია, რომელზეც იგება კულტურის ნაგებობა და სწორედ ამ კულტურის შექმნით ასაზრისიანებს ადამიანი საკუთარ ცხოვრებას. გარდაქმნა და შემოქმედებაა ადამიანის ცხოვრების დანიშნულება.

დიმიტრი უზნაძე მოღვაწეობის პირველი პერიოდში განიცდიდა სოლოვიოვის ზეგავლენას, ხოლო მეორე ეტაპზე შემეცნების თეორიიის საკითხებზე მუშაობდა. მან გააკრიტიკა სოლოვიოვიც, რომელსაც ომი ადამიანების გაერთიანების წყაროდ

მიაჩნდა, თუმცა დიმიტრი უზნაძის მოსაზრებით, ყველა სახის ომი არ იწვევს გაერთიანებას.

§2.3. ალექსანდრე ჯანელიძის კონცეფცია ეროვნული შემოქმედების შესახებ

ალექსანდრე ჯანელიძე (1888-1975) სოციალ-ფედერალისტი იყო. ალექსანდრე ჯანელიძის ნაშრომებიდან სოციალურ პრობლემების შესახებ ერთადერთი შრომა დარჩა - 1914 წელს გამოცემული საჯარო ლექციების ციკლი სათაურით - „ეროვნული შემოქმედება“. ალექსანდრე ჯანელიძე ძირითადად იმ ხაზს მიჰყვებოდა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ავითარებდა, რომ ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს.

ალექსანდრე ჯანელიძე ამხელდა იმ პერიოდში საქართველოში ძლიერ გავრცელებულ ეროვნული ნიჰილიზმის ტენდენციას, შეშფოთებას გამოთქვამდა მიხეილ საღარაძის „ჩვენ ახალ თაობაში“ ჩამოყალიბებული აზრის გამო, რომლის მიხედვით: *„ცივილიზაციის წინსვლასთან ერთად პატრიოტიზმი თანდათან ქრება და ეროვნებასაც, როგორც ეგოისტურ მოვლენას იგივე მოელის“* (ჭელიძე, 2002, გვ. 79).

პატარა ერების სიცოცხლისუნარიანობის გამართლებისთვის ის იკვლევს ერის როგორც ცოცხალი ორგანიზმის შემოქმედებით ბუნებას, მისი სიცოცხლის მასაზრდოებელ იმანენტურ მარადიულ ენერგიას. ალექსანდრე ჯანელიძის აზრით, შემოქმედებაა ის შინაგანი ძალა, რომელიც გვაკავშირებს და გვხდის ერთ ერად, სხვებისგან განსხვავებულად. მიხაკო წერეთლის გავლენით, ის გაგებით ეკიდება ერის ორგანიზმად დასახვის საკითხს და ფიქრობს, რომ ეს სამ რაღაცას ნიშნავს: 1) ეროვნებას აქვს შემოქმედებითი გაქანება, ანუ ეროვნული სული; 2) ეროვნების შიგნით წევრებს შორის კავშირი არჩევანზე არაა დამოკიდებული, ეს კავშირი ორგანიზაციაა; 3) ეროვნებას აქვს სპეციალური ერის გამაერთიანებელი ორგანოები (ტერიტორია, ენა...) (ჯანელიძე, 1997).

ავტორის მოსაზრებით, ერი იბრძვის არა არსებობისათვის, არამედ შემოქმედებისათვის და მას ამოძრავებს ეროვნული სული. ეროვნული სულის ობიექტივიზირების ფორმაა ენა. ხოლო ეროვნული სული და ენა აღზრდისა და გარემოს გზით ყალიბდება. ალექსანდრე ჯანელიძე არ მიიჩნევს, რომ ეროვნული სული გარემოს უბრალო შედეგია, ის თვითონ არის აქტიური ძალა, რომელიც ქმნის „ეროვნულ ცხოვრებას“. ეროვნული სული ყველაზე მეტად ვლინდება ენაში.

ეროვნული სულის განვითარებასთან ერთად მისი გადაგვარებაც შეიძლება, თუ ეროვნული სული დაკარგავს შემოქმედების წყაროს ფუნქციას. ამის გზად ალექსანდრე ჯანელიძეს ეროვნების მოწყვეტა ესახება გარემო პირობებისგან, რადგან ერი თუ იზოლირებულია, მას არ ექნება შემოქმედების გამოვლენის საშუალება (ჯანელიძე, 1997).

ალექსანდრე ჯანელიძის მოსაზრებით, ყველა ერს სჭირდება სხვა ერებთან კომუნიკაცია და ღირებულებათა ურთიერთგაზიარება. სხვა კულტურიდან არებული ელემენტები ეროვნულ პრიზმაში უნდა შეიცვალოს და მხოლოდ ამის შემდეგ „გაეროვნებული“ სახით შევიდეს ეროვნულ კულტურაში. თუ ერი სხვა კულტურას ითვისებს „გაეროვნულების“ გარეშე, ეს ნიშნავს იმას, რომ ერის სასიცოცხლო ძალას მოკლებულია და მისი გადაგვარებაა დაწყებული. ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველ ერში შეიმჩნევა ეს პროცესი, რადგან ერმა რუსეთის კულტურა ვერ გაითავისა, მაგრამ ვერც საკუთარი განავითარა, უცხო კულტურა უცხოდ დარჩა, რომელიც მის კულტურას არ აძლევდა განვითარების საშუალებას (ჯანელიძე, 1997). ამ ნაწილში იგრძნობა ალექსანდრე ჯანელიძეზე მიხაკო წერეთლის გავლენა, რომელიც საკუთარ ნაშრომში „ერი და კაცობრიობა“ ავითარებს ანალოგიურ აზრს, რომ უცხო ელემენტის შემოსვლის შემთხვევაში ერმა ის უნდა „გააეროვნულოს“, რამდენადაც აუცილებელია პროგრესისთვის სხვა ერებთან კავშირი, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ უცხო ელემენტების პირდაპირ გადმოტანა არ მოხდეს და ამ ელემენტების მიღებით გამდიდრდეს ეროვნული კულტურა.

ერის გადაგვარების დროსაც გარკვეული დოზით ყოველთვის არსებობს შემოქმედებაც, მაგრამ სხვა ერებთან შემოქმედება უფრო მეტადაა, ვიდრე გადაგვარება. ქართველებში კი, ალექსანდრე ჯანელიძის მოსაზრებით, 1914 წლისთვის გადაგვარება ჭარბობდა. მისი მოსაზრებით, გარკვეული დოზით შემოქმედების არსებობას ადასტურებს ეროვნული ცნობიერების გამოღვიძება და სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ წამოყენებული შეხედულებები ილიას მიმდევრების მიერ[6] (ჯანელიძე, 1997).

[6] ალექსანდრე ჯანელიძე ილიას მიმდევრებში გულისხმობს პირველ რიგში ატჩილ ჯორჯაძეს და მიხაკო წერეთელს.

ალექსანდრე ჯანელიძე მნიშვნელოვან მოსაზრებას აჟღერებს, რომ ერის ერთიანობა გულისხმობს ერთიანობას კულტურული, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, ამ ერთობას ვერ დაარღვევს კლასთა შორის ანტაგონიზმი. ალექსანდრე ჯანელიძისთვის თანამედროვე ეროვნების ბუნება არის: *„სხვადასხვაობა ერთობაში, ერთობა სხვადასხვაობაში. თანხმობა განხეთქილებაში“* (ჯანელიძე, 1997, გვ. 34).

თუ ვიმსჯელებთ ერის მთავარ ნიშან-თვისებაზე ალექსანდრე ჯანელიძის მიხედვით, ეს იქნება ენა, უფრო ზუსტად დამწერლობის ენის შემუშავება და გავრცელება. ავტორის მოსაზრებით, ერს რომელმაც მოახერხა ეროვნული ლიტერატურის შექმნა მხოლოდ ფიზიკური მოსპობით თუ გადაგვარდება, ენის მოსპობა ეროვნების მოსპობასაც ნიშნავს. ალექსანდრე ჯანელიძის აზრით, განსხვავებით სხვა სოციალური ორგანიზმებისგან, ერის სპეციფიკურობა ენაშია. კაცობრიობას არ აქვს საერთო ენა, მხოლოდ ერი, როგორც სოციალური ორგანიზმი, ერთიანდება ენის გზით. ავტორი ამ ნაწილში მიხაკო წერეთლის გავლენას განიცდის, როდესაც ის კაცობრიობის და ერის შედარებისას ხაზს უსვამდა კაცობრიობის „ნაკლოვანებას“ ერის უპირატესობის წარმოსაჩენად. მიხაკო წერეთელიც, როდესაც კაცობრიობას, როგორც ფიქციას განიხილავს საუბრობს იმაზე, რომ რეალური არსებობა არ ახასიათებს კაცობრიობას, რადგან მას საერთო ენაც კი არ აქვს. ალექსანდრე ჯანელიძის მოსაზრებით, ენაც არ ქმნის ერს, მაგრამ ენის საერთოობა აუცილებელია ერისთვის (კოდუა, 2001).

ალექსანდრე ჯანელიძემ, დიმიტრი უზნაძის მსგავსად, ეროვნულის რაობის გაგებისათვის მიმართა „ქვეცნობიერის“, „არაცნობიერის“ ცნებას. მისი აზრით, ჩვენს ხასიათში, ქცევაში, ინტელექტშიც კი ბევრი რამ ქვეცნობიერად ხდება და ეროვნული ხასიათის, ისე როგორც ინდივიდის საიდუმლო ამ ქვეცნობიერში უნდა იყოს მიგნებული. ეროვნული სული არ არის ცნობიერად შექმნილი ეროვნული ერთობა, არც აზროვნების მიზანშეწონილი მოქმედება, იგი არაცნობიერის და ცნობიერის თავისებური ერთიანობაა.

რაც მთავარია, ალექსანდრე ჯანელიძე ხაზს უსვამს, რომ მეცნიერული, თუ მხატვრული შემოქმედება პიროვნული არ არის. ჩვენ არ ვქმნით ცხოვრებას,

ეროვნული სული ქმნის მას ჩვენი მეშვეობით. გამოდის, რომ ეროვნული სულის ცნება ალექსანდრე ჯანელიძემ საბოლოოდ ეროვნული გონის, როგორც ერის წიაღში ობიექტურად მომქმედი შემოქმედებითი ძალის გაგებამდე აამაღლა.

ალექსანდრე ჯანელიძის შეფასებით, XIX საუკუნის დასაწყისში ქართულ რეალობას ორი რამ ახასიათებდა: ცხოვრების ყველა დარგში უცხო კულტურის ნაკადის შემოჭრა, რომელიც მშობლიურ მახასიათებლებს გაქრობას უქადდა. მეორე მხრივ, ქართული რეალობისთვის დამახასიათებელი იყო ეროვნული სულის დაქვეითება, ეროვნული ღირებულებების დაკარგვა და რადგან ენა ორგანულ კავშირშია ეროვნულ სულთან, მისი შეცვლა ერის გადაგვარებას გამოიწვევს. ალექსანდრე ჯანელიძის დასკვნით, პატარა ერისთვის საკუთარი ენის შენარჩუნება ის ტვირთია, რომელიც კაცობრიობის განვითარების პირობებში პატარა ერის შემთხვევაში რთულდება (ჯანელიძე, 1997).

მინდა ალექსანდრე ჯანელიძის თეორიიდან კიდევ ერთ ასპექტზე გავამახვილო ყურადღება, რომლის მიხედვითაც ქართველ ერს პასუხისმგებლობის შიში აქვს, მას დამოუკიდებელი ნაბიჯის გადადგმის ეშინია და მხოლოდ მაშინ გრძნობს თავს თავისუფლად, თუ ბრბოს ნაწილია, ანუ თუ სხვისი ცხოვრების რიტმს უწყობს ფეხს. ალექსანდრე ჯანელიძე ამატებს, რომ ისტორიული მატერიალიზმი სწორედ ზედგამოჭრილი აღმოჩნდა ქართველების სულიერი მდგომარეობისათვის. ამ მოძღვრებამ ყველანაირი პასუხისმგებლობისგან გაგვათავისუფლა ერი, ყველაფერი აუცილებლობის შედეგად დასახა და თუ რაიმე არ იქნებოდა მოსაწონი, მისი შეცვლა პოლიტიკური ელიტის მიერ შეუძლებელი იქნებოდა, რადგან მათი ფუნქცია მხოლოდ მარქსის წყალობით რკინის კანონების დაფარული აზრის ამოკითხვაა. მისი დასკვნით, პასუხისმგებლობის ადგილს შეუცდომლობის რწმენა იკავებს (ჯანელიძე, 1997).

ალექსანდრე ჯანელიძე აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატების არა მხოლოდ ეროვნულ ნიჰილიზმს, არამედ კოსმოპოლიტიზმსაც. აკრიტიკებდა კოსმოპოლიტიზმის დოგმატიზმს და მარქსის თეორიის პროპაგანდას. განსაკუთრებით აკრიტიკებდა ქართველ მარქსისტებს და მათ მიერ ისტორიული აუცილებლობის მარქსისეული სქემის მიღებას, რამაც ადამიანს მოქმედების და პასუხისმგებლობის საფუძველი გამოაცალა, რადგან ყველაფერი, რაც ხდება,

კანონზომიერებადაა მიჩნეული. ალექსანდრე ჯანელიძე აკრიტიკებს ეროვნული პოზიციის დამცველ კულტურულ და პოლიტიკურ ელიტასაც, რადგან ქართველი მარქსისტების გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ ეროვნული იდეის დამცველებიც არ იყვნენ მყარ პოზიციაზე, თითქოს რცხვენოდათ საკუთარი პოზიციის და ხშირად იხდიდნენ „ბოდიშს“ ამის გამო, ამტკიცებდნენ იმას, რომ სწორედ სოციალიზმისთვის იქნება სასარგებლო ის, რასაც ისინი ითხოვენ (ჯანელიძე, 1997).

ალექსანდრე ჯანელიძე აკრიტიკებდა ერნესტ რენანის ერის დეფინიციასაც და ქართველი მოაზროვნეების მიერ მის უკრიტიკოდ მიღებასაც. მაგალითად, ნოე ჟორდანია, რომელმაც ერი ეროვნულ შეგნებაზე დაიყვანა მხოლოდ. მისი აზრით, რენანის ერის დეფინიციას ნაწილობრივ ჯორჯაძეც უკრიტიკოდ იზიარებდა. (კოდუა, 2001). რამდენიმე ასპექტია ჩემთვის მნიშვნელოვანი ამ მონაკვეთში: 1) რენანის კრიტიკა ჯანელიძის მხრიდან სავარაუდოდ განპირობებულია იმით, რომ რენანი ენის მარკერს, როგორც სხვა გავრცელებულ მარკერებს, არ თვლის გადამწყვეტად ერის ფორმირებისთვის; 2) ნოე ჟორდანიას ხედვებზე რენანის გავლენა ნაკლებად იგრძნობა, რადგან რენანის თეორია ერის ეროვნულ შეგნებაზე დაყვანას არ ცდილობს, როდესაც საუბრობს რამდენიმე ფაქტორის მნიშვნელობაზე ერის ფორმირების დროს: წინაპრების მნიშვნელობა, ტრადიციების გავლენა, აწმყოში ერის განვითარებისთვის მოღვაწეობა და ნება, რომ იყო ერის წევრი, ისეთი სოლიდარობა ერისადმი, რომელიც არ ახასიათებს სხვა ერთობებს.

ალექსანდრე ჯანელიძე იზიარებდა არჩილ ჯორჯაძის თვალსაზრისს ერთიანი ეროვნული სულის, გონის სუბსტანციალობის შესახებ, წოდებების, კლასების, სოციალური ჯგუფების, როგორც ერთიანი ეროვნული სულის განშტოებების, საერთო ეროვნული ინტერესების გამომხატველის შესახებ. არჩილ ჯორჯაძესთან ალექსანდრე ჯანელიძის იდეური სიახლოვისა, მასთან თეორიულ-ფილოსოფიური და პარტიული სოციალ-ფედერალისტური პოზიციური ერთიანობის მიუხედავად, ალექსანდრე ჯანელიძე ხარვეზად მიიჩნევდა არჩილ ჯორჯაძის და მიხაკო წერეთლის მიერ ჩამოყალიბებულ ერის დეფინიციებს, რომელთა მიხედვით, ერი ერთნაირი სულიერი წყობის სოციალური ორგანიზმია. ალექსანდრე ჯანელიძის მიხედვით, აქ გამოკვეთილი არ არის ერის არსებითი ნიშანი, ენა როგორც ერის განმსაზღვრელი.

მისი განმარტებით, ერი ისეთი *„სუპერორგანიზმია“,* რომლის ინდივიდუალობა ენაში ვლინდება (ჯანელიძე, 1997).

ალექსანდრე ჯანელიძე დამაჯერებლად მიიჩნევს მიხაკო წერეთლის მოსაზრებას, რომელმაც ეროვნება დაუკავშირა არა შეგნებას, არამედ ინდივიდუალობას, მაგრამ მას არც წერეთლის ორგანიციზმი აკმაყოფილებს და მიაჩნევს, რომ *„ცხოვრების ინდივიდუალობა განვითარების, შემოქმედების თავისებურებაში უნდა ისახებოდეს“.* ჯანელიძე ეთანხმება მიხაკო წერეთელს თვალსაზრისს ერის ორგანიზმობის შესახებ, მაგრამ აკრიტიკებს მას იმიტომ, რომ მიხაკო წერეთელს მხოლოდ ერი მიაჩნია სოციალურ ორგანიზმად და ყოველივე დანარჩენი - თემი, სახელმწიფო, კაცობრიობა მის თეორიაში გამოირიცხა სოციალურ ორგანიზმთა რიგიდან (კოდუა, 2001). ალექსანდრე ჯანელიძის დასკვნით, შემოქმედებაა ის შინაგანი ძალაა, რომელიც გვაკავშირებს და გვხდის ერთ ერად, სხვებისგან განსხვავებულად. მისი მოსაზრებით, ეროვნებას აქვს სპეციალური ორგანოები და ერთ-ერთია ტერიტორია, ერი ტერიტორიის გარეშე წარმოუდგენელია. ტერიტორია მნიშვნელოვანია, მაგრამ არაა გადამწყვეტი მის ეროვნულ თეორიაში.

მცირე ერისადმი ნიჰილისტურ განწყობას ალექსანდრე ჯანელიძემ დაუპირისპირა თავისი სუბიექტური ოპტიმიზმი: *„თუ ჩვენი ერის შემოქმედებით სწრაფვას გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველი ერი არ მოკვდება, რომ ის იცოცხლებს, რადგან ასეთია მისი ნება“*, უფრო მეტიც, *„ქართველებს ის უპიტარესობა გვაქვს სხვა ერებთან შედარებით, არც თვისტომობით, არც ენით, არც ზნე-ხასიათით და ისტორიული წარსულით, რომელიმე დიდ ერს არ ვენათესავებით, პირიქით, სრულიად განმარტოებით ვდგავართ და ჩვენს გარკვეულ ეროვნულ სახეს ბევრი ჩვენზედ ბედნიერიც შენატრებდა“.* ალექსანდრე ჯანელიძე საფრთხესაც ხედავდა ამაში და ამატებდა, რომ შესაძლოა ამას ცუდი მხარეც მრავალი ახლდეს თან, რადგან მეტად რთულია ჩვენთვის ასიმილაცია (ჭელიძე, 2002).

ვთვლი, რომ ალექსანდრე ჯანელიძის თეორია კარგად ანახებს ქართველი მოაზროვნეების მიერ ერის პრაქტიკული დეფინიციების შემუშავების მცდელობას, რომელიც მორგებული იქნება საუკეთესოდ ქართულ რეალობაზე. ალექსანდრე ჯანელიძის კონცეფციაში ეროვნული სულის ცნება არის მთავარი, რომელიც

გამოხატავს საკუთარ თავს შემოქმედებით, თუ ამ ფუნქციას კარგავს ეროვნული სული იწყებს დაქვეითებას. შემოქმედების გამოხატვის საუკეთესო საშუალება კი ენაა. ამიტომ არის ენის მარკერი მისთვის გადამწყვეტი. მისი თეორია საზოგადოებას ეროვნული სულის შესანარჩუნებლად მოუწოდებს შემოქმედებით გააქტიურებას მოღვაწეობის ყველას სფეროში, რადგან ეს განვითარება გამოიწვევს მთლიანად ერის განვითარებას. აქცენტი მასთან მთლიანად გააქტიურებაზე და შემოქმედებითობაზეა დასმული, რათა ერი გახდეს განვითარებული.

§2.4. გერონტი ქიქოძის თეორია ეროვნული ენერგიის შესახებ

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც 1903 წელს გერონტი ქიქოძე გერმანიაში სასწავლებლად წავიდა და გაიარა თბილისი, ქალაქს შეამჩნია ეროვნული სახის დაკარგვა, რადგან ქართულ აბრას ვერ შეხვდებოდი თბილისში. გერონტი ქიქოძე პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისში ზომიერ სოციალ-დემოკრატთა რიგებს უნდა მივაკუთვნოთ, თუმცა მისთვის ეროვნული საკითხი ყოველთვის პრიორიტეტული იყო. რეაქციის პერიოდში ეროვნული-დემოკრატების ლიდერი ხდება და მისი პუბლიკაციები ძირითადად ეროვნული საკითხის გარშემო ტრიალებს. 1905 წლიდან გერონტი ქიქოძე აქტიურად აქვეყნებდა სტატიებს ქართულ პერიოდულ გამოცემებში. სტატიაში „ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა“ მან უარყო ერის წარმოშობის დამთხვევა კაპიტალიზმის წარმოშობა-განვითარებასთან. გერონტი ქიქოძის მოსაზრებით ეროვნება არსებობდა იქამდეც, სანამ ის ეროვნულ სახელმწიფოს და ეროვნულ მეურნეობას შექმნიდა (ახობაძე, 1965). ეს აზრი არ არის შორს პრიმორდიალიზმის[7] თეორიისგან. რასაც განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი არის გერონტი ქიქოძის მიერ არჩილ ჯორჯაძის ერის და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების თეორიის უარყოფა. მისი აზრით, ეროვნება იწვევს ეროვნული სახელმწიფოს წარმოშობას, რადგან ერი ცდილობს პოლიტიკური ორგანიზაციის მოპოვებას, რომელიც შეეფერება მის მახასიათებლებს. მისი სოციალ-დემოკრატიული წარსულის მიუხედავად პოლიტიკოსი ხაზს უსვამს ერის და შესაბამისად ეროვნების უპირატესობას კლასების დაპირისპირებასთან შედარებით. არჩილ ჯორჯაძის „საერთო მოქმედების ნიადაგს“ გარკვეულწილად ეხმაურება და ეთანხმება იმ მხრივ,

[7] ნაციონალიზმის ერთ-ერთი თეორია, რომლის წარმომადგენლებიც მიიჩნევენ, რომ ნაციონალიზმი და ერი ისეთივე ხანგრძლივი ფენომენია, როგორც კაცობრიობა. პრიმორდიალიზმის თანახმად, ერი და ნაციონალიზმი ყოველთვის არსებობდა.

რომ გერონტი ქიქოძის აზრით, ყველა საზოგადოებრივი კლასია იმით დაინტერესებული, რომ იმ ერის კულტურა, რომელსაც ეკუთვნის განვითარდეს. სწორედ ეს საერთო ინტერესი არის წინაპირობა საზოგადოების სოლიდარობისა ერის წინსვლისთვის.

მნიშვნელოვანია გერონტი ქიქოძის მოსაზრება პირველი მსოფლიო ომის შესახებ, რადგან ის ფიქრობს, რომ ომი დიდ მიზნებსა და იდეალებს ისახავდა იმიტომ, რომ ის ეროვნულ მოტივებზე იყო აგებული. სწორედ ომის დაწყების შემდეგ გერონტი ქიქოძემ ამ ახალ პროცესს ეროვნული ენერგიის გამოღვიძება უწოდა, რადგან ყველა ერის წარმომადგენელი ადგილობრივ ენაზე საუბრობდა ამ დროს და უფრო პოპულარული ხდებოდა გუსტავ ერვეს *გამოთქმა: „რაში მეპრიანება სოციალიზმი: დღეს მხოლოდ ეროვნულის დაცვას აქვს ფასი“* (ჭელიძე, 2002). გერონტი ქიქოძის თეორიით ეროვნული ენერგია მიძინებული ძალაა, პოტენციაა, რომელიც ომის და საფრთხის პერიოდში მთელი სიძლიერით ამოქმედდება. ერის ცხოვრება ეროვნული ენერგიის მოძრაობა, დახარჯვა და ბრძოლაა არსებობისთვის. ამ პროცესში სუსტი ერი ნადგურდება და ძლიერი იმარჯვებს, რომელიც სუსტის ადგილს იკავებს. ერის მოღვაწეობა ზნეობრივი შეფასების გარეშე დგას. ავტორი ხაზს უსვამს იმასაც, რომ თუ ადრე პოპულარული იყო ერთფეროვანი და მსოფლიო მოქალაქეობის იდეა XX საუკუნის დასაწყისში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ეროვნებების ერთმანეთისგან განსხვავებას და თითოეული ერის ინდივიდუალურობას. ჩემთვის საყურადღებოა მის მიერ ერის ზნეობრივი კატეგორიაში არ შეყვანა, რადგან ის ხაზს უსვამს, რომ ერის მოღვაწეობის ზნეობრივი შეფასება ვერ მოხდება. ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს ჩემთვის მისი თეორიის ხარვეზი, თუ რა ხდება დამპყრობელი ერების შემთხვევაში?! შეგვიძლია თუ არა ზნეობრივი კატეგორიებით შევაფასოთ ასეთი ერის მოქმედება?!

გერონტი ქიქოძე აკრიტიკებს ნოე ჟორდანიას შეხედულებას, რომელიც აღნიშნავდა, რომ ამ ომში სახელმწიფოები იბრძოდნენ და არა ეროვნებები, ამ ომისთვის უცხო იყო ეროვნული იდეა. გერონტი ქიქოძის აზრით, XIX საუკუნიდან ეროვნული სახელმწიფოები იქმნება და ნებისმიერი მათ მიერ წარმართული ომი ეროვნულია, რადგან თავად სახელმწიფო და არმიაა ეროვნული.

1914 წელს გერონტი ქიქოძე აქვეყნებს სტატიას სათაურით „ეროვნული ენერგია“ („სახალხო ფურცელი“ №16). სტატიაში გერონტი ქიქოძე მესამე დასის კავშირს ხედავს საქართველოს წარსულთან, რადგან მათი მახასიათებელი პარტიკულარისტული ხედვა და სულია, რაც გამოიხატება იმაში, რომ მესამე დასი ხედავს მხოლოდ მუშას, გლეხს, სოციალისტს და ის ერთიანად განხილულ ქართველ საზოგადოებას ვერ ხედავს. გერონტი ქიქოძის დასკვნით, მესამე დასის კავშირი წარსულთან არ არის დადებითი, რადგან მხოლოდ უარყოფითი მახასიათებლები მიიღო წარსულისგან მესამე დასმა. თუმცა არის წარსულთან დადებითი კავშირის შემთხვევები, როდესაც მიზანმიმართულია ეს კავშირი წარსულთან, რათა აწმყოში შეიქმნას საქართველოს იდეალი. გერონტი ქიქოძე აღნიშნავს, რომ ევროპის შემთხვევა განსხვავებულია, რადგან იქ სოციალიზმი პროგრესული კაპიტალისტური კულტურის შედეგია, ანუ ასეთი სოციალიზმი წარმოიშვა იმისგან, რაც ეროვნულმა ენერგიამ შექმნა. საქართველოში ეს ეროვნული ენერგია არ არის სრულად განვითარებული და შესაბამისად სოციალიზმი ვერ იქნებოდა ამ საფუძველზე შექმნილი. გერონქი ქიქოძე ამატებს იმ დეტალს, რომ მესამე დასის მოღვაწეობამ არაგამიზნულად მაინც შეუწყო ხელი ქართული ეროვნული ენერგიის განვითარებას, მაგრამ ეს ენერგია ინტერნაციონალურ მიზნებზე იხარჯება.

რაც შეეხება იმ პერიოდში ასე გავრცელებულ საკაცობრიო იდეას, რომლის მიხედვითაც თითოეულმა ერმა წვლილი უნდა შეიტანოს მის განვითარებაში, გერონტი ქიქოძე აღნიშნავს, რომ რაც უფრო დაწინაურებულია ერის კულტურა, მით უფრო გავლენიანია ის საზღვრებს გარეთაც, მრავალფეროვანი და განსხვავებული ეროვნული ენერგია საერთაშორისო გავლენის მქონედ იქცევა. აქედან გამომდინარე, მისი დასკვნაა, რომ საკაცობრიო იდეას მაშინ ემსახურები კარგად, როდესაც საკუთარის ერის კულტურას ავითარებ ეროვნული ენერგიის განვითარების გზით.

გერონტი ქიქოძე განმარტავს ენის მნიშვნელობას, რომ თავად ეროვნული ენერგიის მდგომარეობა კარგად ჩანს და გამოიხატება ენის მეშვეობით. ენის, როგორც ერის ერთ-ერთი მთავარი მარკერის, ძალა გამოიხატება იმაში, რომ ის აერთიანებს თაობებს და აკავშირებს წარსულს აწმყოსთან, რადგან დაწერილი სიტყვა და მასში ჩადებული იდეაც გადაეცემა მომავალ თაობებს. გერონტი ქიქოძის მოსაზრებით, ერის მოვალეობაა ენის გაფრთხილება და გაწმენდა ბარბარიზმებისგან. ამასთან ერთად,

ენის გატანა საზღვრებს გარეთ და როდესაც ენა ინტერნაციონალური ხდება, ის იარაღად იქცევა იმ ერისთვის ვისთვისაც მშობლიურია ეს ენა. ენერგიული ერების რიცხვს მიაკუთვნებს გერონტი ქიქოძე წარსულში ქართველ ერს, რომელმაც მის თანამედროვეობაში დაკარგა სახელმწიფო ორგანოები და შესაბამისად აღარ მიეკუთვნება ენერგიული ერების რიცხვს. გერონტი ქიქოძეს შექმნილი ერის მდგომარეობიდან გამოსავლის საშუალებებად ესახება: ქართული კლასიკური მწერლობის შესწავლა, ენის გაწმენდა და ხალხური ენის შესწავლა.

1916 წელს კი „საქართველოში“ გამოაქვეყნდა გერონტი ქიქოძის „კულტურული ავტონომია“, სადაც აკრიტიკებს მესამე დასელებს, რომლებიც არ ითხოვდნენ პოლიტიკურ-ტერიტორიულ ავტონომიას და მხოლოდ კულტურულ ავტონომიას ითხოვდნენ. გერონტი ქიქოძე აღნიშნავს, რომ კულტურული ავტონომია შეიძლება გამართლებული იყოს იმ ერებისთვის, რომლებსაც საკუთარი ტერიტორია არ აქვთ. ქართველებს კი აქვთ საკუთარი ტერიტორია და წარსულში სახელმწიფოებრიობის გამოცდილება. აქედან გამომდინარე, ძირითად ამოცანად გერონტი ქიქოძეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა ესახება. ამ მიზეზის გამო მთელი სტატია მესამე დასელების ინტერნაციონალიზმის კრიტიკას შეიცავს (კოდუა, 2000). გერონტი ქიქოძე ქართველ მარქსისტებს აკრიტიკებდა კლასობრივი შეზღუდულობის გამოც, რაც მათ არ აძლევდათ უფლებას მთელი საზოგადოების სახელით ელაპარაკათ, ის არ უარყოფს კლასობრივ დიფერენციაციას, მაგრამ ეროვნული საკითხი უფრო მნიშვნელოვან პრობლემად ესახება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია გერონტი ქიქოძე ერის განმსაზღვრელ რამდენიმე ნიშანს ასახელებს: ტერიტორიას, ენას, ისტორიულ ტრადიციებს, კულტურას, ეთნიკურ თავისებურებებს და პოლიტიკურ შეგნებას. ამ უკანასკნელში იგულისხმება სახელმწიფოებრიობის გაცნობიერება.

1917 წელს გამოქვეყნდა გერონტი ქიქოძის სტატია „ეროვნული იდეა“, სადაც ავტორი საუბრობს XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე დემოკრატიის იდეის გააქტიურებაზე, მაგრამ მის თანამედროვე ეპოქას ეროვნული იდეის გაბატონების პერიოდს უწოდებს, რადგან ეროვნულმა თვითშეგნებამ გამოიღვიძა ისეთ ხალხში, რომელსაც წარსულში კავშირი არ ჰქონდა ეროვნულ საკითხთან. გერონტი ქიქოძე საუბრობს ამის მიზეზზეც და ამბობს, რომ სულიერი განწყობა შეიცვალა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ომის შემდეგაც შეუძლებელი იქნება ძველი წესრიგის აღდგენა.

გერონტი ქიქოზე ეხება იმ კულტურულ პროცესებს, რასაც ადგილობრივი ენების გამოღვიძებას და „წმინდა“ ენების ჩანაცვლებას არქმევს ბენედიქტ ანდერსონი (Anderson, 2016). ავტორი სტატიაში აღნიშნავს, რომ თუ წარსულში კულტურულ ენად მხოლოდ ლათინური ან არაბული ითვლებოდა, შემდეგ კულტურის ცნება გაფართოვდა და ამ ენების ადგილი წამყვანი ერების ენებმა დაიკავეს (ფრანგული, ინგლისური, იტალიური, გერმანული), მაგრამ მის რეალობაში ის ხედავს ამ ზღვარის მოშლის წინაპირობასაც, რისი შედეგიც იქნება კულტურის გაფართოება, რომელიც გაცდება დასავლეთ-ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის საზღვრებს (ლელიანი, 1917).

მიუხედავად იმისა, რომ გერონტი ქიქოძე ერის განმსაზღვრელ რამდენიმე ნიშანს აყალიბებს და არ გამოყოფს ძირითადს, მაინც მისი მოსაზრებები მარწმუნებს, რომ მთავარი მარკერი ერის დეფინიციაში მისთვის ენა იყო. ის იზიარებდა ჰუმბოლტის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ენა მხოლოდ აზროვნების შედეგი არა არის და თავად არის აზროვნების მიზეზი. ენის წარმოშობის მიზეზი კი ეროვნული ფსიქიკური წყობის განსხვავებაა. საინტერესეოა გერონტი ქიქოძის ეს მოსაზრება, რადგან აქედან გამომდინარეობს ის, რომ ენის შემოქმედი მხოლოდ ერია, ეროვნული სულია. ენის სხვადასხვაობა ეროვნული სულის და აზროვნების სხვადასხვაობაზე მეტყველებს. გერონტი ქიქოძის მიერ მოყვანილი არგუმენტი უფრო ამტკიცებს ჩემს მოსაზრებას, რომ მას ენა ერის განმსაზღვრელ ძირითად მარკერად აქვს აღებული. ამ არგუმენტის მიხედვით, ორ მეზობელ ერს შორის ყველაზე ძლიერი ბუნებრივი ბარიერია ენა. სწორედ ენა ქმნის საზღვრებს ერებს შორის, თუმცა ენა აახლოებს ერთი ერის წევრებს და სხვადასხვა თაობებს ერს შიგნით, აერთიანებს წარსულს, აწმყოს და მომავალს. გერონტი ქიქოძის მიხედვით, სწორედ ენაში ჩანს ერის ისტორია და წარსული, ტრადიცია და ზოგადად კულტურა. აქედან გამომდინარე, ერი ყველაზე მეტად ენის ფაქტორს უნდა გაუფრთხილდეს, გაწმინდოს და გაამდიდროს ის (ჭელიძე, 2002).

§2.5. ქართველი სოციალ-დემოკრატების პოზიცია ეროვნული საკითხის შესახებ

„ივერიის“ სარედაქციო ჯგუფი ხშირად ახსენებდა წერილებში, რომ საქართველოში არ იყო მარქსიზმის გავრცელებისთვის საჭირო პირობები, რადგან ეს თეორია შექმნილი იყო ევროპის რეალობაზე და საქართველოში ვერ ვხვდებოდით იმ

კლასს, რომელიც წამყვანი იყო ამ თეორიისთვის. მართალია მუშათა რიცხვი არ იყო მასშტაბური, მაგრამ მაინც ვხვდებით შესამჩნევ რაოდენაობას, რაც გასათვალისწინებელია, რადგან საქართველოში მარქსიზმი ასეთი პოპულარული ვერ გახდებოდა, რომ არა გარკვეული წინაპირობები. მარქსიზმის, როგორც იდეოლოგიის გავრცელება ქვეყნებში ძნელად წარმოსადგენია გარკვეული მატერიალური წანამძღვრების გარეშე და ეს წინაპირობა დაკავშირებულია კაპიტალიზმის განვითარებასა და მუშათა კლასის ჩამოყალიბებასთან. მაგალითად მოვიყვან 1897 წლის აღწერის მონაცემებს, რომელშიც 32 330 სამრეწველო მუშაა დაფიქსირებული, ხოლო დაქირავებულ მუშათა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. თუ შევაჯამებთ სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ მუშათა რაოდენობას გამოვა, რომ XIX საუკუნის დასასრულისთვის საქართველოში 118 868 იყო დაქირავებული მუშების რაოდენობა. შეიძლება ეს მივიჩნიოთ საქართველოში მარქსიზმ-ლენინიზმის გავრცელების მატერიალურ წანამძღვრებად (ლომაშვილი&გეგეშიძე, 1986).

რაც შეეხება იდეოლოგიური თვალსაზრისით მარქსიზმის გავრცელებას, ამ საკითხის განხილვა ვრცლად შეიძლება, რადგან რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტის ხაზგასმაა საჭირო, როცა ვსაუბრობთ ქართველ მარქსისტებსა და მათ პოზიციაზე ეროვნული საკითხის შესახებ. პირველი და უმთავრესია ის, რომ ქართველ მარქსისტებში და შემდეგ სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით არ იყო საერთო პოზიცია ეროვნული საკითხის შესახებ და ცხადია ერის მნიშვნელობის შესახებაც. აქ, თანაარსებობს ნაწილი, რომელიც რადიკალურადაა განწყობილი და არ ამახვილებს ყურადღებას ეროვნულ პრობლემაზე. ამასთანავე, შეიძლება ვისაუბროთ იმ ფრთაზე, რომელიც პატრიოტული მიდგომებით გამოირჩევა და ვხვდებით პარტიის ზომიერ ნაწილსაც.

ეს პოზიციების განსხვავება იგრძნობოდა სოციალ-დემოკრატების პირველი შეკრების დროსაც (1892 წ.), როდესაც მათ პირველ კონფერენციაზე ნოე ჟორდანიას პროგრამა განიხილეს. პროგრამის ხელახალი დაწერა დაევალათ სილიბისტრო ჯიბლაძეს, ეგნატე ნინოშვილს და ნოე ჟორდანიას. 1893 წელს თბილისში ჩატარდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველი ყრილობა. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ პარტიის დასახულ მიზნებში შედიოდა: ერის დამოუკიდებლობა, სადაც ხაზი გაესვა, რომ - *„მატერიალური ცხოვრების ბაზა, ისევე*

როგორც ადამიანის სიცოცხლისა, ერების და ინდივიდუალური თავისუფლებაა“. სწორედ ასე შეიქმნა „მესამე დასი“. განსაკუთრებით საყურადღებოა ნოე ჟორდანიას მიერ ამ მოვლენების შეფასება მოგვიანებით, როდესაც მან აღნიშნა, რომ ვერაფრით ახსნიდა, თუ რატომ ჩაიწერა ერის თავისუფლების მოთხოვნა მოხსენებაში, რადგან იმ პერიოდში სხვა ქვეყნის სოციალისტები ამ დებულებას არ აყენებდნენ. მართალია კონკრეტულად არ იყო ნათქვამი საქართველოს განთავისუფლება და დებულება ზოგადი ფორმის იყო, მაგრამ ნოე ჟორდანია ხაზს უსვამს, რომ მასში სწორედ საქართველოს განთავისუფლება იგულისხმებოდა და ამ თავისუფლების იდეას ის იღებდა დემოკრატიული მსოფლმხედველობიდან. ნოე ჟორდანია ხსნიდა, რომ თუ პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი, რატომ ერი, როგორც დიდი ეთნიკური საზოგადოება, არ უნდა მართავდეს საკუთარ თავს. როგორც ვხედავთ ტრადიციულმა მარქსისტულმა სოციალიზმმა აქ, დაიმატა ნაციონალური დებულებები. სწორედ ეს 1893 წლის კონფერენცია იქცა სოციალისტური ინტელიგენციის აზროვნების გამოხატულების საწყისად (ბერიშვილი, 2017).

ეროვნულ საკითხზე პოზიციები განსხვავებული იყო მენშევიკთა შორისაც. ეს ტენდენცია განსაკუთრებით რეაქციის წლებში გამოიკვეთა და ნათელი გახდა, რომ ამ მიმდინარეობის შიგნით სხვადასხვა ჯგუფები ჩამოყალიბდნენ. ამ ჯგუფებს შორის იყვნენ ავტონომიის მომხრეებიც, ვუწოდოთ მათ სოციალ-დემოკრატების ავტონომისტთა ფრთა. ამ მიმართულების წარმომადგენლები კი იყვნენ: ვლადიმერ დარჩიაშვილი და ივანე გომართელი. ეს ნაწილი მენშევიკთა უმრავლესობას, ნოე ჟორდანია ხელმძღვანელობით, უპირისპირდებოდნენ ეროვნული საკითხის გამო. ლეო გორგილაძე ხაზს უსვამს, რომ ავტონომისტთა ეროვნული პროგრამა გადმოღებული იყო ავსტრომარქსისტთა ეროვნული პროგრამისგან. ამ მოსაზრებას ვიზირებ, რადგან მენშევიკ-ავტონომისტთა ლიდერის ვლადიმერ დარჩიაშვილის შეხედულებებში იკვეთება ოტო ბაურის გავლენა, როდესაც დარჩიაშვილი ერის მთავარ ნიშნად ობიექტური მარკერების ნაცვლად, რომლის აღებაც ერის მახასიათებლად საკვლევ პერიოდში პოპულარული იყო, მიიჩნევს ნაციონალურ ბუნებას.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი არის სოციალ-დემოკრატების ეროვნული საკითხის შესახებ პოზიციების განხილვა დინამიკაში, რადგან პოზიციის ცვლილება

დამოკიდებული იყო პერიოდზე და გარემო ფაქტორებზე, რის მიხედვითაც იცვლებოდა დამოკიდებულება ერის ცნებისა და ეროვნული საკითხისადმი. სოციალ-დემოკრატების მიერ ერის ცნების გააზრების დინამიკის წარმოდგენის საუკეთესო მაგალითია ნოე ჟორდანია. ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში, რომ ზუსტად ნოე ჟორდანიას შეხედულებები შემესწავლა დინამიკაში დამიდასტურა ექსპერტული ინტერვიუს შედეგებმაც. რესპოდენტი №1 ხაზს უსვამს ინტერვიუს დროს, რომ ნოე ჟორდანია იმდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა 1893-1917 წლების საქართველოს ისტორიისთვის, რომ მისი, როგორც პოლიტიკური მოღვაწის განვითარებისათვის თვალის მიდევნებით შეგვიძლია დავინახოთ თავად სრული პროცესი, თუ როგორ ვითარდებოდა საქართველოში მეოცე საუკუნის პირველ ორ ათწლეულში. რესპოდენტი ამატებს, რომ ნოე ჟორდანია იმ მასშტაბის პოლიტიკოსი იყო, რომ აეწია ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების და განვითარების სიმძიმე, რომ არა 1893-1917 წლების მყარი პოლიტიკური „ბეგრაუნდი“ მისთვის რთული იქნებოდა ამ პროცესისთვის თავის გართმევა, ის იქცა პოლიტიკოსად, რომელიც გრძნობდა დროის საჭიროებებს, მან იგრძნო, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა იყო მომწიფებული. ამას რესპოდენტი №1 უწოდებს პოლიტიკურ ალღოს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ ლოგიკურია ჩემი მხრიდან ნოე ჟორდანიას შეხედულებების შესწავლა ერის ცნებისა და ეროვნული საკითხის შესახებ დინამიკაში.

ვახსენე მისი მოღვაწეობის დასაწყისი და დავაკონკრეტებ, რომ 1892 წელს დაწერილი მისი პროგრამა იყო არა სოციალ-დემოკრატიული, არამედ ნაციონალ-დემოკრატიული. 1893 წლის ქართველი მარქსისტების მეორე კრებაზე ნოე ჟორდანიამ წარადგინა პროგრამა „რა ვაკეთოთ?“, რომელიც უფრო ევროპული სოციალიზმის ნიშნებით ხასიათდებოდა და რომელიც მცირე ჩასწორების შემდეგ მიღებული იქნა სამოქმედო გეგმად. 1896 წელს ნოე ჟორდანია ხაზს უსვამდა, რომ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ რა გზით მოხდებოდა საქართველოში ფეოდალიზმიდან კაპიტალისტურ წყობილებაზე გადასვლა, მთავარი იყო ის, რომ ეს მომხდარიყო დასავლეთ ევროპის დახმარებით. მისი აზრით, ევროპელები ცვლიან ეკონომიკურ წყობილებას და ავითარებენ ეროვნულ შრომას. 1897 წლის ლანჩხუთის კრებაზე გადაწყდა, რომ გაზეთი „კვალის“ რედაქცია „მესამე დასის“ ხელში გადადიოდა და შესაბამისად დაისვა „კვალის“ ფურცლებზე ეროვნული საკითხის გაშუქების

საკითხიც. თავად ნოე ჟორდანიას სიტყვებითვე ნათელი გახდა, რომ ბათუმის და თბილისის დელეგატები ითხოვდნენ ამ საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნას. ჟორდანია იხსენებს: *„მე მარტო დავრჩი, ჩემს აზრს არავინ იზიარებდა“* (ლომაშვილი&გეგეშიძე, 1986, გვ. 174-175). ეს ნიშნავს, რომ 1897 წელს ნოე ჟორდანია მომხრე იყო „კვალის“ ფურცლებზე ეროვნული საკითხი აქტიური განხილვისა, მაგრამ ამის საპასუხოდ მოხდა ეროვნული პრობლემის იგნორირება.

ნოე ჟორდანია „მესამე დასს“ აცხადებდა „მეორე დასის“ მემკვიდრედ და ამტკიცებდა, რომ: *„დემოკრატიულმა დასმა ახალი ნიადაგი უნდა მოძებნოს და მით შეიქმნას ძველი პროგრესული დასის გამგრძობი. „ივერიამ“ ასეთი ნიადაგი თავად-აზნაურობაში ჰპოვა. ჩვენ ამ ნიადაგს ვეძებთ ერის უმრავლესობაში, მიუხედავად წოდებისა*“ (გორგილაძე, 1961, გვ. 341). აქედან უკვე ნათელია, თუ საზოგადოების რომელი ნაწილის პოლიტიკური თვითცნობიერების ამაღლებაზე ზრუნავს ქართული სოციალ-დემოკრატია. მესამე დასის გარდა, 1893 წელს თბილისში ფორმდება აფანასიევის რუს მარქსისტთა ჯგუფიც და მათივე ინიციატივით თბილისში იქმნება რამდენიმე მარქსისტული წრე. ამ წრეების შექმნაში კი დიდი წვლილი შეიტანა მეფის მთავრობის მიერ რუსეთიდან საქართველოში გადმოსახლებულმა ფრანჩესკიმ, რენიგერმა, ლუზინმა და სხვებმა (ნადიბაიძე, 1980).

შევაჯამებ 1893-1897 წლებში ნოე ჟორდანიას მოღვაწეობას და გამოვყოფ ძირითად ასპექტს: ნოე ჟორდანია საჭიროდ თვლიდა ეროვნული მოძრაობის პროგრამის სოციალური მოთხოვნებით შევსებას. მთავარია ის, რომ მოთხოვნები, რომელზეც ნოე ჟორდანია საუბრობს სოციალურია და არა სოციალისტური და ეს პროცესი არ შეიძლება წარიმართოს კარლს მარქსის თეორიის საფუძველზე, რადგან მისი თეორია არ აღიარებს ერის და სახელმწიფოს მნიშვნელობას, წინ აყენებს სამეურნეო ინტერესებს. აქედან გამომდინარე მოღვაწეობის ამ პერიოდში ნოე ჟორდანია ედუარდ ბერნშტეინის და კარლ კაუცკის თეორიებს იზიარებდა და ეყრდნობოდა. ნოე ჟორდანია მხარს უჭერდა დასავლეთ-ევროპის სოციალ-დემოკრატიას. „მესამე დასი“ სწორედ დასავლეთ ევროპულ სოციალ-დემოკრატიულ პლატფორმას იზიარებდა (1892-1893 წწ.) (გურული, 1999). ნოე ჟორდანიას იდეალი იყო საქართველოში ისეთივე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემის შემუშავება, როგორიც იყო დასავლეთ ევროპაში, თუმცა მასზე გარკვეული გავლენა

მოღვაწეობის დასაწყისში ჰქონდა გიორგი პლეხანოვსაც, მაგრამ მაინც ის დასავლეთ ევროპული ორიენტაციის მქონე მეტადაა (გურული, 2018).

ხაზგასასმელია უკვე 1900-იან წლებში ნოე ჟორდანიას და არჩილ ჯორჯაძის დისკუსია, რომელშიც პირდაპირ იკვეთება ჟორდანიას დამოკიდებულება ნაციისადმი. ნოე ჟორდანია არჩილ ჯორჯაძესთან ეროვნულ საკითხზე დისკუსიის დროს (900-იან წლებში) თავად ერის ცნებასაც ეხებოდა და ასეთ დეფინიციას იძლეოდა: *„ეროვნება და ერი ერთი და იგივე მცნების გამოხატულება არ არის. პირველი ეხება უფრო შეგნებას, პსიხიურ მოვლენას, მეორე კი რასიულს, ობიექტურს. ხალხი ერთ ენაზე მოლაპარაკე, ერთ ტერიტორიაზე მოსახლე, ერთნაირი ზნე-ჩვეულებით, კულტურით და სხვ. წარმოადგენს ერთ ერს ანუ ერთ გვარტომობას. ის სხვადასხვა ისტორიულ ხანაში სხვადასხვა სახეს ღებულობს, მარა მისი ძირითადი თვისება, როგორც მაგ. ენა, უცვლელი რჩება. მაგ. ერი ფეოდალურ ხანაში დიდად განირჩევა კაპიტალისტური ერისგან... ეროვნება ეწოდება ამ ერის ისეთ მდგომარეობას, როცა ის გრძნობს თავისთავს როგორც ერთ მთელს, ერთი ჭირით და ლხინით გარემოცულს, ერთი მიზნისთვის ამოძრავებულს“* (სურგულაძე, 1970, გვ. 69). ამ ამონარიდიდან ნათელი ხდება, რომ ნოე ჟორდანია ერის ცნებაში მოიაზრებს გვაროვნულ-ტომობრივ ერთობას და თვლის, რომ ერი არსებობდა ფეოდალურ პერიოდშიც, მაგრამ ეროვნულობა კაპიტალიზმის პერიოდიდან ჩნდება, როცა ერის მახასიათებლად „ერთნაირის გრძნობა“ იქცევა. არჩილ ჯორჯაძე კი ამ დისკუსიაში ერის ცნების ნაცვლად იყენებს ეროვნებას და აღიარებს მის არსებობას ყველა კლასობრივ საზოგადოებაში იმ დროიდან, როდესაც სახელმწიფო ჩნდება. ორივე მოაზროვნე ეროვნების ნაცვლად ხშირად იყენებს ტერმინ ნაციას, როგორც მის იდენტურ ცნებას.

1903 წელს „მესამე დასი“, როგორც ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, ვეღარ ფუნქციონირებს, რადგან მესამედასელთა მონაწილეობა რსდმპ-ს მეორე ყრილობაში ავტომატურად ნიშნავდა „მესამე დასის“, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის გაუქმებას. ამის შედეგად ნოე ჟორდანია და მისი თანამოაზრეები დათანხმდენენ ქართული სოციალ-დემოკრატიის გაერთიანებას რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან (გურული, 2018). 1903-1905 წლებში ნოე ჟორდანია არ იზიარებდა საქართველოს ეროვნულ-კულტურული ავტონომიის იდეას

და არც ფედერალიზმის მომხრე იყო. 1904 წელს მისი ნარატივი გამოკვეთილია და მიმართულია ქართველი ნაციონალისტების წინააღმდეგ. ნოე ჟორდანია ცდილობს ყველას აუხსნას, რომ ნაციონალისტების მიერ ერის უფლებების დაცვის მოთხოვნით ინიღბება მათი კლასობრივი ბატონობის ინტერესი და მათი პრივილეგიების გაგრძელების სურვილი, ერის უფლებებზე ხაზგასმა მხოლოდ ხერხია და ქართველი ერი მათთვის ნიშნავს „თავად-აზნაურობის“ ინტერესებს, ან ქართველი ბურჟუაზიის მმართველობას (ჟორდანია, 1990).

პირველი რევოლუციის პერიოდში მენშევიკთა მცირე ჯგუფი ამახვილებდა ყურადღებას ეროვნულ საკითხზე. 1906 წელს ნოე რამიშვილმა პარტიის მეოთხე ყრილობაზე დააყენა ეროვნული საკითხის პრობლემა, რადგან მისი მოსაზრებით მოცემული რეალობა ამის საშუალებას იძლეოდა, რადგან რევოლუციამ ირგვლივ შეარყია ძველი მიდგომები და ამ ცვლილებაში ეროვნული საკითხი წარმოადგენდა მწვავე საკითხს, რომლის გადაჭრის გზების ძიება აუცილებელი იყო. ეს მოსაზრება ყრილობამ არ გაიზიარა (სურგულაძე, 2003). რეაქციის პერიოდის დასაწყისიდან ეროვნულ საკითხზე მენშევიკთა შედარებით დიდი ნაწილი იწყებს მსჯელობას. სწორედ რეაქციის პერიოდში მენშევიკთა ეს ნაწილი ჩამოშორდა ნოე ჟორდანიას ეროვნული საკითხისადმი მისი პოზიიციის გამო. ამ ჯგუფის მეთაურად აკაკი ჩხენკელი უნდა მოვიაზროთ, რომელიც მოგვიანებით ტერიტორიული ავტონომიის მომხრეც გახდა. ამ ჯგუფში შედიოდა ვლადიმერ დარჩიაშვილიც, რომელმაც 1908 წელს ჟურნალი „ალიონის“ პირველივე ნომრის სარედაქციო წერილში განაცხადა, რომ მას არ აკმაყოფილებდა რსდმპ-ს ეროვნული პროგრამა და ის ისეთი პატარა ერებისთვის, როგორიც საქართველოა დამღუპველი იყო. ვლადიმერ დარჩიაშვილის ეს პოზიცია უპრეცედენტო იყო ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში. მისი მოსაზრებით ნაციონალური პრობლემა არ შეიძლება იგნორირებული ყოფილიყო, როდესაც მას მნიშვნელობა აქვს თავად მუშათა პარტიის საქმიანობისთვის (დარჩიაშვილი, 1908).

რეაქციის პერიოდის დაწყებიდან მისი დამოკიდებულება თანდათან შეიცვალა. 1908 წელს ნოე ჟორდანიამ გამოქვეყნა სტატია „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“, რომელშიც გამოკვეთილია აზრი, რომ ქართველ ხალხს არ აინტერესებს ნაციონალიზმი, შესაბამისად ნაციონალისტურმა პარტიებმა ვერ მოიპოვეს ხალხის

მხარდაჭერა იმის მიუხედავად, რომ მათ ეროვნული საკითხის შეთავსება სცადეს სოციალურ კითხვასთან. ისტორიის მანძილზე საქართველოში არსებულ ნაციონალურ მოძრაობას ის ინტელიგენციის, თავადაზნაურობის მოძრაობად მიიჩნევს, მაგრამ არასდროს ხალხის მოძრაობად. ნოე ჟორდანიას მოსაზრებით, ქართველმა ხალხმა უარყო, როგორც დემოკრატიული ნაციონალიზმი, ისე სოციალისტური ნაციონალიზმი, რადგან მას არ აქვს ინტერესი უშუალოდ ნაციონალიზმისადმი. ამ ყველაფრიდან გამომდინარე ნოე ჟორდანია თვლის, რომ ხალხის სურვილი მკაფიოდ არის გაჟღერებული, როცა სოციალ-დემოკრატები ითხოვენ მხოლოდ კულტურულ ავტონომიას. ჩემთვის, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ სტატიიდან არის ნოე ჟორდანიას მიერ ნაციის დეფინიცია. ის თვლის, რომ თანამედროვე ნაცია არის კაპიტალისტურ წყობილებაზე გადასვლის შედეგი. ფეოდალიზმის პერიოდში ნაციონალური იდეაც კი შეუძლებელია, რომ არსებულიყო, რადგან ერი დაყოფილია ნაწილებად. რადგან რუსეთის პოლიტიკური წყობილება (ბიუროკრატიული) იყო უფრო მაღალი კულტურის, ვიდრე საქართველოსი (ფეოდალური), ამიტომ საქართველოსთვის სასარგებლო იყო რუსეთის შემოსვლა, რადგან რუსეთი ქვეყანას იცავდა, როგორც გარეშე მტრებისგან, ისე შიგნით ფეოდალებისგან. ქართველი ხალხისთვის დამოუკიდებლობის დაკარგვა ემთხვევა იმ პროცესს, როდესაც მოხდა ფეოდალური წყობილების ნგრევა (ჟორდანია, 2015). ნოე ჟორდანიამ ხაზი იმასაც გაუსვა, რომ პარტიის პროგრამაში არ არის მოთხოვილი პოლიტიკური ავტონომია არც საქართველოსთვის და არც ამიერკავკასიისთვის. კულტურული ავტონომიის მოთხოვნა 1912 წელსაც შედიოდა ქართველი მენშევიკების საარჩევნო პლატფორმაში. ეს მოთხოვნა დასაბუთებულია ნოე ჟორდანიას სტატიაში „ძველი და ახალი“ (1912 წ.). ხოლო 1913 წელს კი გამოქვეყნდა ნოე ჟორდანიას „ნაციონალური კითხვა ჩვენში“, რომელიც ეწინააღმდეგება სტალინის ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ განხილულ მოსაზრებებს. სწორედ სტატიების ამ სერიის გამოქვეყნების პერიოდიდან იწყება ნოე ჟორდანიას მსოფლმხედველობის დაბრუნება „მესამე დასის“ საპროგრამო პრინციპებთან, რაშიც ეროვნული საკითხის განსხვავებულად გააზრებაც იგულისხმება.

ნოე ჟორდანია დასახელებულ სტატიაში აღნიშნავს, რომ ერების ნაწილი ვითარდება დაბრკოლებების გარეშე, ანუ კონფლიქტების გარეშე, როდესაც მეორე

ნაწილი გზას გადის დაპირისპირებით და განხეთქილებით. ზოგადად საზოგადოების დაპირისპირების საფუძველი კი ეკონომიკურია. საინტერესო დეტალია ის, რომ ნოე ჟორდანია ნაციონალიზმს ადარებს რელიგიას, რომელმაც მოახერხა ხალხის გაყოფა და დაპირისპირება მხოლოდ იმიტომ, რომ სხვადასხვა ღმერთზე ლოცულობდნენ. საზოგადოება დაყოფილი იყო რელიგიის მიხედვით, ანუ ფაქტობრივად რელიგიურმა ასპექტმა გადაფარა კლასობრივი ასპექტი. ნოე ჟორდანიას მოსაზრებით, ნაციონალიზმი ცდილობს გადაფაროს ეკონომიკური საკითხი და ასევე ნაციონალური კითხვა აუცილებლად არის პოლიტიკური კითხვა. თუმცა ადრე არსებული გამოთქმა „ერთი ერი-ერთი მიწა“ ნოე ჟორდანიასთვის არ არის გამართლებული პრინციპი, რომლის სანაცვლოდაც გამართლდა „მრავალი ერი-ერთი მიწის“ პრინციპი.

კლასობრივი დაპირისპირების გადაჭრის საფუძვლადაც ნოე ჟორდანიას კულტურული მომზადება მიაჩნია. თანამედროვე კულტურა კი წარმოებაზეა აგებული, თანამედროვე წარმოება ევროპაშია, აქედან გამომდინარეობს, რომ კულტურა ევროპულია. თუმცა აქ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ნოე ჟორდანია, რომ კულტურის შექმნა ნაციონალური ნიშან-თვისებების შესაბამისად ხდება. ერი იღებს ევროპული კულტურისგან მაგალითს, მაგრამ გარდაქმნის საკუთარი კულტურის შესაბამისად. თუმცა, კულტურულის შინაარსი მას ინტერნაციონალურად ესახება, ანუ ერის მნიშვნელობა ზოგადად ევროპული კულტურისთვის არის გასათვალისწინებელი, რით ამდიდრებს ერი ამ თანამედროვე კულტურას. ნოე ჟორდანიას დასკვნით, პროლეტარული კლასისთვის ერი არის კულტურული ელემენტი, შესაბამისად ეროვნულ საკითხზე დასმული კითხვა კულტურული განვითარების საკითხია. კულტურა, რადგან ინტერნაციონალურია მხოლოდ ერთი ერის დაწინაურება არაფრის მომცემია, დაწინაურებული ერისთვისაც მნიშვნელოვანია სხვა ერების განვითარება.

ნოე ჟორდანია სტალინის საწინააღმდეგო აზრს აყალიბებს[8], როდესაც თანამედროვე ერის ცხოვრებაში უარყოფს ტერიტორიის როლს. უფრო მეტიც, ნოე ჟორდანია თვლის, რომ წარსულში ერის გამაერთიანებელი იყო ტერიტორიასთან კავშირი, მაგრამ სანამ ეს არ შეიცვალა იქამდე არ არსებობდა ეროვნება. ნოე ჟორდანიას

[8] რადგან სტალინის განსაზღვრებით ერის განმსაზღვრელი მთავარი ერთ-ერთი ნიშანი სწორედ ტერიტორიაა.

მოსაზრებით, ის რომ ტერიტორიული ერის განსაზღვრება კიდევ პოპულარულია არის განსაკუთრებით მემამულეთა ინტერესებში და სწორედ ისინი წამოწევენ ეროვნულ პოლიტიკაში ერის განსაზღვრების ტერიტორიულ მახასიათებელს. ნოე ჟორდანია სრულად იზიარებს და ციტირებს ავსტრომარქსისტი რუდოლფ შპრინგერის მოსაზრებას, რომ ტერიტორიული პრინციპი მომავალშიც იქნება ბრძოლის გარანტი, რადგან მისი თვისება არ არის თანასწორობა, არამედ შევიწროვება (ჟორდანია, 2022, გვ. 31). ნათელია აქედან დასკვნა, რომ ნოე ჟორდანიას მოსაზრებით, ტერიტორიული პრინციპი უნდა დარჩეს წარსულის მახასიათებლად და არა აწმყოს პრინციპად, რადგან ამ შემთხვევაში მოხდება იმ პრინციპის გადმოღება, რომელიც აერთიანებდა ერს დაშლისგან მაშინ, როდესაც ერი არ იყო კულტურულად ერთიანი. აწმყოში კი ეს იწვევს ერთ სახელმწიფოში დომინანტი ერის მიერ სხვა წარმოშობის ერის წევრების ჩაგვრას. ნოე ჟორდანია იმოწმებს რუდოლფ შპრინგერის იმ მოსაზრებასაც, რომ სახელმწიფო და ნაციის განხილვა შესაძლებელია, როგორც ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებების, რადგან სახელმწიფო არის იურიდიულად ლეგიტიმური ტერიტორიული მმართველობა, როდესაც ერი მისი საწინააღმდეგო პირად კავშირებზე დამყარებული ერთობაა.

ქართველი ერის მაგალითს ნოე ჟორდანია სტატიაში ცალკე ნაწილად გამოყოფს და ხაზს უსვამს, რომ საქართველოს ავტონომიურ ერთეულად გამოცხადება ასევე იქნება წარსული ურთიერთობების გაცოცხლება და არა თანამედროვეობის შესაბამისი პრინციპის განხორციელება. მისთვის ავტონომია ერთგვარი ეკონომიკური რეაქციაა, რომელიც ტერიტორიულ გაფართოებისკენ უბიძგებს ერს, რაც გამოიწვევს მეზობელად მცხოვრებ ერებთან მუდმივ დაპირისპირებას. ნოე ჟორდანიასთვის ავტონომია შოვინიზმის გაძლიერებას ნიშნავს. პროლეტარიატის ინტერესებში კი ერების დაპირისპირება არ შედის, პირიქით, თანხმობაა მიზანი. მისივე ხედვით, ავტონომიის მიღების შემთხვევაში ქართველი ერის კულტურული ერთობა გახდება გაბატონებული კლასების ერთობად. ნოე ჟორდანია ხაზგასმით უარყოფს ტერიტორიულ პრინციპს ნაციონალურ საკითხში.

მეორე პრინციპი, რომელიც წამოყენებული იყო საკვლევ პერიოდში ნაციონალური საკითხის გადასაწყვეტად იყო პერსონალური პრინციპი. ნოე ჟორდანიას დეფინიციით ნაცია აუცილებლად არის საზოგადოებრივი კავშირი. ერი არ

არის ეკონომიკური ორგანიზმი. მთავარი დეტალი მის სტატიაში ისაა, რომ ეროვნული კულტურა ეხება ნაციის ყველა კლასს. პერსონალური პრინციპის ოტო ბაუერის დეფინიციას მიმართავს ნოე ჟორდანია, სადაც ბაუერი ნაციას წმინდა პერსონალურ კავშირად განიხილავს, რომლის განხორციელების პირობებში მრავალეროვანი სახელმწიფოს საზღვრებში თითოეულ ერს შეუძლია თავად მოაგვაროს საკუთარი კულტურული მოთხოვნილებები, მათ არ მოუწევთ იბრძოლონ ამ უფლებებისთვის სახელმწიფოსთან და ამ პირობებში თუ მოხდება რომელიმე ერის ასიმილაცია მხოლოდ სოციალური და კულტურული უპირატესობის გამო მცირე ერი დაადგება ამ გზას და არა იმის გამო, რომ ამ კონკრეტულ დომინანტ ერს გარკვეული პრივილეგიები აქვს. ოტო ბაუერის მიერ ახსნილი პერსონალური პრინციპი, რომელსაც იმოწმებს ნოე ჟორდანია, აუცილებლად გულისხმობს ერის ავტონომიას კულტურულ საქმეებში. რაც შეეხება სტალინის მიერ ნაციონალური საკითხის ანალიზს, ნოე ჟორდანიას შეხედულებით მთავარი შეცდომა მისი არის ის, რომ ის ნაციონალურ ერთობას ურევს ტერიტორიულ ერთობაში. ნაციონალურ კითხვას ის ჭრის ტერიტორიოული ავტონომიით. ნოე ჟორდანიას მოსაზრებით კი, ერთი კულტურა მეორეს არ ეწინააღმდეგება, ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ერთი კულტურა არის დომინანტი და სახელმწიფოსთვის ეს კულტურაა პრიორიტეტული. ავსტრომარქსისტების მიერ შემუშავებული პერსონალური პრინციპი კი ერებს თანასწორობს და ინდივიდუალურად კულტურის განვითარებას სთავაზობს. ნოე ჟორდანია უპირატესობას პერსონალურ პრინციპს ანიჭებს იქიდან გამომდინარე, რომ ამ პრინციპით, თითოეული ერი ეროვნულ საქმეებს განაგებს დამოუკიდებლად, მაგრამ ტერიტორიული ერთეული, ანუ სახელმწიფო არ არის უფუნქციოდ, რადგან ყველა არანაციონალური საქმეების შესრულება მის მოვალეობაში რჩება. ნაციონალური და ტერიტორიული ელემენტების ურთიერთმიმართების მაგალითად კავკასიისთვის ნოე ჟორდანიას ესახება ის სქემა, რომელიც ბაუერმა და შპრინგერმა შეადგინეს ავსტრიისთვის მხოლოდ ცოტა სახეცვლილი, ანუ ამიერკავკასია ტერიტორიულ ოლქებად უნდა დაიყოს და თითოეული ოლქი უნდა იყოს ეკონომიკური და ეროვნული ერთეული, ოლქს ექნება ფართო დემოკრატიული თვითმმართველობის უფლება, ადგილობრივი მცხოვრებთა ენა იქნება სალაპარაკო და საქმედწარმოების ენა სასამართლოში. შეიძლება ოლქი ორი ან მეტი ერისგან შედგებოდეს და შეიძლება

არსებობდეს ოლქი მხოლოდ ტერიტორიული თვითმმართველობით, ან ოლქი ნაციონალურ-ტერიტორიული თვითმმართველობით. პირველ შემთხვევაში ოლქის აღმასრულებელი ხელისუფლება აგვარებს მხოლოდ ტერიტორიულ საკითხებს, ნაციონალური საქმეების მოგვარება კი დაევალება იმ ნაციონალურ ერთეულს, რომელშიც ამ ოლქის სხვადასხვა ერი შედის. მეორე თვითმმართველობის შემთხვევაში ოლქს ევალება ნაციონალური და ტერიტორიული საკითხების გადაჭრა.

კიდევ ერთი მთავარი ასპექტი, რითაც განსხვავდება ნოე ჟორდანიას შეხედულება სტალინისგან არის ის, რომ ნაციონალური კითხვა უნდა გამოიყოს ტერიტორიულისგან და ამ განსხვავებული სფეროების საკითხები ინდივიდუალურად გადაწყდეს. ნოე ჟორდანია იმის დაშვებასაც აკეთებს სტატიის დასკვნით ნაწილში, რომ შესაძლებელია ავსტრიელთა სქემა არ იყოს შესაბამისი ამიერკავკასიის და საქართველოს მაგალითისთვის და შესაძლებელი იყოს ახალი სქემის შედგენა.

შევაჯამოთ ამ სტატიის მნიშვნელობა: ნოე ჟორდანია ერის დამახასიათებელ ნიშნად ასახელებს სულიერ კულტურას, რომელშიც მოიაზრებს ენას, მწერლობას... რაც შეეხება თავად ერის ცნებას, ნოე ჟორდანია ხაზს უსვამს ერს და ეროვნებას შორის განსხვავებას. ერს აკავშირებს გვარტომობასთან და ასკვნის, რომ საგვარეულო წყობილებაშიც არსებობს ერი. ეროვნება კაპიტალიზმის პირობებში წარმოიშვა და არის შეგნება, ანუ ფსიქიური ფაქტორი. აქ, უკვე ნათლად იკვეთება ნოე ჟორდანიაზე ავსტრომარქსისტული ერის თეორიის გავლენა. ის ასახელებს პირდაპირ, რომ ამიერკავკასიისთვის თამამდ შეიძლება იმ სქემის მიღება, რომელიც ბაუერმა და შპრინგერმა წამოაყენეს ავსტრიისათვის. ნოე ჟორდანიამ ლენინური ეროვნული პროგრამაც გააკრიტიკა, რადგან მან ტერიტორია და მითუმეტეს საერთო ეკონომიკური ცხოვრება არ მიიჩნია ერის განმსაზღვრელ ნიშნად.

ეს არის ნოე ჟორდანიას მოსაზრებების დინამიკაში განხილვის შედეგი. 1913 წლიდან ნოე ჟორდანიას დამოკიდებულება ეროვნულ საკითხზე უბრუნდება „მესამე დასის“ შექმნის პერიდში განვითარებულ მის ეროვნულ მოსაზრებებს. ნათელია, რომ მისი დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი ადაპტირდებოდა გარემო ფაქტორებთან, რაც განაპირობებდა მისი დამოკიდებულების ცვლილებას ეროვნული საკითხისა და ერის ცნებისადმი.

ე.წ. „ლეგალური მარქსიზმის“ წარმომადგენლად საქართველოში ნოე ჟორდანიასთან ერთად ითვლება ივანე გომართელი, რომელიც შემდეგ მენშევიკ-ავტონომისტთა ჯგუფს შეუერთდა. ივანე გომართელს ეროვნული დამოუკიდებლობა მიაჩნდა პროლეტარიატის სოლიდარობის საფუძვლად. ის წერდა, რომ ყოველი პოლიტიკა, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობის წინააღმდეგ არის მიმართული, სათავეშივე ეწინააღმდეგება პროლეტარიატის ინტერესებს. თავად მარქსის და ენგელსის „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ ივანე გომართელისთვის ეროვნული საზღვრების დაცვას ნიშნავდა. მისი მოსაზრებით, ამიტომ თითოეული ერის პროლეტარიატი უნდა დაირაზმოს საკუთარი ბურჟუაზიის წინაარმდეგ. რაც მთავარია ივანე გომართელი აცხადებს, რომ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, რომელიც ორიენტირებულია სუსტი ერების დამონებაზე, უნდა დაუპირისპირდეს პროლეტარული ნაციონალიზმი. ივანე გომართელი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნაცვლად პროლეტარული ნაციონალიზმის იდეას აყალიბებდა (ნადიბაიძე, 1980). ივანე გომართელი აცხადებდა, რომ მხოლოდ ტერიტორიული ავტონომიის საფუძველზე გადაწყდებოდა ეროვნული საკითხი სწორად. ეს მოსაზრება საყურადღებოა, რადგან სოციალისტ-ფედერალისტების მიერ გაჟღერებული ეროვნული ავტონომიის ფონზე, ივანე გომართელის ტერიტორიულ ავტონომიის მოთხოვნა უფრო რადიკალური იყო.

ზოგადად ქართველ მენშევიკებზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა, როგორც კარლ რენერს, ისე ოტო ბაუერს. ნაციონალური ხასიათი ერის დეფინიციის დროს კარლ რენერისთვისაც გადამწყვეტია, რადგან მის მიერ განმარტებული ერის ცნება გულისხმობს იმას, რომ ერი ერთნაირად მოაზროვნე და ერთნაირად მოლაპარაკე ადამიანთა კავშირია, იმის მიუხედავად, თუ რომელ ტერიტორიაზე ცხოვრობენ ადამიანები და დაშორებულები არიან თუ არა საცხოვრებელი ადგილით ერთმანეთს. აკაკი ჩხენკელზე სწორედ კარლ რენერის ერის კონცეფციას ჰქონდა გავლენა (გორგილაძე, 1963). ჯერ კიდევ 1909 წელს არჩილ ჯორჯაძე აღნიშნავდა, რომ აკაკი ჩხენკელი იყო ის მოღვაწე სოციალ-დემოკრატებიდან, რომელიც ორიგინალურობით და ინდივიდუალიზმით გამოირჩეოდა. 1912 წელს აკაკი ჩხენკელმა „ერი თუ კაცობრიობაში?!“ აღნიშნა, რომ ხალხისგან ყალიბდება ერი, უფრო ზუსტად ხალხის განვითარების შედეგად იქმნება ერი. აკაკი ჩხენკელი ერის რამდენიმე განმსაზღვრელ

მარკერს გამოჰყოფს: ენა და ზოგადად კულტურა, თვითშეგნება. აკაკი ჩხენკელი იზიარებდა ნოე ჟორდანიას მიერ წამოყენებული კულტურული ავტონომიის მოთხოვნას 1915 წელს გამოქვეყნებულ ბროშურაში „ერი და ჩვენ“, მაგრამ მიზეზი რატომაც აკაკი ჩხენკელი მეტად გაემიჯნა ნოე ჟორდანიას პოზიციას იყო ის, რომ ჟორდანია არ აღიარებდა ტერიტორიის მნიშვნელობას ერის არსებობისთვის. ჩხენკელი კი მკაფიოდ აღნიშნავდა, რომ ერი კულტურული კავშირია, მაგრამ ეს კავშირი აუცილებლად უნდა ბინადრობდეს ერთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ახობაძე, 1965). აკაკი ჩხენკელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართველი ერის პრობლემები არ გადაიჭრებოდა ამიერკავკასიის ავტონომიით და არც ნოე ჟორდანიას მიერ წამოყენებული კულტურულ-ნაციონალური ავტონომიით. აკაკი ჩხენკელისთვის ნათელი იყო ის გზა, რომელიც გადაჭრიდა ქართველი ერის წინაშე არსებულ პრობლემებს და ეს გზა იყო ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია. 1908-1915 წლების აკაკი ჩხენკელის ნაწერებიდან ნათელია, რომ იგი არ იზიარებდა კოსმოპოლიტურ იდეებს და არც რსდმპ-ს მეორე ყრილობაზე მიღებულ ეროვნულ პროგრამას. ეროვნული-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნით აკაკი ჩხენკელი დაუპირისპირდა, როგორც ქართული სოციალ-დემოკრატიის დიდ ნაწილს, ისე რუსეთის სოციალ-დემოკრატიას (გერგედავა-ჭელიძე, 2002). უნდა ავღნიშნო, რომ აკაკი ჩხენკელის მიერ გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა ქართული სოციალ-დემოკრატიის ეროვნული პროგრამის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

უნდა დავეთანხმო ყველა იმ მკვლევარს ამ საკითხზე, რომლებიც ამიერკავკასიის მასშტაბით პირველ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფში „მესამე დასში“ ორ ძირითად მიმართულებას გამოყოფენ: რევოლუციურს და ე.წ. „ლეგალისტურს“, რომელსაც მკვლევართა ნაწილი (განსაკუთრებით მარქსისტული გადმოსახედიდან ოპორტუნისტულსაც უწოდებდა). ეს უკანასკნელი ფრთა ცდილობდა მარქსიზმის ნაციონალიზმთან მორიგებას. ეს ფრთა მოითხოვდა ლეგალურ „წმინდა ევროპულ“ ნიადაგზე შექმნილი დამოუკიდებელი ეროვნული სოციალ-დემოკრატიის დაარსებას. რევოლუციური ფრთა იბრძოდა ინტერნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნისთვის. აქვე ავღნიშნავ, რომ ჩემი კვლევისთვის მეტად საყურადღებოა „ლეგალისტური“ ნაწილი, რადგან მათ გარკვეული პოზიცია ჰქონდათ

ეროვნული საკითხისადმი, რომელიც იცვლებოდა დინამიკაში, მაგრამ მეორე ფრთისთვის ეს საკითხი არ იყო მნიშვნელოვანი. ამიტომ, მეორე ნაწილის შეხედულებების კვლევა ჩემი მხრიდან მხოლოდ იმ თვალსაზრისით გაგრძელდა, რომ სრული სურათი შემექმნა სოციალ-დემოკრატების ეროვნული პოზიციის წარმოდგენის დროს.

რესპოდენტი №3 აღნიშნავს, რომ ეროვნული ნიჰილიზმი ფართოდ იყო გავრცელებული ქართველ სოციალ-დემოკრატთა შორის, თუმცა ევგენი გეგეჭკორი ამას კატეგორიულად უარყოფდა. კითხვაზე – „იყო თუა არა ჩვენი პარტიის პოზიცია ეროვნულ საკითხში ნიჰილისტური?“ – პასუხობდა: „ათასჯერ არა. დავანებოთ თავი პროგრამულ მოთხოვნას. აქ მართლადაც თქვენ ვერ იპოვით კონკრეტულად არამცთუ სეპარაციას, თვით ავტონომიასაც კი, თუმცა, როგორც მოთხოვნა, იქ თეთრზე შავით არის აღნიშნული: ერის თვითგამორკვევის უფლება. იმ დროს, როცა ჩვენი პარტია გამოვიდა სამოქმედო ასპარეზზე,... რუსეთის სინამდვილე წარმოადგენდა ისეთ რეაქციონურ უდაბნოს, რომ ყოველნაირი კონკრეტიზაცია ეროვნულ მოთხოვნილებისა, ეს უბრალო ეტიკეტი თუ იქნებოდა და სხვა არაფერი. არავითარი გასავალი ასეთ ფირმას არ ექნებოდა და ის თავიდანვე გაკოტრებულათ უნდა ყოფილიყო მიჩნეული“. ეროვნული საკითხის წინა პლანზე წამოუწევლობა, ე. გეგეჭკორის სიტყვებით: „ტაკტიკური მოსაზრებით, მიზანშეწონილების თვალსაზრისით, ანუ უფრო მკაფიოთ რომ ვსთქვათ, საქმის ინტერესებისდა მიხედვით, ეს იყო ფრიად ბრძნული ხაზი. ვერასოდეს ქართული რიგები სოციალდემოკრატიისა ვერ მოიპოვებდნენ რუსეთის პარტიაში იმ პრესტიჟს და ნდობას, რომლითაც ისინი იყვნენ აღჭურვილნი; ვერასოდეს ჩვენი ხმა საერთო რევოლიუციონურ მოძრაობაში არ იქნებოდა ძლიერი, რომ ჩვენ წამოგვეწვეთა ეროვნული საკითხი; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვიქნებოდით მცირე, უმნიშვნელო წვეთი დიდ ზღვაში. ... ასეთი ხაზი ლოღიკური დასკვნა იყო ჩვენი მთელი იდეოლოგიის და პრაქტიკის“ (ე. გეგეჭკორი, ჩემი მოგონებები. ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, 2016, # 4 (7), გვ. 157-158).

სქემა მარქსიზმის გავრცელებისა საქართველოში ასე შეიძლება გამოვსახოთ: საქართველოში მარქსიზმი პირველად შემოიტანეს საზღვარგარეთ ნამყოფმა და განათლება მიღებულმა ქართველმა ლეგალურმა მარქსისტებმა და რუსმა სოციალ-

დემოკრატებმა ერთად. 1896 წელს გაერთიანდა საქართველოში არსებული მარქსისტული წრეები, პეტერბურგის „ბრძოლის კავშირის“ გავლენის შედეგად, ერთიან სოციალ-დემოკრატიულ ინტერნაციონალურ ორგანიზაციად. სწორედ ამ დროიდან ჩნდება საქართველოში სოციალ-დემოკრატია, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა. ხოლო 1893 წელს შექმნილ „მესამე დასში“ 1898 წელს იკვეთება უმცირესობა, რომელიც რევოლუციური მარქსიზმის პოზიციებზე იდგა. მის ფუძემდებლად ეგნატე ნინოშვილი მიიჩნევა. მიხეილ ცხაკაია პირდაპირ აცხადებდა, რომ ეგნატე ნინოშვილმა *„პირველმა ჩაუყარა საფუძველი მუშათა პარტიის რევოლუციურ-მარქსისტულ ორგანიზაციას ჩვენში“.* სწორედ ეგნატე ნინოშვილს ეკუთვნის პირველი მარქსისტული საპროგრამო სტატია „ძველი დავა ახალ ქერქში“ (1893 წ.), რომელიც ასაბუთებდა საქართველოში მარქსისტული მიმდინარეობის წარმოშობას და განსაზღვრავდა ამ მიმდინარეობის დამოკიდებულებას სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჯგუფებთან. ეგნატე ნინოშვილი დასავლეთ ევროპას თვალს ყურადღებით ადევნებდა, რათა გაეთვალისწინებინა იქ მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ისტორიული გამოცდილება (ლომაშვილი&გეგეშიძე, 1986). დასახელებულ სტატიაში ეგნატე ნინოშვილმა განავითარა მოსაზრება ქართველი და რუსი ერების „ერთ უღელქვეშ ყოფნის“. ეს იყო ქართველი და რუსი ერების მშრომელთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთიანობის იდეა. მართალია ეს იყო ეროვნული საკითხის რევოლუციური თვალსაზრისით დაყენება, მაგრამ ნათელია ისიც, რომ ამ გაერთიანების მომავალი არ არის განხილული დეტალურად. როგორ ესახება ავტორს ქართველი ერის მომავალი და თვითმყოფადობის შენარჩუნება, თუ ვსაუბრობთ ამ ერთიანობაში ქართველების რუს ერთან ასიმილაციაზე?! ეს კითხვები გამიჩდა იქიდან გამომდინარე, რომ თავად ეგნატე ნინოშვილი უსვამს ხაზს იმას, რომ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა გაჰყვება რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის კვალს და ყველა ძირითადი ეტაპი და მიმდინარეობა, რომელიც ქართველი ერისთვის იქნება დამახასიათებელი არის რუსეთის ერისთვის არსებული მახასიათებლების ანალოგი. სწორედ ამ მიდგომის გამო გიორგი წერეთელმა ეგნატე ნინოშვილს უარი უთხრა მესამე საპროგრამო სტატიის გამოქვეყნებაზე „კვალში“ (ლომაშვილი&გეგეშიძე, 1986). ეგნატე ნინოშვილის თანამოაზრეებად მიხეილ ცხაკაია და ფილიპე მახარაძე უნდა

განვიხილო. 90-იანე წლების მეორე ნახევარში კი ამ ჯგუფს შეუერთდა ალექსანდრე წულუკიძე, იოსებ სტალინი და კეცხოველი. სწორედ ეს იყო რევოლუციურ მარქსისტთა ახალი თაობა.

რაც შეეხება ავტონომიაზე ქართველი სოციალ-დემოკრატების რევოლუციური ნაწილის შეხედულებას, მათ ეროვნული ავტონომია მიაჩნდათ ეროვნულ გამოთიშვად და ამას ალექსანდრე წულუკიძე პირდაპირ ასახელებდა. ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნა ამ ფრთისთვის ნიშნავდა ერების განცალკევებისთვის საფუძვლის მომზადებას და ერთიანი მუშათა პარტიის დანაწილებას ერების მიხედვით შექმნილ პარტიებად, რაც ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ფლანგს დაასუსტებდა. აქედან გამომდინარე, რევოლუციური ნაწილი ქართველი სოციალ-დემოკრატებისა უარყოფდა როგორც ავტონომიას, ისე ფედერაციას. ამის დადასტურებაა ფილიპე მახარაძის წერილი, რომ გარემო ფაქტორებიდან გამომდინარე მთელი მშრომელი ხალხი უნდა შეერთდეს და იბრძოლოს საერთო მტრის წინააღმდეგ. ავტონომიის მოთხოვნა კი მშრომელი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოა (მახარაძე, 1905).

ხშირად ყურადღება მახვილდება სამოციანელთა და მესამე დასის დაპირისპირებაზე, მათ დისკუსიაზე პერიოდულ პრესაში. ჩემთვის აღსანიშნავია ის, რომ იდეოლოგიური განსხვავების მიუხედავად სამოციანელები სრულიად უარყოფითად არ აფასებდნენ მესამე დასის მოღვაწეობას, ყოველ შემთხვევაში მათი მოღვაწეობის დასაწყისში. მაგ. აკაკის მოსაზრებით: *„მესამე დასელებს ბევრი სიმართლე უჭირავთ ხელში“* და თავად ის გზა, რომელსაც ეს ჯგუფი ადგას აუცილებლად საჭიროა ქართული საზოგადოებისთვის. იაკობ გოგებაშვილი მკაფიოდ აფიქსირებდა იმ აზრს, რომ მხოლოდ სოციალური ცვლილება ვერ იქნება საკმარისი საქართველოს განვითარებისთვის, საჭიროა ეროვნული თავისუფლება (გორგილაძე, 1963). როგორც ვხედავთ „მესამე დასის“ მოღვაწეობის დასაწყისშივე ნათელი იყო, რომ ეროვნული საკითხისადმი და შესაბამისად ერის ცნებისადმი მათი დამოკიდებულება გამოიწვევდა ეროვნული თავისუფლების საკითხის დავიწყებას და მთლიანად სოციალურ ცვლილებებზე ორიენტირებას, რაც პრინციპში, მომდევნო წლებში გამართლადა და მათი მხრიდან ეროვნული საკითხის ხსენება იშვიათი შემთხვევა იყო.

გამოვყოფ თავად კარლ მარქსის პოზიციას ერის ცნების და ეროვნული საკითხის შესახებ. მარქსსა და ენგელს მიზანმიმართულ ამოცანად არ უქცევიათ ერის ცნების და ნაციონალური საკითხის განხილვა. აქედან გამომდინარე, მუშათა რევოლუციურ მოძრაობაშიც ნაციონალური საკითხი იგნორირებული იყო. ამის მიუხედავად, მარქსმა და ენგელსმა განიხილეს კონკრეტული მაგალითები ირლანდიის, ინდოეთის, ჩინეთის, პოლონეთის, უნგრეთის ნაციონალური საკითხის შესახებ. „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ ხაზგასმულია, რომ კლასობრივი წინააღმდეგობის გადაწყვეტა ეროვნული წინააღმდეგობის გადაწყვეტის პირობაა. მსგავსი მოსაზრებაა გატარებული მარქსის მეორე ნაშრომში „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1848 წლიდან 1850 წლამდე“. პროლეტარიატი თავისი ბრძოლის ფორმით ნაციონალურია, რადგან თოთოეული ქვეყნის პროლეტარიატი პირველ რიგში თავის ბურჟუაზიას უნდა გაუმკლავდეს. მეორე მხრივ, სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარები უნდა დაუკავშირდნენ ერთმანეთს ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. გამოდის, რომ პროლეტარიატის ბრძოლა შინაარსით ინტერდისციპლინურია. 1848 წელს მარქსის თეორიაში ვხედავთ ერთმანეთისგან „რეაქციული“ და „რევოლუციურ-დემოკრატიული“ ერების განსხვავებას. რევოლუციურ ერებად ის მიიჩნევდა იმ ხალხს, რომლებიც იბრძოდნენ თავისუფლებისთვის (მაგ. პოლონელები და გერმანელები), ხოლო „რეაქციული“ ხალხი არ იბრძოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ (მაგ. ჩეხები) (გორგილაძე, 1961).

ჩემი მოსაზრებით მარქსის ძირითადი მახასიათებელი ერის ცნების განხილვისას არის ის, რომ ერი მისთვის ისტორიული კატეგორიაა და მისი წარმოშობა გარკვეულ ისტორიულ პერიოდს უკავშირდება. რაც შეეხება ეროვნულ ჩაგვრას მარქსისთვის ეს საკითხი გადაწყდებოდა კაპიტალიზმის განადგურების და სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ, რადგან უთანასწორობის განადგურებით კლასებს შორის ერებს შორისაც აღარ იქნება მტრული დამოკიდებულება. მარქსი და ენგელსი წერდნენ, რომ როდესაც მოისპობა ერთი ინდივიდის ექსპლოატაცია მეორის მიერ, მოისპობა ერთი ერის ექსპლოატაცია მეორის მიერ (ახობაძე, 1965). ამ ნაწილს ახასიათებს გარკვეული ბუნდოვანება, რადგან ერის შიგნით კლასების დაპირისპირების პრობლემის გადაჭრა ავტომატურად არ გულისხმობს ერებს შორის მტრული დამოკიდებულების მოსპობას. ერთი მომენტი, რითიც სავარაუდოდ ეს

ასპექტი აიხსნება არის პროლეტარიატის სოლიდარობა ერთმანეთის მიმართ, მაგრამ იგივე „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ კარგად გამოიკვეთა, რომ პროლეტარიატს აქვს სამშობლო და საკუთარ ბურჟუაზიასთან აგვარებს პრობლემას პირველ რიგში. ნაწილობრივ უნდა დავეთანხმო ბენედიქტ ანდერსონის მოსაზრებას, რომელიც თვლის, რომ ნაციონალიზმი ანომალიად იქცა მარქსიზმისთვის და იმის ნაცვლად, რომ მას გადაეჭრა ნაციონალიზმის საკითხი მოხდა მისი იგნორირება. ამ მოსაზრებას იზიარებს ტომ ნაირნიც, რომელიც მარქსიზმის ხარვეზად მიიჩნევს ნაციონალურ საკითხს (Anderson, 2016).

სოციალ-დემოკრატების შესახებ რესპოდენტი 6 საინტერესო დეტალზე ამახვილებს ყურადღებას, რომ მათი იდეოლოგიიდან გამომდინარე პრიორიტეტები სხვა იყო. ეროვნული იდეები და ნაციონალური კონსოლიდაცია მნიშვნელობდა მათთვის, როგორც ნაწილი ზოგადი ადამიანური ემანსიპაციისა, სადაც ეროვნული უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე კლასობრივი თუ პიროვნული. რესპოდენტის მოსაზრებით, სოციალ-დემოკრატები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კლასობრივ უსამართლო და არათანაბარი სოციალური ურთიერთობების ცვლილებას. ეს უსამართლობა გამოიხატებოდა ეროვნულ დონეზეც, ანუ დომინირება ერთი ერისა მეორეზე მიუღებელი იყო, მაგრამ, რესპოდენტის თქმით, ქართველებს შიგნით არ იყო ის ნარატივი, რომ მოდი ჩვენ ქართველებს შორის არათანაბარი სოციალური ურთიერთობები ცოტა ხნით დავივიწყოთ და ჯერ ერის ემანსიპაციაზე ვიზრუნოთ და შემდეგ მოვაგვაროთ შიგნით ეს პრობლემა, მათთვის ეს ცვლილებები უნდა მომხდარიყო ერთდროულად. რესპოდენტი ამატებს, რომ საინტერესოა ის დეტალი, რომ როდესაც სოციალ-დემოკრატები მოდიან ხელისუფლებაში მათთვის, როგორც ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალისთვის, ეროვნული ინტერესები ხდება წამყვანი და მათი სოციალისტური-მარქსისტული იდეოლოგია უკანა პლანზე გადადის, ისინი ეძებენ პოლიტიკურ ალიანსებს არა იდეოლოგიური ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

ქართველი სოციალ-დემოკრატების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პოლიტიკა გახდა მასობრივი სოციალისტების შემოსვლასთან ერთად, რადგან მესამე დასი არ იყო ელიტური და არისტოკრატიული. რესპოდენტი №1 აღნიშნავს, რომ მაშინ ხდება საზოგადოება პოლიტიკური, როცა პოლიტიკა ხდება მასობრივი, რაც

მოახერხეს და გააკეთეს სოციალ-დემოკრატებმა, როდესაც მასობრივად ჩაება საზოგადოება პოლიტიკაში მეოცე საუკუნის პირველ ორ ათწლეულში. ერთი ასპექტი მინდა გამოვყო ამ თავის დასკვნისას, რომელზე რესპოდენტმა №1 გამოკვეთილად ისაუბრა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების მხრიდან ნაციონალური საკითხისადმი უპერსპექტიოდ აღქმა, გამოწვეული იყო მარქსის მიერ შემოთავაზებული პრინციპებით, მათი იდეოლოგიური პლატფორმა ძალიან ფართო კონტექსტით იყო განპირობებული, ამიტომ მათი დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი 1893-1917 წლებში სხვანაირი ვერ იქნებოდა, რადგან ასეთი შეხედულება ზუსტად პასუხობდა იმ დროის მოთხოვნებს. რესპოდენტი ამბობს: *„რაც მთავარი სწორედ ნოე ჟორდანიამ და სოციალ-დემოკრატების მნიშვნელოვანმა ნაწილმა გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, ანუ სტივენ ჯონს, რომ დავესესხოთ ნაციონალურად შეფერილი იყო მათი პოზიცია, იმის მიუხედავად, რომ ნოე ჟორდანიას მოღვაწეობაში იყო პერიოდი, როდესაც რადიკალურად განწყობილი იყო ნაციონალისტური განვითარების მიმართ“.* რესპოდენტი ამატებს, რომ ეროვნულ ცნობიერებას ამ გადმოსახედიდან 1893-1917 წლებში საფრთხე არ ექმნებოდა, მიუხედავად იმის, რომ იმ პერიოდის კონტექსტი თითქოს ამას აჩვენებდა, რომ ქართველი ერის იდენტობა საფრთხეში იყო. მისი მოსაზრებით, ილია ჭავჭავაძიდან მოყოლებული დასრულებული 1917 წლის რევოლუციით იყო ერთი დიდი ამბავი ქართველი ერის ჩამოყალიბებისა, რომელმაც თავის მთავარ მიზანს ანუ დამოუკიდებლობას მოპოვებას მიაღწია. რესპოდენტის დასკვნით, დღევანდელი პერსპექტივიდან 1893-1917 წლებში განვითარებულმა პროცესებმა საქართველოში ეროვნული საზოგადოების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ შიდა პროცესები იყო რთული და წინააღმდეგობრივი რეალურად ამ პროცესებმა გააძლიერა ქართველი ხალხი, როგორც ეროვნული სხეულის მქონე პოლიტიკური საზოგადოება.

რესპოდენტი №6 აღნიშნავს, რომ საინტერესოა ის, თუ რატომ იმარჯვებენ სოციალ-დემოკრატები, ანუ რატომ არ იმარჯვებს ტრადიციული ეროვნულ-დემოკრატიული ნაწილი, რომელიც თან კონსერვატიული ფრთაა. რესპოდენტი კარგად აყალიბებს ამ აზრს, რომ სახელმწიფოში, რომელიც არის კონსერვატიული, აგრარული, არაინდუსტრიული იმარჯვებს სოციალ-დემოკრატია, რომლის

გამარჯვებაც არ იქნებოდა გასაკვირი იქ, სადაც არსებობდა მუშათა კლასი. საქართველოში ეს კლასი და მოძრაობა არ იყო და ამიტომაც სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს იმიტომ, რომ სხვა საკითხებზე, თემებზე მათი ნარატივი უფრო მისაღები აღმოჩნდა ხალხისთვის, მათ შორის ეროვნულ თემაზეც.

თავი III. ერის ცნების ანალიზი ქართულ პერიოდულ გამოცემებში 1893-1917 წლებში

ლეო გორგილაძეს თავის ნაშრომში *„ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“* მოჰყავს საინტერესო ამონარიდი გერცენის მოსაზრებიდან, რომ იმ ხალხისთვის, რომელსაც პოლიტიკური თავისუფლება არ მოეპოვება, ლიტერატურა ერთადერთი ტრიბუნაა, რომლის სიმაღლიდანაც მათ შეუძლიათ გააგონონ ყველას თავისი გულისწყრომა. ალბათ, ეს არის პასუხი კითხვაზე, თუ რატომ იყო ქართული პრესა ასეთი აქტიური 1893-1917 წლებში. ბენედიქტ ანდერსონის წარმოსახვით საზოგადოებებში კი ჟურნალ-გაზეთებს ერთდღიანი ბესცელერები ეწოდება. რადგან მარქსიზმის გავლენა ქართულ პრესაზე გამოკვეთილია მოვიყვან კარლ მარქსის მოსაზრებასაც ბეჭდური კაპიტალის განვითარების თაობაზე: ბეჭდური სიტყვა ხალხის კულტურისა და სულიერი განათლების მძლავრი ბერკეტია (გუგუშვილი, 1971). ქართველი საზოგადოებაც საკვლევ პერიოდში ინფორმაციის მთავარ წყაროდ სწორედ პრესას იყენებდა. ერის ცნების და ეროვნული საკითხის შესახებ დისკუსია 1893-1917 წლების პერიოდულ გამოცემებში მიმდინარეობდა. კვლევის ძირითადი წყარო პრესის ანალიზია, მეთოდად კი დისკურსის ანალიზის ვიყენებ ერის ცნების გარშემო 1893-1917 წლების საქართველოში. რამდენიმე ძირითადი ჟურნალ-გაზეთის ანალიზის გარეშე ძნელად შეგვექმნება წარმოდგენა 1893-1917 წლებში ერის ცნების ირგვლივ გამართული დისკუსიის შესახებ.

§ 3.1. „კვალი“ და სხვა მემარცხენე პერიოდული გამოცემები ეროვნული საკითხის შესახებ

ერთ-ერთი ასეთი ძირითადი გაზეთია **„კვალი“** (1893-1904), რომლის დაამაარსებელი და რედაქტორიც იყო გიორგი წერეთელი და რომელიც 1897 წლიდან „მესამე დასის“ ხელში გადავიდა, შემდეგ კი იქცა ქართველი მენშევიკების გაზეთად (თავბერიძე, 2004). რაც უნდა აღინიშნოს გაზეთ „კვალის“ როლზე ერის ცნების

გაანალიზებაში არის მისი არსებობის საწყის ეტაპზე გიორგი წერეთლის მიერ გამოქვეყნებული წერილები ისტორიული პიროვნებების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ეს წერილები შესაძლებელია ორ კატეგორიად დავალაგოთ: ქართველი წმინდანები და ქართველი მეფეები. წერილების ამ სერიებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წინაპრების მოღვაწეობაზე აქცენტირებისთვის, ისტორიული აზროვნების განვითარებისთვის (იმის მიუხედავად, თუ დღევანდელი გადმოსახედიდან ეს წერილები შეიცავენ მცდარ ინფორმაციასაც). ასეთი სერიები გაზეთის არსებობის მხოლოდ პირველ წლებშია შესამჩნევი (1893-1895 წლებში), შემდეგ პერიოდში რედაქციის იდეოლოგიური პოზიციების შეცვლის გამო ისტორიულ თემატიკაზე გაკეთებული სტატიების სერიები აღარ ჩაჯდა გაზეთის ფორმატში.

არჩილ ჯორჯაძემ ერთ-ერთმა პირველმა აღნიშნა, რომ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, მათ შორის „დროებას“, „ივერიას“, „მოამბეს“, არ ჰქონდათ მკაფიო მიმართულება 80-90-იან წლებში. უფრო ზოგადად ყველა ეს პერიოდული პრესა პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების იყო, მაგრამ მათში ვერ ვხედავდით პარტიულობის პრინციპს. ამ მხრივ მოწინავე იყო „კვალი“, რომელსაც მესამე დასელების წყალობით ჰქონდა საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა (ლობჟანიძე, 1989). სწორედ ამ დეტალის გამო გადავწყვიტე პირველ რიგში განვიხილო „კვალის“ მნიშვნელობა ეროვნული საკითხის ირგვილ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საკითხში და მიმდინარე დისკურსის შექმნაში.

„კვალი“ იქცა იმ პერიოდული გამოცემად, რომელშიც ეროვნული საკითხი მარქსისტული მსოფლმხედველობის შესაბამისად შუქდებოდა. მარქსისტული იდეების გავრცელება გაზეთის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო და ამ მიზნის მისაღწევად დაარსების წლიდან ქვეყნებოდა სტატიები. პირველი ასეთი სტატია ეგნატე ნინოშვილის სახელთანაა დაკავშირებული და მის წერილთან *„უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისთვის“*, რომელიც ორ ნომერში დაიბეჭდა (ნინოშვილი, 1893) და რომელშიც ის აკრიტიკებდა შეხედულებას, რომ ბანკები საქართველოს სამომავლო სიმდიდრის წყაროდ შეიძლება განხილულიყო. გაზეთში „კვალი“ პირველად გავრცელდა მესამედასელთა შეხედულებები და ამით გამოირჩევა ეს პერიოდული გამოცემა საკვლევი პერიოდის სხვა ჟურნალ-გაზეთებისგან. სწორედ ეგნატე ნინოშვილის ამ წერილს უპასუხა „ივერიამ“, რამაც განაპირობა შემდეგ ნოე

ჟორდანიას პასუხი „ივერიის“ და „მოამბის“ გამოცემებისთვის. შეიძლება ითქვას მუდმივი დისკუსია „კვალს“ და ეროვნული პოზიციის დამცველ პერიოდულ გამოცემებს შორის ამ სტატიიდან იწყება.

„კვალის“ ანალიზის დროს გამოიკვეთა ნოე ჟორდანიას შეხედულებები ეროვნულ საკითხზე მისი მოღვაწეობის დასაწყისში. გამოვყოფ სტატიას „“მოამბე“ - „ივერია“ და ეროვნება“, რომელშიც ნოე ჟორდანია დასახელებული გამოცემების საპირისპიროდ საკუთარ შეხედულებებს წარმოადგენს ეროვნულ საკითხზე. ის ხაზს უსვამს, რომ ეროვნული განვითარება ნიშნავს ეკონომიკურ განვითარებას, რაც გამოიხატება შემდეგში: ძველი პატრიარქალური წარმოება ირღვევა და მის ადგილს იკავებს კაპიტალისტური. მოკლედ მისი პოზიცია ასე შეიძლება დალაგდეს: კაპიტალი ერში გროვდება სხვადასხვა ხერხით, მოტყუებით, ძალმომრეობით და სხვ. ეს ფული გადადის წარმოებაში და იზრდება მუშის ძალ-ღონით, ამ პროცესს კი წინ ეღობება ძველი პოლიტიკური წყობილება. ეს ეკონომიკური განვითარება ერს ჰყოფს დასებად და განაპირობებს პოლიტიკურ ცვლილებებს, ხოლო მიღებული ახალი პოლიტიკურ ფორმა იწვევს დასთა ბრძოლის გამწვავებას, რადგან ის აძლიერებს ეკონომიკურ წარმატებას. ნოე ჟორდანიას ისეთ მოწინავე ქვეყნების მაგალითები მოჰყავს, როგორიც საფრანგეთი და ინგლისია, სადაც ამ ცვლილებების ინიციატორი იყო ბურჟუაზია, მაგრამ ჩამორჩენილ ქვეყნებში, მისი აზრით, მუშა ხალხია ინიციატორი, ინტელიგენცია არასდროს გამხდარა ამ ცვლილებების მოწინავე ფენა, რადგან ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება შეუძლია მხოლოდ ხალხს და არა მის მაღლა მდგომ ინტელიგენციას. ნოე ჟორდანია ხაზს უსვამს, რომ საქართველო ვითარდებოდა ევროპის „ზეწოლით“ და არა საკუთარი ინიციატივით, თუმცა ამ „ძალდატანებას“ უძლებდა სახელმწიფო, რადგან განვითარებული კულტურა ჰქონდა მას და რომ არა ეს განვითარებული კულტურა, სხვა ხალხების მსგავსად გაქრებოდა ქართველი ხალხიც. საქართველოში კაპიტალისტური წყობილება მკვიდრდება, ქართველი ხალხის ცხოვრება ევროპულდება, თუმცა ეს გაევროპელება ქართულ ნიადაგზე და კულტურაზე წარმოებს (ჟორდანია, 1895). მიზეზი, თუ რატომ გადავწყვიტე ამ სტატიზე ყურადღების გამახვილება სწორედ ეს ბოლო წინადადებაა. ევროპის როლის ხაზგასმა და „გაევროპულების“ პროცესის გამოყოფა მნიშვნელოვანი ასპექტია, მაგრამ ნაკლებად მნიშვნელოვანი არ არის ის დეტალი, რომ ეს ცვლილება ქართულ ნიადაგზე

უნდა მოხდეს, ქართულ კულტურაზე დაყრდნობით. საინტერესოა, რომ ნოე ჟორდანია კულტურის მნიშვნელობას უსვამს ხაზს და მას მიიჩნევს გადამწყვეტ ფაქტორად, თუ რატომ არ გაქრა ქართველი ერი ამ სწრაფი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების ფონზე. შეიძლება ითქვას, რომ ნოე ჟორდანიას პოზიციის განვითარება და ცვლილება ერის ცნების და ეროვნული საკითხისადმი პერიოდული პრესის მეშვეობით ნათლად იკვეთება, რადგან ეს სტატია მისი მოღვაწეობის დასაწყისშია შესრულებული და შესაბამისად იგრძნობა ნაციონალიზმის იდეოლოგიისადმი მის გარკვეული სიმპათიები.

შეიძლება ითქვას, რომ იდეოლოგიური განსხვავებების და გამართული დისკუსიის მიუხედავად ნოე ჟორდანიას მოღვაწეობის დასაწყისში (900-იან წლებში) ჰქონდა შეხედულებების თანხვედრა არჩილ ჯორჯაძესთან. ჩემი ამ მოსაზრების დასამტკიცებელი მაგალითია პრესის მიმოხილვაში ნოე ჟორდანიას მიერ გამოყოფილი ორი კლასის არსებობა სახელმწიფოში: მდიდარი კაპიტალისტებისა და ღარიბი მუშების. პრესის მიზნად ნოე ჟორდანიას ესახება „ახალი ქართველების“ მეთაურობა. მისი შეხედულებით, ორივე კლასისთვის სწორი გზის მაჩვენებელი უნდა იყოს ახალი ქართული პრესა. ეს მოსაზრება ჰგავს „საერთო ნიადაგის“ თეორიას. მართალია, აქ კონკრეტული პუნქტები არ არის ამ ჰარმონიის მისაღწევად ჩამოთვლილი, მაგრამ კლასთა თანამშრომლობის საკითხს გარკვეულწილად ეხება (ჟორდანია, 1900).

მესამედასელებმა გადაწყვიტეს ლეგალური პრესის მეშვეობით სხვა პოლიტიკურ ჯგუფებთან პოლემიკაში ჩართვა 1894 წლის 9 მაისის სოფელ ნიგოეთში გამართულ კრებაზე, მათ 1894-1897 წლებში გაზეთი „კვალი“ გამოიყენეს ამ მიზნით. მარქსიზმის გავრცელების გარდა გაზეთის ანალიზის შედეგად ნათელი ხდება, რომ გაზეთში „კვალი“ გამოქვეყნებული წერილები და სტატიები განასახიერებდნენ ნაროდნიკების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლას, რომელშიც თანაბრად იყვნენ ჩართული „რევოლუციური მარქსიზმისა“ და „ლეგალური მარქსიზმის“ წარმომადგენლები. 1901 წელს „კვალის“ ხელმძღვანელობიდან მიდის ნოე ჟორდანია, მაგრამ გაზეთის დახურვამდე (1904 წლამდე) მესამედასელთა „ლეგალისტური“ ნაწილის გავლენა აშკარაა, თუნდაც 60-იანელთა განხილვის საკითხში. კვალელები ილია ჭავჭავაძის და მის თანამოაზრეთა მემკვიდრეობას კვლავ უარყოფდნენ. ისინი

60-იანელების მოღვაწეობაში ვერ ხედავდნენ იმ დემოკრატიზმს, რომელიც მუშათა კლასს შეეძლო მოკავშირედ გამოეყენებინა (ლომაშვილი&გეგეშიძე, 1986). სწორედ ამას საყვედურობდა არჩილ ჯორჯაძე „მესამე დასს“, რომ სოლიდარობის ჩამოსაყალიბებლად შექმნილი პოლიტიკური ორგანო მეტად შემწყნარებელი უნდა ყოფილიყო წინა თაობისადმი და დაეფასებინათ მათი ღვაწლი, თუნდაც საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში, იმ შემთხვევაშიც თუ იდეოლოგიურად არავითარი თანხმობა არ იყო წინა თაობასთან.

„კვალის“ რედაქცია მეტად იყო ჩართული დისკუსიებში ეროვნული პოზიციის დამცველ პერიოდულ პრესასთან, ნაკლებად განიხილავდნენ თავად ერის ცნების არს და ეროვნული საკითხის მნიშვნელობას. ამის მიუხედავად, სწორედ „კვალთან“ გამართული დისკუსიის ფონზე ყალიბდებოდა სხვა გამოცემებში ერის ცნების განსაზღვრება და ეროვნული პრობლემის გადაჭრის გზები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი არის ის, რომ „კვალი“ იყო ის პირველი გამოცემა, რომელსაც გამოკვეთილი იდეოლოგიური ხედვა ჰქონდა და ამ იდეოლოგიის პრიზმაში აშუქებდა ყველა საკითხს, მათ შორის ეროვნულ საკითხსაც.

მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება ქართულ პერიოდული გამოცემებისთვის 1908 წლიდან, როდესაც მენშევიკთა ავტონომიის მხარდამჭერთა ნაწილმა დაარსა საკუთარი პერიოდული გამოცემა „ჩვენი კვალი“. ამ გამოცემიდან უნდა გამოვყო ვლადიმერ დარჩიაშვილის (ონ.-ის ფსევდონიმით) სტატია „რა არის ნაცია?“, რომელიც შესანიშნავად აჩვენებს იმ ევროპული ერის კონცეფციების გავლენებს, რომელსაც განიცდიდა ქართველ მენშევიკ-ავტონომისტთა ლიდერი. რაც საყურადღებოა ამ სტატიაში არის ის, რომ ავტორი ხაზს უსვამს თავგანწირვის ელემენტს ერის შინაარსის ანალიზისას, მსვერპლის მნიშვნელობას, რომლებიც ადამიანებმა გაიღეს შეგნებულად და ნებაყოფლობით ერის იდეისათვის. ეს დეტალი მნიშვნელოვანია, რადგან ზოგადად მოდერნისტული თეორიების ხარვეზზე, რომ ვისაუბროთ ხშირად ეს ემოციური ელემენტი ნაკლებად არის ამ თეორიებში ახსნილი. ის თუ რატომ აქვს ადამიანს სურვილი, რომ სიცოცხლის სანაცვლოდ დაიცვას ერი ის საკითხია, რომელსაც თეორიების ნაწილი არ განიხილავს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ვლადიმერ დარჩიაშვილის მიერ ამ ასპექტით მსჯელობის დაწყება. ის, რომ ერთი და იგივე გარემო პირობებში სხვადასხვა ერი სხვადასხვანაირად იქცევა ვლადიმერ

დარჩიაშვილისთვის მანიშნებელია იმის, რომ სხვადასახვა ერს განსხვავებული შინაგანი თვისებები აქვს და განსხვავებული ხასიათი. მისი შეხედულებით, რაც ერებს ერთმანეთთისგან ყოფს და განასხვავებს არის ნაციონალური ბუნება, ნაციონალური ხასიათი. ნათელია ოტო ბაუერის გავლენა ვლადიმერ დარჩიაშვილზე. მართალია ავტორი ერის ობიექტურ თვისებად ასახელებს ნაციონალურ ბუნებას, მაგრამ რეალურად ეს სუბიექტური განსაზღვრებაა, რადგან ერის ობიექტურ მარკერებად ითვლება მაგ. ტერიტორია და ენა.

ვლადიმერ დარჩიაშვილი აღნიშნავს, რომ ყოველი ადამიანი თავისებურია, ინდივიდუალურია, მაგრამ იგივე ერის წევრებს ახასიათებს საერთო ფიზიკური და ფსიქიკური თვისებები, მათ აქვთ საერთო ხასიათი. სწორედ ეს საერთო ფიზიკური და ფსიქიკური თვისებების მთელი სერია ერთად აღებული არის ნაციონალური ხასიათი. ყველა სხვა მახასიათებელი ენა, თუ კულტურა გამოხატულებაა ამ ნაციონალური ხასიათისა. ეს დეტალიც ზუსტად იმეორებს ოტო ბაუერის თეორიას, რომელიც ასევე მიიჩნევს ყველა სხვა მახასიათებლებს უბრალოდ გარემო ფაქტორად. ნაციონალური ხარიათი ვლადიმერ დარჩიაშვილის მოსაზრებით, არ არის საბოლოოდ განსაზღვრული და ის იცვლება ისტორიის განმავლობაში. ეს განაპირობებს იმას, რომ სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთში იგივე ერის წევრები მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ამ ცვლილებას იწვევს ის გარეშე პირობები, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს. ამ მოსაზრების არგუმენტად ვლადიმერ დარჩიაშვილი ციტირებს მარქსს: *„როცა ადამიანი მოქმედობს და სცვლის გარშემორტყმულ ბუნებას, იგი ამით და ამავე დროს სცვლის და ასხვაფერებს თავის საკუთარ ბუნებას“* (დარჩიაშვილი, 1908).

კიდევ ერთი ასპექტი, რომელზეც ამ სტატიიდან მსურს ყურადღების გამახვილება არის ვლადიმერ დარჩიაშვილის მიერ კაუცკის კრიტიკა. კაუცკი არ თვლის ნაციონალურ ხასიათს ერის განმსაზღვრელად, მაგრამ სრულიად არ უარყოფს ნაციონალური ხასიათის არსებობას. კაუცკის მოსაზრებით, სადაც მთელი ნაცია ერთ პირობებში ცხოვრობს იქ ნაციონალური ხასიათიც ვითარდება. კარლ კაუცკი ამატებს, რომ როდესაც ნაცია აღწევს განვითარების გარკვეულ საფეხურს ნაციონალური ხასითი ძნელად დასანახი ხდება. ნაციონალური ხასიათი ამ ლოგიკით მხოლოდ პატარა ნაციას ახასიათებს, რომელსაც საზოგადოებრივი განვითარების დაბალი დონე აქვს, როდესაც ერის მახასიათებელი ხდება ღრმა საზოგადოებრივი დიფერენციაცია

და ჩნდება კლასები, მაშინ ჩნდება ნაციონალური ხასიათის გაქრობის ტენდენცია. კაუცკის დასკვნა არის, რომ ნაციონალური ხასიათი არ არის აუცილებელი პირობა ნაციის არსებობისთვის თუ საერთოდ წარმოშობისთვის. ამ მოსაზრებას არ იზიარებს დარჩიაშვილი, რომელიც ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი ცხოვრება აღწევს გარკვეულ სიმაღლეს გეოგრაფიული არეს აღარ შეუძლია გავლენა მოახდინოს ხალხზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსთვის ეკონომიკურ მდგომარეობას, მაგრამ ვლადიმერ დარჩიაშვილი ხაზს უსვამს, რომ რაც არ უნდა განსხვავებული მდგომარეობა იყოს სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილების ეკონომიკური მაჩვენებელის, მაინც ერთნაირი ეკონომიკური ვითარება ექნება საზოგადოებას იმ მხრივ, რომ შეუძლებელია ერთ ნაწილში იყოს ფეოდალიზმი და მეორეში კაპიტალიზმი, ერისთვის ყოველ ეპოქაში ერთი რომელიმე ეკონომიურ-სოციალური ტიპია დამახასიათებელი. მიჩნდება კითხვა: განვითარებულ საზოგადოებებში ვხვდებით კაპიტალიზმს, რატომ არ განვითარდა თავად ამ საზოგადოებებს შორის იგივე ნაციონალური ხასიათი? ვლადიმერ დარჩიაშვილს ამაზე მკაფიო პასუხი აქვს - რადგან ერებს სხვადასხვა კულტურული განვითარება აქვთ და მათ განსხვავებული ნაციონალური კულტურა აქვთ, რის გამოც ერები იგივე მოვლენებს სხვადასხვანაირად განიცდიან. ნაციონალური ხასიათი იქმნება ისტორიული ბედის ერთობით და არა მსგავსებით. ამ მოსაზრებით ავტორი პასუხობს იმ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა სახელმწიფოს პროლეტარები უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან, ვიდრე საკუთარი ქვეყნის ბურჟუაზიასთან. დარჩიაშვილის თეორიით, მათ აქვთ მსგავსება ხასიათის და მიზნის ერთიანობა - რევოლუცური განწყობილება, მაგრამ არა ხასიათის ერთობა. აქედან გამომდინარე, ვლადიმერ დარჩიაშვილის დასკვნაა, რომ ერთი ერის სხვადასხვა კლასი უფრო ახლოს არის ერთმანეთთან, რადგან მათ ნაციონალური ხასითი აქვთ, ვიდრე სხვადასხვა ერის ერთი კლასი. ამის არგუმენტად მას მოჰყავს ენის ერთობაც, რადგან ნაციის შიგნით კომუნიკაცია საერთო ენაზე მიმდინარეობს. შევაჯამოთ ვლადიმერ დარჩიაშვილის მოსაზრება, რომელიც თვლის, რომ ნაციონალურ ხასიათს ჰქმნის კულტურული ერთობა. სწორედ აქ ჩნდება მკაფიოდ, რომ ის სოციალ-დემოკრატია და ნაციის არსის დანახვას ისტორიული მატერიალიზმის თვალით ცდილობს, რადგან დარჩიაშვილი ხაზს უსვამს, რომ ნაცია ჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი საჭირო ნივთების

შეძენას იწყებს შრომით, ანუ ნაცია იქმნება შრომის საერთო წესრიგით, საერთო საწარმოო ძალებით და შრომის შედეგად დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობებით (დარჩიაშვილი, 1908).

„რა არის ნაცია?“ ეკუთვნის ვლადიმერ დარჩიაშვილის სტატიის სერიებს სახელწოდებით „ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი“. სტატიების ეს სერია ემსახურება ამ ორი ცნების ირგვლივ ბუნდოვანი დეფინიციების უარყოფას, რათა საზოგადოებამ ნათლად გაიზროს რა არის ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი. ვლადიმერ დარჩიაშვილი არა მხოლოდ მკითხველზეა ორიენტირებული, არამედ კულტურული და პოლიტიკური ელიტის იმ ნაწილზე, რომლებიც ამ ტერმინებს განსხვავებული მნიშვნელობით იყენებენ ყოველ მათ პუბლიკაციაში. მაგალითად, სოციალისტ-ფედერალისტები სოციალ-დემოკრატების ბრალდებას, რომ ნაციონალისტები არიან პასუხობენ, რომ ნაციონალისტებთან საერთო არაფერი აქვთ, როდესაც მომდევნო პუბლიკაციებში ისინი საკუთარ მიზნად ცხოვრების ორი მთავარი ღერძის სოციალიზმის და ნაციონალიზმის დაკავშირებას გეგმავენ. რეალურად ვლადიმერ დარჩიაშვილის კრიტიკა ამ მხრივ უსაფუძვლო არ არის. სოციალისტ-ფედერალისტები ცდილობდნენ არ ყოფილიყვნენ ე.წ. „ნაციონალისტთა“ ბანაკში, რათა მათ ბურჟუაზიულ ნაციაონალისტთა იარლიყი არ ჰქონოდათ. ვლადიმერ დარჩიაშვილი აკრიტიკებს ნოე ჟორდანიას და მის შეხედულებას, რომ საქართველო ორ ფლანგად იყოფა, რომელიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება. პირველი მათგანია სოციალ-დემოკრატია და მეორე ნაწილია ყველა დანარჩენი პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები, რომელთაც ერთი საერთო თვისება აქვთ და ეს არის ნაციაონალური ავტონომიის მოთხოვნა. ამ მსჯელობით გამოდიოდა, რომ საზოგადოება პარტიებად იყოფოდა ნაციონალური საკითხის გათვალისწინებით, როდესაც წამყავანი ძალა მისი იდეოლოგიური კუთვნილების გათვალისწინებით კლასებს შორის დაპირისპირებაა. თავად ვლადიმერ დარჩიაშვილის მოსაზრებით, ერის საერთო ინტერესები ეთანხმებიან მუშათა კლასის ინეტერესებს და სოცალისტური პოლიტიკაც უნდა ატარებდეს ნაციონალურ ხასიათს, შეგნებული მუშების მოძრაობა ემსახურება ერის ინტერესებსაც, მაგრამ თან ხელმძღვანელობს საკუთარი კლასობრივი ინტერესებით. ვლადიმერ დარჩიაშვილის დასკვნით, სწორედ ეს არის მუშების პარტიების ნაციონალური პოლიტიკა, ანუ ინტერნაციონალიზმი. მეორეს მხრივ, ნაციონალიზმი

ბურჟუაზიული პარტიების ნაციონალური პოლიტიკაა, თუმცა ამ შემთხვევაში ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესები იშვიათად და ცალმხრივად ეთანხმება ერის საერთო ინტერესებს (დარჩიაშვილი, 2015). ავტორი სტატიების ამ სერიაში აქვეყნებს სხვადასხვა თეორიებს და შეხედულებებს ერის შესახებ, რომელთა შორისაც ის ასახელებს იმ ჯგუფს, ვინც აღიარებს, რომ ნაცია ერთ სახელმწიფოში მცხოვრები ერთობაა. ამ ჯგუფის წარმომადგენლებში ვლადიმერ დარჩიაშვილი ასახელებს ბელგიელ მწერალს ლეონ ჰენნბეკს, ხოლო საქართველოში ამ მიმართულების წარმომადგენლად არჩილ ჯორჯაძეს. ვლადიმერ დარჩიაშვილის მოსაზრებით, ეს მიმართულება მცდარია, რადგან სახელმწიფოს და ერს შორის კავშირი არ არის ისეთი დიდი, რომ სახელმწიფო ერის ფორმირების გადამწყვეტ ფაქტორად დაისახოს. სამაგიეროდ ავტორი აღიარებს ენის მნიშვნელობას ნაციის კონსოლიდაციის პროცესში, მაგრამ კაუცკის მოსაზრება ენის მნიშვნელობის შესახებ მას მაინც გადაჭარბებულად მიაჩნია. კაუცკის მოჰყავს ერთი პრაქტიკული დაშვება, რომლითაც ხსნის ენის მნიშვნელობას ერის ფორმირებაში: ინგლისელი ინგლისელია იქამდე, სანამ ინგლისურ ენაზე ლაპარაკობს ყველაზე კარგად, მაგრამ თუ სხვა სახელმწიფოში იცხოვრებს დიდი ხნის მანძილზე და სხვა ენაზე უკეთ ისაუბრებს, ვიდრე ინგლისურზე, იმ ერის წევრი გახდება, რომელშიც ეს ენაა დამკვიდრებული (დარჩიაშვილი, 2015, გვ. 92). კაუცკი ამატებს, რომ ისტორიაში არ არსებულა ერი, რომელსაც არ ჰქონოდეს საერთო ენა, თუმცა სწორად არნიშნავს დარჩიაშვილი, რომ არსებობენ ნაციები, რომლებიც იგივე ენაზე საუბრობენ, მაგრამ ერთ ერს არ წარმოადგენენ. ვლადიმერ დარჩიაშვილი უარყოფს იტალიელი სოციოლოგების შეხედულებასაც, რომ ერი მახასიათებლებია საერთო ტერიტორია, ენა, ტრადიციები, წინაპრები, საერთო რელიგია, საერთო სამართალი და საერთო ისტოროიული გამოცდილება, რადგან ავტორის აზრით, ამ ატრიბუტიდან ერთ-ერთის დაკარგვის მიუხედავად ერი აგრძელებს არსებობას. შესაბამისად, ეს მახასიათებლები გარეგნულია. 1908 წლისთვის, როდესაც ეს სტატიათა სერიაა დაწერილი, ნოე ჟორდანია იზიარებდა ამ იტალიელი სოციოლოგების მიერ შემუშავაბულ დეფინიციას და ამბობდა, რომ ხალხს, რომელსაც ყველა ეს მარკერი აქვს ერი ანუ გვარტომობაა. ვლადიმერ დარჩიაშვილი ამ თეორიების მსგავსად უარყოფს იმ პერიოდში გავრცელებულ თეორიებს, რომლებიც ერის მთავარ მახასიათებლად შეგნებას იღებენ,

ანუ თვითცნობიერებას, რომ ერთი ერის წევრები არიან. ის აკრიტიკებს ერის საფუძვლად ნების აღებასაც, პირდაპირ არ ასახელებს, მაგრამ იმ პერიოდში ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი, ვინც ერის ცნების დასადგენად ნების ერთობას იყენებდა რენერია. ვლადიმერ დარჩიაშვილი უარყოფს ერის მეტაფიზიკურ თეორიასაც, ანუ მის საწყისად სულის აღიარებას, ანუ ფიხტეს განმარტებით აღებული ღვთაების გამოხატულებაა ერი. მე პირადად მეტაფიზიკური ერის თეორიების განმარტების დროს სულის ცნებას უზენაესი სულით აღვწერ ან ხალხის სულით, რომელიც ახლოს დგას იმ შინაარსთან, რა შინაარსითაც ამ თეორიის წარმომადგენლები იყენებენ სულს. ეს განმარტება, რომ სპირიტუალისტურტია და არაფრის ამხსნელი ამაში ვეთანხმები ვლადიმერ დარჩიაშვილს. სწორედ ამ თეორიების უარყოფის შემდეგ იღებს ავტორი ავსტრომარქსისტულ ერის განსაზღვრებას, რომ გადამწყვეტია ნაციონალური ხასიათი ერის ფუნქციონირებისათვის (დარჩიაშვილი, 2015).

ჩემი ინტერესი ამ სტატიათა სერიაში შეჩერდა ნაციის ისტორიული განვითარების ნაწილზე, რადგან ავტორის მოსაზრებით, ტომობრივი ერთიანობა პირველყოფილი ნაციაა, რადგან მათ ახასიათებდათ საერთო კულტურული ელემენტები. მისი მოსაზრებით, ისტორიის მომდევნო ეტაპებზე უბრალოდ ხდება ერების და მათთან ერთად ნაციონალური ხასიათის განვითარება, ეს განვითარება ცხადია, დარჩიაშვილის თეორიით, შრომის დანაწილებასთან არის დაკავშირებული. ვლადიმერ დარჩიაშვილს, ჟორესის მოსაზრება მოჰყავს მაგალითად, როდესაც ჟორესი საუბრობს, რომ მისი თანამედროვე და მე-18 საუკუნის მუშები ნაციასთან ერთიანობით ხასიათდებიან, თვით აზროვნების მოქმედება, ამიტომ არიან მუშები მჭიდრო ურთიერთობაში სამშობლოსთან. ვლადიმერ დარჩიაშვილი ამ ერთიანობის მიზეზად მუშების ცნობიერებაში ნაციონალური კულტურის დამკვიდრებას მიიჩნევს, სწორედ კაპიტალიზმა გახადა შესაძლებელი მშრომელი ხალხის მონაწილეობა ნაციონალურ კულტურაში, მაგრამ ამ პროცესს ზღუდავს თავად კაპიტალიზმი. ვლადიმერ დარჩიაშვილის დასკვნით, ეს ხდება იმიტომ, რომ კაპიტალიზმის არსებობის გასაგრძელებლად მნიშვნელოვანია ნაციონალური პროგრესის შეჩერება. მომავალ სოციალისტურ საზოგადოებაში კი, ავტორის აზრით, ნაციები უფრო მჭიდროდ დაუკავშირდებიან კულტურულად და ეკონომიკურად კაცობრიობას, რაც მოითხოვს ერთი საერთო ენის დამკვიდრებასაც, ასეთ ენად ავტორს ნეიტრალური ენა

ესახება მაგალითად ესპერანტო. ამ გეგმის შედეგად ნაციონალური ენები არ გასცილდებიან მშობლიური ერის საზღვრებს. ვლადიმერ დარჩიაშვილის დასკვნით, სოციალიზმი განავითარებს ნაციებს უმაღლეს საფეხურამდე.

არის კონკრეტული მიზეზი, თუ რატომ განვიხილე ვლადიმერ დარჩიაშვილის ეს სტატია ასე ვრცლად. პირველ რიგში, ის გვიჩვენებს იმ ევროპული ერის კონცეფციის გავლენას, რომელიც საერთო იყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა ნაწილისა და ეროვნული პოზიციის დამცველი ფლანგისთვის 1893-1917 წლებში და ეს არის ავსტრომარქსიზმი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ოტო ბაუერის ერის თეორია. მეორე მიზეზია იმის გამოკვეთა, რომ ვლადიმერ დარჩიაშვილი ყურადღებას ამახვილებდა „ნაციონალურ ხასიათზე“, მას არ დაჰყავდა ერი კონკრეტულ ობიექტურ მახასიათებლებზე და პროგრესულად მიმაჩნია იმ პერიოდისთვის ყურადღების გამახვილება ემოციურ და საკრალურ გრძნობებზე, ანუ თავგანწირვაზე ერის იდეისთვის. ამ ყველაფრის მიუხედავად, საკვლევი თემის ჰიპოთეზა თუნდაც ამ ერთი სტატიით დასტურდება, როდესაც ვამბობ, რომ ერის ცნების განხილვა ხდებოდა პარტიული იდეოლოგიიდან გამომდინარე, ეს გულისხმობს იმასაც, რომ ერის ცნება უნდა მორგებოდა იდეოლოგიას. ირჩევდნენ იმ დეფინიციებს, რომლებიც ამართლებდა თავად მათ იდეოლოგიურ მრწამსს. სტატიის ბოლო აბზაცი სწორედ ამას გამოხატავს, რომელიც გავს სტატიის მთავარი თემიდან გადახვევას, როცა წინაპირობების გარეშე შემოდის შრომის დანაწილების ფაქტორი. მთლიანი ხედვა აგებულია ნაციონალური ხასიათის ახსნაზე. შეიძლება შრომის დანაწილება მიღებული იყოს ამ ხასიათის ჩამოყალიბების წინაპირობად, მაგრამ მხოლოდ ეს ბერკეტი ქმნის ეროვნულ ხასიათს?! სწორედ აქედან გამომდინარე დამრჩა განცდა, რომ ამ სტატიას კიდევ ჰქონდა გაგრძელება და „ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმის“ სათაურით გაერთიანებული სტატიების სერიას შეიძლება ჰქონდეს სხვა სტატიების სერიის სახე, ან თუნდაც ერთი დასკვნითი სტატიის სახით დასასრული.

მენშევიკთა სოციალ-დემოკრატიულ ავტონომისტთა ჯგუფს შეუერთდა პავლე საყვარელიძეც, რომელმაც 1915 წელს გამოაქვეყნა სტატია „ეროვნული საკითხის გარშემო“ (გაზ. „შადრევანი“, 1915 წ. №11). პავლე საყვარელიძე აკრიტიკებდა ნოე ჟორდანიას ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის მოთხოვნის გამო. საყვარელიძე იცავს პოლიტიკური ავტონომიის პოზიციას, რადგან მისი მოსაზრებით ნაციონალურ-

კულტურული ავტონომიის დაკმაყოფილება მეტ პოლიტიკურ ორგანოებს შექმნის, რომელიც მუშა ხალხის წინააღმდეგ იქნება განწყობილი. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ სტატიას უპასუხა ფილიპე მახარაძემ სტატიით „ორიოდე სიტყვა ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიის შესახებ“, პასუხის პასუხი კი საყვარელიძემ გასცა მახარაძეს სტატიით „მონიძის წერილის გამო“, სადაც აღნიშნა, რომ მახარაძემ სწორად ვერ გაიგო ავსტრომარქსიზმი დ განსაკუთრებით შპრინგერ-ბაუერი. შპრინგერი ხაზს უსვამდა, რომ როდესაც ერს მიეცემა კულტურული ავტონომია ერი მოახერხებს და კულტურულ საქმიანობაში თანაბრად ჩააბავს მოწინააღმდეგე კლასებს. ფილიპე მახარაძემ ეს დაინახა კლასთა თანამშრომლობის წინაპირობად, რასაც საყვარელიძე მახარაძის შეცდომად მიიჩნევს (ახობაძე, 1965).

პავლე საყვარელიძის შეხედულებებით, კარლ კაუცკის და ნოე ჟორდანიას მოსაზრებები ემთხვევა ერთმანეთს, როცა კაუცკი თვლის, რომ კავკასიის ტერიტორიის ავტონომია არ არის საკმარისი და ამას უნდა დაემატოს ნაციების ავტონომიაც. ნოე ჟორდანია ამ ასპექტში სრულად ეთანხმება კაუცკის და არ ეთანხმება ლენინის ეროვნულ პროგრამას. ნოე ჟორდანია ავტონომიის გარკვეულ შერეულ ტიპს აყენებდა მოთხოვნად - საოლქო ავტონომიას მთელი კავკასიისთვის და კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას კავკასიის შემადგენლობაში შემავალი ერებისათვის. ფილიპე მახარაძისთვის კი კულტურულ-ნაციონალური ავტონომია ფიქციაა, რომელიც რეალურად გაბატონებული კლასების ინტერესების დაცვას ემსახურება.

ნოე ჟორდანიას მეორე სტატია, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა იყო „ეკონომიკური წარმატება და ეროვნობა“, რომელიც 1894 წელს ჟურნალში „მოამბე“ (№5, №6) გამოქვეყნდა. მართალია „მოამბე“ განსხვავდებოდა იდეოლოგიურად ამ თავში მოყვანილი სხვა გამომცემლობებისგან, მაგრამ ნოე ჟორდანიას ამ სტატიის განხილვა თემატურია სწორედ ამ თავისთვის. სილიბისტრო ჯიბლაძე ამ სტატიას მთლიანად „მესამე დასის“ პროგრამად თვლიდა. ფილიპე მახარაძემაც დადებითად შეაფასა აღნიშნული სტატია, რაც არ არის გასაკვირი, რადგან სტატიაში რამდენიმე საყურადღებო დეტალია ნათლად გამოკვეთილი. ნოე ჟორდანია ხაზს უსვამს, რომ ისტორიის შემოქმედი არის არა პიროვნება, არამედ პიროვნებების გუნდი. ერის წევრებს შორის არის ის მინიმალური კავშირი, რომელიც რაიმე ინციდენტის და საფრთხის დროს სწრაფად იღვიძებს და გვიჩვენებს ერის ერთსულოვნებას. ნოე

ჟორდანია უარყოფს იმ მოსაზრებას, რომ ენა არის ერის ცნების მთავარი მახასიათებელი, ის თვლის, რომ ენა არის ერთ-ერთი მახასიათებელი, მაგრამ არა იმდენად ძლიერი, რომ ერთ ენაზე მოლაპარაკე ორი სხვადასხვა ხალხი ერთად შეერთდეს და იცხოვროს. ენა, მისი აზრით, არის საშუალება საზოგადოებრივი ერთობისა, მაგრამ არა თავად ერთობა. ომი, ბუნების ძალა და აღებ-მიცემობა ის მახასიათებლებია ნოე ჟორდანიას აზრით, რომლებიც მოქმედებს, როგორც საზოგადოების გამაერთიანებელი. თუმცა თუ ერების შეერთება ძალდატანებით მოხდა ეს ერთობა ადრე თუ გვიან დაინგრევა, რადგან ისტორიამ აჩვენა, რომ ერის თავისუფლება და მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული პირობების მიხედვით განვითარება გარდაუვალია: *„კაცობრიობა ვერ ასცდება ერთა თავისუფლებას“* (ჟორდანია, 1894). ამ სტატიითაც მოწმდება ის, რაზეც ვსაუბრობდი ჯორჯაძე-ჟორდანიას დისკუსიის განხილვისას. ნოე ჟორდანია ხაზს უსვამს, რომ ერის წარმატება აინტერესებს, როგორც ბურჟუას და ვაჭარს, ისე გლეხს და მუშას. ყველა წევრი საზოგადოებისა ეროვნულ ცხოვრებას შეგნებულად ეწევა. ამის გარდა, ჟორდანია ასკვნის, რომ თუ პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობები არ აჩვევს საზოგადოებას ერთად ცხოვრებას, თუ კულტურა არ აკავშირებს ადამიანთა ჯგუფებს, მაშინ არც ერთ სხვა გარემოებას არ შეეძლება ერი გააერთიანოს და სამომავლოდ ერთად ყოფნის სურვილი გაუჩინოს. ის ხაზს უსვამს, რომ ერის შეგნებულ გაერთიანებას წინ უსწრებს ნივთიერი გაერთიანება, ანუ ეკონომიკური პირობები, რომელიც აკავშირებენ ერს.

ისტორიის განხილვით ნოე ჟორდანია ამატებს, რომ საქართველოს ახასიათებს მიდრეკილება დანაწილებისადმი. მეფე ფარნავაზის დროიდან საერისთავოებად დაყოფა XVIII საუკუნეში სრულდება და მთელი ამ ხსნის განმავლობაში ქართველები ერთ ერს არ წარმოადგენდნენ, არამედ რამდენიმე დანაწილებულ ჯგუფს, რომლებიც სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში და სხვადასხვა ეკონომიკური პირობებით ცხოვრობდნენ. ხშირად თანხმობა სამეფოებს კი არა ერთი სამეფოს შიგნითაც არ სუფევდა. საქართველოს შემთხვევაში მის ნივთიერ საფუძველზე აიგო შესაფერისი პოლიტიკური მდგომარეობა - კარჩაკეტილი მხარეები და პოლიტიკურად ერთმანეთისგან განკერძოებული, დაშორებული ერთეულები. ნოე ჟორდანიას აზრით, რუსეთთან შეკავშირებით ერმა მოახერხა ძველი წეს-წყობილების გადავარდნა, მაგრამ

ერი ვერ მიხვდა რას იძენდა/კარგავდა ამ შეერთებით, რადგან პოლიტიკაში ისეთი ცვლილება მოხდა, რომელსაც ნივთიერი საფუძველი არ ჰქონდა მომზადებული საზოგადოებაში. ფეოდალიზმი მოისპო, მაგრამ, ნოე ჟორდანიას შეხედულებით, სახელმწიფოში იგივე ეკონომიკური პირობები დარჩა, ანუ ის პროცესი, რომელიც უნდა დაწყებულიყო ქვემოდან დაიწყო ზედა პოლიტიკური სფეროდან. ის ხაზს უსვამს, რომ მის აწმყოში ცხოვრების ახალი პირობები განვითარდა, რამაც დააწინაურა ვაჭრობა და აღებ-მიცემობა, მოხდა შრომის დანაწილება. ეს არის მატერიალური საფუძველი ქართველი ერისთვის, მატერიალური ერთობა კი, ნოე ჟორდანიას მოსაზრებით, ამზადებს წინაპირობას გონებრივი ერთობისათვის (ჟორდანია, 1894).

ერის წოდებრივი დანაწილება ისტორიული ცხოვრების ნაწილად მიაჩნია ნოე ჟორდანიას. ამ ეტაპზე მხოლოდ ის საზოგადოება გადადის, რომელშიც შრომის დანაწილებას ვხვდებით. ერის განვითარებას რამდენიმე საფეხური აქვს და ის, რაც პირველ საფეხურზე პროგრესულია მომდევნო საფეხურებზე შემაჩერებელი და რეგრესულია. თავად წყობილების შეცვლა და ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლა ისტორიული ცვლილებაა, მაგრამ როდესაც ერის განვითარებაზე ვსაუბრობთ მხოლოდ ამ არგუმენტით ვერ შემოვიფარგლებით, რადგან მაგალითად განათლების როლი და ბეჭდური კაპიტალის გავრცელება ერის განვითარების არც ერთ საფეხურზე არ კარგავენ მნიშვნელობას. ნოე ჟორდანია სტატიაში რამდენიმე დასკვნას აკეთებს: პირველი ის არის, რომ ნივთიერი კეთილდღეობა საფუძველია ადამიანების ცხოვრებისა; თავისუფლება თითოეული ერის და პიროვნების დასის მოქმედების უახლოესი მიზანია; ეროვნული გრძნობა და ადამიანის უფლებებიც უნდა განვითარდეს ეკონომიკურ ნიადაგზე (ჟორდანია, 1894). ამ სტატიითაც ნათლად იკვეთება, რომ მოღვაწეობის დასაწყისში ნოე ჟორდანია ერის ცნებისა და ეროვნული საკითხისადმი ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებდა და ნიჰილისტური მიდგომის ნაცვლად ის საუბრობდა თითოეული ერის თავისუფლებაზე, როგორც მესამე დასის მიზანზე.

სხვა კულტურულ და პოლიტიკურ მოღვაწეებიდა, რომლსაც ხშირად შევხვდი „კვალის“ ფურცლებზე და რომლიც ეროვნულ საკითხზე საუბრობდა იყო ირაკლი წერეთელი. გამოვყოფ მის 1903 წელს გაზეთში „კვალი“ გამოაქვეყნებულ სტატიას „მამულიშვილობა, ეროვნება თუ ხალხის სამსახური?“, რომელშიც ავტორი ხაზს

უსვამდა იმას, რომ რასაც საქართველოში მამულიშვილობის სახელი ჰქვია არის რეაქციული ძალა და ერთგვარი ნაშთია წარსულის, რაც მომავალში განვითარების ხელის შემშლელია. ეროვნული საკითხის პირველად გამჟღერებელი ევროპაში ბურჟუაზია იყო. ავტორი ამატებს, რომ ეროვნული დროშის ქვეშ მთელმა ერმა მოიყარა თავი ძველ წყობილებასთან საბრძოლველად (მაგ. საფრანგეთი), თუმცა მიზნის მიღწევის შემდეგ ამ ეროვნებას სხვა შინაარსი მიეცა, რადგან გამაერთიანებელი მიზანი აღარ ჰქონდა სხვადასხვა კლასებს. მისი მოსაზრებით, საქართველოში ეროვნულობის დაცვა ახლად დაბადებული ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურება და თუ მამულიშვილობა რეგრესიული მოვლენაა, ეროვნება წინსვლის შემაფერხებელი და კონსერვატიული მოძრაობა გამოდის. ავტორი ასკვნის, რომ ორივე მათგანის საფუძველი კლასობრივია და რეალურად ორივე ერის ინტერესების წინააღმდეგ მიემართება. ერის ინტერესების სამსახურში კი მშრომელთა კლასი გამოვიდა ასპარეზზე და მათ ინტერესებში შედის ენის და კულტურის განვითარებაც. ავტორის შეხედულებით, ეს კლასი თავისი ინტერესებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ კლასისი ინტერესები ემთხვოდა საზოგადოების ინტერესებს, როგორც საფრანგეთში ბურჟუაზიის ინტერესები ემთხვეოდა საზოგადოების ინტერესებს (წერეთელი, 2022). გამოქვეყნებულ ამ სტატიას საოცარი გაუგებრობა უწოდა „ცნობის ფურცელმა“ და დიდ შეცდომად აღიქვა სტატიის ავტორის მიერ ძველი თაობებისთვის წაყენებული ბრალდებები („ცნობის ფურცელი“, 1903). პირადად ჩემთვის გაუგებარია ირაკლი წერეთლის სტატიაში ის ნაწილი, სადაც საუბარია იმაზე, რომ ერის ინტერესების დასაცავად ასპარეზზე მშრომელი კლასი გამოვიდა, რომელთა ინტერესებში ენის და კულტურის განვითარებაც შედიოდა, რადგან სტატიის დასაწყიში ავტორი იმას აღნიშნავდა, რომ ეროვნული მოძრაობა წინსვლის შემაფერხებელი და კონსერვატიულია. თუ თავის მხრივ, მშრომელ კლასთა ასპარეზზე გამოსვლა პროგრესულია, მაშინ რატომ შედის ამ პროგრესული მოძრაობის ინეტერსებში რეგრესული ეროვნული მოძრაობის მთავარი მახასიათებლების ენის და კულტურის დაცვა-განვითარება?! ეს ნაწილი ჩემთვის ბუნდოვანია და საკმაოდ რთულია იმის ახსნა, თუ რატომ დასახა ავტორმა მუშათა კლასის მიზნად ერის მარკერების შენარჩუნებისთვის ბრძოლა.

§ 3.2. კარლ მარქსის თეორია ქართულ პერიოდულ გამოცემებში

ეროვნული ცნების გარშემო დისკურსის ანალიზი ვერ მოხერხდება თუ არ ვისაუბრე მაქრსიზმის გავრცელებაზე საქართველოში, რადგან სოციალიზმის დამკვიდრების პარალელურად ხდებოდა საქართველოში ერის ცნების ფორმირება, ეს იყო ქართველ მარქსისტებს და ეროვნული პოზიციის დამცველებს შორის გამართული ვრცელი დისკუსიის არსი: შესაძლებელი იყო თუ არა ნაციონალიზმის და სოციალიზმის თანაარსებობა?; თავად კარლ მარქსის შეხედულებები ეროვნული საკითხისადმი? რომელი არის პრიორიტეტული საკითხი ქართული რეალობისთვის - კლასობრივი ბრძოლა თუ ეროვნული პრობლემის გადაჭრა?. ეს იმ კითხვების მცირე ჩამონათვალია, რომლის ირგვლივაც იკვრებოდა პერიოდული პრესის უმეტესობა. 1893-1917 წლების ქართული პერიოდული გამოცემის ანალიზის დროს ნათელი გახდა, რომ სტატიების და მიმოხილვების მთავარი თემა იყო კარლ მარქსი და მარქსიზმის თეორია, მაგრამ როგორ მოხდა მისი გავრცელება ქართულ პრესაში? იმ პერიოდულ გამოცემათა რიცხვში, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა საქართელოში მარქსიზმის გავრცელებაზე უნდა დავასახელოთ „**დროება**“. განსაკუთრებით კი ავღნიშნავ იმ ფაქტს, რომ 1871 წელს სწორედ „დროების“ უცხოეთის ამბების მიმოხილვაში ახსენეს პირველად ქართულ პრესაში კარლ მარქსი. მიმოხილვა ეხებოდა პარიზის კომუნის ამბებს, სადაც ნათქვამია, რომ პარიზის რევოლუციის გეგმების ერთ-ერთი შემქმნელი კარლ მარქსი იყო ("დროება", 1871). მართალია ეს საკვლევი პერიოდის დაწყებამდე გამოქვეყნებული პრესაა, მაგრამ ზოგადად ჯერ კიდევ 1893 წლამდე გამართულმა დისკუსიამ მარქსიზმის თეორიის შესახებ გახადა ეს საკითხი ასეთი ნაცნობი 1893-1917 წლების პრესისთვის და მისი მკითხველისთვის. საფრანგეთის რევოლუციამ და პარიზის კომუნამ ხელი შეუწყო კარლ მარქსის მოღვაწეობის პოპულარიზაციას საქართველოში. 1871 წლიდან მოყოლებული უფრო ხშირად ვხვდებით კარლ მარქსის სახელს ქართულ პერიოდულ გამოცემებში. ამის მაგალითი არის ისევ „დროება“ და მისი 1873 წლის №6, სადაც დ. მიქელაძის კორესპონდენციაში ბავშვთა ექსპლუატაციის შესახებ დამოწმებულია კარლ მარქსის ციტატა: *„ინგლისის ფაბრიკებზედ მცხოვრებნი ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, რომ ორი წლის ნახევრის ბალღებს დააჯდენენ სამუშაოზედ და რვა-ცხრა საათს დღეში ამუშავებენ. საჭმლის ჭმის დროც არა აქვთ და დედები შოშიასავით თავის ხელით უდებენ ბავშვებს პირში ლუკმასა, რომ არ ასცდნენ ისინი ხელთ-საქნარზედ. თითო ბავშვს იმდენი ჰაერი ერგება ამ საზარელ*

სადგომებში, რამდენი ჰაერიც დაეტევა ისეთ უჯრაში, სადაც ორი პატარა ბავშვი ძლივს ჩაეტევა" (მიქელაძე, 1873).

საქართველოში მარქსისტული იდეების გავრცელების ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილზე უნდა დავაყენო 80-იან წლებში ქართულ პუბლიცისტიკაში გამართული დისკუსია მარქსიზმის გაგების საკითხზე. ეს კამათი დაიწყო ზდანოვიჩის სტატიით „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ" („ივერია", 1882 წ.). ამ სტატიით ავტორმა ხაზი გაუსვა, რომ მარქსის ეკონომიკური თეორიის მომხრეა და უარყოფს პოლიტიკური მომენტის მნიშვნელობას. სტატიას რამდენიმე საყურადღებო გამოხმაურება ჰქონდა და პირველი მათგანი იყო გ. ვოლსკი („შრომა, 1882 წ.) სტატიით „რა უფრო საჭიროა", სადაც ავტორი საუბრობდა პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების შედარებაზე და იმაზე, თუ რომელს ენიჭება უპირატესობა. სტატია გ. უმწიფარიძის ფსევდონიმით გამოქვეყნდა და მისი მოსაზრებით ორივე ფაქტორი თანაბარად გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე იყო. ზდანოვიჩის სტატია გააკრიტიკა ბოსლეველმაც (ესტატე მჭედლიძე) და აღნიშნა, რომ მაიაშვილის ამ სტატიის მთავარი ნაკლი ისაა, რომ ის უგულებელყოფს იმ საზოგადოებრივ-ისტორიულ პირობებს, რომელშიც საზოგადოება მოღვაწეობას, ის არ ხელმძღვანელობს ისტორიული მეთოდით. ბოსლეველის აზრით, პოლიტიკური ფაქტორი გადამწყვეტია და მას ზეგავლენა აქვს თავად ეკონომიკაზე („შრომა", 1882 წ.). ყველაზე ბოლოს ზდანოვიჩის ამ სტატიას გამოეხმაურა ივანე ჯაბადარი („ივერია", 1888 წ.), რომელმაც სტატიაში „ფიქრი და შენიშვნა გარეთყოფილისა" ხაზი გაუსვა, რომ თავად მარქსის მოძღვრების მომხრეა, მაგრამ მიიჩნევს, რომ მარქსიზმი იმ პერიოდის საქართველოსთვის გამოუსადეგარი თეორია იყო (ლომაშვილი&გეგეშიძე, 1986).

საქართველოში მარქსიზმი რუსეთთან შედარებით დაახლოებით 10 წლით გვიან გავრცელდა და ამ გავრცელებაში დიდი როლი შეასრულა ქართულ პრესაში კარლ მარქსის ზოგიერთი ნაწარმოების მთლიანად თუ ნაწილობრივ თარგმნამ და გამოქვეყნებამ. მაგალითად, 1897 წელს დაიბეჭდა ფილიპე გოგიჩაიშვილის კორესპონდენციები „მგზავრის შენიშვნები" („კვალი", №32), სადაც ჩართულია ქართულ ენაზე თარგმნილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" პირველი თავი.

მომდევნო წლებში უფრო აქტიურ ფაზაზე გადადის საქართველოში მარქსიზმის გავრცელება. კეცხოველმა და მისმა თანამოაზრეებმა „ისკრის“ რედაქციის თანხმობით გადაწყვიტეს გამოეცათ ქართული არალეგალური მარქსისტული გაზეთი **„ბრძოლა“** (1901 წ.). ბრძოლის პუბლიცისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ეროვნული საკითხის გაშუქებას მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით. გამოვყოფ სტატიას „ნაციონალიზმი და სოციალიზმი“ („ბრძოლა, №2, №3), სადაც ავტორი აცხადებდა, რომ XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული ეს ორი ფენომენი, ნაციონალიზმი და სოციალიზმი, ერთმანეთთან დაპირისპირებულია. პუბლიცისტი საუბრობს იმაზე, რომ ეროვნული განვითარება ერთი სახელმწიფოში ნიშნავს მეორე სახელმწიფოს ან ერის დაჩაგვრას/განადგურებას. ავტორის აზრით, სადაც ბურჟუაზია იდგა მოძრაობის სათავესთან, იქ დაჩაგრული ერის ნაციონალიზმიც კი დამჩაგვრელთა ნაციონალიზმად იქცეოდა. ამის მაგალითად მას მოჰყავს ახალგაზრდა ჩეხების მოძრაობა ავსტრო-უნგრეთში. საინტერესოა მისი მხრიდან იმის აღნიშვნა, რომ ნაციონალური თავისუფლება აუცილებლად არის პროლეტარიატის საერთო დემოკრატიული პროგრამის ნაწილი, თუმცა ის არის საერთო დემოკრატიული თავისუფლების ნაწილი. ამიტომ, როდესაც ნაციონალური და საერთო დემოკრატიული ინტერესები ერთმანეთს უკავშირდება თუ ეწინააღმდეგება, ნაციონალურმა ინტერესებმა უნდა დათმოს პოზიციები, რადგან ის არის მხოლოდ ნაწილი და არა მთელი. მეორადი წყაროების ანალიზის პროცესში ვნახე, რომ სტატიას ყველგან მიაწერდნენ ალექსანდრე წულუკიძეს, მაგრამ მანანა დარჩაშვილის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით სტატიის ავტორად ვლადიმერ დარჩიაშვილი დასახელდა (დარჩაშვილი, 2005).

ამ სტატიის გარდა, პირველივე ნომერში გაზეთი „ბრძოლა“ აცხადებდა, რომ ის იბრძოდა XIX საუკუნეში გაჟღერებული ამოცანების შესასრულებლად, კერძოდ, პიროვნული და ეროვნული თავისუფლების მისაღწევად. გაზეთის რედაქცია თავს ილია ჭავჭავაძის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მემკვიდრედ აღიქვამდა, პარალელურად კი საუბრობდნენ რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესულ ისტორიულ მნიშვნელობაზე. ამის გარდა, გაზეთის ყველა ნომერში ხაზი ჰქონდა გასმული იმას, რომ ისინი იბრძოდნენ ყველა სახის სოციალ-დემოკრატიულ ოპორტუნიზმის და რევიზიონიზმის წინააღმდეგ, იქნებოდა ეს ბერნშტეინი, თუ ნოე

ჟორდანია (ლომაშვილი&გეგეშიძე, 1986). ჩემი გადმოსახედიდან ავღნიშნავ, რომ შეუძლებელია ილია ჭავჭავაძის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მემკვიდრედ აღიქვამდე თავს და თან ხაზს უსვამდე, რომ ნაციონალურმა ინტერესებმა უნდა დათმოს პოზიციები ხშირად, რადგან ის არის მხოლოდ ნაწილი და არ არის მთელი.

900-იანი წლებიდან, რომ უფრო პოპულარული ხდება პრესაში კარლ მარქსის თეორია ამაზე მეტყველებს ისიც, რომ მხოლოდ მესამე დასის ჯგუფი არ აქვეყნებდა სტატიებს მარქსიზმის შესახებ. მათი ოპონენტებიც ცდილობდნენ მარქსის თეორიის ანალიზს და საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად მის გამოყენებას. არჩილ ჯორჯაძე მაგალითად 1901 წელს აქვეყნებს სტატიას „ისტორიულ მატერიალიზმის გამო“, სადაც ავტორი ხაზს უსვამდა, რომ ისტორიული მატერიალიზმის მეთოდოლოგია არ არის მეცნიერული და ისტორიული პრობლემა ლოგიკურად არ უკავშირდება რომელიმე ეკონომიკურ მოძღვრებას (ჯორჯაძე, 1901).

„ცნობის ფურცელი“ აქვეყნებდა იმ პუბლიკაციებსაც, რომელშიც გაანალიზებული იყო მარქსზე გარკვეული ზეგავლენის მქონე თეორიები. მაგალითად, შ. ნუარეს სტატია „მარქსიზმის საფუძველთა კრიტიკა“, რომელშიც ზოგადად დიალექტიკური მეთოდის კრიტიკაა მოცემული (ნუარე, 1905). მხოლოდ მარქსიზმის კრიტიკას არ ვხვდებით „ცნობის ფურცელის“ პუბლიკაციებში. გაზეთის ირგვლივ შემოკრებილი ჯგუფის ერთმა ნაწილმა მთლიანად გაითავისა მარქსიზმის ზოგიერთი დებულება მაგალითად, წარმოების საშუალებების კაპიტალისტთა ხელში ყოფნა, რაც განაპირობებდა იმას, რომ პროლეტარიატს მხოლოდ საკუთარი სამუშაო ძალის გაქირავებით შეეძლო საარსებო წყაროს მოპოვება (გორგიშელი, 2005).

დავიწყე მარქსისტული პრესის ანალიზით, რადგან მსურდა ნათელი ყოფილიყო ის, თუ იდეოლოგიურად გააზრებული ეროვნული საკითხის, როგორ გამოხატულებასთან ებმებოდნენ დისკუსიაში ეროვნული პოზიციის დამცველი პუბლიცისტები, პოლიტიკური მოღვაწეები და რომელი პერიოდული პრესის მეშვეობით ახერხებდნენ ისინი საკუთარი მოსაზრებების გავრცელებას.

§ 3.3. არჩილ ჯორჯაძის სტატიები ეროვნულ საკითხზე გაზეთში „ცნობის ფურცელი“

1893-1917 წლების პერიოდული გამოცემების ანალიზი ეროვნულ საკითხზე შეუძლებელია მოხერხდეს **„ცნობის ფურცლის“** (1900-1906 წლებში გამოდიოდა) შესწავლის გარეშე. გაზეთის პირველი ნომერი 1896 წლის 20 ივნისს გამოქვეყნდა ვალერიან გუნიას რედაქტორობით, მაგრამ გაზეთის პროგრამა ცენზურის გამო ვიწრო იყო. გაზეთის პროგრამა გაფართოვდა მას შემდეგ, რაც ალექსანდრე ჯაბადარმა შეისყიდა გამოცემა და გაფართოებული სახით პირველი ნომერი გამოვიდა 1900 წელს. გაზეთის პოპულარობა აისახა მის ტირაჟზე და 1902-1903 წლებში გაზეთის ტირაჟი 8-9 ათასი იყო, პირველი რევოლუციის წლებში კი ამ რაოდენობამ 13 ათასს გადააჭარბა. ეს დიდი მაჩვენებელი იყო ქართული პერიოდული გამოცემებისთვის. გაზეთის მოწინავე წერილები ძირითადად ეკუთვნოდა: არჩილ ჯორჯაძეს, გიორგი ლასხიშვილს და გრიგოლ რცხილაძეს (ონიკაძე, 2008). გაზეთის პირველივე ნომერში რედაქციის წერილში აღნიშნულია, რომ გაზეთის მთავარი ამოცანაა ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარებისთვის ხელის შეწყობა და ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების სამსახური. რედაქცია მიზნად ასახელებს ევროპული წამყვანი იდეების გაცნობას და გავრცელებას. რედაქციის წერილში ხაზგასმულია სამოციანელთა მოღვაწეობა და თანხმობა მათ იდეალებთან, ამიტომ „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი მათი საქმის გამგრძელებლად სახავს თავს (ახალი პროგრამა, 1900). გაზეთის გარშემო რეალურად თავმოყრილი იყო ის ჯგუფი, რომელიც მომავალში სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრები და ლიდერები გახდნენ.

„ცნობის ფურცლის“ რედაქციას 1901 წელს უერთდება არჩილ ჯორჯაძე და იწყება მისი სტატიების და წერილების სერია ამ გამოცემაში. დავასახელებ რამდენიმე მათგანს: „ჩვენი საჭირბოროტო კითხვები“, „სომეხთა და ქართველთა ურთიერთობა“, „ჩვენი ეკონომიური პროგრამის გამო“, „მოკამათე დასთა საერთო ევროპული ნიადაგი ევროპაში“ და სხვ. 1901 წელსვე ის აქვეყნებს სტატიას „ეროვნულ კითხვის განმარტების გამო, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალს შეიცავს: 1) არჩილ ჯორჯაძე თვლის, რომ ეროვნული საკითხი ქართული საზოგადოებისთვის იყო და არის ბუნდოვანი და გაურკვეველი ფენომენი; 2) ისტორიის განმავლობაში უამრავი განსაცდელის მიუხედავად ქართველმა ერმა მოახერხა ორი ნიშანის შეურყევლად

შენარჩუნება - მიწის და ენის; 3) პირველი მარკერი საფუძველია ეკონომიკური არსებობისთვის, ხოლო მეორე ენის მარკერი კულტურული სფეროს ჩამოყალიბება-განვითარებისთვის; 4) ისტორიაში ეროვნული საკითხი ქართველისთვის თავისუფლების საკითხი იყო, რომელიც ხელშეუხებელი უფლებაა. სწორედ ამიტომ, მიუხედავად ეკონომიკური უსამართლობისა და უთანასწორობისა წარსულში ახერხებდა საზოგადოება გაერთიანებას, როდესაც ეროვნებას ექმნებოდა საფრთხე გარეშე მტრისგან; 5) არჩილ ჯორჯაძე ნაციონალიზმის დეფინიციას გვთავაზობს: *„ეროვნება, ანუ ნაციონალიზმი შეგნებაა იმ აზრისა, რომ მე, როგორც კერძო ადამიანს, მაქვს ნივთიერი და სულიერი კავშირი ჩემ ხალხთან“;* 6) ცნობიერების გაღვიძების შემდეგ იქმნება ხალხი ერად, ანუ მხოლოდ ის ხალხი ითვლება ერად, რომელსაც ცნობიერების შეგრძნება აქვს “ (ჯორჯაძე, 1901). ვფიქრობ, ეს სტატია გვაძლევს ზუსტ წარმოდგენას თუ რას ნიშნავს ერი და ეროვნული საკითხი არჩილ ჯორჯაძისთვის. ეს ერთგვარად ამზადებდა საფუძველს საერთო მოქმედების ნიადაგისთვის, რადგან ხაზი ჰქონდა გასმული წარსულში ეკონომიკური უთანასწორობის მიუხედავად ეროვნული იდენტობისადმი საფრთხის შექმნის გამო გაერთიანებას. ჩემთვის მნიშვნელოვანია დეფინიციაც, რომელსაც ის გვთავაზობს, რადგან ზუსტად ჩანს, რომ თვითცნობიერება ანუ საკუთარი იდენტობის შეგნება არის ერის მთავარი მახასიათებელი არჩილ ჯორჯაძისთვის. სტატიიდან ირკვევა ისიც, რომ ავტორისთვის ორი ობიექტური მარკერი არსებობს, რომელებიც ერის განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ: ტერიტორია და ენა.

შემდეგი სტატია, რომელზეც ყურადღებას გავამახვილებ არის „კიდევ საერთო მოღვაწეობაზე“, სადაც არჩილ ჯორჯაძე საუბრობს იმაზე, რომ წმინდა კლასთა ბრძოლის პრინციპი ქართულ რეალობაში ვერ იფუნქციონირებს, რადგან თავად ცხოვრება აჩვენებს საერთო ინტერესების საჭიროებას. რეალურად ეს სტატია არის პასუხი ნოე ჟორდანიას მიერ არჩილ ჯორჯაძის საერთო მოქმედების ნიადაგის კრიტიკისა. არჩილ ჯორჯაძე თვლის, რომ ნოე ჟორდანია იცავს კლასთა ბრძოლის პრინციპს და ამასთანავე ლაპარაკობს საერთო ინტერესებზე, რაც არჩილ ჯორჯაძისთვის მიუღებელია, რადგან არ თვლის, რომ ამ ორი პრინციპის ერთდროულად დაცვა შესაძლებელია, რასაც ცდილობს ნოე ჟორდანია, რადგან თავადვე უსვამს ხაზს იმას, რომ ერი ვერასდროს დანაწილდება ისე, რომ ამ ნაწილთა

შორის რაიმე საერთო ინტერესი არ იყოსო. ნოე ჟორდანია უარყოფს, რომ სადმე გააჟღერა ის აზრი თითქოს ქართველობას საერთო ინტერესი არ აქვს. ასევე, ნოე ჟორდანია აღნიშნავს, რომ მშობლიური ენის გამავრცელებელი ის არის, ვინც ხალხის მოთხოვნილებას იცნობს, თუმცა ის არაფერს ამბობს ეროვნულ სკოლაზე, რაც არჩილ ჯორჯაძეს ნაკლად მიაჩნია, რადგან როდესაც ენის დაცვაზე საუბრობს, ჯორჯაძის აზრით, აუცილებელი იყო ეროვნული სკოლის ხსენებაც (ჯორჯაძე, 1901). იგივე სტატიის მეორე ნაწილში არჩილ ჯორჯაძე ნოე ჟორდანიას აკრიტიკებს იმის გამო, რომ თავად ნოე ჟორდანია არჩილ ჯორჯაძისადმი გამოქვეყნებულ კრიტიკაში გვერდს უვლის თემას მართლა არსებობენ თუ არა საზოგადოებაში ისეთი მოვლენები, რომლებიც საფუძველს ქმნის საერთო პრაქტიკული მოქმედებისთვის, რადგან არჩილ ჯორჯაძე ხაზგასმით ამბობდა: *„ჩვენსავე საზოგადოებაში იმგვარი მოვლენანიც არსებობენ, რომელნიც არამც თუ ასუსტებენ ამ წინააღმდეგობას, არამედ ჰბადავენ ნიადაგს მოკამათე ჯგუფების საერთო პრაქტიკულ მოქმედებისათვის“* (ჯორჯაძე, 1901). ჩემი მოსაზრებით, არჩილ ჯორჯაძის პუბლიცისტური მოღვაწეობის საწყისი პერიოდი „ცნობის ფურცელში“ ხასიათდებოდა მთლიანად საერთო ნიადაგის თეორიის გააზრებით და ახსნით მკითხველისთვის. მისი თითოეული გამოქვეყნებული სტატია გარკვეულწილად უკავშირდებოდა საერთო მოქმედების ნიადაგის მნიშვნელობის ხაზგასმას. თუ მის „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ სტატიებს ქრონოლოგიურად დავალაგებთ ვნახავთ, რომ 1901 წლის ბოლოს არჩილ ჯორჯაძე უკვე საუბრობდა იმაზე, რომ საერთო მოქმედების ნიადაგი არ გაიზიარა არც ერთმა პოლიტიკურმა ჯგუფმა და პერიოდულმა პრესამ. ის აღნიშნავდა, რომ „კვალი“ აკრიტიკებდა ამ თეორიას, „ივერია“ კი არ ეხმიანობოდა ამ საკითხს, არც ეთანხმებოდა მის თეორიას და არც უარყოფდა. არჩილ ჯორჯაძე აკრიტიკებს ორივე გამომცემლობის რედაქციას და ამბობს, რომ თუ „კვალს“ ცალმხრივი დემოკრატიზმი ახასიათებდა, მაშინ „ივერია“ ცალმხრივი პატრიოტიზმით უნდა დახასიათდეს. არჩილ ჯორჯაძე სტატიაში კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ის დაუპირისპირდება მათ, ვისაც ეროვნული იდენტობის დაცვა არ მიაჩნია ღირებულად და დაუპირისპირდება მათაც, ვისაც კერძო ინტერესების დაცვა ეროვნული ინეტერესების დაცვად მიაჩნია. როგორც ვხედავთ ის გულისხმობს ორივე გამომცემლობის ირგვლივ შემოკრებილ ჯგუფს (ჯორჯაძე, 1901).

მნიშვნელოვანია არჩილ ჯორჯაძის სტატია „ეკონომიური განკერძოება და ეროვნული ერთიანობა“ („ცნობის ფურცელი“, 1902 წ., №1691; №1692; №1693; 1694), რომელშიც ავტორი ხაზს უსვამს, რომ ორი ტიპის პრობლემის წინაშე დგას დღეს საზოგადოება, ეროვნული და ეკონომიკური, რომლიდანაც ის უპირატესობას ეროვნული საკითხის მოგვარებას ანიჭებს. ის სტატიაში საუბრობს წოდების მიუხედავად საზოგადოების გაერთიანებაზე, შეკავშირებაზე. სტატიაში ყურადღება იმაზეა გამახვილებული, რომ წარსულშიც იყო ეკონომიკური განხეთქილება, მაგრამ ამის მიუხედავად ხალხი მაინც დაკავშირებული იყო ერთმანეთთან და შინაური მონობა ერჩივნა გარეშე ძალის მონობას. ამ ერთმანეთთან დაკავშირების საშუალებად არჩილ ჯორჯაძე გულისხმობს ენას, ზნე-ჩვეულებას, სარწმუნოებას და ისტორიულ ტრადიციას... განსხვავება ის არის, რომ ძველად ეს ეკონომიკური წინააღმდეგობა დაფარული და ხშირად შეუგნებელი იყო, დღეს ის აშკარაა ხალხისთვის (ჯორჯაძე, 1902). ავტორის მოსაზრებით, თუ ერი დემოკრატიული მიმართულებისაა მასში ბურჟუაზიული ფენის შესაძლებლობების გამოყენებაც შესაძლებელია ერის და დემოკრატიის სასარგებლოდ. ქართველი ბურჟუაზიის გამოყენება შეიძლება უცხოელების ეკონომიური ძალდატანების შესამსუბუქებლად და ეროვნულ დაწესებულებების გასაძლიერებლად. არჩილ ჯორჯაძე ამ სტატიაში კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ წმინდა კლასთა ბრძოლის პრინციპი ქართველი საზოგადოებისთვის არ არის მიზანშეწონილი, რადგან ყველა კლასი თანაბრადაა დაინტერესებული თვითმმართველობის განვითარებაში, ნაფიცმსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებაში, ქართული ენის დაცვაში და ტერიტორიის შენარჩუნებაში. სწორედ ეს საერთო ინტერესი წარმოუდგენია არჩილ ჯორჯაძეს ერთმანეთთან დაკავშირების საფუძვლად (ჯორჯაძე, 1902). არჩილ ჯორჯაძის დასკვნით, ეროვნულად გაერთიანებული ქართული კლასები და წოდებები იმ დრომდე არიან და იქნებიან, სანამ ყველა კლასს რაიმე საერთო აქვთ. დღეს ეს საერთოა საზოგადოების თვითმოქმედების განვითარება და უცხოელებისგან ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება, როცა ეს მიზანი მიღწეული იქნება, მაშინ ეროვნული მთლიანობა სხვა მახასიათებლებით იქნება წარმოდგენილი მომავალში, რადგან ეროვნების საფუძველს თავად ხალხი ჰქმნის (ჯორჯაძე, 1902). როგორც ვხედავთ ამ სტატიაში არჩილ ჯორჯაძე ეხება ქალაქებში მოსახლე სომეხ მოხელეებზე. საზოგადოებაში იმის შიში, რომ ქართველების

პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას და მნიშვნელობას საკუთარ ქვეყანაში შეარყევდა სომხური ბურჟუაზია დიდი იყო, რაც არც არის გასაკვირი, რადგან მდიდარი სომხები ძირითადად გაღატაკებული ქართული არისტოკრატიის ქონებას ყიდულობდნენ. სწორედ ამიტომ ამახვილებს არჩილ ჯორჯაძე ყურადრებას ამ გარემოებაზე.

არჩილ ჯორჯაძის დასახელებულ სტატიებს ფართო გამოხმაურება ჰქონდა ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძის და ალექსანდრე წულუკიძის მხრიდან. განსაკუთრებით კრიტიკის ობიექტად იქცა „საერთო მოქმედების ნიადაგი“, რომელსაც ალექსანდრე წულუკიძემ უპასუხა ბროშურით „ოცნება და სინამდვილე“ (1903 წ.). ის ხაზს უსვამს, რომ კლასთა ბრძოლა და ნაციონალური განვითარება არ უშლის ერთმანეთს ხელს. ალექსანდრე წულუკიძეს არგუმენტად მოჰყავს ის, რომ ევროპის სხვა ქვეყნებს კლასთა ბრძოლის ეტაპისთვის გვერდი არ აუვლიათ და არ გამოუყენებიათ პრაქტიკულად „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორია. მან 1905 წელს ჟურნალში „მოგზაური“ გამოაქვეყნა სტატია „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები“, რომელიც სოციალისტ-ფედერალისტების წინააღმდეგ არის მიმართული და რომელშიც ავტორი ასკვნის, რომ ავტონომიის მოთხოვნას საერთო არაფერი აქვს პროლეტარიატის ინტერესებთან. პირიქით, ავტონომიის მოთხოვნა საზიანო იქნება, რადგან პროლეტარიატის ძალა დანაწილდება (წულუკიძე, 1905).

რადგან ჟურნალ „მოგზაურს“ განვიხილავ და სოციალ-ფედერალისტების წინააღმდეგ გამოქვეყნებულ სტატიებს მაგალითად მოვიყვან ფილიპე მახარაძის სტატიას „ძმობა-ერთობაზე ღაღადი ჩვენში“, სადაც ავტორი ხაზს უსვამს, რომ ემსახურება საკუთარ იდეოლოგიურ მხარდამჭერებთან ერთად სხვადასხვა ერთა შორის და ერთი ერის წევრებს შორის ერთობის და თანასწორობის დამყარებას. ავტორი ამატებს, რომ კავკასიის ერთა ერთობის მოთხოვნით გამოდიან ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომლებიც საკუთარ ერში მხოლოდ კლასობრივ განხეთქილებას და წინააღმდეგობას იწვევენ. აქედან გამომდინარე, ფილიპე მახარაძე ასკვნის, რომ ძმობის და ერთობის მოთხოვნა ბურჟუაზიის მხრიდან მხოლოდ სიტყვიერია, საქმით მიზანი საკუთარი კლასის პრივილეგირებაა მუშების ფენასთან შედარებით (მახარაძე, 1905). იგივე თემას ეხება მისი სტატია „ეროვნული განხეთქილება და საერთაშორისო პროლეტარიატი“, რომელშიც ის მოუწოდებს სოციალიზმის მხარდამჭერებს

ნაციონალისტურ პარტიებთან ბრძოლისაკენ, იმ პარტიებთან, რომელთა ფასეულობებში დიდებული წარსულის ხსოვნა მოწინავე ადგილს იკავებს და რომლებიც არქეოლოგიური წარწერების გამო მზად არიან მოძმე ხალხს დაუპირისპირდნენ. ეს სტატიაც გამოქვეყნებულია „ფარის“ ფსევდონიმით (მახარაძე, 1905). სხვა დეტალებზე ამ სტატიიდან აღარ გავამახვილებ ყურადღებას, მაგრამ არქეოლოგიური წარწერები იმ საკრალური ფესვების შემადგენელი ნაწილია, რომელზეც ენტონი სმითი საუბრობს. არ არის გასაკვირი წარწერის და ნებისმიერი სახის კულტურული ძეგლის გამო სხვა ერთან დაპირისპირება, რადგან ერის თვითცნობიერების ამაღლება დამოკიდებულია სწორედ ასეთი ძეგლების შენარჩუნებაზე. მესამე სტატია, რომელზეც მსურს ყურადღების გამახვილება მისი „უცნაური ლოღიკაა“, რომელიც არის „ივერიის“ რედაქციისადმი პასუხი „ბრალდებაზე“, რომ სოციალ-დემოკრატები ერს ფიქციად თვლიან. ფილიპე მახარაძე ხაზს უსვამს ენის მნიშვნელობას. ავტორი ხაზს უსვამს ერის და ენის უტყუარი არსებობის ფაქტს, თუმცა სხვა შინაარს დებს ფილიპე მახარაძე ამ ცნებებში (მახარაძე, 1905). მნიშვნელოვანია თავად ის ფაქტი, რომ ენის მნიშვნელობას აღიარებს ფილიპე მახარაძე. ზოგადად სოციალ-დემოკრატების რადიკალური ნაწილის პუბლიკაციებზე დაკვირვებით შეიძლება ეს დასკვნა გამოვიტანო, რომ ერის მთავარ მახასიათებლად ისინი სწორედ ენას მიიჩნევდნენ.

სტატია, რომელსაც ფილიპე მახარაძე ეხმაურება „ივერიის“ რედაქციის მოწინავე წერილია „გასაგები გულისწყრომა“, რომელშიც საუბარია „მესამე დასის“ მიერ ერის ცნების აღქმაზე, რომელიც ერს ფიქციად თვლის. წერილში ნახსენებია, რომ ეს მოსაზრება მესამე დასის მიერ ერის ფიქციურობად მონათვლისა ეყრდნობა იმ აზრს, რომ ერი ბურჟაზიის შექმნილი ფენომენია, რომელიც რეალურად დაყოფილია კლასებად და კლასებს შორის საერთო ინტერესი არსად არ იკვეთება, მათ საერთო არაფერი აქვთ. „ივერიის“ წერილში ნახსენებია, რომ რადგან პროლეტარიატს არ აქვს სამშობლო მესამე დასისთვის არ აქვს მნიშვნელობა თუ ეროვნულ ტერიტორიას ვინ დაიკავებს ("ივერია", 1905). საინტერესო ის არის, რომ ფილიპე მახარაძემ, როდესაც უპასუხა ამ სტატიას ახსენა ენის მნიშვნელობა ერის ცნების განსაზღვრისას და ზოგადად საზოგადოებისთვის, მაგრამ ყურადღება არ გაუმახვილებია ტერიტორიაზე, როდესაც ძირითადი კრიტიკა „ივერიის“ რედაქციის მხრიდან სწორედ ეროვნული

ტერიტორიის დაკარგვის საფრთხეზე მოდიოდა. აქედან გამომდინარე, ვასკვნი, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა მისთვის იმას, თუ ეროვნული ტერიტორია ვის ხელში იქნებოდა.

ერის ფიქციად გამოცხადებას „ივერია“ მრავალჯერ გამოეხმაურა და გააკრიტიკა, ამის კიდევ ერთი მაგალითია დ. ჭოლეველის ფსევდონიმით დომენტი ოყრეშიძის გამოქვეყნებული ფელეტონი, სადაც ავტორი „მოგზაურელებს“ კომედიის თამაშში ადანაშაულებს, სადაც პირველივე მოქმედებაშია ერი, ენა, სამშობლო ფიქციად გამოცხადებული, მეორე მოქმედებაში კი ეს დებულება ფაქტად აქვთ წარმოდგენილი (ჭოლეველი, 1905).

ეს დებატები არ ყოფილა ერთჯერადი. „ივერიის“ და „მოგზაურის“ რედაქციები ხშირად პასუხობდნენ ერთმანეთს, მაგრამ ცენტრალური ხაზი ამ დებატების მაინც იმაზე გადიოდა, რომ „მოგზაურის“ პუბლიცისტები ეროვნულ საკითხს და შესაბამისად ერის მნიშვნელობას თუ ფუნქციას განიხილავდნენ მხოლოდ კლასობრივი დაპირისპირების გადმოსახედიდან. 1905 წელს დაიხურა ჟურნალი „მოგზაური“, მაგრამ ვფიქრობ გარკვეული გავლენა ჟურნალს ჩემი საკვლევი პერიოდის განმავლობაში გამართულ დისკუსიებში ჰქონდა. მკაფიოდ იკვეთება 1905 წლის სტატიები, სადაც მესამე დასის ერთი ფრთა ხაზს პირდაპირ უსვამდა ერის ცნებაში ენის ფუნქციას. აქედან გამომდინარე, ერის განსაზღვრის დროს ენა ძირითად მარკერად ესახებოდათ მათ. რთული სათქმელია, თუ რატომ ეს მარკერი და არ ასხვა, რადგან ნათელია, რომ ერის განსაზღვრისას ისინი ობიექტურ მარკერის მნიშვნელობას გაუსვამდნენ ხაზს, თუმცა რატომ არა ეკონომიკური წყობის ერთიანობა და რატომ ენა გაუგებარია ჩემთვის.

კვლევის ამ ნაწილშივე ავღნიშნავ, რომ არჩილ ჯორჯაძეს მნიშვნელოვანი სტატიები აქვს გამოქვეყნებული ეროვნული საკითხის ირგვლივ გაზეთში „ამირანი“. ერთ-ერთი ასეთია „რა განსაცდელი მოელის ქართველ ხალხს?“ (1908 წ.), რომელშიც ავტორი მკითხველს აფრთხილებდა, რომ ეროვნული საკითხი კონკრეტულ პირობებში უნდა იყოს შესწავლილი, რაც ნიშნავდა, რომ ყოველდღიურობაში უნდა შესწავლილიყო ის, რასაც შუღლის გამოწვევა შეეძლო ერებს შორის. გაზეთში „ამირანი“ ქვეყნდება არჩილ ჯორჯაძის სტატიების სერია „სამშობლო და

მამულიშვილობა“ (1908 წ.), რომელიც ძირითადად ქართველ სოციალ-დემოკრატების და მათი ეროვნულის საკითხისადმი ნიჰილისტური განწყობის წინააღმდეგაა მიმართული (დარჩაშვილი, 2005).

§ 3.4. „ივერიის“ მნიშვნელობა ერის ცნებას გაანალიზებაზე საქართველოში 1893-1917 წლებში

„ივერიის“ მნიშვნელობა დამოუკიდებელ ნაწილად უნდა გამოვყოთ ერის ცნების გაანალიზების საკითხში 1893-1917 წლების საქართველოში. მარიამ ჩხარტიშვილის და ქეთევან მანიას თეორიით, „ივერია“ მხოლოდ კი არ აღვიძებდა ეროვნულ გრძნობებს, არამედ „ივერია“ თავად ქმნიდა ამ გრძნობებს და მკითხველებს შორის ნაციონალურ სოლიდარობას აყალიბებდა. საინტერესოა ეს თეორია, რადგან ავტორები აღნიშნავენ, რომ თავად „ივერია“ ისე წარმოაჩენდა თითქოს უკვე არსებულ ეროვნულ თვითცნობიერებას ამაღლებდა, რადგან ნაციონალიზმის პრიმორდიალური თეორიის თანახმად, ნაცია ახლად არ იქმნება, არამედ უკვე არსებულის რეგენერაცია ხდება. ავტორთა მოსაზრებით, რეალურად რაც ხდებოდა იყო ის, რომ „ივერია“ თავად აყალიბებდა ქართულ ნაციონალურ იდენტობას (ჩხარტიშვილი&მანია, 2011). უნდა დავეთანხმო ავტორებს, თუ გავითვალსიწინებ ბენედიქტ ანდერსონის თეორიას, რომ ბეჭდური კაპიტალის აღორძინება არის ერის ფორმირების კატალიზატორი.

1901 წელს „ივერია“ აქტიურად აშუქებდა ეროვნულ საკითხს კავკასიაში, რისი მიზეზიც იყო საოლქო ერობის შემოტანის აუცილებლობის დასაბუთება. ერთ-ერთ ასეთ პუბლიკაციაში ხაზგასმულია, რომ ყოველი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცვლილების საფუძველი უნდა იყოს ეროვნული საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა. ავტორის მოსაზრებით, სწორედ ეს პრინციპია ურყევი, რომელიც დავიწყებული ჰქონდა ქართველ ეროვნული ინტელიგენციის ნაწილსაც კი. კავკასიის მმართველების მიზანი, ავტორის შეხედულებით, იყო გარუსების პოლიტიკა, ანუ კავკასიის მრავალეროვანი მოსახლეობის ერთმანეთთან ასიმილაცია და ამ მიზნით ყველას ერთ სახელს უწოდებდნენ - „კავკასიელი“. კავკასიის ერების ბურჟუაზიულ ინტელიგენციას სწამდა კავკასიის კულტურული განვითარებისა, მაგრამ ერად მხოლოდ საკუთარ ერს მიიჩნევდნენ, ამიტომ ეს წარმატება სარგებლობის მომტანი მხოლოდ საკუთარი ერისთვის უნდა ყოფილიყო. ავტორის მოსაზრებით ამ მიდგომამ გამოიწვია ის, რომ კავკასიის ერები ერთმანეთს აღარ ენდობიან. ავტორის მიზანია

მკითხველს დაანახოს რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მეზობელი ერების პატივისცემას და ერთმანეთის მიმართ ნდობის აღდგენას. ეროვნული საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა მომავალში აუცილებელს ხდის ერობის შემოღებას, საქართველოს საოლქო ერობის ცენტრი თბილისი უნდა იყოს, მაგრამ სანამ ეს მოხდება უნდა გაერთიანდეს მთელი ტერიტორია[9]. ავტორი განიხილავს იმ არგუმენტსაც, რომელიც შეიძლება მოწინააღმდეგეებმა წამოუყენონ მის მოსაზრებას საოლქო ერობის დაარსების წინააღმდეგ, რაც არის შემდეგი: საოლქო ერობის შემოღება ერების განცალკევების საფუძველია. ავტორი მიიჩნევს, რომ კავკასიის მოთხოვნების გადასაწყვეტად ყველა დამოუკიდებელი ერობა ადვილად გაერთიანდება კავშირის სახით კონკრეტული პრობლემის გადასაწყვეტად (სპ., 1901).

1901 წელს გამოიცა კიდევ ერთი სტატია, რომელსაც ერის ცნების ანალიზისთვის 1893-1917 წლებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: „ჩვენი ეროვნული თვითცნობიერება“, რომლის ავტორიც იპოლიტე ვართაგავაა. იპოლიტე ვართაგავა ხაზსგასმით გამოყოფს ეროვნული თვითცნობიერების ნიშვნელობას და ამბობს, რომ იმ ერთობას, რომელსაც არ აქვს ან დაკარგა ეროვნული თვითცნობიერება ერს ვერ უწოდებს. იმის მიუხედავად, რომ შეიძლება ამ ჯგუფში განათლებაც გარკვეულ დონეზე იყოს მისული და წარმოება-ვაჭრობაც განვითარებული იყოს, მაინც ერი არ ეწოდება ამ ერთობას. იპოლიტე ვართაგავა სრულად იზიარებს ერნეტს რენანის აზრს და ამბობს, რომ ერის შემქმნელი ნიშანი არის სული, რომელსაც წარმოქმნის საერთო მოგონებების მემკვიდრეობა და ამ მოგონებების დასაცავად შრომა. ისტორიული გამოცდილება და წინაპართა ღვაწლის შესწავლა, გადაცემა შთამომავლობისთის არის ერის ძირითადი მახასიათებელი. იპოლიტე ვართაგავას მოსაზრებით, ერის მომავალს საფუძვლად ედება ერის წარსული და ამით გაღრმავდება ერის თვითცნობიერება. გავრცელებულ მოსაზრებას, რომ საკაცობრიო პროგრესში უნდა მიიღოს ერმა მონაწილეობა ვართაგავა ეხმაურება და ამბობს, რომ ჯერ ეროვნული თვითცნობიერება უნდა გააღრმავოს და განავითაროს ერმა და მხოლოდ ამის საფუძველზე შეეძლება საერთო კულტურული ცივილიზაციის განვითარებაში წვლილის შეტანა. ერთი საინტერესო ასპექტი, რაზეც ყურადღებას ამახვილებს

[9] თბილისის და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის, სოხუმის და ზაქათალას ოლქები იგულისხმება.

იპოლიტე ვართაგავა არის ის, რომ ევროპის წამყვანი ერები ყურადღებას ხშირად არ ამახვილებენ ეროვნულ თვითცნობიერებაზე და ეს ხდება იმიტომ, რომ ეროვნული სიძლიერის აუცილებლობა მათ აქვთ აქსიომად მიღებული, რაც მათი განვითარების საფუძველიცაა. ავტორი ხაზს უსვამს, რომ ისტორიის განმავლობაში ქართველების ცნობიერება განვითარებული იყო და სწორედ ამიტომ ვერ დაასუსტა ის იმ რთულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ, რომელსაც გაუძლეს მტრებთან მუდმივ ბრძოლაში ქართველებმა, ეს მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნეში იცვლება, რადგან ქართველი დაღლილი ერი რუსეთს უკავშირებს ცხოვრებას და თავიდან იხსნის იმ პასუხისმგებლობას, რასაც სარწმუნოების და სამშობლოს დაცვა ჰქვია, რამაც გამოიწვია ქართველი ერისთვის საზოგადოებრივი იდეალის და გრძნობის გაქრობა (ვართაგავა, 1901). ცვლილებები კი იწყება ალექსანდრე II-ს დიდი რეფორმებით, რომელიც საქართველოსაც ეხება, როგორც რუსეთის ერთ ნაწილს და ეს ცვლილებები პირველ რიგში შეეხო ახალგაზრდებს, ნაწილმა განათლება რუსეთში მიიღო, სადაც სიტუაცია განათლების მხრივ გამოცოცხლებული იყო, დობროლიუბოვის და გოგოლის პერიოდი იდგა პუბლიცისტიკაში. იპოლიტე ვართაგავა ხაზს უსვამს 60-იანელების ღვაწლს, რომლებმაც გამოაღვიძა ქართველი ერი ისტორიის მნიშვნელობაზე, თანამედროვე პრობლემებზე და მომავლის საკითხზე საუბრით, მაგრამ „დიპლომიანების“ რაოდენობის ზრდით თუ ვითარდება ქართველი ერი?! არა, რადგან ასეთი „დიპლომიანები“ იშვიათად გამოდიან საზოგადოებრივ ასპარეზზე და თუ გამოდიან ვიწრო სადასო ინტერესებით. იპოლიტე ვართაგავას მოსაზრებით, ისინი შეიძლება ინტელიგენტები იყვნენ, მაგრამ არა ქართველი ინტელიგენტები, რადგან მათ არ იციან საკუთარი ერის წარსული, ისტორია და ლიტერატურა (ვართაგავა, 1901). იპოლიტე ვართაგავა საუბრობს მის თანამედროვეობაში საზოგადოების მახასიათებლებზე, რომელსაც არ გაუთავისებია ზნეობრივი მოვალეობის მნიშვნელობა, ერთობის სურვილი და ეროვნული ცნობიერება (ვართაგავა, 1901).

მართალია სამსონ ფირცხალავას სტატიები „ცნობის ფურცლის“ ნაწილში მაქვს განხილული, მაგრამ 1902 წელს მან მეტად საყურადღებო სტატია გამოაქვეყნა გაზეთში „ივერია“. სტატიას „ერი და ეროვნული პრინციპი“ „კალამი“ იწყებს ჰუმბოლტის სიტყვებით, რომ *„არ არიან ერნი უფრო კეთილშობილნი; ყველანი ერთგვარად შექმნილნი არიან თვით არსებობისათვის“.* სამსონ ფირცხალავა ამ ციტირების შემდეგ

განმარტავს, რომ ერი თანამედროვე ფენომენია და ის კულტურული მოვლენაა. განიხილავს ისტორიულ მაგალითებს და ასაბუთებს იმას, რომ ძველი ერთობები არ იყვნენ ერები. მაგალითად, რომაელების შემთხვევაში ავტორი ამბობს, რომ ორი ნიშანი უშლიდა მათ ხელს იმაში, რომ გამხდარიყვნენ ერი: ფეოდალიზმი და რომის ეკლესია. ფეოდალიზმი თავის მხრივ, რადგან ყოველ ფეოდალს თავისი ტერიტორიული ერთეული ჰქონდა, სადაც განაგებდა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს. ხოლო ეკლესია კი ადგილობრივი ეროვნული ენების განვითარებას ეწინააღმდეგებოდა და განამტკიცებდა ლათინურ ენას, რომელსაც მეტაფიზიკური ფუნქცია ჰქონდა. სამსონ ფირცხალავა ავითარებს მოდერნისტულ ხედვას და ერის უფლების აღიარებას პირდაპირ უკავშირებს საფრანგეთის რევოლუციას, რადგან ამ პერიოდიდან უკვე ცხადი გახდა, რომ ერს არ აქვს უფლება შეეხოს სხვა ერის საკუთრებას და თავისუფლებას. სამსონ ფირცხალავა წარსულის მაგალითების განხილვით იმ დასკვნამდე მიდის, რომ ყველაფერი ადამიანის გათვითცნობიერების ხელისშემწყობი, ხელს უწყობდა ეროვნების განვითარებასაც (ფირცხალავა, 1902).

სტატიის მეორე ნაწილში სამსონ ფირცხალავა საუბრობს იმაზე, რომ არა არსებობს ზოგადად კაცობრიობა და არსებობენ მხოლოდ სხვადასხვა ეროვნული საზოგადოებები. ერებს საერთო თვისებებთან ერთად აქვთ განსხვავებული პიროვნული თვისებებიც. სამსონ ფირცხალავას შეხედულებით, ერს თუ არ აქვს ეს განსხვავებული მახასიათებელი, ანუ ღირსება, შემოქმედების შესაძლებლობაც არ ექნება. ავტორის მოსაზრებით, სწორედ ამ განსხვავებული თვისებების გამო აღიქვამენ ერთი და იგივე მოვლენას სხვადასხვა ერები განსხვავებულად. სამსონ ფირცხალავა აღნიშნავს, რომ ფიზიკური და გარემო პირობების განხვავება იწვევს ეროვნული გონის განსხვავებულად ჩამოყალიბებას. ის ამატებს, რომ ერებისთვის დამახასიათებელია ინდივიდუალური ეროვნული ხასიათი. ავტორის მოსაზრებით ერის შექმნის ფაქტორებია: ერთ ჯგუფად შეკრული ხალხი და სახელმწიფო, მხოლოდ ამ ორი მარკერის არსებობის შემდეგ არის შესაძლებელი ერის შექმნა (ფირცხალავა, 1902).

უამრავ სტატიებსა თუ წერილებს შორის, რომელთა აღნიშვნაც შემიძლია „ივერიის“ ფურცლებიდან დავასახელებ „ეროვნულ საკითხის ახალ განმარტებას“, სადაც „ივერიის“ პუბლიცისტი განიხილავს რუსეთის სოციალ-დემოკრატების მხრიდან ეროვნული საკითხის განსხვავებულად დაყენების შემთხვევას („ნაჩალო“,

№1), რომელიც ეროვნული საკითხის გადაჭრის წარმატებულ შემთხვევებად ასახელებს შვეიცარიას და ჩრდილოეთ ამერიკას. სოციალ-დემოკრატები თავის მხრივ ეროვნული საკითხის გადაწყვეტას და ერების გაერთიანებას სახელმწიფოს ძალით არ გეგმავდნენ, არამედ კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან ბრძოლით. ამ სტატიით გარკვეულწილად აღიარებულია რუსეთში მცხოვრები ერების ავტონომია. „ივერიის“ პუბლიცისტი იზიარებს მოყვანილი მაგალითების მნიშვნელობას და ამატებს, რომ სწორედ რუსეთმაც ყველა ეროვნების უფლება უნდა აღიაროს და ეს არ შეეხება მხოლოდ კულტურულს, არამედ პოლიტიკურ უფლებებსაც და ამ უფლებების მიხედვით ახალი სახელმწიფო წყობილების შექმნაა საჭირო. ეს წერილი „მ.“-ის ფსევდონიმითაა დაწერილი, რომელიც რეალურად ფილიპე გოგიჩაიშვილს ეკუთვნის და მისი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სტატიაა ეროვნული საკითხის შესახებ (გოგიჩაიშვილი, 1905).

გაზეთმა „ივერიამ“ მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ამ საკითხს და დასახელებულ რუსულ სტატიას („ნაჩალო“, №1) გამოეხმაურა რედაქცია კიდევ ერთხელ სტატიით „ეროვნული ავტონომია და სოციალ-დემოკრატია“, რომელშიც გაესვა ხაზი იმას, რომ სოციალდემოკრატიული მოძღვრება პრინციპულად არ ეწინააღმდეგება ეროვნებათა თვითმმართველობას. „ივერიის“ რედაქცია იმედს გამოთქვამს, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია მალე მოექცევა რუსული სოციალ-დემოკრატიის გავლენის ქვეშ, რომლებიც უკვე საუბრობენ იმაზე („ბარბა“ №5), რომ მონარქიული რეაქციის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალება იქნება განაპირა ქვეყნების პოლიტიკური ავტონომია ("ივერია", 1905). იგივე ნომერში „ივერიამ“ გამოქვეყნა სოციალ-დემოკრატი ნ. ეგვიტიშვილის სტატია „პროლეტარიატი და ეროვნება“. ეს სტატია ვფიქრობ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ განსხვავებას, რომელიც იკვეთებოდა თავად სოციალ-დემოკრატებს შორის. ავტორი ყურადღებას დასაწყისშივე ამახვილებს ენის მნიშვნელობაზე საზოგადოების განვითარებისთვის, განსაკუთრებით ეკონომიკური განვითარების იმ პერიოდში, როდესაც იქმნებოდა სტატია და როდესაც საჭირო იყო ხალხში პროპაგანდა, რაც ენის და მშობლიური ლიტერატურის გარეშე ვერ მოხერხდებოდა. ამ სტატიაში ავტორი მოითხოვს კულტურულ ავტონომიას და იმ ტიპის პოლიტიკურ პირობებს, რომლებიც საჭიროა შეუფერხებლად კულტურული განვითარებისთვის. ნ. ეგვიტიშვილის უარყოფს მოსაზრებას, რომ მშობლიური ენა არ

არის საჭირო პროლეტარიატისთვის. პირიქით, ენა და ლიტერატურა მას პროლეტარიატის გონებრივი განვითარების მთავარ საშუალებად მიაჩნია. მშობლიურ ენაზე ზრუნვას, რაც კულტურული განვითარების წინაპირობაა, ეგვიტიშვილი ყველა პარტიის მოვალეობად თვლის, მათ შორის სოციალ-დემოკრატებისაც. რაც საინტერესოა ისაა, რომ ავტორი ქართველ სოციალ-დემოკრატებს მოუწოდებს ფართო თვითმმართველობის და დემოკრატიული ეროვნული ავტონომიის მოთხოვნისკენ ქართველი ხალხისათვის. ამ სტატიით კიდევ ერთხელ დასტურდება ჩემი უკვე ნახსენები მოსაზრება, რომ მესამე დასის ნაწილი ხაზს უსვამდა ენის მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებისათვის. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ნაწილი არა ზომიერი ან პატრიოტული ფრთა, არამედ რადიკალური ნაწილი იყო.

დავასახელებ ფილიპე გოგიჩაიშვილის რამდენიმე პუბლიკაციას, მათ შორის სტატიას „ეროვნული განხეთქილება და დემოკრატია“, რომელშიც ავტორი ბიუროკრატიის შედეგად მიიჩნევს ეროვნული დაპირისპირებების აუცილებელ სისასტიკეს, რომელიც არ აძლევს საზოგადოებას საშუალებას, რომ კულტურა თავისუფლად განავითაროს. ფილიპე გოგიჩიაშვილი ხაზს უსვამს, რომ ხედავს კავკასიაში მცხოვრებ ერებს შორის ეროვნულ დაპირისპირებას და ის ლიბერალები, რომლებიც ამას უარყოფენ, ავტორის აზრით, მხოლოდ ილუზიას იქმნიან. (გოგიჩაიშვილი, 1905).

ფილიპე გოგიჩაიშვილი 1905-1906 წლებში იყო „ივერიის“ რედაქტორი, ის აქტიურად აქვეყნებდა საკუთარ პუბლიკაციებს. მისი მეორე სტატია, რომელზეც ყურადრებას გავამახვილებ არის „ეროვნული საკითხი და ტერიტორიალური საოლქო ავტონომია“. ზოგადად ავტონომიის შესახებ „ივერია“ ხშირად წერდა და ფილიპე გოგიჩაიშვილის სტატია ამ თემაზე საყურადღებოა, რადგან ჯერ ერთი, ეს არის ვლადიმერ დარჩიაშვილთან დისკუსიაში ჩამოყალიბებული პოზიცია, რომელიც ეროვნულ საკითხს განიხილავდა, როგორც ბურჟუაზიის კლასობრივ საკითხს. ფილიპე გოგიჩაიშვილი ამ აზრს არ იზიარებს. ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა ვლადიმერ დარჩიაშვილისთვის ბურჟუაზიული მოთხოვნაა და არგუმენტად ის ასახელებს, რომ სწორედ ბურჟუაზია ახმოვანებს ავტონომიის მოთხოვნას. ფილიპე გოგიჩაიშვილის მოსაზრებით კი, მხოლოდ ბურჟუაზია რომ იყოს ამ მოთხოვნის გამჟღერებელი მაინც მოთხოვნის ხასიათს ვერ დაადგენ მხოლოდ იმით, თუ ვინ უჭერს

მას მხარს. ვლადიმერ დარჩიაშვილის მიერ ავტონომიის უარყოფის მეორე არგუმენტი დაახლოებით ასე ფორმულირდება: ერთ ტერიტორიაზე, ანუ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში რამდენიმე ერი ცხოვრობს და ავტონომიის მინიჭებით უმცირესობა დაიჩაგრება, თუმცა საქართველოში არავის უთქვამს, რომ საქართველოს ავტონომია იარაღად უნდათ მათ უმცირესობაში მყოფი ერების დასაჩაგრად. ვლადიმერ დარჩიაშვილი იზიარებს საერთო კავკასიის ტერიტორიულ საოლქო ავტონომიის, თუმცა თვლის, რომ ერების დამოკიდებულება ერთმანეთზე შიდა საქმეების გადაჭრის დროსაც გამოიწვევს უფრო მეტ კონფლიქტებს ამ ერებს შორის. ფილიპე გოგიჩაიშვილი კი ითხოვს თვითმმართველობას ორი მახასიათებლით: 1) ტერიტორიულ-ეროვნულ ავტონომიით, რომელიც ერებს მისცემს საკუთარ ფარგლებში თავისუფლებას და ასევე, 2) ტერიტორიულ-ოლქობრივით, რომელიც სხვადასხვა ეროვნებებს აკავშირებს იმ საკითხების მოსაწესრიგებლად, რომელიც საერთოა (გოგიჩაიშვილი, 1905).

გამოვყოფ კიდევ ერთ სტატიას „ივერიის“ რედაქციისგან: „ჟურნალი „კვალი“ ისევ თავისი მიმართულების კვლევა-ძებნაშია“, რომელშიც აღნიშნულია, რომ დასავლეთ ევროპის რეალობაში და კაპიტალისტური წყობილებით შექმნილი მარქსიზმი და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა საქართველოს რეალობისთვის შეუსაბამოა, რადგან კაპიტალიზმი მხოლოდ ახლა ვითარდება საქართველოში და თან აქ, არ არსებობდა მუშათა კლასი. ავტორის მოსაზრებით, ევროპა სწრაფი ტემპით ვითარდება და მალე ახალი ეკონომიკური წეს-წყობილება საფუძვლიანად შეცვლიდა მათ ცხოვრებას, მაგრამ „ჩამორჩენილმა“ ერებმა უნდა იმუშაონ საკუთარი კულტურის გასავითარებლად. ავტორს ქართველი ერის უახლოეს ამოცანად საკუთარი ვინაობის დაცვა ესახება და მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის შემდეგ არის შესაძლებელი ახალი იდეალის დასახვა. სტატიის ავტორი გიორგი ლასხიშვილია, რომელიც „ლალის“ ფსევდონიმით აქვეყნებს ამ სტატიას ("ლალი", 1895).

ილია ჭავჭავაძეზე და „ივერიის“ ჯგუფის დიდ ნაწილზე ერნესტ რენანის ერის თეორიამ დიდი გავლენა მოახდინა და შესაბამისად ერის ფორმირების ფრანგულმა მოდელმა. ეს ფრანგული გამოცდილება ამბივალენტურობით ხასიათდება: ფრანგული ნაციონალიზმი არის ერთდროულად კოლექტივისტურიც და მოქალაქეობრივიც. სწორედ ამ მომენტზე აჩერებს ყურადღებას მარიამ ჩხარტიშვილი&ქეთევან მანიას

თეორია, რომელიც აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძის ქართველი ერის იდეა ერთდროულად არის, როგორც ეთნო-ერის, ისე მოქალაქეობრივი ერის კონცეფციაც, რომელიმე მხარის აქტუალიზება სიტუაციაზეა დამოკიდებული. კონკრეტულად ქართველი ერი კი, ილია ჭავჭავაძის მოსაზრებით, არის ინდივიდუალური ეთნიკური ორგანიზმი, მაგრამ ორგანიციზმი, მისი მოსაზრებით, ერის გაგების მცდარი თეორიაა. მისი დეფინიციით ერი განუყოფელი მთელი არ არის, არამედ ინდივიდების ერთობა. რაც ყველაზე მთავარია ილია ჭავჭავაძე ხაზს უსვამს, რომ საერთო წარმომავლობაზე მეტად ერს აერთიანებს პოლიტიკური ინსტიტუციები (ჩხარტიშვილი&მანია, 2011).

1896 წლიდან „ივერიის“ თანამშრომელი იყო კიტა აბაშიძეც, რომელი 1905 წელს საუბრობდა ავტონომიის პრინციპის პოპულარობის ზრდაზე რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში, რის მიზეზადაც ასახელებს განაპირა სახელმწიფოების კულტურულ მდგომარეობას და ძალას, მათ შორის გამოყოფს ქართველი ერის კულტურას, რომლის უარმყოფელებიც მალევე დარწმუნდნენ, რომ საქართველოს ისტორიას და კულტურას შიდა-გუბერნიების წარმომადგენლების დასაცინი არაფერი ჰქონდა და პირიქით კულტურა ისეთ დონეზე იყო განვითარებული, რომ უნდა შეშურებოდათ მისი. ავტორის მოსაზრებით, რუსეთი მიხვდა, რომ ძალის პოლიტიკა ასეთი კულტურის განაპირა ქვეყნებთან ვერ გაჭრიდა და მას უნდა ეღიარებინა საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკური უფლებები. კიტა აბაშიძე იცავს ავტონომიის იდეას და აცხადებს, რომ ავტონომიური არსებობა აუცილებელი შედეგი უნდა იყოს საქართველოს და რუსეთის ურთიერთობისა და თუმცა ის აღიარებს, რომ ავტონომიის იდეას ბევრი მოწინაარმდეგეც ჰყავს საქართველოში, მაინც თვლის, რომ ისტორიული პროცესის ზეგავლენით დარწმუნდება მის აუცილებლობაში (აბაშიძე, 1905).

„ივერიას“ ხშირად ჰქონდა გამართული დისკუსია ქართველ მარქსისტებთან და მათ საგამომცემლო ორგანოებთან. ერთ-ერთი სტატია, რომელიც ცდილობს მკითხველს აუხსნას ქართველი მარქსიზმის სისუსტეები არის „ეროვნება და მშრომელი ხალხი“, რომელშიც გაკრიტიკებულია ქართველ მარქსისტთა ლიდერები (მაგ. ფილიპე მახარაძე), რომლებიც ცდილობენ რამდენიმე გაზეპირებული ფორმულით ყველაფრის ახსნას. ეს სტატია არ არის მხოლოდ ქართველი მარქსისტების მოქმედების, არამედ ზოგადად მარქსიზმის კრიტიკა. „კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან“ აღებული დასაწყისი: „ისტორია ყველა აქამდე არსებული

საზოგადოებათა არის ისტორია კლასთა ბრძოლისა“, სწორედ ეს ფრაზა იწვევს ავტორის კრიტიკას, რადგან მისი მოსაზრებით, კაცობრიობის წარსულში გვხვდება ისეთი ფორმაციები, რომელშიც საზოგადოებაში სოციალური დიფერენციაცია არ არსებობდა. მარქსის თეორია, ივ. რამიშვილის მოსაზრებით უარყოფს ნაციონალურ თეორიას და ერის საერთო ინტერესების არსებობას. ავტორისთვის ეროვნული გრძნობა და ეროვნული თვითცნობიერების არსებობა ფაქტია. ამ სტატიაშივე იკვეთება დასავლეთ ევროპელი მოაზროვნეების გავლენა, როდესაც ავტორი საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად ასახელებს ფრიდრიხ პაულსენის აზრს, რომ ერთნაირი გონებრივი ცხოვრება ყველაზე ნათლად გამოიხატება ენაში, პატივისცემა ისტორიის და იმ გმირებისადმი ქმნის ერთნაირ გრძნობას, აზროვნებას და რწმენას. ივ. რამიშვილი ეთანხმება ავტორს და ამატებს, რომ საერთო გრძნობა ქმნის საერთო ინტერესებს, რაც ნათლად ჩანს გარეშე მტრის თავდასხმის დროს, როდესაც საფრთხე არა კონკრეტული კლასის ინტერესებს, არამედ საერთო ეროვნულ ინტერესებს ექმნება. ეროვნული ინტერესის არსებობა ქმნის ეროვნულ სოლიდარობას. გარეშე მტრის შემოტევის დროს ნათელი ხდება ეროვნული ენთუზიაზმი, რომელიც იწვევს ერის გაერთიანებას. სწორედ ამ საერთო ნიადაგზე საუბრობდა ბებელიც, რომელიც საკმაოდ პოპულარული ავტორია 1893-1917 წლების პრესაში და რომელზე ყურადღებაც ივ. რამიშვილის სტატიაშიცაა გამახვილებული. ბებელი ხაზს უსვამდა, რომ გერმანიის ტერიტორიის წართმევას, ვინმე თუ მოიწადინებდა პროლეტარიატი ბოლომდე იბრძოლებდა ტერიტორული ერთიანობის დასაცავად. ივ. რამიშვილის მოსაზრებით, ბებელის თეორიიდან მტკიცდება, რომ გარეშე საფრთხის დროს ნათელია პატრიოტული გრძნობის გაჩენა, რომელიც აერთიანებს კლასებს. ივ. რამიშვილის მოსაზრებით, საქართველოს ერის განვითარების წინაპირობაა ტერიტორიული, ეროვნული თვითმმართველობა. ავტორი ეთანხმება და არგუმენტებით ცდილობს გაამყაროს საერთო მოქმედების ნიადაგის თეორია, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ მისთვის ნათელია სოციალური დიფერენციაცია და კლასების ინტერესების სხვადახვაობა, თუმცა არ ეთანხმება საზოგადოების ამ სპექტზე იმ „გაზვიადებულ“ წარმოდგენას, რომელსაც ორთოდოქსული მარქსიზმი ანიჭებს მას. საინტერესოა ჩემთვის ის, რომ ავტორი საუბრობს რეალობაზე, რომელშიც არ ჩანს კლასთა ისეთი გამწვავებული სახით ბრძოლა, რომ ერის სხვადსხვა ჯგუფებს ერთმანეთთან არაფერი

ჰქონდეს საერთო. ივ. რამიშვილის დასკვნით, თუ არსებულ ვითარებაში მშრომელების ფენას ნაკლებად აქვს გააზრებული ეროვნების დაცვის საჭიროება არ გამომდინარეობს აქედან ის, რომ ეროვნების დაცვა მშრომელი ხალხის ინტერესებში საერთოდ არ შედის (რამიშვილი, 1905).

არგუმენტები საქართველოს თვითმმართველობის აუცილებლობის „ივერიას“ მრავალჯერ ჰქონდა წამოყენებული. მათ შორის იხსენებდნენ 1783 წლის რუსეთთან გაფორმებულ ხელშეკრულებას. გიორგი გვაზავა, რომელიც საუბრობს ეროვნული თავისუფლების მნიშვნელობაზე და საჭიროებაზე წინაპირობად სახავს: ეროვნული ერთეულების და ტერიტორიის არსებობას, რასაც საქართველო აკმაყოფილებდა. ეს იყო წინაპირობა ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად, სტატიის ავტორი ხელშეკრულებიდან იხსენებს ორ მუხლს: რუსეთი ვალდებულია დაიცვას ხელშეუხებლად საქართველოს ტერიტორია; საქართველოს სრული უფლება აქვს შიდა საქმეების საწარმოებლად. რაც საინტერესოა გიორგი გვაზავა არ ითხოვს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, რადგან ეს რუსეთთან გაფორმებული ხელშეკრულების დარღვევა იქნება და მეორე მხარესაც ვერ მოსთხოვ ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დაცვას. ავტორი ითხოვს ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას. საინტერესოა, რომ ავტორი რუსეთისთვის სასარგებლოდ თვლის საქართველოს თვითმმართველობას, რადგან ეს რუსეთს თავისუფალი სახელმწიფოს სახელს დაუმკვიდრებს აღმოსავლეთში, რომლისკენაც ის მიიწევს. თავისუფალი სახელმწიფოს სტატუსი მას ნდობას მოუტანს აღმოსავლეთში მცხოვრებ ერებში (გვაზავა, 1909).

1906 წელს შეწყდა „ივერიის“ გამოცემა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ისეთი მნიშვნელოვანი კითხვების წინ წამოწევაში, როგორიც ეროვნულობა, ეროვნული თავისუფლება და ფართო თვითმმართველობის აუცილებლობის საკითხებია.

რადგან „ივერიის“ პუბლიკაციათა უმეტესობა ეხებოდა ეროვნების და ავტონომიის თემას რთული იყო ამორჩევა იმ ნაწილისა, რომლის ანალიზიც გავაკეთა. ორიენტირი ჩემთვის იყო შედარებით ნაკლებად პოპულარული სტატიების გამორჩევა, რომელებსაც საკვლევ პერიოდში ჰქონდა გამოხმაურება და დღეს

ნაკლებად ამახვილებენ მკვლევარები მათზე ყურადღებას. მეორე ასპექტი „ივერიის“ შესწავლისას ჩემთვის იყო ავტორების მრავალფეროვნება. ვცადე რამდენიმე განსხვავებული პუბლიცისტის ხედვა შემომეთავაზებინა ამ გაზეთის ფურცლებიდან.

§ 3.5. ეროვნული საკითხი თავისუფალი ორგანო „საქართველოს“ ფურცლებზე

არ უნდა გამოგვრჩეს ცენზურის მოქმედების ზეწოლა ქართულ პრესაზე 1893-1917 წლებში. მაგალითად, „ცნობის ფურცელი“ ცენზურის ზეწოლას საგაზეთო პროგრამის გაფართოების შემდეგაც განიცდიდა. ცარისტული რუსეთის ცენზურაზე ლასხიშვილი ამბობდა, რომ შეუძლებელი იყო ეროვნული საკითხის დაყენება და მისი შინაარსის განხილვა გაზეთის ფურცლებზე. გიორგი ლასხიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ მთელი წლის განმავლობაში ცენზურის კონტროლს ვერ გადაურჩა სიტყვა „ადგილობრივი ეროვნული თვითმმართველობა“. სწორედ ამიტომ გადაწყდა გამომცემლობის გადატანა საზღვარგარეთ (ონიკაძე, 2008). 1903 წელს დაარსდა და გამოიცა პარიზში თავისუფალი გაზეთი „საქართველო“, რომლის პირველივე ნომერში დაიბეჭდა არჩილ ჯორჯაძის წერილი: *„ღია წერილი რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიმართ“,* რომელშიც არ გაჟღერდა რუსეთის იმპერიიდან გასვლის იდეა. წერილის ავტორი ითხოვს ეროვნულ ავტონომიას არსებული რუსული პოლიტიკური ორგანოს ჩარჩოს შიგნით. ზუსტი ციტირება ასეთია: *„ჩვენი სურვილი დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენა არ არის. ნათლად და აშკარად ვამბობთ, ჩვენ პოლიტიკურ სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება - განსაკუთრებულ, საქართველოს პირობებთან შესაფერი, კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზმის ჩარჩოში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულად დამოუკიდებელნი. ერთის სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ“* ("საქართველო", 1903).

ავტონომიის იდეა „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის ყველა წევრისთვის არ იყო მისაღები, ნაწილს სრული დამოუკიდებლობის იდეის განვითარება სურდა. ცენზურას გაქცეულ „საქართველოშიც“ კი იბეჭდება სეპარატისტის ფსევდონიმით წერილი, სადაც ავტორს შესაძლებლად მიაჩნია დასავლეთ ევროპის დახმარებით საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება რუსეთისგან (გორგიშელი, 2005).

საინტერესოა ამ გაზეთის ანალიზის შედეგები, რადგან გაზეთი შედარებით თავისუფალი იყო ზეწოლისგან და შესაბამისად გამოქვეყნებული სტატიები და

წერილებიც უფრო პირდაპირი და თამამი მოსაზრებებით ხასიათდებოდა. საქართველოს მეორე ნომერში ვხვდებით სტატიას სათაურით „საქართველოს ეროვნული თვით-მმართველობა“, სადაც საუბარია იმაზე, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ეროვნულ საკითხისადმი მიდგომა მხოლოდ თეორიული იყო და მხოლოდ მსჯელობაზე დადიოდა. პუბლიცისტი ხაზს უსვამს, რომ ამ ეტაპზე თეორიული განსჯის დრო აღარ არის და ეს ნატვრა ეროვნული საკითხის გადაჭრის მოქმედებათ და მოძრაობად უნდა იქცეს. ეროვნების დაცვა ავტორისთვის პირველ რიგში ადგილობრივი ენის, ადგილობრივი პოლიტიკური ერთეულების და საერთო ეკონომიკის დაცვაა. მისი აზრით, ქართველი საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება მხოლოდ ეროვნულ ავტონომიას შეუძლია. საინტერესო დეტალი, რასაც ავტორი აღნიშნავს არის ის, რომ თავად არ არის სეპარაციის მომხრე, რადგან რუსეთისგან მთლიანად ჩამოშორება შეუძლებელია და არც სასურველი. რუსეთისგან ჩამოშორების რეალობა ოცნებაა და არა რეალობა, რასაც პუბლიცისტი მკვეთრად უსვამს ხაზს და თავადაც ეგუება რეალობას, რომ სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნა ამ ეტაპზე მიუღებელია. მისი შეხედულებით, შემგუებლობის პოლიტიკა უნდა გაგრძელდეს იმით, რომ მოითხოვონ ისეთი მმართველობა, რომელიც მისცემს ქართველ საზოგადოებას ერის განვითარების საშუალებას, ანუ საჭიროა საქართველოსთვის ეროვნული ავტონომია. ეს ავტონომია კი რუსეთის დეცენტრალიზაციას მოჰყვება. აქედან გამომდინარე, პუბლიცისტი რეალობად თვლის ეროვნული ავტონომიის მოპოვებას და ეს შორეულ გეგმად არ ესახება. მთავარი საკითხი ავტონომიის საზღვრებია, რომელიც უნდა გადაწყდეს ისე, რომ საქართველოს ავტონომიის ორგანიზაციაში კავკასიის ის ნაწილი შევიდეს, სადაც მაცხოვრებლების უმეტესობა ქართული ტომებია. ავტონომიის მოპოვების შემდეგ მთავარი მიზანი ერის უნდა იყოს ქართული ენის დაცვა, ავტორის აზრით, საერო კრებამ კანონის ძალით უნდა აღიაროს ქართული ენის უპირატესობა საქართველოში, ანუ ეს კანონი ქართული ენის სავალდებულო ხასიათად გარდაქმნას მოიცავს, თუმცა სხვა ეროვნების ჯგუფებს უნდა ჰქონდეთ უფლება იმ ენაზე ისაუბრონ, რომელიც მათთვის მოსახერხებელია. განსაკუთრებით საინტერესოა ის მომენტი, რომ სტატიის ავტორი ოფიციალურ ენად ორი ენის აღიარებას ითხოვს საქართველოში - რუსულის და ქართულის. ჩემთვის სტატიაში საყურადღებო დეტალი იყო ის, რომ აქცენტი

ეკლესიის ბიუროკრატიულობაზეცაა გაკეთებული, ეკლესიის ავტონომიას და პეტერბურგის სინოდისგან დამოუკიდებლობას მოითხოვს პუბლიცისტი რელიგიურ სფეროში. ეროვნული ავტონომია „საქართველოს“ რედაქციას ესახება ვინაობის დაცვის გზად ("საქართველო", 1903).

ავტონომიის მოპოვების პრაქტიკულ გზებზე თავისუფალი ორგანოს მომდევნო ნომერშია საუბარი. უცნობი პუბლიცისტის ვრცელი სტატია ეხება ეროვნული ავტონომიისთვის ბრძოლის საშუალებებს, რომელიც ვერ იქნება ლეგალური, ერთ-ერთ საშუალებად რევოლუციური მოღვაწეობა რჩება. მთავარი საკითხია საზოგადოების რომელი ნაწილი უნდა იყოს ამ რევოლუციური მოქმედების მეთაური? ავტორის პასუხია, რომ არც ერთი ჯგუფი მის თანამედროვეობაში არ იყო მზად ამისთვის, არც თავად-აზნაურობა, არც ინტელიგენცია, არც ეკლესია, არც სტუდენტობა, არც გლეხობა და არც მუშები (ხელოსნები). მისი აზრით, საჭიროა ამ ყველა ფენისგან ერთი ძლიერი რაზმის შექმნა, რომლისთვისაც უმთავრესი ეროვნული თავისუფლება იქნება და ამ რაზმში უნდა შევიდეს ყველა ის ადამიანი, ვინც უარყოფს წოდებრივ და ბურჟუაზიულ კლასობრივ მოქმედების ნიადაგს და ვინც მზადაა იბრძალოს ხალხის განთავისუფლებისათვის ("საქართველო", 1903).

კიდევ ერთი პუბლიკაცია, რომელსაც მოვიყვან მაგალითად „საქართველოდან“ არის „ნაციონალურ მისწრაფებათა გამოღვიძება საქართველოში“, რომელიც არის თარგმანი „ოსვობოჟდენიაში“ (№3) გამოქვეყნებული სტატიისა და რომელშიც რუსი ავტორი საუბრობს იმაზე, რომ პრაქტიკული პოლიტიკის ფარგლებში ყველაზე რთულად გადასაწყვეტი საკითხი არის ნაციონალიზმი. ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა მორალის და ცივილიზაციის თანახმად რთულია, მაგრამ მარტივია ძალმომრეობითი პრინციპით. მაგალითად ასე გადაწყდა უკრაინელების საკითხი რუსეთში, რომელთაც სახარების წაკითხვაც კი აეკრძალათ მშობლიურ ენაზე. სტატიაში საუბარი „საქართველოს“ დაარსებაზეა პარიზში, რომელიც ძლიერ ოპოზიციურ ძალადაა მიჩნეული. „საქართველოს“ ჯგუფი მიიჩნევდა, რომ თანაგრძნობას მოიპოვებდნენ რუს ლიბერალებში და სოციალისტებში, რუსული სტატიის ავტორიც ეთანხმება ქართული რედაქციის მოსაზრებას და თვლის, რომ „საქართველო“ ამ თანაგრძნობას რუსულ რადიკალთა და ლიბერალთა ჯგუფებში მართლა მოიპოვებს, რადგან ვისაც უყვარს თავისი სამშობლო და კულტურა, მას სხვა

ტომის ადამიანები არ უნდა სძულდეს იმიტომ, რომ მასაც უყვარს თავისი ხალხი და კულტურა, რომლის დასაცავადაც მზადაა თავიც გაწიროს ("საქართელო", 1903). ამ სტატიის თარგმნის მიზანი ნათელია - „საქართველოს“ ჯგუფს სურდა მკითხველისთვის დაენახებინა, თუ რა გამოხმაურება ჰქონდა რუსეთში მათი ორგანიზაციის დაარსებას და რამდენად მართებული იყო მათი პოლიტიკური კურსი ეროვნული ავტონომიის მოპოვების მიმართულებით.

ბოლო სტატია, რომელსაც მოვიყვან მაგალითად არის „ეროვნულ პროგრამის ეკონომიური მხარე“, რომელშიც აღნიშნულია, რომ შეცდომაა იმის მტკიცება, რომ პოლიტიკურად დაპყრობილი საზოგადოების ცხოვრებაში არ უნდა იყოს შიდა დაპირისპირება, რადგან ასეთი საზოგადოების კლასები ერთნაირად არიან შეწუხებულნი დამოუკიდებლობის დაკარგვით და მათ შორის აუცილებლად სოლიდარობის გრძნობა უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე დაპირისპირება. პირიქით, სადაც არსებობდა ეკონომიკური ჩაგვრა ეროვნულ სოლიდარობას იმხელა ძალა არ ჰქონდა, რომ შეეკავშირებინა განსხვავებული კლასები. ამ მოსაზრების ისტორიული მაგალითები მოჰყავს ავტორს: უნგრეთი 1848 წლამდე, პოლონეთი, ჩეხეთი... ამის მაგალითია საქართველოც და ავტორი ხსნის იმ მოვლენას, როცა ქართველი ხალხი ორად გაიყო ზუსტად ისტორიული პერიოდის იმ გარდამტეხ მომენტში, როდესაც ქართველი ხალხის ეროვნება განსაკუთრებით იდგა საფრთხის წინაშე. აქედან გამომდინარე, სტატიის ავტორის მოსაზრებით, სანამ ეკონომიკური უთანასწორობის საკითხი არ გადაწყდება და საზოგადოებრივ შრომას კერძო სარგებლის ნაცვლად საზოგადოებრივი სარგებელი არ მოჰყვება ეროვნული საკითხის მოგვარება ვერ მოხერხდება, უფრო მეტიც ეროვნული საკითხი არც კი დადგება დღის წესრიგში. ავტორის დასკვნით, მხოლოდ ეკონომიკური სამართლიანობის აღდგენის შემდეგ განვითარდება ერი და დაწინაურდება ეროვნული საკითხი. ავტორი ამის შემდეგ პრაქტიკულ პუნქტებს აყალიბებს, რისი შესრულებითაც მოისპობა საქართველოში კლასებად დაყოფა და რაც უპირველესი მიზანია მის პოლიტიკურ პროგრამაში. დასკვნაში ავტორი ხაზს უსვამს, რომ მისი მოთხოვნა იყო ეროვნული ავტონომია, მაგრამ პოლიტიკურმა რეალობამ აჩვენა, რომ მთავრობას არ აქვს გეგმაში ხალხის ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. რევოლუციური მოქმედება ერთადერთ გამოსავლად რჩება საზოგადოების იმ ნაწილს, ვისაც არ სურს დამორჩილება

("საქართველო", 1903). აღნიშნულ სტატია კარგი მაგალითია იმის, რომ გარემო პირობებთან ადაპტირდება მოთხოვნები. „საქართველოს“ ჯგუფის მთლიანი ფოკუსი დასაწყისში მიმართული იყო ეროვნული ავტონომიის მოთხოვნის საჭიროების საზოგადოებისთვის დამტკიცებისკენ. როგორც ვხედავთ წლის მეორე ნახევარში, მთლიანად რევოლუციურ მოქმედებაში ჩართვაზე გადადის აქცენტი და აქედან გამომდინარე, მთავარ მოსაგვარებელ საკითხად ეკონომიკური სამართლიანობის აღდგენა ისახება. ეროვნული და ეკონომიკური პრობლემის პარალელურად გადაჭრის გზის ძიება აღარ ხდება და არც საერთო ინტერესების გამო სოლიდარობის ჩამოყალიბებაა პრაქტიკულ მიზნად დასახული.

ზოგადად თავისუფალი ორგანო „საქართველო“ ხასიათდება ვრცელი პროგრამით საკვლევ პერიოდში საქართველოში გამოცემულ პერიოდულ გამოცემებთან შედარებით. ერთ-ერთი პრობლემა არის პუბლიკაციების ავტორების და ფსევდონიმების იშვიათად მითითება, რაც განაპირობებს იმას, რომ მართალია იცნობ „საქართველოს“ გარშემო შემოკრებილ ჯგუფს და მათ ხედვებს, მაგრამ სრულად ვერ იქნები დარწმუნებული რომელი სტატია ვის ეკუთვნის. ვფიქრობ „საქართველო“ ცდილობდა ეროვნული და ეკონომიკური საკითხის დაბალანსებას და საზოგადოებისთვის იმის ჩვენებას, რომ ორივე სახის პრობლემა დგას და ორივე მათგანისთვის ბრძოლაა საჭირო.

„საქართველოს“ გამოცემას 1904 წელს გამოეხმაურა იოსებ სტალინი სტატიით: „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“, რომელშიც მან უარყო „საქართველოს“ ირგვლივ შემოკრებილ ჯგუფთა ეროვნული პროგრამა და მხარი დაუჭირა კიდევ ერთხელ ლენინურ ეროვნულ პროგრამას მიღებულს რსდმპ II ყრილობაზე, რომელშიც შესული მე-9 (ერთა თვითგამორკვევის უფლება) პარაგრაფი სტალინმა ამ სტატიაში განმარტა. მარქსისტულ-ლენინური ეროვნული საკითხის გადაწყვეტის პროგრამა ორ ნაწილს ითვალისწინებს: პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გზით ეროვნული საკითხის გარკვეულწილად გადაჭრაა, თუმცა ეს არაა საბოლოოდ საკითხის მოგვარება, რადგან გაბატონებულ ბურჟუას ცენტრალიზმის გაძლიერებით შეეძლება საერთო სახელმწიფოში შემავალ ერებს დემოკრატიული უფლებები წაართვას. ამ შემთხვევაში ერს თავად უნდა ჰქონდეს ამ სახელმწიფოში დარჩენის ან გასვლის უფლება და სწორედ ასეთ

შემთხვევებს ითვალისწინებდა დასახელებული მე-9 პარაგრაფი (ლომაშვილი&გეგეშიძე, 1986).

1905-1907 წლებში მას შემდეგ, რაც პრესისთვის წინასწარი ცენზურა მოიხსნა უცხოეთში „საქართველოს“ გამოცემა ზედმეტი გახდა.

§ 3.6. ერის ცნების და ეროვნული საკითხის ანალიზი გაზეთში „ცნობის ფურცელი“

„ცნობის ფურცლის“ რედაქცია განსაკუთრებით აქტიურად მოღვაწეობდა 1905-1907 წლებში, რადგან ცენზურა თითქმის მოხსნილი იყო და ეროვნულ საკითხზე თავისუფლად წერა შეეძლოთ. გამოვყოფ სამსონ ფირცხალავას, კალამის ფსევდონიმით, სტატიას „ერთა კავშირი“, რომელშიც ავტორი ხაზს უსვამს, რომ ადამიანის თავისუფლება თხოულობს ერის თავისუფლებას. ამ თავისუფლებაში ავტორი გულისხმობს თვითმმართველობას და დამოუკიდებლად მოქმედებას. ეროვნული თვისებები ის საშუალებაა, რომლითაც შეგვიძლია ადამიანის სულამდე მიღწევა, რადგან მის გარეშე ვერ განვითარდება სრულად ადამიანის მოსაზრებები და გრძნობები. ეს დამოკიდებულება ერის ცნებისადმი სიახლეს წარმოადგენს ქართული რეალობისთვის. თავის მხრივ ინდივიდის თავისუფლებასთან ერის თავისუფლების შედარება არ არის ახალი, მაგრამ მათი გაიგივება ახალია. ავტორის მოსაზრებას თუ განვაზოგადებთ, თავად კაცობრიობის განვითარება მოითხოვს ერების და ყველა სახის ეროვნების თავისუფლებას. სამსონ ფირცხალავა საჭიროდ მიიჩნევს იმგვარი დეკლარაციის გამოცხადებას, რომელიც 1789 წელს გამოცხადდა „ადამიანის და მოქალაქის უფლებების“ სახით. ის საუბრობს ერის უფლებათა დეკლარაციის საჭიროებაზე, რაც მომავალში გამოიწვევდა სოციალური განვითარების სწრაფ ტემპს. სტატიაში ხაზგასმულია, რომ ვისაც სწადია ერების სოლიდარობა პირველ რიგში უნდა მოითხოვოს ერების გათანასწორობა, რომ ყოველი მათგანი იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი. მაშინ დამყარდება სოლიდარული კავშირი ერებს შორის. ასეთი კაცობრიობის კავშირი ფედერაციაა, რაც შორს მიმავალი გეგმაა, რომლის განხორციელებაც, ავტორის მიხედვით, უნდა დაიწყოს მეზობელი ერების ერთმანეთთან დაკავშირებით. მაგალითად, კავკასიის ერების, რომელთა ეროვნული ინეტერესები დაკავშირებულია კავკასიის საერთო ინტერესებთან (ფირცხალავა, 1905).

მეორე სამსონ ფირცხალავას სტატია, რომელიც მსურს განვიხილო არის „ეროვნება“, სადაც ავტორი ისტორიულ კანონად ერების თანასწორობას გვისახავს. ერების თანასწორობა ავტორს ადამიანთა თანასწორობის შედეგად მიაჩნია და შესაბამისად, ვინც უარყოფს ერების თანასწორობას უარყოფს ადამიანების თანასწორებასაც: *„თვითმოქმედება ადამიანთა, თვითმოქმედება და თვითმმართველობა ერთა, ეროვნული მმართველობა - ეს არის ერთად ერთი გზა ისტორიული ცხოვრებისა და ამ გზას ვერ გადაუხვევს ვერავინ, ვისაც კი ცხოვრება უნდა“* (ფირცხალავა, 1905). სამსონ ფირცხალავა დაინტერესებულია ერის უფლების და ეროვნების მნიშვნელობის საკითხით. თავად ერის დეფინიციას ის არ გვთავაზობს, მაგრამ ეს ტენდენცია, ანუ მხოლოდ ეროვნული საკითხის არსით დაინტერესება, ახასიათებს მთლიანად ქართულ 1893-1917 წლებში არსებულ პერიოდულ პრესას.

მესამე სტატიას, რომელსაც მოვიყვან სამსონ ფირცხალავას „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან არის „ნაციონალიზმი, როგორც სიყვარული“, რომელიც მნიშვნელოვანია, რადგან ავტორი საუბრობს ნაციონალიზმის ანუ ეროვნების საფუძველზე - სიყვარულზე. სამსონ ფირცხალავა ტოლობას სვავს ნაციონალიზმის და ეროვნების ცნებებს შორის, რაც მნიშვნელოვანია არის სიყვარულის ნაციონალიზმის საფუძვლად დასახვა, რადგან ნაციონალიზმის ორბუნებოვნების შესახებ, პოზიტიური და ნეგატიურის, ხშირად იმართება დისკუსიები თანამედროვე ნაციონალიზმის თეორიებშიც. სამსონ ფირცხალავას მოსაზრებით, ნაციონალიზმი არ გულისხმობს სხვა ერის სიძულვილს. ის ხაზს უსვამს, რომ ერის სიყვარული ისეთივე ბუნებრივია ადამიანისთვის, როგორც დედის სიყვარული შვილისადმი. „კალამი“ საუბრობს ერთი ერის შიგნით წევრების ერთმანეთისადმი სიყვარულზეც, რაც ხდება რადგან თავის აზროვნებით, გრძნობებით ერის წევრები ემსგავსებიან ერთმანეთს. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო თავად ერის ნიშანზე საუბარი, რაც სამსონ ფირცხალავას აზრით, არის ისტორიული გამოცდილება, საერთო წარსული, აწმყო და მომავალი. ავტორი იმას უარყოფს, რომ ერის სიყვარული რეტროგრადიულია და მხოლოდ წარსულისკენაა მიმართული, რადგან ერის სიყვარული არ ნიშნავს რომელიმე კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში ერის სიყვარულს (ფირცხალავა, 1905). როდესაც სამსონ ფირცხალავა საუბრობს ერის დეფინიციის დროს წარსული, აწმყო და მომავლის ერთიანობაზე და როდესაც უსვამს

ის ხაზს ეროვნული გამოცდილების მნიშვნელობას, როგორც ერის განსაზღვრების გადამწყვეტ ნიშანს მე მახსენდება ერნესტ რენანის ერის დეფინიცია. სამსონ ფირცხალავა არ ასახელებს კონკრეტულ ევროპულ კონცეფციას, რომელმაც მასზე გავლენა მოახდინა, მაგრამ ნათელია გარკვეული მსგავსება ამ ორ ერის დეფინიციას შორის. სამსონ ფირცხალავას ეს სტატია რეალურად პასუხია გრიგოლ რცხილაძის სტატიისა „ნაციონალიზმი, როგორც პრინციპი სიყვარულისა“, რომელშიც ავტორმა აღნიშნა, რომ ნაციონალიზმის იდეად სიყვარულის პრინციპის აღება შეუძლებელია, რადგან ის ვერ განვითარდება მომავალში და მხოლოდ აწმყო-წარსულის შენარჩუნება შეუძლია. ავტორის არგუმენტით სიყვარული აუცილებლად მოითხოვს კონკრეტულ საგანს, ნაციონალისტის სიყვარული უფრო წარსულზეა დამყარებული და ეს იწვევს იმას, რომ წარსულში მხოლოდ იპოვის ეს გრძონა უკვე არსებულს. შესაბამისად ნაციონალისტის პროგრამა კონსერვატიულია და ეს გრძნობა მაშინ ღვივდება, როცა ახალ საზოგადოებრივ თუ სახელმწიფო ფორმების დამკვიდრების წინააღმდეგ იყენებენ მას. გრიგოლ რცხილაძე აღნიშნავს, რომ თუ სიყვარულს ავიღებთ ნაციონალიზმის პრინციპად ეს აუცილებლად გულისხმობს სხვა ერის სიძულვილს, რადგან სხვა ერის სიყვარულიც, რომ ჰქონდეს მას აღებული პრინციპად და არა მხოლოდ საკუთარი ერის, მაშინ ის ნაციონალისტის ნაცვლად ინტერნაციონალისტი იქნებოდა. ავტორი მეორე დამახასიათებელ თვისებად ნაციონალიზმისა მიიჩნევს შოვინიზმს. ეს არ გულისხმობს იმას, რომ გრიგოლ რცხილაძე უარყოფს ნაციონალიზმს, უბრალოდ მას ნაციონალიზმის პრინციპად სიყვარულის აღება არ მიაჩნია სწორად (რცხილაძე, 1905).

სტატიის გაგრძელებას გრიგოლ რცხილაძემ „ეროვნება და სიყვარული“ უწოდა, რომელშიც ავტორი აღნიშნავდა, რომ სიყვარული და საერთო შეგნება სხვადასხვა ერის წევრებს შორისაც შესაძლებელია და ასევე, ერთი ერის წარმომადგენლებს შესაძლებელია ერთმანეთი არ უყვარდეთ. მეორე არგუმენტი ავტორის ის არის, რომ ნაციონალიზმი განსხვავებული მომენტის აღმნიშვნელი ცნებაა, ანუ სხვადასხვა ერების თანაარსებობა განაპირობებს იმას, რომ სიყვარული და შეგნება საყოველთაოა (რცხილაძე, 1905). ვფიქრობ გრიგოლ რცხილაძის არგუმენტი არ არის დამაჯერებელი. მისი შეხედულებით საკუთარი ერის სიყვარული ავტომატურად ნიშნავს სხვა ერის სიძულვილს, რაც არ არის ერთი და იგივე.

შემდეგი გრიგოლ რცხილაძის სტატია, რომელზეც მსურს ყურადღების გამახვილება არის „ეროვნული საკითხი“, რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ ეროვნული საკითხის გაანალიზება მხოლოდ ერის ცნების განსაზღვრით და ერის ცნებიდან გამომდინარე არასაკმარისია, რადგან ერების არსებობა ფაქტია. ავტორის აზრით, მთავარია ის, რომ ერები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ მათ საერთო თვისებებიც აქვთ და მსგავსი თვისებები, ავტორის მოსაზრებით, რაოდენობით და მნიშვნელობით აჭარბებს განსხვავებულ თვისებებს. აქედან გამომდინარე, ერებს შორის დაპირისპირება არ არის ბუნების კანონი. გრიგოლ რცხილაძისთვის ეროვნების საკითხი არის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს რეალურად ეროვნებათა თანასწორობა (რცხილაძე, 1905). გრიგოლ რცხილაძის ნაციონალური თეორიის მიხედვით, ეროვნება ბუნებრივი ფორმაა ადამიანების მოქმედებისა და ეს კულტურის განვითარების აუცილებელი პირობაა. სწორედ ამ მიზეზით ავტორი ამბობს, რომ ყველა ერს თანასწორი უფლება აქვს ეროვნულ ნიადაგზე ცხოვრების და განვითარების (რცხილაძე, 1905). ამ სტატიში მე ვფიქრობ ბუნდოვანია ის თუ რა იგულისხმება ეროვნულ ნიადაგში, რადგან ეროვნულთან ერთად სინონიმად სტატიაში გამოყენებულია ტერმინი მშობლიური. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ამ მშობლიურ ნიადაგზე იგულისხმებოდეს ტერიტორიაც, რადგან თავად ეროვნებაა კულტურის განვითარების აუცილებელი პირობა, შესაძლებელია მშობლიურ ნიადაგზე განვითარებაში კულტურა არ ჰქონდეს ავტორს ნაგულისხმევი, რადგან ეროვნული ცხოვრებით ხდება, მისი აზრით, კულტურის განვითარება.

„ცნობის ფურცელი“ არ თვლიდა ცენტრალიზმს მართებულად და ატარებდა რუსეთის იმპერიის ფედერაციულ საწყისებზე გადასვლის იდეას. გაზეთი ხშირად აჟღერებდა საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოდ გარდაქმნის იდეას. სამსონ ფირცხალავა პირდაპირ აცხადებდა, რომ დემოკრატიული სახელმწიფო შეუძლებელია იყოს ცენტრალისტური და არაფედერალისტური. შეიძლება ითქვას, რომ გაზეთისთვის გადამწყვეტი იყო პოლიტიკური ავტონომიის მოპოვება და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება (ონიკაძე, 2008). მხოლოდ სამსონ ფირცხალავა არ საუბრობდა ამ საკითხზე. ვასილ წერეთელი ხაზს უსვამდა პატარა ერის მდგომარეობას ბიუროკრატიული მმართველობის პირობებში, როდესაც სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაშია. ავტორის მოსაზრებით, ერი ამ პირობებში

მოკლებულია თვითმმართველობას, პატარა ერის არსებითი საჭიროებები არ არის დაკმაყოფილებული, პოლიტიკური სფერო სუსტია, ერი მთელ ენერგიას იყენებს საჭირო უფლებების მოსაპოვებლად მაგალითად, საკუთარი პარლამენტის მოსაპოვებლად, თუ ადგილობრივი ენის დასაცავად. აქედან გამომდინარე, ვასილ წერეთელი ითხოვს თვითმმართველობის პრინციპს, უფრო კონკრეტულად კი ეროვნულ ავტონომიას (წერეთელი, 1905).

ავტონომიის მოთხოვნას უჭერდა მხარს გიორგი ლასხიშვილი, რომელიც თვლიდა, რომ ეროვნული საკითხის გააქტიურება ხელს არ შეუშლიდა საერთო რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას. უფრო მეტიც, გიორგი ლასხიშვილი მიიჩნევდა, რომ იმპერიაში შემავალმა ყველა ერმა უნდა მოითხოვოს ავტონომია, თუმცა ეს არ შეცვლის იმას, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის მიმდინარე მოძრაობაში, რადგან სჯეროდათ, რომ რუსეთის შიდა პრობლემების გადაწყვეტასთან ერთად გადაწყდებოდა განაპირა სახელმწიფოების საკითხიც (გორგიშელი, 2005).

„ცნობის ფურცელი“ განსაკუთრებით აქტიური იყო 1905-1907 წლებში და ჩემი ყურადღებაც სწორედ ამ წლებში გამოქვეყნებულმა პუბლიკაციებმა მიიპყრო. ერის ცნების დადგენა და ზუსტი დეფინიციის შეთავაზება მკითხველისთვის „ცნობის ფურცლის“ მიზანი არ ყოფილა. მათთვის გადამწყვეტი იყო ეროვნული პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, მართალია ერის ცნების განსაზღვრას ნაწილობრივ ახერხებდნენ, რათა გადასულიყვნენ უშუალოდ ეროვნული საკითხის განხილვაზე, მაგრამ ერის ცნება იყო მხოლოდ შესავალი ეროვნული საკითხის განხილვისა. „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი ეროვნულ საკითხში პოლიტიკურ შინაარს დებდა.

§ 3.7. ევროპული ერის თეორიები, რომლებზეც ხშირად წერდნენ 1893-1917 წლების საქართველოს პერიოდულ გამოცემებში

პირველი პოლიტიკოსი, რომლის თეორიაც პოპულარული იყო საქართველოში არის ჟან ჟორესი (1859-1914), ფრანგი სოციალისტი. ჟორესის შეხედულებები ქართულ პრესაში ხშირად განიხილებოდა ერვეს პარალელურად, რადგან ეს უკანასკნელი წინააღმდეგი იყო პატრიოტიზმის და ნებისმიერი სახით პატრიოტული გრძნობებისა. ჟორესმა უპასუხა ერვეს საკუთარ გამოსვლაში პერიანონის დარბაზში და სწორედ ამ გამოსვლაზე მსჯელობს „ცნობის ფურცელი“ და თარგმნის მისი გამოსვლის ნაწილს.

კონტექსტი ამ გამოსვლისა მთლიანად იყო ერვეს კრიტიკა. ჟორესი ხაზგასმით ამბობს, რომ გონებას არ შეიძლება ჰყავდეს კერპები, სამშობლო არ შეიძლება იყოს გონების კერპი. სოციალური რევოლუციის განხორციელების შემთხვევაში ჟორესის შეხედულებით არსად ქრება სამშობლო, ის რჩება ეროვნული გონის და ნიჭის საბადოდ, რომელიც ცალკე „სახელოსნოა“ ამ ნიჭის, მაგრამ არის ნაწილი ერთიანი მსოფლიო „სახელოსნოსი“. ჟორესის მოსაზრებით, კომუნისტურად მოწყობილი კაცობრიობა აუცილებლად იქნება ფედერალისტური. ჟორესი ეხება „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ გამოქვეყნებულ „მუშებს არ აქვს სამშობლოს“ ცნობილ მოსაზრებას და თვლის, რომ ეს მხოლოდ 1847 წლის ეპოქიდან გამომდინარე შექმნილი მოსაზრებაა, როცა მშრომელი კლასს არ ჰქონდა არანაირი პოლიტიკური, საარჩევნო უფლებაც კი. ჟორესი იხსენებს იმას, რომ მანიფესტამდე მარქსი თავად საუბრობდა იმაზე, თუ რამდენად საშიშია მუშათა კლასისთვის, როდესაც ის საკუთარი ქვეყნის ტრადიციებს მოწინააღმდეგების ხელში ტოვებს. 1947 წლიდან რამდენიმე წლის შემდეგ კი მან აღნიშნა, რომ გერმანელი პროლეტარიატის ძლიერებას ის გარემოება ქმნის, რომ მას გერმანული ფილოსოფიის მემკვიდრეობა აქვს გადმოცემული. იმის მიუხედავად, რომ ეს მოსაზრება „კომუნისტურ პარტიის მანიფესტში“ შექმნილი გარემო პირობებიდან გაჟღერდა, ჟორესი მაინც მარქსსა&ენგელს აკრიტიკებს ამ მხრივ და ამბობს, რომ გარეშე ფაქტორების მიუხედავად არ უნდა გაჟღერებულიყო ის, რომ პროლეტარიატი სამშობლოს გარეშე ცხოვრობდა. პროლეტარიატის სამშობლოს ცნებისგან მოშორება ჟორესისთვის მიუღებელია. ვფიქრობ, ჟორესის თეორია საკვანძოა იმის ასახსნელად, თუ ქართული პერიოდული პრესა, განსაკუთრებით ეროვნული პოზიციის დამცველთა გამომცემლობები, რა ტიპის კონცეფციების გაცნობას ირჩევდნენ ქართველი საზოგადოებისთვის. ჟორესი მკაფიოდ ამბობს, რომ ყოველ ადამიანს და მათ შორის მუშას აქვს თავისი ეროვნება და აქვს ეროვნულთან ერთად საერთაშორისო მოვალეობაც, ეროვნული მოვალეობის უკუგდება ამ რთული საკითხის მარტივი, მაგრამ არასწორი გადაწყვეტაა. ჟორესის დასკვნით კაცობრიობის წინაშე ჩადენილი ბოროტებაა ამა თუ იმ ერის მოსპობა.

ჟორესი ერვეს პრობლემის დაყენებაში კი არ დებს ბრალს, არამედ პრობლემის გადაჭრის მეთოდში, ერვეს სურდა ერთმანეთთან შეეთავსებინა ეროვნული მოვალეობა და ინეტერნაციონალური მოვალეობა პროლეტარიატის შეგნებაში, ეს

შეთანხმება კი სამშობლოს განადგურებით განიზრახა. ჟორესი ამბობს, რომ თუ სხვა სახელმწიფო დასაპყრობად შემოდის შენ იბრძვი გადასარჩენად, მართალია ერვე ამბობდა, რომ ვერ ხედავდა პრობლემას თუ გახდებოდა გერმანელი, მაგრამ რეალურად დაპყრობილი ერი ვერ გახდება გერმანელი, არამედ მონა-გერმანელი. არ უნდა გავაანალიზოთ ეს დებულება ისე, თითქოს ჟორესი ძალმომრეობითი პოლიტიკის მომხრეა. პირიქით, ის ამბობს, რომ ყველა ღონე უნდა გამოვიყენოთ, რომ დაპირისპირებები და ომები თავიდან ავიცილოთ, მაგრამ თუ ეს კატასტროფა მაინც მოხდა საფრანგეთის ბედისთვის მინდობის მომხრე ჟორესი არ არის (ცნობის ფურცელი, 1905). საინტერესო დეტალია ის, რომ „ცნობის ფურცლის“ რედაქცია ამ სტატიას ამატებს ბებელის ნათქვამს იმის შესახებ, რომ იარაღით ხელში იბრძოლებს სისხლის ბოლო წვეთამდე, თუ ვინმე გაბედავს მისი სახელმწიფოს ტერიტორიისთვის რამის წართმევას. პირადად ჩემთვის, საინტერსოა ერთი დეტალი ჟორესის გამოსვლიდან, რომ დაპყრობილმა ერმა, რომც მოინდომოს, ვერ გახდება დამპყრობელი ერის ნაწილი, ყოველთვის დარჩება მაგალითად, მონა-რუსად და არა რუსის ერის წევრად საქართველოს შემთხვევაში. სწორედ ეს ასპექტი ხდის საქართველოს შემთხვევის შესწავლას საინტერესოს, სხვის მმართველობას მიჩვეულ საზოგადოებაში რა საშუალებებით ხდება ერის ფორმირება. ეს კვლევაც კარგად აჩვენებს, რომ ერის ფორმირების ძირითად საშუალებებს შორის შედიოდა პერიოდული პრესაც.

მხოლოდ „ცნობის ფურცელი“ არ იყო დაინტერესებული ჟან ჟორესის თეორიით. ფილიპე გოგიჩაიშვილმა „ივერიაში“ გამოაქვეყნა „ჟორესის აზრი სამშობლოსა და ეროვნულ საკითხის შესახებ“ (გოგიჩაიშვილი, 1905). ამ შემთხვევასიც ჟორესი ერვეს პარალელურადაა განხილული. გუსტავ ერვე წინააღმდეგი იყო საომარი მოქმედებებისა, რათა სხვადასხვა სახელმწიფოს პროლეტარიატს არ ესროლა ერთმანეთისთვის, ყველა სოციალისტს მოუწოდებდა ერვე ომის დაწყების შემთხვევაში უარი ეთქვა სამხედო სამსახურზე. ფილიპე გოგიჩაიშვილი ჟორესის გამოსვლას ერვეს წინააღმდეგ სრულად თარგმნის და აზუსტებს, რომ ჟორესის განცხადებით სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ სამშობლო ამ სახით განადგურდება, მაგრამ არა ზოგადად, არამედ როგორც დამონების და უნდობლობის ცნება. სხვა სახით იარსებებს სამშობლო, რადგან სოციალიზმი ჰომოგენურობას არ მოითხოვს, პირიქით

სოციალიზმი ხელს შეუწყობს ინდივიდის ნიჭის თავისუფლად განვითარებას და ეს შეეხება ერს და სამშობლოსაც. ჟორესის დასკვნით, ერის ენის, ტრადიციების ხასიათის და ისტორიული გამოცდილების განადგურება არც ადვილი და არც სასურველია სოციალიზმისთვის. ასევე, ცენტრალიზაციაზე აღსანიშნავია ჟორესის მოსაზრება, რომ ცენტრალიზაცია საბოლოოდ ყოველთვის იქცევა ბიუროკრატიად, სწორედ ამიტომ ის თვლის, რომ ავტონომიური ნაწილებისგან შემდგარი ფედერაცია უნდა დამყარედეს სოციალიზმის დამკვიდრების შემდეგ, რადგან ნაწილებს შორის თანამშრომლობის საუკეთესო საშუალება იქნება ფედერაცია. ჟორესი ახალი სოციალური წყობილების დასამყარებლად იბრძვის იმისთვის, რომ იცის ეს წყობილება არ სპობს სამშობლოს და არ უარყოფს ეროვნულ გრძნობას (გოგიჩაიშვილი, 1905).

იმის გარდა, რომ საინტერსოა ჟორესის არგუმენტები ჩემი კვლევისთვის უფრო საინტერესო იყო ჟორესის კრიტიკა ერვესადმი იმის გამო, რომ ერვე ომში წასვლაზე უარს მხოლოდ იმ შემთხვევაში ურჩევს პროლეტარიატს, როდესაც ომი მაგალითად, გერმანიის წინააღმდეგაა, ანუ როდესაც მოწინააღმდეგე სხვა განათლებული და განვითარებული სახელმწიფოა, მაგრამ თუ რუსეთთან უწევს საფრანგეთს ომიანობა, მაშინ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ არ დაიპყროს მასზე განვითარებით დაბლა მდგომმა სახელმწიფომ. 1908 წელს ნოე ჟორდანიამ სტატიაში „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ განავითარა მსგავსი შეხედულება, როდესაც განაცხადა, რომ რადგან რუსეთის პოლიტიკური წყობა ბიუროკრატიულია, საქართველოსი კი ფეოდალური გამოდიოდა, რომ მაღალ კულტურაში გაერთიანდა დაბალი კულტურა, რაც სასარგებლო იყო საქართველოსთვის. გუსტავ ერვეს არგუმენტიც მსგავსი იყო, რომ საფრანგეთი არ უნდ ეომოს ინგლისს, გერმანიას და იტალიას, ანუ იმ სახელმწიფოებს, სადაც პოლიტიკური თავისუფლება და განვითარებული კულტურაა, რადგან ერვეს მიხედვით, სწორედ ამ განვითარების მაღალი დონის გამო სულ ერთია, რომელი სახელმწიფოს ქვეშევრდომობაში იქნება. ვერ ვიტყვი, რომ გუსტავ ერვეს პირდაპირი გავლენა აქვს ნოე ჟორდანიაზე, რადგან ქართველი სოციალ-დემოკრატი მას არ ასახელებს საკუთარ სტატიებში, მაგრამ ირიბი ზეგავლენა ზოგადად ერვეს თეორიას ნათელია, რომ ჰქონდა საქართველოში 1893-1917 წლებში.

1905 წელს ჟან ჟორესმა ერთ-ერთ წერილში შეაფასა რუსეთში განვითარებული მოვლენები, რაც „ივერიამ“ სრულად თარგმნა. ჟორესის შეფასება და აქცენტები

ნათელი იყო: სანამ რუსეთში ხალხი არ იქნება მმართველი და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას არ მიიღებს, სისხლისღვრა და განხეთქილება არ დასრულდება, მხოლოდ საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღებას შეუძლია სიტუაციის დამშვიდება, რადგან ამით ხალხი თავად იქნება პასუხისმგებელი საკუთარ ცხოვრებაზე, წარმატებაზე თუ წარუმატებლობაზე. ჟორესი ითხოვს ამნისტიას ყველა იმ პატიმარისთვის, ვინც რუსეთის ციხეებში და ციმბირში იყო, მას თავისუფლებისთვის მებრძოლებზე, ანუ პოლიტიკურ პატიმრებზე აქვს საუბარი ("ივერია", 1905). ეს წერილი მაგალითად მოვიყვანე იმის გამო, რომ ხაზი გამესვა - ჟან ჟორესის გამოსვლების და წერილების უმეტესობა ყოველთვის ხვდებოდა ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე 1893-1917 წლებში.

ჟან ჟორესის პარალელურად უნდა განვიხილო ავგუტ ბებელი (1840-1913), რომელსაც ასევე ხშირად შევხვდი 1893-1917 წლების ქართული პრესის ფურცლებზე, როგორც ჩანს მნიშვნელოვანი იყო მისი გავლენა სხვადასხვა პერიოდიულ გამოცემებზე, რომელთა შორისაც იყო „ცნობის ფურცელი“, რომლის რედაქცია აქტიურად განიხილავდა ბებელის აზრს მამულიშვილობის შესახებ. ის თვლიდა, რომ ყოველ ერს, ვისაც აქვს ტრადიციები, ენა და ისტორია აქვს უფლება განვითარდეს ცალკე ერთეულივით. მამულიშვილი ბებელისთვის ის ადამიანია, ვინც ცდილობს საკუთარი ერის კულტურის განვითარებას ისე, რომ არ ავნოს სხვა ერებს, ასეთი ადამიანი საერთო სარგებლისთვის იბრძვის, რაც იდეალია ბებელისთვის. ინტერნაციონალი ბებელის თეორიაში არ განაპირობებს ერების განადგურებს. ბებერი იზიარებს ჟორესის აზრს ომში სოციალისტების ჩაბმასთან დაკავშირებით, სოციალისტებმა არ უნდა დაიშურონ თავი სამშობლოს ტერიტორიის დაცვის დროს, უნდა იბრძოლონ ეროვნული ტერიტორიის შესანარჩუნებლად. ბებელი ასკვნის, რომ როდესაც ერი დაპყრობილია, კლასობრივი ბრძოლაც შეუმჩნეველი ხდება („ცნობის ფურცელი", 1905).

ავგუსტ ბებელის ეს გამოსვლა მამულიშვილობის შესახებ თარგმნა „ივერიამ“. ავგუსტ ბებელი ამ გამოსვლაში აღნიშნავდა, რომ ეროვნულ ცივილიზაციასთან ერთად, რომელიც ერს აქვს, არსებობს საერთაშორისო ცივილიზაცია, რომელშიც თანასწორად მონაწილეობს ყველა ერი, მონაწილეობის ხარისხი მათ განვითარებაზეა დამოკიდებული. საერთაშორისო მისწრაფებების დაგვირგვინებად ბებელი მსოფლიო

პარლამენტის შექმნას სახავს, რომელშიც ყველა განათლებული ერის წარმომადგენელი შევა. ამ თარგმანიდან ნათელი ხდება, რომ ბებელი სოციალისტებს აგრესიის შეჩერებას ავალებს, თუ საკუთარი სახელმწიფოა მისი წამომწყები. სოციალისტებმა ომისთვის საჭირო რესურსები უნდა შეაფერხონ სახელმწიფოსთვის, რომ ეს ომი შეჩერდეს. ამის საწინააღმდეგოდ, თუ თავდაცვითი პოზიცია აქვს სახელმწიფოს და მას დაესხნენ თავს სოციალისტების ვალდებულებაა დაეხმარონ საკუთარ სახელმწიფოს. მისი გამოსვლის ეს ნაწილი მთლიანად ეხება ერვე-ჟორესის დაპირისპირებას (ბებელი, ავგ. ბებელის აზრი მამულიშვილობის შესახებ, 1905). ბებელს პირადი მაგალითი მოჰყავს და ამბობს, რომ ელზა-ლოტარინგიისთვის წამოწყებულ დაპირისპირების დროს მან და მისმა თანამებრძოლებმა რეიხსტაგში განაცხადეს სამხედრო ხარჯის გაწევაზე უარი. ელზასა და ლოტარინგიის საკითხი ის პრობლემაა, რომლის გამოც დაიწერა ერნესტ რენანის „რა არის ერი?“. ეს დისკუსი მიგვიყვანს სწორედ რენანამდე და ბებელი-რენანის პოზიციის დამთხვევამდე, რადგან ბებელი იმის მიუხედავად, რომ აღნიშნავს საფრანგეთის ამ ნაწილში გერმანული ენის დომინანტობას, ამატებს იმას, რომ საუკუნეებმა ამ საზოგადოების კულტურული ერთიანობა გამოიწვია საფრანგეთთან. ბებელის მოსაზრებით, თუ კითხავდნენ ამ ხალხს ვისთან სურდათ ყოფნა, ისინი ერთხმად აირჩევდნენ საფრანგეთს. ავტორის დასკვნით, ყოველი ერი თავად უნდა იყოს საკუთარი ბედის გადამწყვეტი. ნების ცნების შემოტანა და ნებაზე დაყრდნობით პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება ერის ცხოვრებაში აახლოვებს ბებელს რენანის შეხედულებასთან.

ავღნიშნავ იმასაც, რომ 1906 წელს ითარგმნა ავგუსტ ბებელის ბროშურა „კაცობრიობის იდეალი“ და გაზეთ „მუშის“ მესამე ნომრად გამოიცა (ბებელი, 1906).

შემდეგი ავტორი ვისზეც მსურს ყურადღების გამახვილება ფრანგი მწერალის შარლ ბიგოსის სტატიაა: „დედა-აზრი მამულისა; რენანის „რა არის ერის“ გამო. საინტერესოა, რომ ერნესტ რენანის თეორია იმდენად პოპულარული იყო საქართველოში, რომ თარგმნიდნენ და განიხილავდნენ მის გამოხმაურებებსაც. შარლ ბიგოსი თვლის, რომ ერის ცნება სხვანაირად უნდა გაანალიზდეს და არა იმ მიმართულებით, საითაც რენანმა წაიყვანა ის. შარლ ბიგოსის აზრით, ერი არის პოლიტიკური ორგანიზმი, ერი პოლიტიკური წესრიგის ერთიანობის ფაქტია. ბიგოსის აზრით, ერთობა ვერ ჩაითვლება ერად, თუ პოლიტიკური ერთობა არ აქვს. ამის

მიუხედავად, ბიგოსის მტკიცებით პოლიტიკური ერთობა არ არის საკმარისი ერის შესაქმნელად, მაგრამ სახელმწიფო ყოველთვის არსებობს, როდესაც საზოგადოების ჯგუფია ერთად, გარეგნულადაც ის აღიქმება სახელმწიფოდ, რადგან იბრძვის საერთო ინტერესებისთვის და იცავს თავს საფრთხის შემთხვევაში. შარლ ბიგოსის დასკვნით, სწორედ ეს თავდადება და ენთუზიაზმია ერი (ბიგოსი, დედა-აზრი მამულისა; რენანის „რა არის ერის, 1901).

ბიგოსის მიერ რენანის კრიტიკა განპირობებული ერნესტ რენანის იმ მოსაზრებით, რომ ანტიკურობაში ერი არ არსებობდა და განსაკუთრებულ ყურადღებას ბიგოსი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოებზე ამახვილებს. თუ რენანი ძველ რომს თვლის ერის შექმნასთან ყველაზე ახლოს მდგომს, ბიგოსი პირიქით, რომს მხოლოდ სახელმწიფოდ თვლის, რომელსაც ერი არ შეუქმნია და არც ახლოს ყოფილა ამ ფორმირებასთან. ბიგოსი თავის თანამედროვეობის მაგალითზეც საუბრობს და ასახელებს ავსტრიას, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოა და არა ერი (ბიგოსი, 1901). ეს შეხედულება ბიგოსის განსხვავებულია, რადგან ერს და სახელმწიფოს იმ პერიოდში ხშირად განიხილავდნენ ერთმანეთზე დამოკიდებულ ფენომენებად, ან გარკვეული კავშირის მქონედ. ბიგოსი მათ ამ კუთხით აპირისპირებს კიდეც, რადგან თვლის, რომ მხოლოდ სახელმწიფოს შემთხვევაში ის ადრე თუ გვიან დაიშლება, რაც არ მოხდება ერის შემთხვევაში. განადგურებული ერების საკითხს ბიგოსი არ ეხება და არ განიხილავს იმას, თუ რა განაპირობებს ერის გაქრობას.

ბიგოსის მოსაზრებით, თუ ერი ყოველთვის არის პოლიტიკური ორგანიზმი, მაშინ ორი გარემოება წარმოშობს მას: 1) დამპყრობელმა უნდა შეაყვაროს თავისი მმართველობა დაპყრობილებს და იყოს სამართლიანი; 2) დაპყრობა ნელ-ნელა უნდა მოხდეს, რომ ახალი ელემენტების შეთვისება სრულად მოესწროს, ამ შემთხვევაში მოახერხებენ დამპყრობლები ერის შექმნას დაპყრობილ ტერიტორიაზე და არა მხოლოდ სახელმწიფოსი (ბიგოსი, 1901).

ბიგოსი სახელმწიფოებს ჰქოფს „ვერ-შემგნებელ“ და „შემგნებელ“ კატეგორიებად. პირველში ინდივიდი მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზეა ორიენტირებული, არ ზრუნავს იმ ჯგუფზე, ვისთან ერთადაც ქმნის ერთობას. ხოლო მეორე შემთხვევაში პირიქით, ინდივიდი ფიქრობს და მოღვაწეობს ერთობის შექმნის

და შენარჩუნებისთვის. „ვერ-შემგნებელი“ სახელმწიფოს ინდივიდები ერს ემორჩილებიან, „შემგნებელის“ ერს ქმნის.

ბიგოსი უარყოფს რენანის არგუმენტს გეოგრაფიული მახასიათებლების უმნიშვნელობის შესახებ ერის ფორმირების პროცესში. საზღვრების გაფართოების, თუ ომების დროს ყოველთვის მნიშვნელობს გეოგრაფიული ფაქტორები ფრანგი მოაზროვნის შეხედულებით. ის ხაზს უსვამს ენის ფაქტორის როლსაც ერის ფორმირებაში (ბიგოსი, 1901). ენა მისთვის ერის ძირითადი მარკერია, ენა საკომუნიკაციო საშუალების გარდა იდეის მატარებელია, აზრის შემქმნელი და ჩამომყალიბებელია (ბიგოსი, 1901).

მესამე თავის შეჯამება: ვიტყვი, რომ ამ თავში ქვეთავებად დაყოფა პირობითია, რადგან მე ვეცადე გამომეყო ყველა ეროვნულ საკითხზე დისკურსის შემქმნელი პერიოდული გამოცემა 1893-19817 წლებში, მაგრამ ნახავთ, რომ მაგალითად, „კვალის“ ნაწილში მხოლოდ ამ პერიოდულ გამოცემაზე არ არის საუბარი, რადგან ეს დისკურსი იქმნებოდა ერთმანეთთან პასუხის საშუალებით, ამიტომ მთლიანად მივყევი ამ პუბლიკაციების ჯაჭვების ანალიზს. ასევე, შერჩეული სტატიები და წერილები ვეცადე ყოფილიყო იმ ტიპის, რომელიც ზუსტად გვიჩვენებდა ამ პერიოდული გამოცემის ზოგად ნარატივს.

პრესის ანალიზი საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა ამ კვლევისთვის, რომ 1893-1917 წლების პროცესებს თანმიმდევრობით დავკვირვებოდი, დისკურსის ანალიზის შედეგად ერის ცნების და ეროვნული საკითხის გარშემო გამოიყო ის პერიოდული გამოცემები, რომლებიც ქმნიდნენ ეროვნულ გრძნობებს, ავითარებდნენ ერის თეორიებს და აყალიბებდნე ქართულ იდენტობას, რომლის ნაწილიც იყო მარქსიზმის თეორიაც. სწორედ ამიტომ გავაანალიზე თავად მარქსიზმის დამკვიდრების პერიოდი და ფორმა/შინაარსი ქართულ პრესაში, ვეცადე გამომეკვეთა ის დისკუსია ეროვნული საკითხის გარშემო, რომელიც მთლიანი საკვლევი პერიოდის განმავლობაში გასდევდა ქართულ ბეჭდურ კაპიტალს ორი იდეოლოგიურად განსხვავებული პერიოდული პრესის ნაწილის ერთმანეთთან დაპირისპირების სახით. რაც მთავარია, 1905-1906 წლებში შერბილებული ცენზურის გამო ქართული პერიოდული გამოცემები უფრო

თამამად წერდნენ ეროვნული საკითხის გარშემო. განსაკუთრებით აქტუალური იყო ერის საკითხი 1905 წელს. სწორედ ამიტომ რიცხვებში გამოვსახე „ცნობის ფურცლის“ სათაურებში ასახული ერის და ეროვნული საკითხის რაოდენობა, რადგან ეროვნული საკითხის სინონიმად იყენებდნენ ნაციონალიზმსაც, ამიტომ დასახელებულ რიცხვში იგულისხმება მთლიანი რაოდენობა თუ რამდენჯერ მოხდა 1905 წლის „ცნობის ფურცლის“ შესწავლილ 100 შემთხვევითობის პრინციპით აღებულ ნომერში ერის, ეროვნების და ნაციონალიზმის გამოყენება. 16-ჯერ შევხვდი ეროვნების, ერის ან ნაციონალიზმის ცნებას სათაურებში. აქედან ერთხელ ეროვნების და ერის ცნება ორივე გამოტანილია სათაურში (ავტ. გოლუბაევი, „ეროვნება და ერები“, №2824), ამიტომ არც ერთ კატეგორიას არ მივაკუთვნე ეს ნომერი, მაგრამ საერთო რაოდენობად სათაურებში ცნებების გამოყენებისა დავტოვე 16.





დიაგრამა №1 "ცნობის ფურცლის" 100 ნომრის სათაურების რაოდენობრივი ანალიზი.

რესპოდენტი №1 1893-1917 წლების პრესასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სოციალისტები ქმნიდნენ ჩარჩოს ეროვნული საკითხის შესახებ დებატებისთვის. მისი მოსაზრებით, ტერმინული მკაფიობა იმ პერიოდში არ იყო პოპულარული, მხოლოდ იყო დაპირისპირება ინტერნაციონალიზმს და ნაციონალიზმს, ანუ

მრავალეროვნულობას და ეროვნულობას შორის. ეს შეხედულება დასტურდება ჩემი კვლევის შედეგებიდან გამომდინარეც.

რესპოდენტი №6 კი ამატებს, რომ ავტონომიის საკითხის პოპულარობა პრესაში მოსალოდნელი იყო, რადგან ავტონომია პოლიტიკური თემაა, ანუ ის რისი მიღწევაც შესაძლებელია და არსებობს ასეთი თეორიაც, რომ სახელმწიფო ქმნის ნაციას და შესაბამისად ამ თეორიის გავლენითაც შეიძლება აიხსნას ავტონომიის ასეთი პოპულარობა პრესაში, რადგან ამ თეორიის თანახმად ჯერ სახელმწიფოა შესაქმნელი და ეროვნულობა შემდეგ ჩამოყალიბდება.

რესპოდენტი №4 კი ხაზს უსვამს, რომ 1893-1917 წლებში გამართული დისკუსიის დროს ეროვნული საკითხის ირგვლივ სოციალ-დემოკრატები ტერმინ ნაციონალიზმს იყენებდნენ, როგორც ოპონენტების შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ ტერმინს.

დასკვნა

1893-1917 წლები ქართველი ერის ფორმირების პოლიტიკურ ფაზად მაქვს დასახული კვლევაში, რადგან 1892-1893 წლიდან ფორმდება საქართველოში მესამე დასის მოღვაწეობა ოფიციალურად. ეროვნული საკითხის აქტუალობა დასტურდება პრესის მიმოხილვითაც, სადაც დისკუსია პერიოდულ გამოცემებს შორის სწორედ ეროვნული საკითხის ირგვლივ იშლებოდა, მაგრამ 1893 წლიდან ამ დისკუსიაში წამყვანი ფიგურები პოლიტიკური ჯგუფების, მიმდინარეობების და შემდეგ უკვე პარტიების წარმომადგენლები არიან. ეროვნულ საკითხზე დებატები კი უფრო ფართო მასშტაბს იღებს, ვიდრე ეს წინა წლებში ხდებოდა.

კვლევის მიგნებაა საკვლევ ფოკუსში ერის იმ ევროპული თეორიების მოქცევა, რომლებსაც გარკვეული გავლენა ჰქონდა 1893-1917 წლებში ქართველ პოლიტიკურ და კულტურულ ელიტაზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართველი მოაზროვნეები მეტად ეყრდნობოდნენ ერის ემოციურ დეფინიციებს და ცდილობდნენ ასეთი ევროპული თეორიების ხშირად თარგმნას და გავრცელებას საზოგადოებაში. ერის ემოციურ დეფინიციებში ვგულისხმობ იმ თეორიებს, რომლებიც ერის განმსაზღვრელ ნიშნებად იღებდნენ სუბიექტურ ფაქტორებს მაგალითად, ერნესტ

რენანის და ავსტრომარქსისტული ერის თეორიები. ამ მიმართულებით შემდგომი შესწავლისთვის პერსპექტიული იქნება პრესის ანალიზი და იმ თეორიებზე კონცენტრირება, რომლებიც შეიძლება პოპულარული იყო პრესის ფურცლებზე, მაგრამ ნაკლებად ვხვდებით ქართველი პოლიტიკური და კულტურული ელიტის ნაშრომებში. ამ მიმართულებით მართალია მე დავიწყე მუშაობა, მაგრამ ვფიქრობ შესასწავლი ვრცელი პერიოდიდან გამომდინარე მხოლოდ ნაწილის გაანალიზება მოვახერხე მესამე თავის ბოლო ქვეთავში.

კვლევის შედეგია შედარების საშუალების მიცემა კვლევით დაინტერესებული საზოგადოებისთვის, რადგან ევროპული ერის თეორიების მოძიება/თარგმნის პარალელურად მე შევისწავლე ქართველი კულტურული და პოლიტიკური ელიტის ნაწილის მიერ შექმნილი ერის დეფინიციები და ნაციონალური თეორიები. დასკვნა ასეთია: საქართველოში დიდი აქცენტი კეთდებოდა ეროვნული სულის/გონის „ქმნადობაზე", რადგან ქართველი მოაზროვნეები ცდილობდნენ საზოგადოების გამოფხიზლებას, შემოქმედებითი მუშაობის გააქტიურებას და ამ პროცესში ბევრი მსურველის ჩართვას, რადგან მათთვის ერის წარმატება პირდაპირ იყო დამოკიდებული განათლებასა და შემოქმედებაზე. შედეგი არის ისიც, რომ ქართველი ეროვნული პოზიიცის დამცველების პარალელურად შევისწავლე ქართველი სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი, რომელიც არ იყო სტატიკური და აქედან გამომდინარე, ეროვნული საკითხისადმი დამოკიდებულების ცვლილების შესასწავლად დინამიკაში გამოვკვეთე ნოე ჟორდანიას მაგალითი, რომელიც ასახავს იმ ცვლილებებს, რაც მან გაიარა 1917 წლამდე ნაციონალურ საკითხთან მიმართებაში. ვფიქრობ ძველი ხედვის დაძლევის მცდელობაა ჩემი მხრიდან, როდესაც სოციალ-დემოკრატების ეროვნული პოზიციის შესწავლას ეროვნული პოზიციის დამცველთა პარალელურად ვახერხებ, რადგან მკვეთრი გამიჯვნა მათი პოზიციებისა, რაც ლიტერატურის ანალიზმა დამანახა, დამკვიდრებული იყო. ამ მიმართულებით პერსპექტიული იქნება თუ დეტალურად გაანალიზდება ქართველ მენშევიკ ავტონომისტთა ჯგუფის ნაციონალური თეორიები.

კვლევის შედეგმა მაჩვენა, რომ ქართულ პერიოდულ გამოცემებში 1893-1917 წლებში ერის ცნებასთან ერთად პოპულარული იყო ეროვნების გაანალიზება, ნაციონალური ხასიათის არსის ახსნა, ავტონომიის მნიშვნელობის ხაზგასმა, საწყის

ეტაპზე კულტურული ავტონომიის, ხოლო საკვლევი პერიოდის ბოლო წლებში ტერიტორიულის. ეს ყველა ცნება ერთმანეთთან იყო გადაჯაჭვული ხშირ შემთხვევაში პრესის ფურცლებზე. ჩემი დასკვნით 1893-1917 წლების სამეცნიერო საზოგადოება ეროვნული საკითხის ანალიზს ნაკლებად აკეთებდა ცნებების დონეზე. აქედან გამომდინარე, როდესაც ვსაუბრობ ერის ცნების ანალიზზე 1893-1917 წლებში იგულისხმება ამ ანალიზში ეროვნული საკითხის პრობლემა. მაგალითად, ერის ცნების ანალიზი უმეტესად სჭირდებოდათ იმისთვის, რომ აეხსნათ ეროვნების პრობლემის საკითხი მკითხველისთვის ნათლად. ხოლო ნაციონალური ხასიათის მნიშვნელობის ხაზგასმით გადიოდნენ ავტონომიის მოთხოვნაზე, რადგან ნაციონალური ხასიათი ქმნის კულტურას, მისი განვითარებისთვის კი საჭირო იყო ავტონომია, სულ მცირე კულტურული მაინც.

მთავარი ჰიპოთეზა გულისხმობდა იმას, რომ ევროპული ერის თეორიების არჩევა ქართველი პოლიტიკური და კულტურული ელიტის მიერ ხდებოდა საკუთარ პოლიტიკურ იდეოლოგიურ პოზიციაზე დაყრდნობით, რაც გულისხმობდა იმასაც, რომ ეროვნული საკითხისადმი მათი ზოგადი დამოკიდებულება განპირობებული იყო საკუთარი პოლიტიკური იდეოლოგიით. რესპოდენტი №1 ექსპერტული ინტერვიუს პროცესში ამბობს, რომ იდეოლოგიური კუთვნილება დიდწილად განსაზღვრავდა ეროვნული საკითხისადმი მათ ხედვას, მაგრამ ეს არ იყო სრული განსაზღვრა და არ მუშაობდა ყველა შემთხვევაში, რადგან იგივე სოციალ-დემოკრატების მაგალითზე ერთი იდეოლოგიის ქვეშ მყოფი პოლიტიკური ელიტის პოზიციები შეიძლება შეცვლილიყო იდეოლოგიის შეუცვლელობის მიუხედავად. მისი აზრით, ზოგადად იდეოლოგიური პლატფორმები განსაზღვრავდა იმ პერიოდში დამოკიდებულებებს და ამიტომ დიდწილად იდეოლოგიური ხედვა განსაზღვრავდა ეროვნულ საკითხისადმი დამოკიდებულებასაც, მაგრამ ყოველთვის ბოლომდე იდეოლოგიური ხედვით არ განისაზღვრებოდა ეროვნული პოზიციები. რესპოდენტის დასკვნით, ერთი მხრივ, იდეოლოგიური დებატები განსაზღვრავს ბევრ რამეს, მაგრამ მეორე მხრივ, ბევრ რამეს განსაზღვრავს პოლიტიკური ვითარება და დროის ის ქრონოლოგია რა პერიოდშიც ამ კულტურულ და პოლიტიკურ ელიტას უწევდა მოღვაწეობა.

რაც მთავარია, კვლევის ფარგლებში თანამედროვე სახით ქართველი ერის ფორმირება ახსნილია ნაციონალიზმის მოდერნული თეორიის სოციალურ-

კულტურული ტრანსფორმაციის ჭრილში. კონკრეტულად კი მიროსლავ ჰროხის ერის ფორმირების ფაზების თეორიით, რომელიც თანამედროვე სახით ქართველი ერის განვითარებას ზუსტად ხსნის და განმარტავს თავისი მახასიათებლებითა და გამოწვევებით.

ბიბლიოგრაფია

1. Anderson, B. (2016). *Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism.* Londonn • New York : Verso.
2. Barnes, H. E. (1919). The Struggle of Races and Social Groups as a Factor in the Development of Political and Social Institutions: An Exposition and Critique of the Sociological System of Ludwig Gumplowicz. *The Journal of Race Development*, *9*(4), 394-419.
3. Bartolini, G. (2020). *A History of International Law in Italy (The History and Theory of International Law).* Oxford: Oxford University Press.
4. Bauer, O. (2000). *The Question of Nationalities and Social Democracy.* Minneapolis • London: University of Minnesota Press.
5. Bluntschli, J. K. (2000). *The Theory of the State.* Kitchener: Batoche Books.
6. Dagon, J. V. (1999). Ernest Renan and the Question of Race. Louisiana State University . Retrieved from https://digitalcommons.lsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=7936&context=gradschool_disstheses
7. Dhondt, F. (2015, ივნისი 08). 'Inter ruinas publicas scriptum': Ernest Nys, a legal historian in. *Comparative Legal History*.
8. Dudková, J. (2010, სექტემბერი 27). The Slovak film The Border and the Problem of the Construction of Collective Identities. Retrieved from http://133.50.171.227/pdf_seminar/20100927_Dudkova2.pdf
9. Gellner, E. (1983). *Nations and Nationalism.* Oxford: Basil Blackwell.
10. Gellner, E. (1987). *Culture, Identity, and Politics.* Great Britain: Cambridge University Press.
11. Gumplowicz, L. (1899). *The Outlines of Sociology.* Philadelphia: American Academy of Political and Social Science.
12. Hroch, M. (1985). *Social Preconditions of National Revival in Europe.* : CAMBRIDGE UNIVERSITY PRESS.
13. J.Hobsbawm, E. (1992). *Nations and nationalism since 1780; Programme, myth, reality* (Vol. Second edition). Cambridge: Cambridge University Press.
14. Jones&Roffe. (2009). *Deleuze's Philosophical Lineage.* Edinburgh: EDINBURGH UNIVERSITY PRESS.
15. Karlsson, I. (2009). What is a Nation ? *Policy Brief*, 5.
16. Loughlin, M. B. (2003). Gustave Hervé's Transition from Socialism to National Socialism: Continuity and Ambivalence. *Journal of Contemporary History*, *38*(4), 515-538.
17. Máiz&Pereira. (2020). Otto Bauer: The Idea of Nation as a Plural Community and the Question of Territorial and Non-Territorial Autonomy. *PHILOSOPHY AND SOCIETY*, *31*(3), 287-300.
18. Mosbah-Natanson, S. (2014, ივლისი). The Forgotten One of the Triad: Why Did Rene Worms, and Not Emile Durkheim or Gabriel Tarde, Fail ?
19. NYS, E. (1879). *THE PAPACY CONSIDERED IN RELATION TO INTERNATIONAL LAW.* LONDON.

20. Renan, E. (1882, March 11). What is a Nation? Paris, France.

21. Sabanadze, N. (2010). Globalization and Nationalism. Retrieved from https://books.openedition.org/ceup/573

22. Saklani, J. S. (2009). MARXIST PERSPECTIVE ON NATIONALISM AND THE NATIONALITY QUESTION A Theoritical Debate. *The Indian Journal of Political Science, 70*(3), 719-725.

23. Smith, A. D. (2010). *Nationalism; Theory, Ideology, History*. Cambridge: Polity Press.

24. socium.ge. (n.d.). გაბრიელ ტარდი - მიბაძვის თეორია სოციოლოგიაში; სოციოლოგია, როგორც ინტერმენტალური ფსიქოლოგია. Retrieved ივნისი 5, 2023, from http://socium.ge/downloads/protosocteoria/g-tardi-mibadzvis-teoria-sociologiashi.pdf

25. TARDE, G. (1903). *THE LAWS OF IMITATION*. NEW YORK: HENRY HOLT AND COMPANY.

26. Tarde, G. (2012). *Monadology and Sociology*. Melbourne: re.press.

27. Terrier, J. (2011). *Visions of the Social; Society as a Political Project in France, 1750-1950* (Vol. 119). BRILL.

28. Worms, R. (1895). Sociology and Political Economy. *American Journal of Sociology*, 146-157.

29. აბაშიძე, კ. (1905, აგვისტო 2). "ბიუროკრატიული სეპარატიზმი" და თვითმართველობა. *ივერია*(№133), გვ. 1.

30. ახალი პროგრამა. (1900, დეკემბერი 1). *ცნობის ფურცელი*(№1314), გვ. 1-2.

31. ახობაძე, ე. (1965). *ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში (1900-1917 წწ.)*. თბილისის: "მეცნიერება".

32. ბებელი, ა. (1905, ივლისი 3). ავგ. ბებელის აზრი მამულიშვილობის შესახებ. *ივერია*(№108), გვ. 1.

33. ბებელი, ა. (1906). *კაცობრიობის იდეალი*. თბილისი: სტამბა კ. თავართქილაძისა.

34. ბენდიანიშვილი, ა. (1980). *ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ.* . თბილისი: "მეცნიერება".

35. ბერიშვილი, ტ. (2017). *ქართული სოციალ-დემოკრატია 1880-1953; ძირითადი ორიენტირები*. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

36. ბიგოსი, შ. (1901, მარტი 9). დედა-აზრი მამულისა. *ივერია*(№54), გვ. 1-2.

37. ბიგოსი, შ. (1901, მარტი 1). დედა-აზრი მამულისა; რენანის "რა არის ერის" გამო. *ივერია*(№47), გვ. 1-2.

38. ბიგოსი, შ. (1901, მარტი 7). დედა-აზრი მამულისა; რენანის "რა არის ერის" გამო. *ივერია*(№52), გვ. 1-2.

39. ბიგოსი, შ. (1901, მარტი 8). დედა-აზრი მამულისა; რენანის "რა არის ერის" გამო. *ივერია*(№53), გვ. 2-3.

40. ბიგოსი, შ. (1901, თებერვალი 28). დედა-აზრი მამულისა; რენანის „რა არის ერის. *ივერია*(№46), გვ. 1-2.

41. გერგედავა-ჭელიძე, ზ. (2002). *აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური მოღვაწეობა (1898-1918).* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

42. გვაზავა, გ. (1909, იანვარი 12). შეიძლება მოვიპოვოთ ეს თავისუფლება? *ივერია*(№2), გვ. 2.

43. გოგიჩაიშვილი, ფ. (1905, ნოემბერი 23). ეროვნულ საკითხის ახალი განმარტება. *ივერია*(№212), გვ. 1.

44. გოგიჩაიშვილი, ფ. (1905, სექტემბერი 14). ეროვნული განხეთქილება და დემოკრატია. *ივერია*(№164), გვ. 1.

45. გოგიჩაიშვილი, ფ. (1905, სექტემბერი 17). ეროვნული საკითხი და ტერიტორიალური საოლქო ავტონომია. *ივერია*(№166), გვ. 1.

46. გოგიჩაიშვილი, ფ. (1905, მაისი 29). ჟორესის აზრი სამშობლოსა და ეროვნულ საკითხის შესახებ. *ივერია*(№87), გვ. 1-2.

47. გორგილაძე, ლ. (1961). *ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან.* თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობს.

48. გორგილაძე, ლ. (1963). *იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში (XX საუკუნის პირველი მეოთხედი).* თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა "საბჭოთა საქართველო".

49. გორგიშელი, გ. (2005). *გაზეთ "ცნობის ფურცლის" ეროვნული პროგრამა და სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია.* თბილისი: უნივერსალი.

50. გუგუშვილი, პ. (1971). *კარლ მარქსი ქართული პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში 1898 წლამდე.* თბილისი: "მეცნიერება".

51. გურული, ვ. (1999). *ნოე ჟორდანია: პოლიტიკური პორტრეტი 1869-1953.* თბილისი: "ინტელექტი".

52. გურული, ვ. (2018). *ნოე ჟორდანია; პოლიტიკური პორტრეტი.* თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

53. დავითაშვილი, ზ. (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* თბილისი: "მეცნიერება".

54. დარჩაშვილი, მ. (2005). *ერთაშორისი ურთიერთობის საკითხი ქართულ დემოკრატიულ პრესაში (1900 წ.-1917 წ. თებერვალი).* თბილისი: "უნივერსალი".

55. დარჩიაშვილი, ვ. (1908, ივნისი 22). რა არის ნაცია? *ჩვენი კვალი*(№5), გვ. 65-68.

56. დარჩიაშვილი, ვ. (1908, მაისი 11). რედაქციისაგან. *ალიონი*(№1), გვ. 1-2.

57. დარჩიაშვილი, ვ. (2015). ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი. თ. ფ. საზოგადოება, *ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია* (ტ. I, გვ. 76-129). თბილისი: თბილისის ფაბიანური საზოგადოება; შენ დემოკრატიისთვის.

58. "დროება". (1871, აპრილი 16). უცხო ქვეყნები. *დროება*, გვ. 2-3.

59. ვართაგავა, ი. (1901, ივნისი 15). ჩვენი ეროვნული თვით-ცნობიერება. *ივერია*(№128), გვ. 1-2.

60. ვართაგავა, ი. (1901, ივნისი 16). ჩვენი ეროვნული თვით-ცნობიერება. *ივერია*(№129), გვ. 2-3.

61. ვართაგავა, ი. (1901, ივნისი 17). ჩვენი ეროვნული თვით-ცნობიერება. *ივერია*(№130), გვ. 2-3.

62. თავბერიძე, ე. (2004). *საქართველოს ისტორიის საკითხები გაზეთ "კვალის" ფურცლებზე.* თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

63. "ივერია". (1905, სექტემბერი 27). გასაგები გულისწყრომა. *ივერია*(№174), გვ. 1.

64. "ივერია". (1905, დეკემბერი 9). ეროვნული ავტონომია და სოციალ-დემოკრატია. *ივერია*(№222), გვ. 1.

65. "ივერია". (1905, ნოემბერი 4). ჟორესის წერილი. *ივერია*(№197), გვ. 2.

66. კარტოზია, ბ. (1986). *ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან: (XX ს. 10-30-იანი წლები).* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

67. კაჭარავა, ი. (1966). *ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები (დასკვნები და განზოგადებანი).* თბილისი: "მეცნიერი".

68. კოდუა, ე. (2000). *გერონტი ქიქოძის ფილოსოფიური და სოციოლოგიური შეხედულებანი.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

69. კოდუა, ე. (2001). *სოციოლოგიური და სოციალურ-ფილოსოფიური ნააზრევი მეოცე საუკუნის პირველ ნახევრის საქართველოში.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

70. "ლალი". (1895, იანვარი 26). ჟურნალი "კვალი" ისევ თავისი მიმართულების კვლევა-ძებნაშია. *ივერია*(№19), გვ. 1-3.

71. ლელიანი, ვ. (1917, თებერვალი 8). ეროვნული იდეა. *საქართველო*(30), p. 1.

72. ლობჟანიძე, გ. (1989). *არჩილ ჯორჯაძის სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი.* თბილისი: "საბჭოთა საქართველო"

73. ლომაშვილი&გეგეშიძე. (1986). *მარქსიზმ-ლენინიზმის გავრცელება საქართველოში /1892-1904/.* თბილისი: "საბჭოთა საქართველო".

74. მაცაბერიძე, მ. (2019). *ერნესტ რენანი ერის ცნების შესახებ.* Retrieved from politscience. info.

75. მახარაძე, ფ. (1905, ოქტომბერი 30). ეროვნული განხეთქილება და საერთაშორისო პროლეტარიატი. *მოგზაური*(№38), გვ. 601-602.

76. მახარაძე, ფ. (1905, ოქტომბერი 2). უცნაური ლოღიკა. *მოგზაური*(№36), გვ. 557-558.

77. მახარაძე, ფ. (1905, აპრილი 10). შინაური მიმოხილვა. *მოგზაური*(№13), გვ. 200-202.

78. მახარაძე, ფ. (1905, აპრილი 3). ძმობა-ერთობაზე ღაღადი ჩვენში. *მოგზაური*(№12), გვ. 177-178.

79. მიქელაძე, დ. (1873, თებერვალი 9). უცხო ქვეყნები. *დროება*, გვ. 3.

80. ნადიბაიძე, ფ. (1980). *ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XX საუკუნის საქართველოში 1900-1921*. თბილისი: "მეცნიერება".

81. ნინოშვილი, ე. (1893, სექტემბერი 19). უეზარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისთვის. *კვალი,* გვ. 4-6.

82. ნუარე, შ. (1905, აგვისტო 27). მარქსიზმის საფუძვლის კრიტიკა. *ცნობის ფურცელი*(№2897), გვ. 2-3.

83. ონიკაძე, დ. (2008). *გაზეთ "ცნობის ფურცლის" სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი.* თბილისი: "უნივერსალი".

84. ონიკაძე, დ. (2008). *სოციალისტ-ფედერალისტები.* თბილისი: "უნივერსალი".

85. ჟორდანია, ნ. (1894, მაისი). ეკონომიური წარმატება და ეროვნობა. *მოამბე*(№5), გვ. 99-121.

86. ჟორდანია, ნ. (1894, ივნისი). ეკონომიური წარმატება და ეროვნობა. *მოამბე*(№6), გვ. 63-89.

87. ჟორდანია, ნ. (1895, აგვისტო 13). "მოამბე", "ივერია" და ეროვნება. *კვალი*(№35), გვ. 7-12.

88. ჟორდანია, ნ. (1900, ივნისი 18). პრესა. *კვალი,* გვ. 389-395.

89. ჟორდანია, ნ. (1990). *რჩეული ნაწერები.* თბილისი: საქართველო.

90. ჟორდანია, ნ. (2015). ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი. თ. ფ. საზოგადოება, *ქართული მემარცხენეობის ქრესტომათია* (გვ. 26-46). თბილისი.

91. ჟორდანია, ნ. (2022). ნაციონალური კითხვა ჩვენში. ი. ჯ. უნივერსიტეტი, *სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ბიბლიოთეკა* (ტ. I, გვ. 11-80). თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

92. რამიშვილი, ი. (1905, აგვისტო 21). ეროვნება და მშორმელი ხალხი. *ივერია*(№148), გვ. 2-4.

93. რცხილაძე, გ. (1905, მარტი 27). ეროვნება და სიყვარული. *ცნობის ფურცელი*(№2782), გვ. 2.

94. რცხილაძე, გ. (1905, მაისი 5). ეროვნული საკითხი. *ცნობის ფურცელი*(№2812), გვ. 2.

95. რცხილაძე, გ. (1905, მაისი 12). ეროვნული საკითხი. *ცნობის ფურცელი*(№2817), გვ. 2.

96. რცხილაძე, გ. (1905, მარტი 25). ნაციონალიზმი, როგორც პრინციპი სიყვარულისა. *ცნობის ფურცელი*(№2781), გვ. 2.

97. "საქართველო". (1903, აგვისტო 1). ნაციონალურ მისწრაფებათა გამოღვიძება საქართველოში. *საქართველო*(№6), გვ. 3-4.

98. "საქართველო". (1903, ივნისი 15). ბრძოლის საშუალებანი. *საქართველო*(№4), გვ. 1-4.

99. "საქართველო". (1903, სექტემბერი 1). ეროვნულ პროგრამის ეკონომიური მხარე. *საქართველო*(№7), გვ. 1-3.

100. "საქართველო". (1903, მაისი 15). საქართველოს ეროვნული თვით-მმართველობა. *საქართველო*(№2), გვ. 1-5.

101. "საქართველო". (1903, მაისი 1). ღია წერილი რუსეთის ლიბერალთა და სოციალისტთა მიმართ. *საქართველო*(№1), გვ. 2-5.

102. სმითი, ე. დ. (2004). *ნაციონალიზმი თეორია, იდეოლოგია, ისტორია.* თბილისი: ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.

103. სპ. (1901, სექტემბერი 7). ერობა და ეროვნული საკითხი კავკასიაში. *ივერია*(№159), გვ. 1.

104. სუნი, რ. გ. (2022). *ქართველი ერის ჩამოყალიბება.* თბილისი: გამომცემლობა ზიარი.

105. სურგულაძე, ა. (1970). *ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპის შესახებ.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

106. სურგულაძე, გ. (2003). *ეროვნული საკითხი საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში (რეგიონალური ასპექტები).* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი.

107. უზნაძე, დ. (1984). *ფილოსოფიური შრომები.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

108. ფირცხალავა, ს. (1902, იანვარი 24). სადღეისო წერილები. *ივერია*(№18), გვ. 1-2.

109. ფირცხალავა, ს. (1902, თებერვალი 10). სადღეისო წერილები. *ივერია*(№34), გვ. 1.

110. ფირცხალავა, ს. (1905, თებერვალი 16). ერთა კავშირი. *ცნობის ფურცელი*(№2745), გვ. 2.

111. ფირცხალავა, ს. (1905, თებერვალი 3). ეროვნება. *ცნობის ფურცელი*(№2732), გვ. 2.

112. ფირცხალავა, ს. (1905, მარტი 29). ნაციონალიზმი, როგორც სიყვარული. *ცნობის ფურცელი*(№2783), გვ. 2.

113. "ცნობის ფურცელი", ". (1905, ივლისი 5). ავგ. ბებელის აზრი მამულიშვილობის შესახებ. *ცნობის ფურცელი*(№2853), გვ. ივლისი.

114. ფურცელი, ც. (1905, მაისი 31). ჟორესი და პატრიოტისმი. *ცნობის ფურცელი*(№2832), გვ. 3.

115. ღაღანიძე, მ. (2013, ივნისი 1). ილია ჭავჭავაძის "ოსმალოს საქართველო": ეროვნული ერთიანობის კონცეფცია. Retrieved ივნისი 18, 2023, from https://burusi.wordpress.com/2013/06/01/ghaghanidze-2/

116. შპრინგერი, რ. (1905). ერი და სახელმწიფო. *ცნობის ფურცელი, №2793,* გვ. 2.

117. შპრინგერი, რ. (1905). ერი და სახელმწიფო. *ცნობის ფურცელი, №2823,* გვ. 2-3.

118. შპრინგერი, რ. (1905). ერი და სახელმწიფო. *ცნობის ფურცელი, № 2830,* გვ. 2.

119. ჩხარტიშვილი&მანია. (2011). *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში: ივერია და მისი მკითხველი საქართველო.* თბილისი: უნივერსალი.

120. ჩხარტიშვილი, მ. (2014, ივნისი 16-17-18). ქართველი ერის იდეა ნაციის ფენომენის შესახებ ევროპული დისკურსის ფონზე. თბილისი. Retrieved ივნისი 3, 2023, from https://www.academia.edu/36412166/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%90_%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A4%E1%83%94%

121. წერეთელი, ვ. (1905, თებერვალი 24). საჭირბოროტო საკითხები. *ცნობის ფურცელი*(№2753), გვ. 2-3.

122. წერეთელი, ი. (2022). *სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ბიბლიოთეკა.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

123. წერეთელი, მ. (1990). *ერი და კაცობრიობა.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

124. წულაძე, ლ. (2020). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

125. წულუკიძე, ა. (1905, მაისი 8). ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები. *მოგზაური*(№17), გვ. 261-263.

126. ჭავჭავაძე, ი. (1887, აპრილი 17). *ივერია*(№74), გვ. 1.

127. ჭელიძე, მ. (2002). *ქართული ეროვნული გონი ფილოსოფიურ-ისტორიული ასპექტით.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

128. ჭოლეველი, დ. (1905, ოქტომბერი 13). ხან-და-ხან ჩვეულებრივი მოვლენა.-ჩვენი ავადმყოფი.-კითვა-პასუხი. *ივერია*(№187), გვ. 3.

129. ჯანელიძე, ა. (1997). *ეროვნული შემოქმედება.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

130. ჯორჯაძე, ა. (1901, ივნისი 10). ეროვნულ კითხვის განმარტების გამო. *ცნობის ფურცელი*(№1490), გვ. 1.

131. ჯორჯაძე, ა. (1901, ივლისი 8). ისტორიულ მატერიალიზმის გამო. *ცნობის ფურცელი*(№1517), გვ. 1-2.

132. ჯორჯაძე, ა. (1901, ივნისი 17). კიდევ საერთო მოღვაწეობაზე. *ცნობის ფურცელი*(№1497), გვ. 1-2.

133. ჯორჯაძე, ა. (1901, ივნისი 19). კიდევ საერთო მოღვაწეობაზე II. *ცნობის ფურცელი*(№1499), გვ. 1-2.

134. ჯორჯაძე, ა. (1901, დეკემბერი 6). რა მოხდა? *ცნობის ფურცელი*(№1662), გვ. 1-3.

135. ჯორჯაძე, ა. (1902, იანვარი 11). ეკონომიური განკერძოება და ეროვნული გაერთიანება. *ცნობის ფურცელი*(№1694), გვ. 1-2.

136. ჯორჯაძე, ა. (1902, იანვარი 8). ეკონომიური განკერძოება და ეროვნული ერთიანობა. *ცნობის ფურცელი*, გვ. 1.

137. ჯორჯაძე, ა. (1902, იანვარი 10). ეკონომიური განკერძოება და ეროვნული ერთიანობა. *ცნობის ფურცელი*(№1693), გვ. 1-2.

138. ჯორჯაძე, ა. (1911). *ეროვნული პრობლემის გარშემო.* ტფილისი: „სორაპანი“.

139. ჯორჯაძე, ა. (2013, აგვისტო 19). ანტი-პატრიოტიზმის ავიდა კარგი. Retrieved ივნისი 6, 2023, from https://tornikesshemecnebiti.blogspot.com/2013/08/blog-post_2475.html



[1]

დანართი №1. მიროსლავ ჰროხის ნაციონალიზმის სამი ფაზის ერთმანეთში გადასვლის შესაძლო ვარიანტები პრაქტიკაში.

დანართი №2. ჩატარებული ექსპერტული ინტერვიუს რესპოდენტები

- ავთანდილ ტუკვაძე (პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი)
- დიმიტრი შველიძე (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი)
- ირაკლი ჩხაიძე (კულტურის კვლევების ასოცირებული პროფესორი)
- მანანა დარჩაშვილი (სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი)
- ნატალი საბანაძე (პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი; დიპლომატი)
- ოთარ ჯანელიძე (ისტორიკოსი)